როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ვილტრუდ ვეიდინგერი (რედაქტორები)

განათლება დემოკრატიისათვის

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

განათლება დემოკრატიისათვის

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

რედაქტორები: როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ვილტრუდ ვეიდინგერი

ავტორები: როლფ გოლობი, პიტერ კრაფი, ოლაფ ოლაფსდოტირი, ვილტრუდ ვეიდინგერი

წიგნი I

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნები, I –VI

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში სწავლების პროცესის თანამიმდევრობა, ცნებები, მეთოდები და მოდელები

წინამდებარე ნაშრომში წარმოდგენილ მოსაზრებებზე პასუხისმგებელნი არიან ნაშრომის ავტორები და მათი მოსაზრებები შესაძლებელია არ ასახავდეს ევროპის საბჭოს ოფიციალურ პოზიციას.

ყველა უფლება დაცულია. დაუშვებელია წინამდებარე გამოცემაში შესული მასალის თარგმნა, გამრავლება ან გავრცელება ნებისმიერი ფორმით ან საშუალებით, ელექტრონული (CD-Rom, ინტერნეტი და ა.შ.), მექანიკური, მათ შორის, ფოტოგრაფიული, ჩანაწერით თუ ინფორმაციის შენახვისა და გავრცელების სხვა ნებისმიერი საშუალებით, კომუნიკაციის დირექტორატის საჯარო ინფორმაციისა და გამოცემების განყოფილების (F-67075 Strasbourg Cedex ან publishing@coe.int) წინასწარი წერილობითი ნებართვის გარეშე.

მოცემული ნაშრომის მომზადებას, დიზაინსა და რედაქტირებას ხელმძღვანელობდა ციურიხის უნივერსიტეტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის (Pädagogische Hochschule Zürich) განათლების საერთაშორისო პროექტი (www.phzh.ch/ipe).

გამოცემის თანადამფინანსებელია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო (SDC).

მთარგმნელი: მაია გვიტიძე

ქართული გამოცემის რედაქტორი: ნათია ნაცვლიშვილი

ილუსტრაციები: პეტი ვისკემანი
ყდის დიზაინი: პეტი ვისკემანი

ევროპის საბჭოს გამომცემლობა
http://book.coe.int
© Council of Europe, 2010 წლის დეკემბერი

გამოცემაზე მუშაობდნენ:

ემირა ძოვიჩი – ბოსნია და ჰერცოგოვინა

ლაურა ლოდენ-ბუხელი - შვეიცარია

ბეატრის ბურგლერ-ჰოქული - შვეიცარია

სარა კეატინგ-ქეთვინდი – ევროპის საბჭო

საბრინა მარუნჩედუ კრაუსე – შვეიცარია

სვეტლანა პოზნიაკი - უკრაინა

არბერ სალიჰუ -კოსოვო[1]

ფელისა თიბითსი - ამერიკის შეერთებული შტატები

[1] წინამდებარე სახელმძღვანელოში მოყვანილი, კოსოვოსთან დაკავშირებული ფაქტები და მაგალითები ეხება ეს კოსოვოს ტერიტორიას, ინსტიტუციებს თუ მის მოსახლეობას, გაგებულ უნდა იქნას გაერთიანებული ერების უშიშროების საბჭოს 1244-ე რეზოლუციის შესაბამის კონტექსტში, კოსოვოს სტატუსის შელახვის გარეშე.

სარჩევი

შესავალი.....

1. სახელმძღვანელოს მიზანი.....
2. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - მოკლე მიმოხილვა.....

ნაწილი 1 - ცნებები: დემოკრატია და ადამიანის უფლებები

თავი1 -რას აღნიშნავს ცნებები.....

1. პოლიტიკა, დემოკრატია და დემოკრატიული მმართველობა სკოლებში.....
2. ბავშვის უფლებები და უფლება განათლებაზე.....

თავი2- მოქალაქეობის დინამიკური ცნების განმარტება.....

1. მოქალაქეობის ტრადიციული მოდელი და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები.....
2. პოლიტიკური კულტურა.....

თავი 3 - განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათათვის.....

1. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - მისი სამი განზომილება.....
2. ადამიანის უფლებათა სწავლება და მისი კავშირი დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან.....
3. დემოკრატიული მოქალაქეობისა დ აადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კომპეტენციები.....
4. „ჩვენ ვქმნით მსოფლიოს ჩვენს გონებაში“: კონსტრუქტივისტული მიდგომა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისადმი.....
5. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიული ეთიკა: სამი პრინციპი.....

6. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ცნებები.....
7. მეთოდი, რომელიც შეიცავს გზავნილს: ამოცანაზე ორიენტირებული სწავლა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში.....
8. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სასკოლო განათლებისადმი.....

თავი 4 - სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ევროპის საბჭოს მიდგომის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია.....

1. საფუძველი.....
2. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროექტის შედეგები.....
3. პრაქტიკული ინსტრუმენტები.....

ნაწილი 2 - დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლება

თავი 1 - სწავლებისა და სწავლის პირობები.....

1. წინასიტყვაობა.....
2. სწავლებისა და სწავლის პირობებთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი საკითხები.....

   სამუშაო ფურცელი 1: როგორ გამოვიყენოთ მოსწავლეების უნარები და ცოდნა..

   სამუშაო ფურცელი 2:როგორ გამოვიყენოთ ჩვენი სწავლების უნარები და პროფესიული ცოდნა.....

   სამუშაო ფურცელი 3: სწავლებისა და სწავლის ზოგადი პირობების გამოყენება..

   სამუშაო ფურცელი 4: როგორია ჩემი ძირითადი დამოკიდებულება მოსწავლეების მიმართ?.....

   სამუშაო ფურცელი 5: დისციპლინისა და წესრიგის განხილვა დემოკრატიული თვალსაზრისით.....

   სამუშაო ფურცელი 6: მასწავლებლის როლის განხილვა დემოკრატიული თვალსაზრისით.....

   სამუშაო ფურცელი 7: როგორ შევქმნათ კლასში დემოკრატიული ატმოსფერო....

სამუშაო ფურცელი 8: სკოლის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების განვითარების გზები.....

თავი 2 - მიზნების დასახვა და მასალების შერჩევა.....

1. წინასიტყვაობა.....
2. მიზნების დასახვასა და მასალების შერჩევასთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი საკითხები.....

   სამუშაო ფურცელი 1: მოსწავლეთა კომპეტენციები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში.....

   სამუშაო ფურცელი 2: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის საჭირო მასალათა ორი კატეგორია.....

   სამუშაო ფურცელი 3: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის საჭირო მასალის შერჩევა და გამოყენება....

თავი 3 - ვეცნობით პოლიტიკას.....

1. წინასიტყვაობა: რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ?.....
2. პოლიტიკის გაცნობასთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი საკითხები...

   სამუშაო ფურცელი 1: როგორ შემოვიტანო პოლიტიკა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე?...

   სამუშაო ფურცელი 2: როგორ ჩავერთო მოსწავლეების მიერ პოლიტიკური საკითხების განხილვის პროცესში?.....

თავი 4 - სწავლის პროცესის წარმართვა და სწავლების ფორმების შერჩევა.....

1. წინასიტყვაობა.....
2. სწავლის პროცესის წარმართვასა და სწავლების ფორმების შერჩევასთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი საკითხები.....

   სამუშაო ფურცელი 1: სწავლის პროცესის სამი ეტაპი.....

   სამუშაო ფურცელი 2: რატომ არ არის საკმარისი მხოლოდ სწავლება, ანუ „სწავლება ≠ სწავლა“ და „სწავლა ≠ რეალურ ცხოვრებაში გამოყენება“.....

   სამუშაო ფურცელი 3: სწავლებისა და სწავლის ადეკვატური ფორმების შერჩევა.

   სამუშაო ფურცელი 4: სწავლებისა და სწავლის ხუთი ძირითადი ფორმა.....

თავი 5 - მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება.....

1. წინასიტყვაობა.....
2. მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასებასთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი საკითხები.....

სამუშაო ფურცელი 1: შეფასების სხვადასხვა განზომილება.....

სამუშაო ფურცელი 2: შეფასების პერსპექტივები.....

სამუშაო ფურცელი 3: შეფასების პერსპექტივები და ფორმები.....

სამუშაო ფურცელი 4: შეფასების სტანდარტები.....

სამუშაო ფურცელი 5: მოსწავლეების შეფასება - შეფასების გავლენა თვით-აღქმაზე.....

სამუშაო ფურცელი 6: საკონტროლო კითხვარი „როგორ ვაფასებ ჩემს მოსწავლეებს“.....

სამუშაო ფურცელი 7: მასწავლებელთა შეფასება.....

სამუშაო ფურცელი 8: მასწავლებელთა თვითშეფასება.....

სამუშაო ფურცელი 9: ჟურნალებთან, სააღრიცხვო ჟურნალებთან, პორტფოლიოებთან მუშაობა.....

სამუშაო ფურცელი 10: თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლება და წყვილებში მუშაობის შემოწმება.....

სამუშაო ფურცელი 11: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შეფასება სკოლებში.....

სამუშაო ფურცელი 12: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხარისხის მაჩვენებლები სკოლებში.....

სამუშაო ფურცელი 13: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი პრინციპები.....

სამუშაო ფურცელი 14: სკოლების თვითშეფასებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები.....

სამუშაო ფურცელი 15: სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ჩართვა სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შეფასების პროცესში.....

სამუშაო ფურცელი 16: სკოლების მმართველობა და მართვა.....

სამუშაო ფურცელი 17: აქცენტი სკოლების დემოკრატიულ მმართველობაზე.....
სამუშაო ფურცელი 18: როგორ უნდა ვაწარმოოთ ანალიზი და როგორ განვმარტოთ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შეფასების შედეგები.....

ნაწილი 3 - დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისა და სწავლის ინსტრუმენტები

თავი 1 - ინსტრუმენტების ჩამონათვალი მასწავლებლებისათვის.....

1. წინასიტყვაობა.....
ინსტრუმენტი 1: ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა.....
ინსტრუმენტი 2: თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა.....
ინსტრუმენტი 3: საერთო საკლასო სხდომის თავმჯდომარეობა (დისკუსია და კრიტიკული აზროვნება) დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე.....
ინსტრუმენტი 4: ინტერვიუ ექსპერტთან - ინფორმაციის შეგროვების გზები და ხერხები.....
ინსტრუმენტი 5: კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლების მიზნების განსაზღვრა.....

თავი 2 - ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის.....

1. წინასიტყვაობა.....
ინსტრუმენტი 1: სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, სწავლის განრიგის დასაგეგმად.....
ინსტრუმენტი 2: სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, მიღებული ცოდნის შესაფასებლად.....
ინსტრუმენტი 3: სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, მიღწევების შესაფასებლად.....
ინსტრუმენტი 4: კვლევის წარმოება ბიბლიოთეკებში.....
ინსტრუმენტი 5: კვლევის წარმოება ინტერნეტის გამოყენებით.....
ინსტრუმენტი 6: ინტერვიუებისა და გამოკითხვების წარმართვა.....

ინსტრუმენტი 7: სურათებისა და გამოსახულებების ინტერპრეტირება.....
ინსტრუმენტი 8: გეგმა.....
ინსტრუმენტი 9: პოსტერის შექმნა.....
ინსტრუმენტი 10: გამოფენის მოწყობა.....
ინსტრუმენტი 11: პრეზენტაციების მომზადება და გაკეთება.....
ინსტრუმენტი 12: პრეზენტაციის მომზადება სლაიდებისა ან PowerPoint-ის გამოყენებით.....
ინსტრუმენტი 13: საგაზეთო სტატიის მომზადება.....
ინსტრუმენტი 14: წარმოდგენის დადგმა.....
ინსტრუმენტი 15: დებატების წარმოება.....

შესავალი

1 სახელმძღვანელოს მიზანი

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში ჩართულ მასწავლებელთა და სხვა პირთა - მასწავლებელთა ტრენერების, მეთოდისტების, დამკვირვებლების, სახელმძღვანელოთა ავტორებისა და რედაქტორების - ხელშეწყობა. სახელმძღვანელოში ყურადღება გამახვილებულია დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ძირითად ასპექტებზე, მათ შორის:

- — რა კომპეტენციას უნდა ფლობდეს მოქალაქე, რომ მონაწილეობა მიიღოს იმ საზოგადოების საქმიანობაში, რომელსაც იგი ეკუთვნის?
- — რას ემსახურება დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლება და ადამიანის უფლებათა სწავლება?
- — რაში მდგომარეობს დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ძირითადი პრინციპები?
- — რას ნიშნავს ის ძირითადი ცნებები, რომლებსაც ეყრდნობა დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლება და ადამიანის უფლებათა სწავლება?
- — როგორ უკავშირდება კონსტრუქტივისტული სწავლა დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებას?
- — რატომ არის დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებასა და ადამიანის უფლებათა სწავლებისას ყურადღება გამახვილებული სკოლის ერთიან მიდგომაზე?
- — როგორ უნდა მოამზადოს, ხელი შეუწყოს და შეაფასოს მასწავლებელმა, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისას, მოსწავლეების სწავლის პროცესი?

წინამდებარე სახელმძღვანელოში შესულია საცნობარო მასალა და ინსტრუმენტები, რომლებიც ზემოთ დასმულ კითხვებზე პასუხის გაცემაში დაგვეხმარება. ვინაიდან მოცემული სახელმძღვანელო არ წარმოადგენს ტრაქტატს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, იგი მომხმარებელს

საშუალებას აძლევს, გაეცნოს სახელმძღვანელოში შესულ თავებსა და მასალებს და გამოიყენოს ისინი საკუთარი შეხედულებების მიხედვით.

წინამდებარე სახელმძღვანელო განსხვავდება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სახელმძღვანელოთა სერიაში შესული სხვა ხუთი წიგნისაგან. II, III და IV წიგნებში მოცემულია სწავლის თანამიმდევრული პროცესისა და მცირე მოცულობის პროექტების აღწერა, რომლებიც, ძირითადად, მოცემულია ოთხ-ოთხი გაკვეთილის სახით. ცხრა ძირითადი ცნება უდევს საფუძვლად სპირალურ სასწავლო პროგრამას, რომელიც მოიცავს სასკოლო განათლების დაწყებით, საშუალო და მაღალ საფეხურებს. V წიგნში მოცემულია მცირე მოცულობის ცხრა პროექტის აღწერა, რომლებიც ეხება ბავშვის უფლებებს და განკუთვნილია მოსწავლეებისათვის, დაწყებული სკოლამდელი განათლებიდან, საშუალო განათლების დაბალი საფეხურის ჩათვლით. VI წიგნში შესულია მოდელები ინტერაქტიული და ამოცანაზე ორიენტირებული სწავლისათვის.

წინამდებარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში (ნაწილი 1) მოცემულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი პრინციპები, რამდენადაც ეს პრინციპები ეხმარება აღნიშნულ სფეროში მოღვაწე პირებს მათ მიერ შესრულებული სამუშაოს სრულყოფაში. სახელმძღვანელოს მეორე ნაწილში (ნაწილი 2) მოცემულია ინსტრუქციები და ინსტრუმენტები, რომლებიც ეხმარება მათ მოსწავლეების კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესის დაგეგმვაში, წარმართვასა და შეფასებაში. სახელმძღვანელოს მესამე ნაწილში (ნაწილი 3) მოცემულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ინსტრუმენტთა ჩამონათვალი, როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე მოსწავლეებისათვის. სახელმძღვანელოში მოყვანილი ინსტრუქციები და ინსტრუმენტები ხელს უწყობს არა მარტო დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას, არამედ წარმოადგენს ზოგადად სწავლების პროცესში გამოსადეგ ინსტრუქციებსა და ინსტრუმენტებს.

2 სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - მოკლე მიმოხილვა

როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოს სათაურიდან - „განათლება დემოკრატიისათვის“ - ხდება ნათელი, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზანს წარმოადგენს მოსწავლეების წახალისება, რომ მათ, როგორც ახალგაზრდა მოქალაქეებმა, საკუთარი როლი ითამაშონ და აქტიური მონაწილეობა მიიღონ იმ საზოგადოებასა და პოლიტიკურ ერთობაში, რომელსაც ისინი ეკუთვნიან. დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობისათვის მოსწავლეებს სჭირდებათ კომპეტენციათა ფართო სპექტრის განვითარება, ამასთან, ცოდნის შეძენა და მოვლენებზე ნათელი წარმოდგენის შექმნა, ტექნიკური და სისტემური უნარების შეძენა-განვითარება, ღირებულებებისა და დამოკიდებულებების, როგორიცაა შემწყნარებლობა (ტოლერანტობა) და პასუხისმგებლობა, ჩამოყალიბება.

„განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებს. მათ საერთო მიზნები და გამოყენების სფერო გააჩნიათ, განსხვავება მხოლოდ შესწავლის სფეროსა და პრიორიტეტებშია გამოხატული. დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლების პრიორიტეტს, უწინარესად, წარმოადგენს დემოკრატიული უფლებები და მოვალეობები, ისევე როგორც საზოგადოების სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პროცესებში აქტიური მონაწილეობა; მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა სწავლება ორიენტირებულია ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ფართო სპექტრზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში.“[2] მაშასადამე, დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებაში ყურადღება გამახვილებულია ახალგაზრდა მოქალაქეთა როლზე საზოგადოებაში მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა სწავლება ყურადღებას ამახვილებს პიროვნებაზე და მის

[2]ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის CM/Rec(2010)7 ფორმით (www.coe.int/edc).

ინდივიდუალურობაზე, სურვილებსა და საჭიროებებზე, თავისუფლებებსა და პასუხისმგებლობებზე „ადამიანის უფლებათა პერსპექტივიდან“.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლებაში ყურადღება გამახვილებულია მოსწავლეების, როგორც ახალგაზრდა მოქალაქეების როლზე, მასზედ, რომ მოსწავლეები უნდა იცნობდნენ და სწორი წარმოდგენა ჰქონდეთ ადამიანის უფლებების შესახებ და, ასევე, პატივს უნდა სცემდნენ მათ და საკლასო გარემოში წვრთნისა და სასკოლო ცხოვრებაში მიღებული გამოცდილებით თავდაჯერებულად ისარგებლონ აღნიშნული უფლებებით. ამ თვალსაზრისით, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება წინ გადადგმულ დიდ ნაბიჯს წარმოადგენს, სამოქალაქო ან მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების შესახებ განათლების შედარებით ტრადიციულ, მხოლოდ ცოდნის შეძენაზე დაფუძნებულ მეთოდთან შედარებით. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება მოსწავლეებს ექსპერტების რანგში განიხილავს, ითვალისწინებს რა მათ ინტერესებსა და ყოველდღიურ გამოცდილებას.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ეფუძნება სწავლებისა და სწავლის ისტორიულ მიდგომას. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში ჩაბმული მასწავლებლის ამოცანა შესაძლებელია დავყოთ სამ პრინციპად:

- დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „შესახებ“ სწავლება;
- დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „მიზნით“ სწავლება;
- დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საშუალებით“ სწავლება.

2.1 დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „შესახებ“ სწავლება

მოსწავლეებს აქვთ ნათელი წარმოდგენა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს დემოკრატია და ადამიანის რა უფლებებით სარგებლობენ ისინი, რა დოკუმენტებშია ჩამოყალიბებული ეს უფლებები და როგორ შეიძლება მათი დაცვა და გატარება. ისინი, როგორც ახალგაზრდა მოქალაქეები, უნდა ფლობდნენ ცოდნას იმის თაობაზე, თუ როგორ მოქმედებს მათი ქვეყნის კონსტიტუცია, როგორც პოლიტიკური სისტემა.

2.2 დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „მიზნით“ სწავლება

ახალგაზრდა მოქალაქეებმა საჭიროა ისწავლონ, თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა იმ საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესებში, რომელსაც ისინი ეკუთვნიან და როგორ ისარგებლონ მათთვის მინიჭებული ადამიანის უფლებებით: „დემოკრატიული ღირებულებები და ჩვევები მუდმივი სწავლის პროცესს გულისხმობს, რათა მათი საშუალებით შესაძლებელი იყოს ყოველი ახალი თაობის წინაშე მდგარ გამოწვევებთან გამკლავება. საზოგადოების სრულფასოვან და აქტიურ წევრად ჩამოყალიბებისათვის მოქალაქეებს უნდა მიეცეთ შესაძლებლობა, ერთად იღვაწონ საერთო კეთილდღეობის მისაღწევად; პატივი სცენ ყველა ხმას, მათ შორის, ყველაზე განსხვავებულსაც კი; მონაწილეობა მიიღონ ფორმალურ პოლიტიკურ პროცესებში; დემოკრატიასა და ადამიანის უფლებების დაცვასთან დაკავშირებული ჩვევები და ღირებულებები დანერგონ საკუთარ ყოველდღიურ ცხოვრებაში და გამოიყენონ ყოველდღიურ საქმიანობაში. შედეგად, მოქალაქეები თავს გრძნობენ საზოგადოებისათვის სარგებლის მომტან და აღიარებულ წევრებად, რომელთაც ძალუძთ, მონაწილეობა მიიღონ საზოგადოებრივ საქმიანობაში და საკუთარი წვლილი შეიტანონ მის წინსვლასა და წარმატებაში.“[3]

2.3 დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საშუალებით“ სწავლება

მოსწავლეებს სჭირდებათ გარემო, რომელიც მათი სასწავლო პროცესის ხელშეწყობას უზრუნველყოფს. მათ სჭირდებათ სწავლებისა და სწავლის მეთოდები, რომლებიც საშუალებას მისცემს, ისარგებლონ მათთვის მინიჭებული ადამიანის უფლებებით, როგორიცაა აზრისა და გამოხატვის თავისუფლება. მათ სჭირდებათ შესაძლებლობები, რათა მონაწილეობა მიიღონ საკუთარი სკოლების მმართველობაში, ისარგებლონ მათთვის მინიჭებული ადამიანის უფლებებით და პასუხისმგებლობით, შეასრულონ აღებული ვალდებულებები. მოსწავლეები ურთიერთპატივისცემის, შემწყნარებლობისა (ტოლერანტობისა) და კონფლიქტთა მშვიდობიანი გზით გადაჭრის მაგალითს მასწავლებლებისაგან უნდა იღებდნენ. ყოველივე ზემოთ აღწერილის განხორციელებას

[3] მ. ჰარლი და ტ. ჰადლესტონი (2009 წელი), სკოლას, საზოგადოებასა და უნივერსიტეტს შორის პარტნიორობა მდგრადი დემოკრატიისათვის: განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების ინსტრუმენტები, ინსტრუმენტი 5, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, გვ. 8 (www.coe.int/edc).

უზრუნველყოფს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის პრინციპებით ხელმძღვანელობა, როგორც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში, ასევე, ზოგადად სკოლის, როგორც მიკროსაზოგადოების მართვის პროცესში.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება გამოწვევაა როგორც მოსწავლეებისათვის, ასევე, მასწავლებლებისა და სკოლებისათვის. წინამდებარე სახელმძღვანელო მასწავლებლებსა და სკოლაში მოღვაწე პერსონალს სთავაზობს ამ გამოწვევებთან გამკლავების საშუალებებსა და ინსტრუქციებს.

ნაწილი 1

ცნებები: დემოკრატია და ადამიანის უფლებები

თავი1

რას აღნიშნავს ცნებები

თავი2

მოქალაქეობის დინამიკური ცნების განმარტება

თავი 3

განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისთვის

თავი 4

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ევროპის საბჭოს მიდგომის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია

დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების იდეა არ არის ახალი. სამოქალაქო ან მოქალაქეობრივი უფლება-მოვალეობების შესახებ განათლება მრავალი წლის წინ დაინერგა ევროპის ბევრ ქვეყანაში და დღემდე ხორციელდება სხვადასხვა გზით. ამგვარი სწავლების ძირითად მიზანს წარმოადგენს მოსწავლეთა ინფორმირება მათ ქვეყანაში არსებული პოლიტიკური სისტემის შესახებ, სხვაგვარად რომ ვთქვათ, კონსტიტუციის შესახებ, ინსტრუქციის მიწოდების ფორმალური მეთოდების გამოყენებით. შესაბამისად, მოქალაქეობის მოდელი, რომელსაც ამგვარი სწავლება გულისხმობს, პასიური და მინიმალურია. მოქალაქეობა, რიგითი ადამიანების დიდი უმრავლესობისათვის, შემოიფარგლება თითქმის მხოლოდ იმ მოლოდინით, რომ ისინი უნდა დაემორჩილონ კანონს და მონაწილეობა მიიღონ სახალხო არჩევნებში. ეს არის ის პასუხისმგებლობები, რომლებიც ეკისრებათ მოქალაქეებს იმ სამართლებრივ და კულტურულ გარემოში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ. ზოგიერთი ქვეყანის მიერ განხორციელებულ იქნა ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ჩართვა მოქმედ სასწავლო პროგრამებში. ევროპის მასშტაბით, განათლების სფეროში დასაქმებული პირები დღითიდღე სულ უფრო და უფრო რწმუნდებიან დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას შორის კავშირის აუცილებლობაში.

თუმცა უკანასკნელ წლებში ევროპის მასშტაბით განვითარებულმა მოვლენებმა და განხორციელებულმა ცვლილებებმა რამდენადმე შეცვალა მოქალაქეობის მოდელი: ეს მოვლენები მოიცავს:

- ეთნიკურ კონფლიქტებსა და ნაციონალიზმს;
- გლობალურ საფრთხეებსა და დაუცველობას;
- ინფორმაციის გავრცელებისა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების განვითარებას;
- გარემოსდაცვით პრობლემებს;
- მოსახლეობის მიგრაციას;
- მანამდე არაღიარებულ კოლექტიურ იდენტობათა ახალი ფორმების აღმოცენებას;
- მზარდ მოთხოვნას პერსონალურ ავტონომიასა და თანასწორობის ახალ ფორმებზე;

- ადამიანებს შორის სოციალური ერთობისა და სოლიდარობის შესუსტებას;
- პოლიტიკური ინსტიტუციებისადმი, მმართველობის ფორმებისა და პოლიტიკური ლიდერების მიმართ ნდობის ხარისხის შემცირებას;
- პოლიტიკას, ეკონომიკასა და კულტურას შორის მზარდ ურთიერთკავშირსა და ურთიერთდამოკიდებულებას, როგორც რეგიონულ, ასევე საერთაშორისო დონეზე.

ამგვარი გამოწვევების ფონზე ცხადი გახდა, რომ საჭიროა ახალი ტიპის მოქალაქეები: მოქალაქეები, რომლებიც არა მხოლოდ ინფორმირებულნი არიან და ნათელი წარმოდგენა აქვთ თავიანთ ფორმალურ მოქალაქეობრივ ვალდებულებებზე, არამედ არიან აქტიურნი - შეუძლიათ თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ საზოგადოების ცხოვრებაში, რომელსაც ეკუთვნიან, იმ ქვეყნის განვითარებაში, რომელშიც ისინი ცხოვრობენ და, ასევე, მსოფლიო მასშტაბით მიმდინარე მოვლენებში; რომელთა აქტიური მონაწილეობაც მიმდინარე მოვლენებში არის გამოხატულება მათი ინდივიდუალობისა და ემსახურება პრობლემების მოგვარებას.

თავი1

რას აღნიშნავს ცნებები

1. პოლიტიკა, დემოკრატია და დემოკრატიული მმართველობა სკოლებში

დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზანს წარმოადგენს ახალგაზრდა მოქალაქეების წახალისება და მათი შესაძლებლობებით აღჭურვა, რათა მონაწილეობა მიიღონ იმ საზოგადოების ცხოვრებაში, რომელსაც ეკუთვნიან. დემოკრატიული მოქალაქეობის მიზანი უკავშირდება დემოკრატიისა და პოლიტიკის ცნებებს. სკოლის დემოკრატიული მმართველობა გადამწყვეტ როლს ასრულებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, ვინაიდან იგი მოსწავლეებს სთავაზობს შესაძლებლობებს, ისწავლონ, თუ როგორ უნდა მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებრივ ცხოვრებაში. აქედან გამომდინარე, წინამდებარე თავში ყურადღება გამახვილებულია სწორედ ამ სამ ცნებაზე, ვინაიდან ეს სამი ცნება უმნიშვნელოვანესია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებაში, იმ პერსპექტივით, რა პერსპექტივითაც არის განხილული იგი წინამდებარე სახელმძღვანელოში.

1.1 პოლიტიკა

1.1.1 პოლიტიკა - ძალაუფლების დემონსტრირება და პრობლემის გადაჭრა

გაზეთების მკითხველები და ტელემაყურებლები აღმოაჩენენ, რომ პოლიტიკის შესახებ გაკეთებული მედიარეპორტაჟები ქვემოთ მოყვანილი ორი კატეგორიიდან ერთ-ერთს მიეკუთვნება:

— პოლიტიკოსები უპირისპირდებიან თავიანთ ოპონენტებს. რითაც მათ შეიძლება კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენონ თავიანთი პოლიტიკური მეტოქეების პატიოსნება, ან თანამდებობრივი უფლებამოსილების სათანადოდ გახორციელებისა და კონკრეტული პრობლემის გადაჭრის უნარი. პოლიტიკის აღქმა ამ კუთხით -

როგორც „ბინძური საქმისა“ - აიძულებს ზოგიერთ ადამიანს, ზურგი აქციოს პოლიტიკას.

— პოლიტიკოსები მსჯელობენ მათი ქვეყნის ან ქვეყნების წინაშე მდგარი რთული პრობლემის გადაჭრის გზებსა და საშუალებებზე.

პოლიტიკურ მოვლენათა განვითარების მოცემული ორი კატეგორია შეესაბამება მაქს ვებერის კლასიკურ განმარტებას, რომლის თანახმადაც:

— პოლიტიკა არის სწრაფვა და ბრძოლა ძალაუფლებისათვის. ძალაუფლების გარეშე ვერც ერთი პოლიტიკური მოთამაშე ვერ შეძლებს, მიაღწიოს რაიმეს. დემოკრატიულ სისტემებში პოლიტიკური მოთამაშეები ერთმანეთს ეჯიბრებიან საზოგადოების უმრავლესობის მოწონებისა და მხარდაჭერის მოპოვებისათვის. აქედან გამომდინარე, თამაშის წესები გულისხმობს პოლიტიკურ ოპონენტზე შეტევის გახორციელებას, მაგალითად, საარჩევნო კამპანიის დროს, ამომრჩეველთა გადაბირებისა და პარტიაში ახალი წევრების მოზიდვის მიზნით.

— პოლიტიკა შეიძლება შევადაროთ „სქელი ფიცრის ბურღვის ნელ და მტკიცე პროცესს, როგორც ენთუზიაზმით, ასევე, გათვლების სისწორით“[4]. ეს მეტაფორა აღნიშნავს პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის მცდელობას. ასეთი პრობლემების გადაუჭრელობა დაუშვებელია, ვინაიდან ისინი საკმაოდ მწვავეა, მთელ საზოგადოებაზე ახდენს გავლენას და, აქედან გამომდინარე, კომპლექსური და რთული ხასიათისაა. პოლიტიკა წარმოადგენს ჭეშმარიტად პრაქტიკულ და მართებულ სფეროს, ხოლო დისკუსიის შედეგი აუცილებლად უნდა იყოს გადაწყვეტილება.

აქედან გამომდინარე, პოლიტიკა, დემოკრატიულ გარემოში, პოლიტიკური მოთამაშეებისაგან მოითხოვს სხვადასხვა როლის შესრულებას, რომელთა გაიგივებაც შეუძლებელია. ძალაუფლებისათვის ბრძოლას სჭირდება ქარიზმატული ფიგურა, რომელიც ფლობს რიტორიკას და რთული საკითხების მარტივ ენაზე გადმოცემის უნარს. აქტუალური რთული პრობლემისა და მომავალთან დაკავშირებული

[4]მაქს ვებერი, Politik als Beruf [პოლიტიკა,როგორც მოწოდება და ხელობა], შტუდგარტი, 1997 წ. გვ. 82, ციტატა თარგმნილია პიტერ კრაფის მიერ.

გადაწყვეტილებების მიღებას კი სჭირდება მეცნიერული გამოცდილების მქონე, პასუხისმგებლობის გრძნობით სავსე პატიოსანი პიროვნება.

1.1.2 პოლიტიკა დემოკრატიის პირობებში - საპასუხისმგებლო ამოცანა

რა თქმა უნდა, უპირველეს ყოვლისა, ჩვენს წარმოდგენაში ჩნდებიან პოლიტიკური ლიდერები, რომლებიც უნდა აკმაყოფილებდნენ ამ როლებისათვის საჭირო ურთიერთგამომრიცხავ სტანდარტებს. არსებობს კარგად ცნობილი მაგალითები ლიდერებისა, რომლებიც ამ ორი როლის ბრწყინვალე შემსრულებლებად გვევლინებიან. ამათგან, ერთნი პოლიტიკას სცენად აქცევენ, ხოლო მეორენი - სალექციო დარბაზად. პირველი კატეგორია, როგორც წესი, არჩევნებში გამარჯვებული გამოდის, მაგრამ საზოგადოებისათვის არანაირი სარგებელი არ მოაქვს; მეორე კატეგორიას საზოგადოებისათვის სარგებლის მომტანი იდეები გააჩნია, მაგრამ მათ უჭირთ მხარდამჭერთა მოპოვება.

თუმცა აღნიშნული დილემის წინაშე დგანან არა მხოლოდ პოლიტიკური ლიდერები და გადაწყვეტილების მიღებაში მონაწილე პირები, არამედ ყოველი მოქალაქე, რომელსაც გააჩნია სურვილი, მონაწილეობა მიიღოს პოლიტიკაში. საზოგადოებაში გამოსვლისას, წარმოსათქმელი სიტყვისათვის განკუთვნილი დრო, როგორც წესი, შეზღუდულია და საზოგადოებაზე გავლენის მოხდენას მხოლოდ ის გამომსვლელი ახერხებს, რომლის გზავნილიც ნათელი და მარტივი გასაგებია. მასწავლებლებისათვის ცნობილია, რომ გასაოცარი კავშირი არსებობს საზოგადოებაში კომუნიკაციასა და სკოლაში კომუნიკაციას შორის - დროის რესურსების სიმწირე, აზრის ნათლად და მარტივად გამოთქმის საჭიროება და, ამავე დროს, სირთულეებთან გამკლავების უნარი.

ადამიანის უფლებებით სარგებლობა - როგორიცაა აზრისა და სიტყვის თავისუფლება, არჩევნებში მონაწილეობა - აქედან გამომდინარე, საპასუხისმგებლო ამოცანას წარმოადგენს არა მხოლოდ პოლიტიკური ლიდერისათვის, არამედ ყველა მოქალაქისათვის. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების საშუალებით, ახალგაზრდები გადიან წვრთნას სხვადასხვა კომპეტენციის გამომუშავებისათვის და იღებენ იმ სტიმულს, რომელიც მათ სჭირდებათ, რათა მონაწილეობა მიიღონ საჯარო დებატებსა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. მოსწავლეები, როგორც სკოლის საზოგადოების წევრები, სწავლობენ, თუ როგორ უნდა

მიიღონ მონაწილეობა საზოგადოებაში, რომელსაც საფუძვლად უდევს დემოკრატია და ადამიანის უფლებების დაცვა.

1.1.3 პოლიტიკური ციკლის მოდელი: პოლიტიკა, როგორც საზოგადოებაში არსებული პრობლემის გადაჭრის პროცესი



პოლიტიკური ციკლის მოდელი წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომლის საშუალებითაც ხორციელდება პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესების აღწერა და აღქმა; ამგვარად, მასში, უპირველეს ყოვლისა, ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკის მაქს ვებერისეული განმარტების ერთ ასპექტზე „სქელი ფიცრის ბურღვის ნელი და მტკიცე პროცესი“.

პოლიტიკა აღიქმება, როგორც პოლიტიკური პრობლემის განსაზღვრის პროცესი, დღის წესრიგის დადგენის რთული პროცესის ფონზე, ამასთან, როგორც პოლიტიკური პრობლემის განსაზღვრის პროცესში, ასევე, დღის წესრიგიდან სხვა საკითხების ამოღების პროცესში, ძალაუფლების მნიშვნელოვანი ელემენტია ჩართული. პოლიტიკური ციკლის მოცემული მოდელი წარმოადგენს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ეტაპების თანამიმდევრობის იდეალურ აღწერას: დებატები, გადაწყვეტილება, გადაწყვეტილების განხორციელება. იმ პირთა და

ჯგუფების პოლიტიკური მოსაზრება და რეაქცია, რომელთა ინტერესიც დევს ამ გადაწყვეტილებაში, არის მაჩვენებელი იმისა, ემსახურება თუ არა მიღებული გადაწყვეტილებები მათ მიზანს და იქნება თუ არა იგი მათი მხრიდან მიღებული და მოწონებული. უმცირესობებისაგან ან ჯგუფებისაგან, რომლებიც არ ფლობენ საკმარის ძალებს, რომ დაიცვან საკუთარი ინტერესები და რომელთა მოსაზრებების გათვალისწინებაც არ მოხდა, უნდა ველოდოთ პროტესტსა და კრიტიკას. იმ შემთხვევაში, თუ პრობლემის გადაჭრის მცდელობა წარმატებით დასრულდება (ან განმარტებული იქნება, როგორც წარმატებული), პოლიტიკური ციკლი სრულდება (პოლიტიკური პროცესის დასასრული); იმ შემთხვევაში, თუ პოლიტიკური პრობლემის გადაჭრის მცდელობა წარუმატებელი აღმოჩნდება, ციკლი თავიდან იწყება. ზოგიერთ შემთხვევაში, ერთი პრობლემის გადაჭრა სათავეს უდებს სხვა ახალ პრობლემებს, რომელთა მოგვარებაც წარმოებულ უნდა იქნას ახალი პოლიტიკური ციკლის საშუალებით.

პოლიტიკური ციკლის მოდელში წარმოჩენილია, დემოკრატიულ სისტემებსა და სკოლების დემოკრატიულ მმართველობაში, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის მნიშვნელოვანი ასპექტები:

- არსებობს პოლიტიკური პრობლემებისა და საყოველთაო კეთილდღეობის ევრისტიკული ცნება; არავის შეუძლია წინასწარ განსაზღვროს, რა არის საყოველთაო კეთილდღეობა. პროცესში მონაწილე მხარეებმა, ჯგუფებმა და ინდივიდუალურმა პირებმა თავად უნდა განსაზღვრონ, რა იქნება საყოველთაოდ მისაღები და, ჩვეულებრივ, უწევთ შეთანხმდნენ კომპრომისზე.
- მოსალოდნელია კონკურენცია დღის წესრიგის განსაზღვრისას; პლურალისტურ საზოგადოებებში პოლიტიკური მოსაზრებები ხშირად უკავშირდება ინტერესებს.
- სოციალურ რეალობაში მონაწილეობა არ არის სრულყოფილი, ვინაიდან გარკვეულ პირებსა და ჯგუფებს სისტემატურად ნაკლები წვდომა აქვთ ძალაუფლებასთან და გადაწყვეტილების მიღების პროცესთან და, აქედან გამომდინარე, საჭიროა, ყურადღება გამახვილდეს ნაკლები ძალაუფლების მქონე ჯგუფებისათვის პროცესებში მონაწილეობის შესაძლებლობების გაფართოებაზე.

— პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღება წარმოადგენს კოლექტიური სწავლის პროცესს, სადაც არ არიან წარმოდგენილნი ყოვლისმცოდნე მოთამაშეები (როგორიცაა ლიდერები ან მხსნელის იდეოლოგიის მატარებელი მხარეები). იგი მოიცავს საყოველთაო კეთილდღეობის კონსტრუქტივისტულ ცნებას: საყოველთაო კეთილდღეობას წარმოადგენს ის, რაც მოცემულ მომენტში უმრავლესობის მიერ არის მიჩნეული ასეთად.
— ძლიერი გავლენით სარგებლობს საზოგადოებრივი აზრი და მედიარეპორტაჟები - მოქალაქეებისათვის და დაინტერესებული ჯგუფებისათვის პროცესებში ჩართვისა და მონაწილეობის შესაძლებლობის თვალსაზრისით.

პოლიტიკური ციკლი არის მოდელი, რომელიც იმავე ფუნქციას ასრულებს, რომელსაც გეოგრაფიაში - რუკა. იგი ბევრ რამეს გვიჩვენებს, ლოგიკური აღქმის პროცესს უწყობს ხელს. სწორედ ამიტომ მოდელები ხშირად გამოიყენება როგორც განათლებაში, ასევე, მეცნიერებაში, მოდელების გარეშე ჩვენ ჩვენივე კომპლექსური სამყაროს შესახებ ძალიან ცოტა გვეცოდინებოდა.

ჩვენ კარგად ვიცით განსხვავება რუკასა და იმ რეალურ ადგილმდებარეობას შორის, რომელსაც ეს რუკა აღწერს – რუკა ბევრის მაჩვენებელია, მაგრამ მხოლოდ იმიტომ, რომ მასში ბევრი რამ არ არის შესული. რუკა, რომელშიც ზედმიწევნით ყველაფერი იქნება დატანილი, ძალიან რთული იქნება აღსაქმელად. იგივე შეიძლება ითქვას მოდელებზე, როგორიცაა პოლიტიკური ციკლის მოდელი. მოდელი რეალობაში არ უნდა ავურიოთ. მოდელში ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებაზე– „სქელი ფიცრის ბურღვის ნელ და მტკიცე პროცესზე“ – მაგრამ ნაკლებად არის წარმოდგენილი პოლიტიკის მეორე განზომილება, სწრაფვა და ბრძოლა ძალაუფლებისა და გავლენის მოსაპოვებლად.

დემოკრატიულ სისტემაში პოლიტიკის ორი განზომილება ერთმანეთთან არის დაკავშირებული: პირები, რომლებიც გადაწყვეტილებას იღებენ, ეჭიდებიან რთულ პრობლემებს და, ამავდროულად, უპირისპირდებიან ერთმანეთს, როგორც პოლიტიკური ოპონენტები. პოლიტიკური ციკლის მოდელში დღის წესრიგის დადგენის ეტაპი გვიჩვენებს, თუ როგორ ერწყმის ეს ორი განზომილება ერთმანეთს.

დღის წესრიგში პოლიტიკური პრობლემისთვის პრიორიტეტული ადგილის მოპოვება ძალაუფლებისა და გავლენის დემონსტრირებას მოითხოვს.

მაგალითისთვის ავიღოთ: ერთი ჯგუფი აცხადებს – „გადასახადები ძალიან მაღალია და აფრთხობს ინვესტორებს“, მეორე ჯგუფი ამტკიცებს – „გადასახადები ძალიან დაბალია და ბიუჯეტი სათანადოდ ვერ აფინანსებს განათლებასა და სოცუზრუნველყოფას“. გადასახადების პრობლემის ეს ორივე განმარტება მოიცავს განსხვავებულ ინტერესებსა და პოლიტიკურ თვალთახედვას და პრობლემიდან ორი ესაძლო გამოსავალი, რომელსაც ეს ორი ჯგუფი მოითხოვს, ერთმანეთს ეწინააღმდეგება: შევამციროთ გადასახადები მაღალშემოსავლიან ადამიანთა ჯგუფისთვის, თუ გავზარდოთ. პრობლემისადმი პირველი მიდგომა ნეოლიბერალურია, მეორე – სოციალ–დემოკრატიული.

მოქალაქეები კარგად უნდა ერკვეოდნენ ორივე მიდგომის არსში. პოლიტიკური ციკლის მოდელი არის საშუალება, რომელიც მოქალაქეებს ეხმარება, გააანალიზონ და განსაჯონ პოლიტიკოსთა ძალისხმევა, რომელიც მიმართულია საზოგადოებისთვის პრობლემური საკითხების მოგვარებისკენ.

1.2 დემოკრატია

1.2.1 ძირითადი პრინციპები

აბრაამ ლინკოლნის ცნობილი გამოთქმის მიხედვით (1863 წელი), დემოკრატია არის „ხალხის მიერ ხალხის სასიკეთოდ განხორციელებული ხალხის ძალაუფლება“; მოცემული სამი განზომილება შესაძლებელია გაგებულ იქნას შემდეგნაირად:

- ხალხის ძალაუფლება: ხალხი წარმოადგენს სუვერენულ ძალაუფლებას, რომელიც ფლობს ძალაუფლებას, ან გასცემს მანდატს ძალაუფლების განსახორციელებლად და ნებისმიერი პირი, რომელიც ხელისუფლების სათავეებში იმყოფება, პასუხისმგებელია ხალხის წინაშე;
- ხალხის მიერ განხორციელებული ძალაუფლება: ძალაუფლება ხორციელდება ან არჩეული წარმომადგენლების მიერ, ან უშუალოდ მოქალაქეების მიერ;

— ხალხის სასიკეთოდ განხორციელებული ძალაუფლება: ძალაუფლების განხორციელება ემსახურება ხალხის ინტერესებს, რაც საყოველთაო კეთილდღეობაში მდგომარეობს.

მოცემული განმარტებები სხვადასხვაგვარად გაგებისა და დაკავშირების საშუალებას იძლევა. ჟან-ჟაკ რუსოს მიმდევარი პოლიტიკური მოაზროვნეები ამტკიცებენ, რომ ძალაუფლება უნდა ხორციელდებოდეს უშუალოდ მოქალაქეების მიერ (სადაც მმართველი და მართული ერთსა და იმავე პირს წარმოადგენს). ხალხი იღებს გადაწყვეტილებას ყველაფრის შესახებ და არ იზღუდება რაიმე სახის კანონით. ჯონ ლოკის მიმდევარი პოლიტიკური მოაზროვნეები ყურადღებას ამახვილებენ განსხვავებულ ინტერესთა შორის კონკურენციაზე პლურალისტურ საზოგადოებაში; კონსტიტუციურ ჩარჩოებში ისინი შესაძლებელია შეთანხმდნენ გადაწყვეტილებაზე, რომელიც საყოველთაო კეთილდღეობას ემსახურება.

არა აქვს მნიშვნელობა, დემოკრატიის რამდენწლიანი ტრადიცია აქვს ქვეყანას, ან როგორ ჩამოყალიბდა, ნებისმიერ შემთხვევაში, არ შეიძლება მისი უგულებელყოფა. ყველა ქვეყანაში დემოკრატია და ადამიანის უფლებების ძირითადი გაგება მუდმივად განვითარების სტადიაში უნდა იმყოფებოდეს, რათა მისი საშუალებით შესაძლებელი იყოს იმ სირთულეების დაძლევა და იმ გამოწვევებთან გამკლავება, რომლის წინაშეც დგება ყოველი მომდევნო თაობა. ყოველ მომდევნო თაობას სჭირდება განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სფეროში.

1.2.2 დემოკრატია, როგორც პოლიტიკური სისტემა

თანამედროვე კონსტიტუციურ სახელმწიფოთა დემოკრატიის ძირითად ელემენტებს შეადგენს:

— კონსტიტუცია, ძირითადად,წერილობითი ფორმით არსებული, რომელიც ქმნის დემოკრატიის ინსტიტუციურ ჩარჩოებს, რომელსაც ზოგიერთ ქვეყანაში იცავს დამოუკიდებელი უმაღლესი სასამართლო; ადამიანის უფლებები, ჩვეულებრივ, არა ყველა უფლება, დაცულია კონსტიტუციით, ისევე, როგორც სამოქალაქო უფლებები;

— ადამიანის უფლებები შედის კონსტიტუციაში და გარდაიქმნება კონსტიტუციით გარანტირებულ სამოქალაქო უფლებებად. ადამიანის უფლებათა კონვენციაზე ხელისმომწერი ქვეყნების მთავრობები ვალდებული არიან, დაიცვან ადამიანის ყველა ის უფლება, რომელიც მათი ქვეყნის მიერ რატიფიცირებულ დოკუმენტშია შესული, და არა მხოლოდ ის უფლებები, რომლებიც მათ კონსტიტუციაშია წარმოდგენილი;

— თანაბარი სამართლებრივი სტატუსი ყველა მოქალაქისათვის: ყველა მოქალაქე თანაბრად არის დაცული კანონით, დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპის შესაბამისად და ვალდებულია, შეასრულოს კანონით გათვალისწინებული, მასზე დაკისრებული მოვალეობები.

— საყოველთაო საარჩევნო უფლება: რომელიც როგორც მამრობითი, ასევე, მდედრობითი სქესის წარმომადგენელ ზრდასრულ მოქალაქეებს აძლევს უფლებას, ხმა მისცეს მისთვის სასურველ პარტიასა და/ან კანდიდატს საპარლამენტო არჩევნების დროს. გარდა ამისა, ზოგიერთი სისტემა გულისხმობს რეფერენდუმებისა და პლებისციტების გამართვას, რომელიც მოქალაქეებს აძლევს უფლებას, გარკვეული საკითხის შესახებ გადაწყვეტილების მიღების პროცესში უშუალოდ მიიღოს მონაწილეობა, ხმის მიცემის საშუალებით;

— მოქალაქეები სარგებლობენ ადამიანის უფლებებით, რაც მათ პროცესებში სხვადასხვა გზით მონაწილეობის საშუალებას აძლევს. ეს უფლებები მოიცავს მედიის თავისუფლებას ცენზურისა და სახელმწიფო კონტროლისაგან, აზრის, გამოხატვისა და მშვიდობიანი შეკრებების თავისუფლებას და თავისუფალი მოქმედების უფლებას, რომლითაც სარგებლობენ უმცირესობები და პოლიტიკური ოპოზიცია.

— პლურალიზმი და ინტერესთა და პოლიტიკურ მიზნებს შორის კონკურენცია: ინდივიდუალურ მოქალაქეებსა და ჯგუფებს შეუძლიათ შექმნან პარტიები ან საინიციატივო ჯგუფები (ლობისტთა ჯგუფები), არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ. ან გაერთიანდნენ პარტიებში ან საინიციატივო ჯგუფებში (ლობისტთა ჯგუფებში) ან არასამთავრობო ორგანიზაციებში და ა.შ., საკუთარი ინტერესების დასაცავად და პოლიტიკური მიზნების მისაღწევად. ინტერესთა წინა პლანზე წამოწევის თვალსაზრისით, არსებობს კონკურენცია, ხოლო ამ ინტერესთა

დაცვის თვალსაზრისით - ძალაუფლებისა და შესაძლებლობების არათანაბარი გადანაწილება;

— პარლამენტი: არჩეული წარმომადგენლებისაგან შემდგარი ორგანო, რომელიც სარგებლობს საკანონმდებლო ძალაუფლებით, რაც ნიშნავს იმას, რომ მათ შეუძლიათ, მიიღონ კანონი, რომელსაც ყველა უნდა დაექვემდებაროს. პარლამენტის უფლებამოსილება ემყარება ამომრჩეველთა უმრავლესობის ნებას. იმ შემთხვევაში, თუ პარლამენტში წარმოდგენილი უმრავლესობა არჩევნების საშუალებით იცვლება, ხელისუფლების სათავეში მოდის ახალი მთავრობა. საპრეზიდენტო სისტემაში, სახელმწიფოს მეთაურის, პრეზიდენტის, არჩევა შესაძლებელია ცალკე პირდაპირი არჩევნების საშუალებით.

— უმრავლესობის მმართველობა: უმრავლესობა იღებს გადაწყვეტილებას, უმცირესობა იძულებულია, დაეთანხმოს ამ გადაწყვეტილებას. კონსტიტუცია განსაზღვრავს უმრავლესობის მმართველობის ზღვრებს, რითაც შესაძლებელია უმცირესობების უფლებებისა და ინტერესების დაცვა. საკითხის რაობიდან გამომდინარე, უმრავლესობის ქვორუმი შეიძლება განსხვავებული იყოს, მაგალითად, ორი მესამედი კონსტიტუციაში ცვლილებების შეტანისას;

— კონტროლისა და ბალანსის სისტემა (სხვადასხვა სახელისუფლებო შტოს (საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებს) შორის ურთიერთკონტროლისა და ძალაუფლების დაბალანსების სისტემა): დემოკრატია თავის თავში აერთიანებს ორ პრინციპს: ძალის გამოყენების უფლებამოსილება სახელმწიფოს ხელშია, რაც მოქალაქეთა „განიარაღებას“ გულისხმობს.[5] თუმცა, იმისათვის, რომ არ იქნას დაშვებული ძალის გამოყენების უფლებამოსილების ავტოკრატიულ ან დიქტატორულ მმართველობაში გადაზრდა, ყველა დემოკრატიულ სისტემაში მოქმედებს კონტროლისა და ბალანსის სისტემა. კლასიკური მოდელი სახელმწიფო ხელისუფლებას ჰყოფს საკანონმდებლო, აღმასრულებელ და სასამართლო ხელისუფლებებად (ხელისუფლების ჰორიზონტალური გადანაწილების პრინციპით); ბევრ ქვეყანაში, ასევე, ფუნქციონირებს დამატებითი სისტემები, როგორიცა, ორპალატიანი საკანონმდებლო სისტემა და ფედერალური ან კანტონალური ავტონომია,

[5]არსებობს თვალსაჩინო მაგალითი მოქალაქეთა „განიარაღების“ პრინციპის შემსუბუქებისა, კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში.

რომელიც კონტროლისა და ბალანსის დამატებით ვერტიკალურ სისტემებს წარმოადგენს (ასეთი ქვეყნებია შვეიცარია, ამერიკის შეერთებული შტატები, გერმანია).

— დროებითი ხელისუფლება: ძალაუფლების კონტროლის კიდევ ერთი საშუალება, რომლის თანახმადაც ხელისუფლება გადაეცემა გარკვეულ ჯგუფს განსაზღვრული დროით. სწორედ ამას ემსახურება არჩევნები და, გარკვეულ შემთხვევებში, ხელისუფლებაში ყოფნის სრული პერიოდი შეზღუდულია, როგორც ამას ადგილი აქვს ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტის შემთხვევაში, რომელსაც ხელისუფლებაში დარჩენის უფლება აღარ აქვს ორი ოთხწლიანი საპრეზიდენტო ვადის ამოწურვის შემდეგ. ძველ რომში ორ-ორი კონსულის დანიშვნა ერთი წლის ვადით ხდებოდა.

1.2.3 ადამიანის უფლებებთან და დემოკრატიასთან დაკავშირებული ცრუ წარმოდგენები

დემოკრატია ეფუძნება ადამიანის უფლებათა სტანდარტებსა და პრინციპებს. არსებობს შემთხვევები, როდესაც ადამიანის უფლებების შესახებ თავს იჩენს ცრუ წარმოდგენები და როდესაც იგი აღიქმება სისტემად, სადაც ინდივიდუალური პიროვნება სრული თავისუფლებით სარგებლობს. რა თქმა უნდა, ეს მცდარი ინტერპრეტაციაა.

ადამიანის უფლებები ცნობს ინდივიდუალურ პირთა უფლებებსა და თავისუფლებებს, რომლებიც მათ თანდაყოლილ და დამახასიათებელ უფლებებსა და თავისუფლებებს წარმოადგენს. თუმცა ეს უფლებები არ არის აბსოლუტური. ასევე, საჭიროა სხვათა უფლებების დაცვა. გარკვეულ შემთხვევებში, თავს იჩენს უფლებათა შორის კონფლიქტიც. დემოკრატიული პროცესები ხელს უწყობს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც ხალხი სარგებლობს მათთვის მინიჭებული თავისუფლებებით და, ამავდროულად, გარკვეული აუცილებელი შეზღუდვებით. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე, მაგალითად, ეწყობა დისკუსიები, სადაც მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა, გამოთქვან მოსაზრებები, მაგრამ მათი მოსაზრებების გამოთქმისათვის გამოყოფილი დრო შეზღუდულია, შესაძლებელია ძალიან მკაცრადაც. სწორედ ამავე მიზეზით არის დაწესებული

რეგლამენტი გამომსვლელებისათვის, საპარლამენტო ან სატელევიზიო დებატების დროს.

საავტომობილო გზებზე მოძრაობის წესების უმრავლესობა ზღუდავს ჩვენი მოძრაობის თავისუფლებას, ესენია: ქალაქში მოძრაობის სიჩქარეზე დაწესებული შეზღუდვა, საგზაო შუქნიშანზე წითელი სიგნალისას გაჩერების აუცილებლობა და ა.შ. ნათელია, რომ ეს წესები ადამიანთა სიცოცხლისა და ჯანმრთელობის დაცვას ემსახურება.

დემოკრატია, მმართველობის სხვა სისტემებთან შედარებით, ყველაზე მეტ თავისუფლებას აძლევს როგორც ხალხს, ასევე, ინდივიდუალურ პირებს, იმ პირობით, რომ ეს თავისუფლებები სისტემაში იქნება მოქცეული, კერძოდ, ინსტიტუციურ ჩარჩოებში, და მათი განხორციელებაც იმავე ჩარჩოებში იწარმოებს. სრულყოფილად ფუნქციონირებისათვის დემოკრატიას სჭირდება მყარი სახელმწიფო, რომელშიც დაცულია კანონის უზენაესობა და კეთილდღეობის თანაბარი გადანაწილების მისაღები დონე. სუსტი სახელმწიფო ან კანონის უზენაესობის არასათანადო უზრუნველყოფა მანიშნებელია იმისა, რომ მთავრობას არ ძალუძს, იმოქმედოს კონსტიტუციურ ჩარჩოებში და უზრუნველყოს კანონის დაცვა.

1.2.4 დადებითი და უარყოფითი მხარეები

ზოგადად, სხვადასხვა ტიპის დემოკრატიას ახასიათებს შემდეგი ტიპის დადებითი და უარყოფითი მხარეები.

ა. დემოკრატიის დადებითი მხარეები

- დემოკრატია უზრუნველყოფს კონფლიქტების ცივილიზებული, არაძალადობრივი გზით მოგვარებისათვის საჭირო საფუძვლის შექმნასა და საშუალებების მოწოდებას; კონფლიქტის დინამიკა და პლურალიზმი პრობლემის გადაჭრისათვის საჭირო საშუალებებს წარმოადგენს.
- დემოკრატიული სახელმწიფოები „ძლიერი პაციფისტების“ როლს ასრულებენ, როგორც მათ ფარგლებს შიგნით არსებულ საზოგადოებებში, ასევე, საერთაშორისო მასშტაბით.
- დემოკრატია წარმოადგენს ერთადერთ სისტემას, სადაც პოლიტიკური ხელმძღვანელობის ცვლილება არ უკავშირდება მართვის სისტემის ცვლილებას.

— დემოკრატიული საზოგადოება წარმოადგენს მოსწავლეთა საზოგადოებას, სადაც არსებობს შემწყნარებლური დამოკიდებულება ადამიანისათვის დამახასიათებელი შეცდომების მიმართ. საყოველთაო კეთილდღეობის განსაზღვრა შესაძლებელია მოლაპარაკების გზით და არ არის ძალით თავს მოხვეული, დესპოტური ხელისუფლების მიერ.
— ადამიანის უფლებები ამყარებს დემოკრატიას, ქმნის რა იმ ნორმატიულ საფუძვლებს პოლიტიკური პროცესებისათვის, რომელიც ადამიანის ღირსებების დაცვას ეფუძნება. ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ არსებული ხელშეკრულებების რატიფიცირებით, მთავრობა ქვეყნის მოქალაქეებს აძლევს „გარანტიას", რომ დაცული იქნება მათი პირადი თავისუფლებები და სხვა უფლებები.

ბ. დემოკრატიის უარყოფითი მხარეები და მასთან დაკავშირებული პრობლემები

— პარტიები და პოლიტიკოსები, არჩევნებში გამარჯვების მოპოვებას ხშირად მომავლის მიზნებს ანაცვალებენ. დემოკრატია ერთგვარ სტიმულს ქმნის არაშორსმჭვრეტელური პოლიტიკის განხორციელებისათვის, მაგალითად, გარემოს დაცვის ან მომავალი თაობებისათვის ზრუნვის ხარჯზე („ნებისმიერ ფასად").
— მთავრობა, რომელიც ზრუნავს ხალხის კეთილდღეობაზე, ახორციელებს ქმედებებს, რომელიც სასიკეთოდ მიიჩნევა ეროვნული სახელმწიფოს ფარგლებს შიგნით მცხოვრები მოქალაქეებისათვის. გლობალური მასშტაბით მიმდინარე მზარდი ურთიერთდამოკიდებულება, ეკონომიკასა და გარემოს დაცვასთან დაკავშირებით განვითარებული მოვლენები, ეროვნული სახელმწიფოს დონეზე მიღებული დემოკრატიული გადაწყვეტილების გავლენის ასპარეზს ზღუდავს.

1.2.5 დასკვნები

ის, თუ რა გასაქანი ეძლევა დემოკრატიის დადებით მხარეებს და რამდენად იზღუდება მისი უარყოფითი მხარეების გამოვლინებები, დიდად არის დამოკიდებული დემოკრატიული სახელმწიფოს მოქალაქეებზე. დემოკრატია არის სისტემა, რომელიც მოქალაქეებს უყენებს მოთხოვნებს და განისაზღვრება პროცესებში მოქალაქეების

აქტიური ჩართულობითა და მხარდაჭერით - ინფორმირებული და კრიტიკული, ლოიალური დამოკიდებულება; როგორც უინსტონ ჩერჩილმა აღნიშნა 1947 წელს: „დემოკრატია მმართველობის ყველაზე უარესი ფორმაა, მათ გარდა, რაც კი აქამდე უცდია კაცობრიობას“.

როგორც ჩამოყალიბებული დემოკრატიის მქონე, ასევე, ჩამოყალიბების ეტაპზე მყოფი დემოკრატიის მქონე სახელმწიფოებში, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას უმნიშვნელოვანესი წვლილი შეაქვს იმ პოლიტიკური კულტურის დამკვიდრებაში, რომელსაც უნდა ეფუძნებოდეს დემოკრატია, მისი აყვავებისა და შენარჩუნების მიზნით.

1.3 სკოლების დემოკრატიული მმართველობა

1.3.1 სკოლა - მიკროდემოკრატია?

განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ეფუძნება სკოლებში, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებით, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით განხორციელებული სწავლების ძირითად პრინციპებს. სკოლა აღიქმება, როგორც მიკროსაზოგადოება, „ემბრიონულ სტადიაში მყოფი საზოგადოება“[6], სადაც იცავენ მიღებულ წესებსა და პროცედურებს, იღებენ გადაწყვეტილებებს და არსებობს ურთიერთობის ქსელი, რაც გავლენას ახდენს ყოველდღიური ცხოვრების ხარისხზე.

აქედან გამომდინარე, უნდა აღიქმებოდეს თუ არა სკოლა მინიატურულ დემოკრატიულ საზოგადოებად? დემოკრატიული სახელმწიფოს მახასიათებლების ჩამონათვალზე თვალის გადავლებით, მივალთ იმ დასკვნამდე, რომ სკოლა არ არის პატარა სახელმწიფო, სადაც იმართება არჩევნები, სადაც მასწავლებლები მთავრობის წევრების ფუნქციას ასრულებენ და სადაც სკოლის დირექტორი პრეზიდენტის მოვალეობის შემსრულებლად გვევლინება და ა.შ. აქედან გამომდინარე, მოცემული კითხვა შეიძლება

[6]იხილეთ ჯ. დეუეის „სკოლა და საზოგადოება“ გვ. 32; ამერიკის შეერთებული შტატები, კოსიმო, 2007 წელი.

რიტორიკულ კითხვად დავტოვოთ. მაგრამ რა უნდა გაკეთდეს სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლებისათვის?

1.3.2 სკოლების დემოკრატიული მმართველობა: წინსვლის ოთხი ძირითადი სფერო და სამი კრიტერიუმი

ელიზაბეტ ბაკმენმა და ბერნარდ ტრაფორდმა, მეთოდისტებმა შვედეთიდან და გაერთიანებული სამეფოდან, რომლებიც, ასევე, ევროპის საბჭოს მიერ გამოცემული სახელმძღვანელოს „სკოლების დემოკრატიული მმართველობა“[7] ავტორები არიან, ამ საკითხის ძირეული გამოკვლევა შემოგვთავაზეს. მათი მტკიცებით, სკოლები საჭიროებენ როგორც მართვას, ასევე, ხელმძღვანელობას. სკოლას მართავს სკოლის ადმინისტრაცია - მაგალითად, სამართლებრივი, ფინანსური და სასწავლო პროგრამებთან დაკავშირებული მოთხოვნების შესაბამისი ღონისძიებების გატარებით. სკოლის დირექტორსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთდამოკიდებულება იერარქიულ ხასიათს ატარებს, ინსტიტუციური სისტემისა და განაწესის შესაბამისად. სკოლის მმართველობა, მეორე მხრივ, ასახავს თანამედროვე საზოგადოებაში მიმდინარე სოციალური ცვლილებების დინამიკას. სკოლებს სჭირდებათ ურთიერთობა სხვადასხვა პარტნიორთან და სკოლის გარეთ მყოფ დაინტერესებულ მხარეებთან და, აგრეთვე, ისეთი პრობლემების მოგვარება და ისეთ გამოწვევებთან გამკლავება, რომელთა გათვალისწინებაც და წინასწარ გათვლაც შეუძლებელია. ამ შემთხვევაში, სკოლის საზოგადოების ყველა წევრი, მათ შორის, უპირველეს ყოვლისა, მოსწავლეები, მნიშვნელოვან როლს თამაშობენ. საზოგადოების წევრები ერთმანეთთან თანამშრომლობენ, აწარმოებენ მოლაპარაკებებს და აღწევენ შეთანხმებებს, ერთად იღებენ გადაწყვეტილებებს. არც ერთ მონაწილე მხარეს არ აქვს სრული კონტროლი მეორეზე.[8]

სკოლის დემოკრატიულ მმართველობაში ბაკმენი და ტრაფორდი გვთავაზობენ ოთხ ძირითად სფეროს, ესენია:

---

[7] ე. ბაკმენი და ბ. ტრაფორდი „სკოლების დემოკრატიული მმართველობა“, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2007 წელი.

[8] ე. ბაკმენი და ბ. ტრაფორდი „სკოლების დემოკრატიული მმართველობა“, გვ. 9. ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2007 წელი.

— მმართველობა, ხელმძღვანელობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება;
— ღირებულებებზე დაფუძნებული განათლება;
— თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ჩართულობა: კონკურენტუნარიანობა და სკოლის თვითგამორკვევა;
— მოსწავლეების დისციპლინა.

ძირითად სფეროებში მიღწევების შესაფასებლად, ბაკმენი და ტრაფორდი იყენებენ სამ კრიტერიუმს, რომელიც ეფუძნება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ სამ ძირითად პრინციპს:

— უფლებები და მოვალეობები;
— აქტიური მონაწილეობა;
— მრავალფეროვნების დაფასება.

1.3.3 დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლება სკოლის დემოკრატიული მმართველობის საშუალებით

ბაკმენი და ტრაფორდი გვთავაზობენ იმ ინსტრუმენტთა დეტალურ ჩამონათვალს, რომლებიც სკოლებში დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლებისა და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა პრინციპების გატარების უზრუნველყოფას ემსახურება. მოსწავლეები სკოლაში მიმდინარე პროცესებში დემოკრატიული პრინციპების მიხედვით მონაწილეობის პრაქტიკას გამოცდილებით ეზიარებიან, მაგრამ სკოლა რჩება საგანმანათლებლო დაწესებულებად; სკოლები არ გადაიქცევიან მიკროსახელმწიფოებად, თუმცა ისინი წარმოადგენენ მიკროსაზოგადოებებს.

2. ბავშვის უფლებები და უფლება განათლებაზე[9]

ბავშვის უფლებების ყოველმხრივ დაცვას უზრუნველყოფს საერთაშორისო და რეგიონული რესურსების ფართო სპექტრი, რომელიც მოიცავს ადამიანის უფლებებს, ჰუმანიტარულ სამართალსა და კანონს ლტოლვილთა შესახებ. ბავშვები სარგებლობენ უფლებებით, რომლებიც საყოველთაო ხელშეკრულებებშია მოცემული. გარდა ამისა, შემუშავებულ იქნა მთელი რიგი სპეციალური ინსტრუმენტებისა, რომლებიც უზრუნველყოფს ბავშვთა დამატებით დაცვას, იმის გათვალისწინებით, რომ ისინი განსაკუთრებულ დაცვას საჭიროებენ და მნიშვნელოვანნი არიან საზოგადოებისათვის. ამგვარი მიდგომა იძლევა მათი ჯანსაღი განვითარებისა და საზოგადოებაში ჩართულობის გარანტიას.

ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ (შემდგომში „კონვენცია“) მრავლად შეიცავს დებულებებს, რომლებიც ბავშვთა უფლებების დაცვას ემსახურება, მაგალითად, ოქმი 1, მუხლი 2, „უფლება განათლებაზე“. თუმცა ბავშვის უფლებების შესახებ არსებულ ყოვლისმომცველ დოკუმენტს წარმოადგენს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მიერ, 1989 წელს მიღებული კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ. აღნიშნული კონვენცია წარმოადგენს პირველ ხელშეკრულებას, რომელიც ბავშვის უფლებებს ეხება და „უფლებებზე დაფუძნებული მიდგომის“ თვალსაზრისით, აზროვნებაში მნიშვნელოვანი ცვლილების ნიშანსვეტს წარმოადგენს, რომლის თანახმადაც, სახელმწიფო კანონიერად აგებს პასუხს ბავშვთა მოთხოვნების დაკმაყოფილების მიმართულებით განხორციელებული არასწორი პოლიტიკისა თუ ქმედებების გამო. გაერთიანებული ერების კონვენციამ ბავშვის უფლებების შესახებ შექმნა ახლებური აღქმა, რომლის მიხედვითაც ბავშვები სარგებლობენ თავიანთი უფლებებით, მათ გააჩნიათ ასაკის შესაბამისი ვალდებულებები და არ წარმოადგენენ მხოლოდ მშობლების საკუთრებას ან კმაყოფაზე მყოფ უსუსურ, დაუცველ არსებებს.

ბავშვის უფლებები მოიცავს ბავშვებისა და მოზარდების ცხოვრების ყველა ასპექტს, რომელთა დაყოფაც შესაძლებელია შემდეგ ძირითად კატეგორიებად:

---

[9]ავტორი: ფელისა ტიბიტსი (2009 წელი). ფელისა ტიბიტსის გამოსვლა *მოქალაქეობა განათლების საშუალებით* ევროპული წლის, ევროპის საბჭოს მიერ ორგანიზებულ შემაჯამებელ კონფერენციაზე, რომელიც გაიმართა რუმინეთში, სინაიაში, 2006 წლის 27-28 აპრილს.

— გადარჩენისათვის აუცილებელი უფლებები: სიცოცხლის უფლება და ძირითადი საჭიროებების დაკმაყოფილების უფლება (მაგალითად, ცხოვრების სათანადო პირობები, თავშესაფარი, კვება, სამედიცინო მომსახურება);
— განვითარებისათვის აუცილებელი უფლებები: უფლებები, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებს, გამოავლინონ თავიანთი პოტენციალი (მაგალითად, განათლება, გართობა და დასვენება, კულტურული ღონისძიებები, ინფორმაციის ხელმისაწვდომობა და აზრის, სინდისისა და რელიგიის თავისუფლება);
— მონაწილეობის უფლებები: უფლებები, რომლებიც საშუალებას აძლევს ბავშვებსა და მოზარდებს, აქტიურად ჩაებან იმ საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესებში, რომელსაც ეკუთვნიან (მაგალითად, აზრის გამოხატვის თავისუფლება, ხმის უფლება იმ საკითხებთან დაკავშირებული გადაწყვეტილების მიღების პროცესში, რომელიც მათ ცხოვრებას ეხება, ასოციაციებში გაწევრიანების უფლება);
— უფლებები, რომლებიც უზრუნველყოფს დაცვას: უფლებები, რომლებიც, ძირითადად, მიზნად ისახავს ბავშვებისა და მოზარდების დაცვას უფლებების ბოროტად გამოყენებისა და დაუდევრად მოპყრობის ნებისმიერი ფორმით გამოვლინებისაგან და ექსპლოატაციისაგან (მაგალითად, განსაკუთრებული ზრუნვა ლტოლვილი ბავშვებისათვის და ბავშვების დაცვა შეიარაღებულ კონფლიქტში ჩართვის წინააღმდეგ, ბავშვთა შრომის, სექსუალური ძალადობის, წამებისა და ნარკოტიკების მსხვერპლად ქცევის დაუშვებლობა).

განათლება წარმოადგენს როგორც ადამიანის უფლებას, თავისთავად, ასევე, სხვათა უფლებების რეალიზების აუცილებელ საშუალებას. საგანმანათლებლო სისტემა, რომელიც მოიცავს უფლებებზე დაფუძნებულ მიდგომას, უკეთ უზრუნველყოფს საკუთარი ძირითადი მისიის განხორციელებას, რაც მაღალი ხარისხის განათლების თანაბარ მისაწვდომობას გულისხმობს.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის 26-ე მუხლში ვკითხულობთ:

(1)ყოველ ადამიანს აქვს განათლების უფლება. განათლება დაწყებითი და ზოგადი მაინც, უფასო უნდა იყოს. დაწყებითი განათლება უნდა იყოს სავალდებულო.

ტექნიკური და პროფესიული განათლება უნდა იყოს საყოველთაოდ ხელმისაწვდომი, უმაღლესი განათლება კი- ერთნაირად მისაწვდომი ყველასათვის,თითოეულის უნარისამებრ.

(2)განათლება მიმართული უნდა იყოს ადამიანის პიროვნების სრული განვითარებისა და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა პატივისცემის გადიდებისაკენ. განათლებამ ხელი უნდა შეუწყოს ყველა ხალხის, ყველა რასობრივი თუ რელიგიური ჯგუფის ურთიერთგაგებას, შემწყნარებლობასა და მეგობრობას და ხელი უნდა შეუწყოს გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მოღვაწეობას მშვიდობის შესანარჩუნებლად.

(3)მშობლებს აქვთ პრიორიტეტის უფლება, აირჩიონ, რა სახის განათლებაც სურთ თავიანთი მცირეწლოვანი შვილებისათვის.

იმ მოსაზრებათა გავრცობის მიზნით, რომელიც პირველად გამოთქმულ იქნა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციაში, ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის 28-ე მუხლში შესულია დებულება, რომელიც განათლებას განიხილავს, როგორც უფლებას, ხოლო 29-ე მუხლში განმარტებულია, რომ განათლება უნდა ემსახურებოდეს „ბავშვის პიროვნების, ნიჭის, გონებრივი და ფიზიკური უნარების სრულ განვითარებას“.[10]

როგორც გაერთიანებული ერების კონვენცია ბავშვის უფლებების შესახებ, ასევე, ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია აღიარებს, რომ სასკოლო განათლების ერთ-ერთ მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებებისა და საყოველთაო თავისუფლებებისადმი პატივისცემის გაღრმავება. ჭეშმარიტად, ადამიანის უფლებათა შესახებ რეალური აღქმის ჩამოყალიბებისა და მათი დაცვის მზადყოფნისათვის, საჭიროა მათი სხვა ადამიანებთან ურთიერთობაში გამოყენების პრაქტიკა. ეს გულისხმობს არა მარტო ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლას, არამედ ადამიანის უფლებების დაცვის პრინციპების პრაქტიკაში გამოყენებას. ამგვარად, სასკოლო

[10]უფლება განათლებაზე განმარტებულია გაერთიანებული ერების მიერ ადამიანის უფლებათა შესახებ შემუშავებულ მთელ რიგ დოკუმენტებში, მათ შორის, ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებების შესახებ კონვენციაში (მუხლი 14) და ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციაში (მუხლები 28 და 29). სხვა დეკლარაციებში, ზოგად შენიშვნებსა და დოკუმენტებში, დეტალურად არის განხილული უფლება განათლებაზე, მათ შორის, მსოფლიო დეკლარაციაში საყოველთაო განათლების შესახებ (მუხლები I, III, IV, VI, VII), დაკარის სამოქმედო პროგრამა „განათლება ყველასათვის“.

განათლების სფეროში, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა გულისხმობს ადამიანის უფლებების შესახებ სწავლის შესაძლებლობას და ადამიანის უფლებათა ღირებულებებისა და საფუძვლების პრაქტიკულ გამოყენებას საკლასო გარემოში. სკოლები, რომლებიც ბავშვის უფლებათა დაცვის პრინციპებით ხელმძღვანელობენ, მეტად არიან ორიენტირებული ბავშვის ღირსების დაცვაზე.

განათლების უფლება საყოველთაო ხასიათისაა და განკუთვნილია იმისათვის, რომ მისით ისარგებლოს ყველამ, განურჩევლად შესაძლებლობებისა, რასისა, ეთნიკური წარმოშობისა, რელიგიისა, სქესისა, ეროვნებისა, სექსუალური ორიენტაციისა, კლასისა ან სხვა რომელიმე ფაქტორისა, რომელიც პიროვნების იდენტურობას განსაზღვრავს. გარდა ამისა, ასეთი განათლება - როგორც ეს განმარტებულია ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციაში - უნდა იყოს აგებული იმგვარად, რომ არ შეილახოს მოსწავლეების ღირსება და ადამიანის საყოველთაო უფლებები.

ძირითად პრინციპს, რომელიც საფუძვლად უდევს როგორც ადამიანის უფლებებს, ასევე, ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებულ მიდგომას, წარმოადგენს დისკრიმინაციის დაუშვებლობა. სასკოლო განათლების სექტორში მრავლად არის დისკრიმინაციის დაუშვებლობის გამოყენების შესაძლებლობები, მათ შორის,ხარისხიანი განათლების თანაბარი ხელმისაწვდომობა, სადაც განსაკუთრებული ყურადღება უნდა დაეთმოს დაუცველ ან მარგინალურ ჯგუფებს.

იუნესკო-ს (გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია) „ბავშვზე ორიენტირებული სკოლის“ ინიციატივა და სასკოლო განათლებისადმი ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომა ემსახურება ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციის დანერგვას განათლების სფეროში, განათლების საშუალებით. ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული მიდგომის განსახორციელებლად, საჭიროა უფრო მეტი ცოდნა შევიძინოთ ადამიანის უფლებებისა და ბავშვის უფლებების შესახებ, განათლების დაგეგმვისა და შეფასების მნიშვნელობისა და შედეგების შესახებ. ამასთან დაკავშირებით, ჩნდება შემდეგი კითხვები:

— ვინ ვერ იღებს განათლებას? სად არიან ისინი და რატომ ვერ იღებენ განათლებას?

— ვის კომპეტენციაში შედის განათლებაზე უფლების დაცვა, ხელშეწყობა და განხორციელება და რა ღონისძიებების გატარება ევალებათ მათ ამ კუთხით?
— ვისი კომპეტენციის ამაღლებაზე უნდა ვიზრუნოთ და რა კუთხით, რათა გარანტირებული იყოს განათლებაზე უფლების დაცვა?
— ვინ და რა უნდა მოიმოქმედოს ამ უფლების დაცვის უზრუნველსაყოფად და რა დახმარების გაწევა არის შესაძლებელი ამ პროცესში პარტნიორობით?

პრინციპი 1. უფლებებთან კავშირი

კითხვები, რომლებიც უნდა დავუსვათ საკუთარ თავს: ჩვენ მიერ განათლების სფეროში განხორციელებული ძალისხმევა გარკვევით უკავშირდება თუ არა ადამიანის უფლებებს? ძალისხმევაში იგულისხმება თუ არა ადამიანის ყველა უფლება? ესადაგება თუ არა ძირეულად გამოკვლეული ადამიანის უფლებები იმ საჭიროებებსა და საკითხებს, რომლებიც ჩვენი საზოგადოების წინაშე დგას, ან შესაძლებელია თუ არა მათ შორის კავშირის გამონახვა? მზად ვართ თუ არა, გამოვიდეთ პირადი უსაფრთხოების ზონიდან და ჩვენი ძალისხმევა ადამიანის უფლებათა ღირებულებების დაცვას მოვახმაროთ?

პრინციპი 2. ანგარიშვალდებულება

ჩვენ, ვინც მთავრობას წარმოვადგენთ ან სახელმწიფო სექტორში ვართ დასაქმებულნი, ვთვლით თუ არა, რომ ანგარიშვალდებულნი ვართ, უზრუნველვყოთ ადამიანის უფლებების შესახებ განათლების შესაბამისი გარემო? რა კუთხით ვართ ანგარიშვალდებულნი? რა გარანტიებს უნდა ფლობდნენ ბავშვები და მათი მეურვეები ამგვარი ანგარიშვალდებულების შესახებ?

პრინციპი 3. ხელშეწყობა და მონაწილეობა

მოდით, ერთი წუთით დავფიქრდეთ მათზე, ვის მიმართაც ჩვენ ვგრძნობთ პასუხისმგებლობას, ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების უზრუნველყოფის კუთხით. ვითვალისწინებთ ყველა მათგანის მოსაზრებას, ვისაც პირადად ეხება ჩვენ მიერ შემუშავებული პოლიტიკა და განხორციელებული ქმედებები? იყო ვინმე ისეთი, ვინც არ მიიღო მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესში, მაგრამ მიღებული

გადაწყვეტილება უშუალოდ ეხება მას? იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ არიან ჩვენ გვერდით, ან შეუძლებელია მათი დისტანციურად ჩართვა გადაწყვეტილების პროცესში, როგორ მოვახერხოთ მათი ჩართვა გადაწყვეტილების მიღების პროცესში? როგორ გავითვალისწინოთ მათი მოსაზრებები დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პირობების შესახებ, კერძოდ, როდის, როგორ, ვინ და რა უნდა გააკეთოს აღნიშნული მიმართულებით?

პრინციპი 4. დისკრიმინაციის დაუშვებლობა და ყურადღების გამახვილება დაუცველ ჯგუფებზე

და ბოლოს, გამომდინარე ზემოთ თქმულიდან, ვინ შედიან იმ ჯგუფებში, რომლებიც, მოცემულ მომენტში, ყველაზე ნაკლებ სარგებელს მიიღებენ ჩვენ მიერ განხორციელებული სასწავლო პროგრამიდან და როგორ უნდა უზრუნველვყოთ მათი მონაწილეობა? სწორედ ის ჯგუფები, რომელთა უფლებებიც ყოველდღიურად ირღვევა - მარგინალური, დაუცველი და დისკრიმინირებული - წარმოადგენენ ჯგუფებს, რომელთათვისაც ყველაზე მეტი სარგებლის მომტანი იქნება ჩვენ მიერ განხორციელებული სასწავლო პროგრამა. როგორ უნდა მოვახერხოთ მათი იდენტიფიცირება, როგორ დავუკავშირდეთ და შევქმნათ სასწავლო პროგრამა, რომელიც მათთვის ჭეშმარიტად ქმედითი იქნება?

თავი 2

მოქალაქეობის დინამიკური ცნების განმარტება[11]

1. მოქალაქეობის ტრადიციული მოდელი და მასთან დაკავშირებული პრობლემური საკითხები

ცივი ომის დასრულებიდან მოყოლებული, მოდერნიზაციის თანმდევი რამდენიმე პროცესი, რომელმაც მანამდე ჩვენი ისტორიის ჩამოყალიბება განაპირობა (იხილეთ ქვემოთ მოცემული ინფორმაცია მოდერნიზაციის შესახებ), დაჩქარდა და გააქტიურდა, შეიძინა რა ახალი დატვირთვა. ევროპის მასშტაბით განვითარებულმა მოვლენებმა და განხორციელებულმა ცვლილებებმა მოქალაქეობის ტრადიციული მოდელის მიმართ გარკვეული კითხვები წარმოშვა:

— თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენტული საბაზრო ეკონომიკის გლობალიზაციამ ბევრ ქვეყანაში ბევრი ადამიანის კეთილდღეობაზე დადებითად იმოქმედა, მაგრამ იმავეს ვერ ვიტყვით ყველა ქვეყანაზე. მდიდრებსა და ღარიბებს შორის არათანაბარი გადანაწილება კიდევ უფრო არათანაბარი გახდა, როგორც საზოგადოებებს შიგნით, ასევე საზოგადოებებს შორის, რამაც საფრთხე შეუქმნა სოციალურ ერთობასა და ხალხთა შორის სოლიდარობას.

— კონკურენცია აიძულებს საწარმოებს, იზრუნონ საკუთარი მწარმოებლურობის მუდმივ ზრდასა და წარმოების ხარჯების შემცირებაზე. ყოველივე ამან საფუძველი დაუდო ინოვაციების შექმნის უწყვეტი პროცესის ზრდას, რაც პირდაპირ გავლენას ახდენს პროდუქციაზე, ტექნოლოგიებსა და სამუშაო ადგილებზე და არაპირდაპირ მოქმედებს ჩვენი ცხოვრების სტილზე. ჯოსეფ შუმპეტერმა ინოვაციების შექმნის უწყვეტ პროცესს „შემოქმედებითი ნგრევა“[12] უწოდა. აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნების ეკონომიკური ტრანსფორმაცია შესაძლებელია ამგვარი შემოქმედებითი ნგრევის განსაკუთრებით ნათელ მაგალითად იქნას მიჩნეული.

---

[11]ემყარება ტ. ჰადლესტონის ნაშრომს „დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში დასაქმებული მასწავლებლების წვრთნის დამხმარე ინსტრუმენტი“ გვ. 9, ევროპის საბჭო, სტრასბურგი, 2004 წელი; დამუშავებულია პიტერ კრაფის მიერ.

[12]ჯ. შუმპეტერი, „კაპიტალიზმი, სოციალიზმი და დემოკრატია“ გვ. 83. ნიუ-იორკი, „Harper and brothers” 1942 და 2008 წლები.

— ეკონომიკურმა ზრდამ მზარდ კეთილდღეობას დაუდო საფუძველი, მაგრამ, ამავე დროს, ბუნებრივი რესურსების მზარდ მოხმარებასაც შეუწყო ხელი. ატმოსფეროში ნახშირორჟანგის დონის ზრდით გამოწვეული კლიმატის ცვლილების შეჩერება ან მასთან შეგუება უამრავ სირთულესთან და უზარმაზარ ხარჯებთან არის დაკავშირებული.

— ინფორმაციის გავრცელებასა და კომუნიკაციის ახალი ტექნოლოგიების განვითარებას მწარმოებლურობის ზრდის ახალი გზების გაჩენა მოჰყვა, რომელთა მაგალითადაც შესაძლებელია დავასახელოთ ინფორმაციის გაცვლისა და მოპოვების ახალი არხები, გართობის საშუალებათა მიწოდების ახალი გზები და ა.შ. ჩვენ მედიაკულტურისა და მედიაგანათლების ეპოქაში ვცხოვრობთ, გზავნილების შექმნისა და მიღებისას მედიის გამოყენება ისეთივე ელემენტარული უნარების რიცხვს განეკუთვნება, როგორიცაა კითხვა და წერა.

— ეკონომიკური ზრდისა და თანამედროვე მედიცინაში გახორციელებული მიღწევების წყალობით, ევროპის ბევრ ქვეყანაში გაცილებით მეტი მხცოვანი ადამიანი ცხოვრობს, ამის პარალელურად, ზოგადად, მსოფლიო მოსახლეობის რაოდენობა მატულობს. მოვლენების ამგვარი კუთხით განვითარება სერიოზულ პრობლემებს უქადის 21 საუკუნეს.

— ერები სარგებლობენ სუვერენიტეტისა და თვითგამორკვევის უფლებით. მაგრამ ერის ცნება შეიცავს როგორც ინკლუზიურ, ასევე ექსკლუზიურ ელემენტებსაც. ცივი ომის დასრულების შემდგომ ჩვენ მოწმე გავხდით, თუ როგორ იჩინა თავი აქამდე ჩახშობილმა ახალი ფორმის კოლექტიურმა ერთიანობებმა.

— თანამედროვე საზოგადოებები, ტიპურად, სამოქალაქო, პლურალისტურ საზოგადოებებს წარმოადგენენ. ევროპის მასშტაბით, განსაკუთრებით ევროპის კავშირის შიგნით განხორციელებულმა მიგრაციამ ხელი შეუწყო ამგვარი საზოგადოებების ჩამოყალიბებას. პლურალისტული საზოგადოებები უფრო დინამიკური და პროდუქტიულია, მაგრამ, ამავე დროს, უფრო მაღალ მოთხოვნებს აყენებს სოციალური ერთიანობის თვალსაზრისით, სხვადასხვა რწმენის, ღირებულებების, ინტერესების მატარებელი და განსხვავებული სოციალური და ეთნიკური წარმოშობის მქონე ადამიანების ერთმანეთთან ინტეგრაციის მიზნით.

— დემოკრატია არის საუკეთესო გზა ამ გამოწვევებთან გასამკლავებლად, ვინაიდან ნებისმიერი მცდელობა, ამ და სხვა პრობლემების ავტორიტარული რეჟიმის საშუალებით გადაჭრისა, ამაო იქნება, ვინაიდან, ვერც ეროვნულ და, მითუმეტეს, ვერც ეროვნულობის ფარგლებს მიღმა დონეზე, ვერ განხორციელდება იმ კომპლექსური რეალობის გათვალისწინება, რომელიც თავის თავში მოიცავს სოციალურ, ეკონომიკურ, გარემოს დაცვასთან და კონფლიქტის გადაჭრასთან დაკავშირებულ და ა. შ. ელემენტებს. მეორე მხრივ, დემოკრატიის გამარჯვება და მარცხი თანაბარი მონაწილეობის პრინციპზეა დამოკიდებული. რაც უფრო რთული და კომპლექსური ხდება ჩვენი სამყარო და ის გამოწვევები, რომლებიც ჩვენს მომავალს განსაზღვრავს, მით უფრო რთული აღსაქმელი ხდება იგი „რიგითი მოქალაქისათვის“ და, შესაბამისად, მით უფრო ნაკლებად მონაწილეობს იგი გადაწყვეტილების მიღების პროცესში. ტრადიციული პოლიტიკური ინსტიტუციებისადმი, მმართველობის ფორმებისადმი და პოლიტიკური ლიდერებისადმი უნდობლობა მომდინარეობს უგულებელყოფილობის შეგრძნებიდან და გრძნობიდან, რომ შენს აზრს არ ითვალისწინებენ. დემოკრატია და ადამიანის უფლებები ძალიან მგრძნობიარე პროექტებს წარმოადგენს და მათი ხანმედეგობა დამოკიდებულია იმაზე, ხორციელდება თუ არა მათი მემკვიდრეობის გადაცემა მომავალ თაობაზე.

წინამდებარე სახელმძღვანელოში მოვლენათა განვითარების აღწერა მხოლოდ ამგვარი მოკლე დახასიათებებით არის შესაძლებელი. ამ მოვლენების შემოქმედი ადამიანია, და არა ბუნება, ეს მოვლენები ერთმანეთთან არის დაკავშირებული, ერთმანეთს განაპირობებს და აძლიერებს. ვინაიდან ისინი „ხელოვნურად“ შექმნილი მოვლენების განვითარებას წარმოადგენს, შესაძლებელი უნდა იყოს მათზე ზემოქმედება და მათი შედეგების შეცვლა, მაგრამ,მოცემული კომპლექსურობის გათვალისწინებით, ეს თითქმის შეუძლებელია.

მოდერნიზაცია

მოდერნიზაცია სოციოლოგიურ კატეგორიას წარმოადგენს და აღნიშნავს სოციალურ სფეროში მიმდინარე ცვლილებების მრავალგანზომილებიან პროცესს. ბოლო ორი ათწლეულის განმავლობაში მოდერნიზაციის პროცესი დაჩქარდა, გაფართოვდა მისი

სფერო და იგი უფრო კომპლექსური გახდა, მაგრამ ისტორიის პერსპექტივიდან მისი გამომწვევი მიზეზები უკავშირდება რეფორმაციის პერიოდს, ბეჭდვის გამოგონებას, განმანათლებლობის ხანას, ინგლისის, ამერიკისა და საფრანგეთის რევოლუციებს და ინდუსტრიულ რევოლუციას. მოდერნიზაციამ შეცვალა ადამიანის ცხოვრების აბსოლუტურად ყველა ასპექტი, მათ შორის: ის, თუ როგორ ვმუშაობთ და რა სამუშაოს ვასრულებთ, სად ვცხოვრობთ და როგორ და რამდენად ხშირად ვმოგზაურობთ, ჩვენი კეთილდღეობის დონე და კეთილდღეობის გადანაწილება, ადამიანის უფლებები, გლობალიზაცია, ტექნოლოგიები, ღირებულებები და შეხედულებები, რომელთა მიმართაც ერთგულებას ვიჩენთ ან რომლებსაც თავს ვარიდებთ და როგორ ვმონაწილეობთ საზოგადოებრივ პროცესებსა და პოლიტიკაში.

მოდერნიზაცია წინააღმდეგობრივი (ამბივალენტური) პროცესია, მაგრამ ჩვენ მას ვერსად გავექცევით, იგი ჩვენი „ბედისწერაა“, კარგია ის თუ ცუდი. მეცნიერები და ფილოსოფოსები ურთიერთსაწინააღმდეგო მოსაზრებებს გამოთქვამენ იმასთან დაკავშირებით, თუ მოდერნიზაცია, ზოგადად, ტვირთად უნდა იქნას აღქმული თუ კეთილდღეობად. ჩვენი მსჯელობით, მოდერნიზაცია გამოწვევაა, რომელიც ერთდროულად რისკებსაც შეიცავს და შესაძლებლობებსაც. რისკების შესამცირებლად, საჭიროა გამოწვევებთან გამკლავება.

ბევრ საზოგადოებაში, ბევრი ადამიანისათვის, მოდერნიზაცია ქმნის კეთილდღეობითა და თავისუფლებით ტკბობის შესაძლებლობებს. მეორე მხრივ, მოქალაქეებსა და მათ ლიდერებს სადარაჯოზე უწევთ დგომა იმ რისკებისა და საფრთხეების შესაკავებლად, რომლებიც მოდერნიზაციის პროცესებს უკავშირდება.

განათლება გადამწყვეტ როლს თამაშობს ადამიანების იმ კომპეტენციებით აღჭურვის საქმეში, რომლებიც მათ სჭირდებათ მზარდ კეთილდღეობასა და მზარდ მოთხოვნებს შორის პოზიტიური ბალანსის დასამყარებლად.

ამგვარი გამოწვევების ფონზე, ნათელი ხდება, რომ საჭიროა ახალი ფორმის მოქალაქეობა: მოქალაქეები არა მხოლოდ ინფორმირებულნი უნდა იყვნენ და გაცნობიერებული ჰქონდეთ თავიანთი მოქალაქეობრივი პასუხისმგებლობები, არამედ,

ამავდროულად, უნდა იყვნენ აქტიურნი - უნდა ფლობდნენ უნარს და გამოთქვამდნენ მზადყოფნას,თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ საზოგადოების ცხოვრებაში, რომელსაც ეკუთვნიან, ასევე, საკუთარი ქვეყნისა და მთელი მსოფლიოს ცხოვრებაში, და აქტიური მონაწილეობა მიიღონ პროცესებში ისე, რომ წარმოაჩინონ თავიანთი ინდივიდუალობა და წვლილი შეიტანონ პრობლემის გადაჭრაში. მზარდი გამოწვევები მყარ და ძლიერ საზოგადოებებს მოითხოვს, რომლებსაც ჰყავს კომპეტენტური და, შესაბამისად, ადეკვატური განათლების მქონე - ლიდერები და მოქალაქეები.

განათლების სფეროს მუშაკები ოპტიმისტურად უყურებენ მოვლენებს. მათ სწამთ, რომ, მიღებული შესაბამისი განათლების წყალობით, ახალგაზრდები, ისევე, როგორც ადამიანები, რომლებიც მთელი ცხოვრების მანძილზე აგრძელებენ სწავლას, იძენენ პრობლემებში წვდომის უნარსა და საშუალებებს, რომლითაც ისინი შეძლებენ, იმოქმედონ საკუთარი საზოგადოებებისა და მათი პლანეტის განვითარებაზე. თუმცა აქტიური მოქალაქეობისათვის საჭირო კომპეტენციების გამომუშავება ყველაზე უკეთ მოსწავლეზე ორიენტირებული განათლების საშუალებითაა შესაძლებელი, და არა სწავლების მეთოდებით, რომლებიც გაზეპირებასა და პასიური ცოდნის შეძენაზეა აგებული.

1.1 ახალი ტიპის მოქალაქეობა ახალი ტიპის განათლებას მოითხოვს

გაზეპირებაზე ორიენტირებული სწავლის მოდელები, რომლებიც მხოლოდ ინსტრუქციებით შემოიფარგლება, არ არის საკმარისი აქტიური, ინფორმირებული და პასუხისმგებლობის გრძნობით გამორჩეული მოქალაქეების აღსაზრდელად, რომლებიც თანამედროვე დემოკრატიულ საზოგადოებებს სჭირდება.

საჭიროა განათლების ისეთი ფორმები, რომელიც მოსწავლეებს მოამზადებს საზოგადოებაში რეალურად ჩართვისათვის - განათლების ისეთი ფორმები, რომლებიც იმავე დოზით გულისხმობს პრაქტიკას, რა დოზითაც ხდება თეორიის მიწოდება, რომელიც ეფუძნება რეალურ ცხოვრებისეულ საკითხებს, რომელთა გადაჭრაც უწევთ მოსწავლეებსა და იმ საზოგადოებას, რომელსაც ისინი ეკუთვნიან, რომელიც ისწავლება როგორც ტრადიციული სასწავლო პროგრამების სახით, ასევე, სასკოლო ცხოვრებაში მონაწილეობით.

აქტიური მოქალაქის როლი შეესაბამება აქტიური მოსწავლის როლს. კონსტრუქტივისტული სწავლის ცნება დახმარებას უწევს მოსწავლეს, რომელიც მისთვის უცნობი პრობლემის წინაშე დგას. შესაძლებელია სასკოლო გარემოში მასწავლებელს უკვე თავად ჰქონდეს აღმოჩენილი ოპტიმალური გამოსავალი რთული სიტუაციიდან. შემდგომში, როდესაც გამოწვევები, რომლებზეც ზევით გვქონდა საუბარი, კვლავ იჩენს თავს, მომავალი თაობა პიონერის როლში გამოვა.

მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების უზრუნველყოფის საჭიროება სერიოზული გამოწვევაა მასწავლებელთა პროფესიისათვის. იგი გულისხმობს ცოდნის ახალი ფორმების შეძენას, სწავლების ახალი მეთოდების გამომუშავებას, მუშაობის ახალი გზების გამონახვასა და პროფესიული ურთიერთობების ახალი ფორმების ჩამოყალიბებას - როგორც კოლეგებთან, ასევე მოსწავლეებთან. მასში ყურადღება გამახვილებულია სწავლებაზე, სადაც ისტორიული სისტემების გაგება-გაცნობიერება წარმოებს მიმდინარე მოვლენებზე დაყრდნობით, ასევე, კრიტიკულ აზროვნებასა და უნარების სწავლებაზე, ისევე როგორც ცოდნის გადაცემაზე, თანამშრომლობაზე დაფუძნებულ მუშაობაზე, და არა დამოუკიდებელ მომზადებაზე, პროფესიულ ავტონომიასა და განკარგულებების შესრულებაზე. იგი საჭიროებს სწავლის ჩვენეული აღქმის შეცვლას, მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლის იდეიდან გამოცდილების, მონაწილეობის, კვლევისა და გაზიარების საშუალებით სწავლის იდეაზე გადასვლას.

დიდაქტიკური, მასწავლებლის მიერ წარმართული, სახელმძღვანელოზე ორიენტირებული და ცოდნაზე დაფუძნებული მიდგომა ჩანაცვლებულ უნდა იქნას მიდგომით, სადაც უპირატესობა ენიჭება მოსწავლის ჩართულობას, სადაც გამოიყენება სწავლების მეთოდთა გაცილებით ფართო სპექტრი და რომელიც უნარების განვითარებაზეა ორიენტირებული. სწორედ ამას ემსახურება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების წინამდებარე სახელმძღვანელო.

2. პოლიტიკური კულტურა

2.1 დემოკრატიას საფუძველს უყრიან მოქალაქეები

მაგალითი:

საპარლამენტო არჩევნების შედეგები შობს გამარჯვებულებსა და დამარცხებულებს. უმრავლესობით კომპლექტდება მთავრობა, ხოლო უმცირესობა ქმნის ოპოზიციას. ყოფილ მთავრობას შეიძლება მოუწიოს ხელისუფლების დათმობა და ახალი მთავრობა, რომელსაც განსხვავებული პოლიტიკური ხედვა აქვს, ანაცვლებს მას.

წესები აბსოლუტურად გასაგებია, მაგრამ არ არის საკმარისი. საარჩევნო სისტემა მხოლოდ იმ შემთხვევაში მუშაობს, თუ ჩვენ გვაქვს რწმენა, რომ წაგებული მხარე, უმცირესობა, არჩევნების შედეგებს გაიზიარებს. წინააღმდეგ შემთხვევაში, არჩევნებს შეიძლება მოჰყვეს ძალადობრივი კონფლიქტი, საზოგადოების ორ ნაწილად გახლეჩა, ნაცვლად იმისა, რომ მოხდეს მის წევრებს შორის არსებული ერთობის გამყარება.

საარჩევნო კამპანია პარტიებს აძლევს საშუალებას,თავიანთი მოსაზრებები მოქალაქეებს გაუზიარონ. მაგრამ რა შედეგს უნდა ველოდოთ, თუ არჩევნებში მონაწილე პარტია აღვივებს რასიზმს ან ფუნდამენტალიზმს ან ანტიდემოკრატიული იდეების პროპაგანდას ეწევა?

იმისათვის, რომ არჩევნები მოგვევლინოს როგორც შესაძლებლობა მოქალაქეების მონაწილეობისა დემოკრატიული გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, საზოგადოებას აშკარად სჭირდება რაღაც უფრო მეტი, ვიდრე მხოლოდ კანონის ჩარჩოები, რომელიც ამკვიდრებს საარჩევნო სისტემას. საჭიროა არსებობდეს ნდობა პოლიტიკური პროცესებისადმი და გზები და საშუალებები, რომლებიც გარანტია იქნება იმისა, რომ ეს პოლიტიკური პროცესები სამართლიანად და დარღვევების გარეშე წარიმართება.

მოცემული მაგალითი გვიჩვენებს, რომ დემოკრატია თანაბრად არის დამოკიდებული როგორც წესებზე, ასევე, მოქალაქეთა დამოკიდებულებაზე დემოკრატიის მიმართ. მოქალაქეებს გაცნობიერებული უნდა ჰქონდეთ სისტემის არსი და უნდა მოსწონდეთ

იგი, და, ამავე დროს უნდა გრძნობდნენ პასუხისმგებლობას ამ სისტემის შენარჩუნებაზე. პარტიების ურთიერთდამოკიდებულება უნდა შემოიფარგლებოდეს კონკურენტებს შორის ურთიერთდამოკიდებულებით და არ უნდა გადაიზარდოს მტრობაში. მხოლოდ ამ შემთხვევაში გამოვლინდება დემოკრატიის დადებითი მხარეები - დემოკრატიისა, რომელიც წარმოადგენს ერთადერთ სისტემას, სადაც მთავრობის ცვლილება შესაძლებელია პოლიტიკური სისტემის ცვლილების გარეშე.

დემოკრატია წარმოადგენს ინსტიტუციებისა და პროცედურების სისტემას, რომელიც მოიცავს სახალხო არჩევნებს, საპარლამენტო წარმომადგენლობასა და ხელისუფლების კონტროლს,კონტროლისა და ბალანსის სისტემის საშუალებით. ზოგიერთი ქვეყნის კონსტიტუციაში ჩადებულია რეფერენდუმების გამართვა (რაც უზრუნველყოფს მოქალაქეთა პირდაპირ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში), ან საკონსტიტუციო სასამართლოს არსებობა. დემოკრატია წარმოადგენს სცენას, ხოლო მოქალაქეები თავიანთ როლებს ასრულებენ ამ სცენაზე. გადაუჭარბებლად რომ ვთქვათ, მოქალაქეები უნდა გამოთქვამდნენ მზადყოფნას და მათ უნდა შეეძლოთ თავიანთი როლების თამაში და ჩაბმულნი უნდა იყვნენ დემოკრატიის პოლიტიკურ სისტემაში.

დემოკრატია წარმოადგენს ინსტიტუციათა სისტემას, რომელიც პოლიტიკური კულტურიდან მომდინარეობს. ინსტიტუციური სისტემა ადგენს ამ კულტურის ჩარჩოებს, მაგრამ მას არ შეუძლია კულტურის შექმნა ან მისი სტაბილურობის უზრუნველყოფა. იგივე პრინციპი მოქმედებს ავტოკრატიული მმართველობის დროსაც. ავტოკრატიაც შესაბამის პოლიტიკურ კულტურაზეა დამოკიდებული, ემყარება პოლიტიკურად მორჩილ სუბიექტებს, ნაცვლად აქტიური და ქმედითი სისტემებისა.

2.2 ადამიანის უფლებათა კულტურული განზომილება

ადამიანის უფლებები, რომლებიც თავისი ბუნებით სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს წარმოადგენს, გამოხატავს იმას, თუ რას გულისხმობს პრაქტიკაში დემოკრატიული პროცესები, მათ შორის, აზრისა და გამოხატვის თავისუფლება, მედიის თავისუფლება (რაც ცენზურის აკრძალვას გულისხმობს), ხმის უფლება და თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპები, რომლებიც ესადაგება ყველა უფლებას, რომლითაც ადამიანები სარგებლობენ. ქვეყნის მიერ ადამიანის უფლებათა შესახებ ხელშეკრულების რატიფიცირება გულისხმობს იმას, რომ

ქვეყანა ეროვნული კანონისა და პრაქტიკის საერთაშორისო სტანდარტებთან ჰარმონიზაციის პირობას დებს. ქვეყნები ამას თავისუფალი ნებით აკეთებენ.

რა ხდება მაშინ, როდესაც ქვეყანა ვერ ასრულებს დადებულ პირობას, დაიცვას ადამიანის უფლებები? არსებობს სხვადასხვა დამცავი მექანიზმი, რომელიც დაწესებულია გაერთიანებული ერებისა და ადამიანის უფლებათა დაცვის იმ რეგიონული ინსტიტუტების მიერ, რომლებიც მონაწილეობდნენ ადამიანის უფლებათა შესახებ ქვეყნის მიერ ხელმოწერილი რეგიონული კანონების შემუშავებაში. მაგალითად, ევროპაში ასეთ დამცავ მექანიზმს წარმოადგენს ევროპული კონვენცია ადამიანის უფლებათა შესახებ, რომელიც ორიენტირებულია სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებზე. ქვეყნებს შეუძლიათ, ხელი მოაწერონ ევროპის სოციალურ ქარტიას, რომელშიც ჩამოყალიბებულია ეკონომიკური, სოციალური და კულტურული უფლებები. იმ შემთხვევაში, თუ კონვენციაზე ხელმომწერი ქვეყანა არღვევს კონვენციის დებულებებს, ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნის მოქალაქეებს (და, პრინციპში, ამ ქვეყნის იურისდიქციაში შემავალ ტერიტორიაზე მცხოვრებ ყველა პირს) შეუძლიათ, საბოლოოდ მიმართონ სტრასბურგში არსებულ ადამიანის უფლებათა ევროპულ სასამართლოს.

უმეტეს შემთხვევაში, ადამიანის უფლებებით სარგებლობენ კონსტიტუციური დემოკრატიის ფორმით ორგანიზებული მმართველობის ჩარჩოებში, დემოკრატიული პროცესების ჩვეული მექანიზმების საშუალებით. აღნიშნული მექანიზმები მოიცავს შესაბამისად ჩამოყალიბებულ კანონებს და, ასევე, მოქალაქეების პროცესებში მონაწილეობისა და ჩართულობის კულტურას.

დემოკრატია და ადამიანის უფლებები დამოკიდებულია იმ ინსტიტუციურ ჩარჩოებზე, რომელიც შედგება შემდეგი კომპონენტებისაგან: კონსტიტუციასა და სამართლებრივ სისტემაში დამკვიდრებული წესები და პრინციპები და პოლიტიკური კულტურა. დემოკრატიასა და ადამიანის უფლებებს ამყარებს პრინციპების, ღირებულებებისა და ვალდებულებების კრებული. დემოკრატია და ადამიანის უფლებები უშვებს საკითხებზე აზრთა სხვადასხვაობის არსებობას, მაგრამ მხოლოდ იმ პირობით, თუ არსებობს ერთსულოვანი თანხმობა იმ ჩარჩოებზე, რომლის ფარგლებშიც დაცულია, მაგრამ, ამავე დროს, შეზღუდულია ადამიანის თავისუფლებები. მოქალაქეს აქვს

უფლება, საწინააღმდეგო მოსაზრება გააჩნდეს ყველა საკითხზე, მაგრამ შედეგად წარმოქმნილი უთანხმოება არ უნდა სცდებოდეს სისტემით დადგენილ ფარგლებს.

2.3 სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებით - დემოკრატიის კულტურა სკოლებში

დემოკრატიის მომხრე და ერთგული მოქალაქეების გარეშე დემოკრატია ვერ იარსებებს.

დემოკრატიის მემკვიდრეობა გადაეცემა ყოველ მომდევნო თაობას; საჭიროა, მომავალმა თაობამ ნათლად აღიქვას და დააფასოს ეს მემკვიდრეობა და ისწავლოს, როგორ ისარგებლოს ამ მემკვიდრეობით. სწორედ ამ მიზანს ემსახურება სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, ისევე, როგორც ზოგადად განათლება, რაც მდგომარეობს ახალგაზრდა თაობის დახმარებასა და წახალისებაში, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ აქტიურ და დემოკრატიის მომხრე და ერთგულ მოქალაქეებად.

დემოკრატიის კულტურული ტრადიციების დამკვიდრება და განვითარება ნელი ტემპით მიმდინარეობს, როგორც ეს მრავალი ქვეყნის ისტორიული გამოცდილებით ხდება ნათელი. ეროვნული სახელმწიფოს შენების პროცესში სამოქალაქო ომგადატანილი საზოგადოებები სერიოზულ დაბრკოლებებს აწყდებიან და ამის მიზეზი დემოკრატიული კულტურის ტრადიციების არარსებობაა. შესაძლებელია დემოკრატიის მოდელის გადმოღება სხვა ქვეყნებიდან, მაგრამ დემოკრატიის კულტურის საფუძვლების გადმოღება შეუძლებელია - ეს საფუძველი საზოგადოების კულტურული მემკვიდრეობიდან უნდა მომდინარეობდეს.

პოლიტიკური კულტურის საფუძვლების ჩაყრა კონსტრუქტივისტული კატეგორიებით არის შესაძლებელი. მისი შეძენა შესაძლებელია სწავლისა და სოციალიზაციის საშუალებით. აქედან გამომდინარე, დიდი მნიშვნელობა ენიჭება იმას, სკოლები დემოკრატიის პრინციპებით იმართებიან თუ ავტოკრატიის პრინციპებით, ვინაიდან მოსწავლეები ამგვარად ადრეული ასაკიდან ეჩვევიან ცხოვრებას ან დემოკრატიულ საზოგადოებაში მონაწილეობით, ან ავტოკრატიული მმართველობის ქვეშ.

სკოლას, როგორც მიკროსაზოგადოებას, შეუძლია დახმარება გაუწიოს მოსწავლეებს, რათა მათ ადრეული ასაკიდან შეითვისონ და სათანადოდ დააფასონ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ძირითადი ელემენტები, მათ შორის:

— მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, გააცნობიერონ თავიანთი ინტერესები და შეხედულებები და გაბედულად და საკუთარ თავში დარწმუნებით გამოხატონ ისინი.
— მოსწავლეები ერთმანეთს ურთიერთპატივისცემით ეპყრობიან, უსმენენ ერთმანეთს და თანაგრძნობას გამოხატავენ, რაც იმას ნიშნავს, რომ ისინი ფლობენ უნარს და მზადყოფნას გამოთქვამენ, გაიზიარონ სხვისი აზრი;
— მოსწავლეებს შეუძლიათ, კონფლიქტი არაძალადობრივი საშუალებებით მოაგვარონ, მოლაპარაკებებითა და დათმობაზე წასვლის საშუალებით.
— მოსწავლეები სათანადოდ აფასებენ იმ ინსტიტუციური ჩარჩოების ფუნქციას, რომელიც იცავს და, ამავდროულად, ზღუდავს მათ ინდივიდუალურ უფლებებსა და თავისუფლებებს. ისინი წესების „მკაცრ“ ფორმალურ ელემენტთან ერთად ეცნობიან პოლიტიკური კულტურის „ლიბერალურ“, არაფორმალურ ელემენტს.
— მოსწავლეები სათანადოდ აფასებენ პოლიტიკას, როგორც პრობლემების გადაჭრისაკენ მიმართულ პრაქტიკულ ძალისხმევას, რომელიც ყურადღებასა და გადაწყვეტილების მიღებას მოითხოვს.
— მოსწავლეები მონაწილეობენ წარმომადგენლების არჩევისა და გადაწყვეტილების მიღების ფორმალურ პროცესებში.
— მოსწავლეები წინასწარი ინსტრუქციების გარეშე ერთვებიან გადაწყვეტილების მიღების პროცესში, ინფორმირებულობის დონის ამაღლებით, აქტივობით, ლობირებით და პრობლემების მოგვარებით, ინსტრუქციებისა თუ დახმარების გარეშე.
— მოსწავლეები იღებენ პასუხისმგებლობას თავიანთ გადაწყვეტილებებსა და არჩევანზე, ითვალისწინებენ რა ამ გადაწყვეტილებებისა და მათ მიერ გაკეთებული არჩევანის შედეგებს, როგორც თავიანთი თავის, ისე სხვათა მიმართ.
— მოსწავლეები რწმუნდებიან, რომ იმ შემთხვევაში, თუ ისინი არ მიიღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილების მიღების პროცესში ისეთ საკითხებზე, რომელიც მათ ეხებათ, ამას მათ მაგივრად სხვები გააკეთებენ და შედეგი

შეიძლება იყოს ის, რომ სხვების მიერ მიღებული გადაწყვეტილება არასახარბიელო აღმოჩნდეს მათთვის.

პოლიტიკური კულტურის ჩამოყალიბებას დიდად განაპირობებს ის დამოკიდებულებები და ღირებულებები, რომელთაც ახალგაზრდა თაობა სოციალიზაციის პროცესში იძენს, მათ შორის, სკოლაში მიღებული გამოცდილებით. არსებობს სხვა ფაქტორები, რომლებიც ძლიერ გავლენას ახდენს ახალგაზრდა თაობის სოციალიზაციის პროცესზე, განსაკუთრებით, ოჯახი, თანატოლები და მედიასაშუალებები. მეორე მხრივ, სკოლის საზოგადოება ბავშვებსა და მოზარდებს აძლევს შესაძლებლობას, შეიძინონ საზოგადოებასთან ურთიერთობის გამოცდილება; აქედან გამომდინარე, შეიძლება მივიჩნიოთ, რომ სკოლას მნიშვნელოვანი ფუნქცია აკისრია დემოკრატიის მემკვიდრეობის მომავალ თაობაზე გადაცემის კუთხით. სასკოლო გარემოში, გადაწყვეტილების მიღების ფორმალურ პროცესში მონაწილეობითა და, აგრეთვე, ყოველდღიური ურთიერთობებით შეძენილი ცოდნითა და გამოცდილებით, ახალგაზრდებს უყალიბდებათ ჩვევები და უნარები, რომლებიც, შემდგომ ცხოვრების მანძილზე,დემოკრატიულ პროცესებსა და ადამიანის უფლებათა ღირებულებებთან მათ დამოკიდებულებას განაპირობებს.

თავი 3

განათლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის

1. სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - მისი სამი განზომილება

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ყურადღება გამახვილებულია იმაზე, თუ რისი კეთების უნარს უნდა ფლობდნენ მოსწავლეები, და არა იმაზე, თუ რა უნდა ასწავლოს მათ მასწავლებელმა. სამი ძირითადი პრინციპი, რომლითაც იმართება მოსწავლესა და შედეგზე ორიენტირებული სწავლის პროცესი, შესანიშნავად გამოიხატება შემდეგი მაგალითით:

— აზრის თავისუფლება და აზრის გამოხატვის თავისუფლება წარმოადგენს დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის აუცილებელ პირობას და ძირითად სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებას. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში მოსწავლეები იძენენ ცოდნას აზრის თავისუფლებისა და აზრის გამოხატვის თავისუფლების შესახებ, აფასებენ ამ უფლებას და იციან, როგორ არის იგი დაცული ეროვნული კონსტიტუციით. ეს წარმოადგენს სწავლის შემეცნებით განზომილებას (ცოდნა, კონცეფციები და გაგება).

— მოსწავლეები სწავლობენ, როგორ გამოიყენონ ეს ძირითადი უფლება. ვინაიდან ამ უფლებით აქტიურად სარგებლობა უმნიშვნელოვანესია დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩართულობისათვის; ხელი ეწყობა მოსწავლეების წახალისებას, ჩამოაყალიბონ და გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები სხვადასხვა გზით, მათ შორის, საჯარო გამოსვლების საშუალებით (უნარებზე დაფუძნებული სწავლის განზომილება).

— აზრის გამოხატვის თავისუფლებით სარგებლობისას, მოსწავლეებს სჭირდებათ მხნეობა, რათა საკუთარი მოსაზრება გამოხატონ მაშინაც კი, როცა უმრავლესობას საწინააღმდეგო შეხედულება აქვს. ისინი ისმენენ სხვათა მიერ გამოხატულ მოსაზრებებს, შემწყნარებლობითა და პიროვნებისადმი პატივისცემის სულისკვეთებით. საკითხის შესახებ განსხვავებული მოსაზრებების გამო

უთანხმოებისა და დაპირისპირების მოთოკვითა და აღკვეთით და განსხვავებული მოსაზრებებისათვის პიროვნული ხასიათის მიცემისაგან თავის შეკავებით, შესაძლებელია კონფლიქტების არაძალადობრივი საშუალებებით მოგვარება (გაგების, დამოკიდებულებებსა და ღირებულებებზე დაფუძნებული განზომილება).

ის, რასაც ზემოთ მოყვანილი მაგალითი გვიჩვენებს, შეიძლება განზოგადებულ იქნას, არა მარტო იმ თვალსაზრისით, თუ რა უნარს უნდა ფლობდნენ მოსწავლეები ადამიანის სხვა უფლებებით სარგებლობისას, არამედ ზოგადად სწავლისა და განათლების თვალსაზრისით. იმისათვის, რომ მოსწავლეთა ქმედებები ადეკვატური იყოს და გაღრმავდეს ის კომპეტენციები, რომელთაც ისინი ფლობენ, სწავლა უნდა მიმდინარეობდეს ამ სამი განზომილებით, რომელიც ერთმანეთს ავსებს - ცოდნა, კონცეფციები და გაგება; უნარები; დამოკიდებულებები და ღირებულებები. უკვე რამდენიმე ათწლეულია, მეთოდისტები და მასწავლებლები თანხმდებიან სწავლის ამ კონცეფციაზე.

მოსწავლეები ამ გზით იღებენ განათლებას; რა უნდა გააკეთოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელმა მასწავლებელმა იმისათვის, რომ შექმნას სწავლის ადეკვატური შესაძლებლობები? პასუხი შემდეგია:

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება უნდა დაეხმაროს მოსწავლეებს, რათა ისინი ჩამოყალიბდნენ ახალგაზრდა მოქალაქეებად, რომლებსაც:

— აქვთ ცოდნა იმის შესახებ, თუ რას წარმოადგენს ადამიანის უფლებები და ის პირობები, რომლებზეც ამ უფლებების დაცვაა დამოკიდებული (რაც ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების „შესახებ“ სწავლის საშუალებით);
— აქვთ სკოლაში, როგორც მიკროსაზოგადოებაში ყოფნის გამოცდილება, სადაც დაცულია მოსწავლეთა თავისუფლება და თანასწორობა; აქვთ ცოდნა იმის შესახებ, თუ როგორ დაიცვან საკუთარი უფლებები (რაც ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის „საფუძველზე“ სწავლით);

— გააჩნიათ კომპეტენცია/უნარი და თავდაჯერებულობა, რათა დაიცვან საკუთარი უფლებები და, ამავდროულად, ჩამოყალიბებული პასუხისმგებლობის გრძნობით ეკიდებოდნენ სხვა ადამიანებსა და იმ საზოგადოებას, სადაც მათ უწევთ მოღვაწეობა (რაც ხორციელდება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის „მიზნით“ სწავლის საშუალებით).

1.1 დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შემეცნებითი განზომილება: დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა „შესახებ“ სწავლა

ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურზე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე მოსწავლეებმა უნდა შეისწავლონ ისეთი მნიშვნელოვანი დოკუმენტები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია და ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია). ზემოთ მოყვანილი მაგალითიდან შეგვიძლია დავასკვნათ, რომ მოსწავლეებმა უნდა იცოდნენ, რომ ყველა ადამიანს შეუძლია, ისარგებლოს თავისუფალი აზრის უფლებითა და გამოხატვის თავისუფლებით, ასევე, შეუძლია მიიღოს ინფორმაცია ნებისმიერი მედიასაშუალებით, რომელიც თავისუფალია ცენზურისაგან, გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია მხოლოდ მაშინ, როცა ეს სასარგებლო მიზნით ხდება და მხოლოდ გარკვეულ გარემოებებში (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, მუხლი 10). ქვეყნის კონსტიტუცია და სამართლებრივი გარემო უნდა ასახავდეს და იცავდეს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს და მოსწავლეებისათვის მათ შესახებ ცოდნის გადაცემაც ამ კუთხით უნდა წარმოებდეს. მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, თუ რაოდენ მნიშვნელოვანი და აუცილებელია დემოკრატიისათვის თუნდაც მხოლოდ ეს უფლება.

ასევე, მოსწავლეები უნდა იცნობდნენ ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის მე–14 მუხლს. რომელიც ეხება თანასწორობისა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპებს: ქალი და კაცი, მდიდარი და ღარიბი, ახალგაზრდა და მოხუცი, მოქალაქე და ემიგრანტი – ჩვენ ყველა თანაბრად ვსარგებლობთ ამ უფლებებით. ამ უფლებებით

სარგებლობა წარმოადგენს პროცესს, რომელიც განვითარებას ექვემდებარება და ადამიანის უფლებების დაცვაზე დაფუძნებული დემოკრატიული სისტემების მქონე სახელმწიფოების დღის წესრიგში მუდმივად დგას.

და ბოლოს, მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ, თუ რატომ უნდა იცავდეს თავის უფლებებს კანონი და რომ მათ, ასევე, ეკისრებათ პასუხისმგებლობაც (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 29). გამოხატვის თავისუფლება საშუალებას აძლევს მოქალაქეებს, პლურალისტურ საზოგადოებაში წინ წამოწიონ თავიანთი ინტერესები, ხოლო კონკურენტული გარემო გულისხმობს იმას, რომ იქნებიან წარმატებულებიც და ხელმოცარულებიც. კონსტიტუციამ, წესებმა და კანონებმა უნდა უზრუნველყოს ისეთი გარემო, რომელიც გარკვეულად შეზღუდავს ძლიერთა თავისუფლებებს და დაიცავს სუსტებს – განსხვავებათა ლეგალიზაციის გარეშე. ყველა პრობლემა წესებით ვერ გვარდება, ასე რომ საზოგადოების წევრებს უნდა გააჩნდეთ ურთიერთპასუხისმგებლობა.

გარდა იმისა, რომ ადამიანის უფლებები სამართლებრივ ჩარჩოებს ქმნის, ისინი, ასევე, ნორმატიული ხასიათისაც არის. აქედან გამომდინარე, მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ, თუ რა დოზით შეუძლიათ მათ ისარგებლონ ადამიანის უფლებებით სკოლის საზოგადოებაში და, ზოგადად, ფართო საზოგადოებაში.

ადამიანის უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა დაცვის კონვენცია (ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია, 1950 წლის 4 ნოემბერი)

მუხლი 10

გამოხატვის თავისუფლება

1. ყველას აქვს უფლება გამოხატვის თავისუფლებისა. ეს უფლება მოიცავს პირის თავისუფლებას, ჰქონდეს შეხედულებები, მიიღოს ან გაავრცელოს ინფორმაცია თუ მოსაზრებები საჯარო ხელისუფლების ჩაურევლად და სახელმწიფო საზღვრების მიუხედავად. ეს მუხლი ხელს არ უშლის სახელმწიფოებს, განახორციელონ რადიომაუწყებლობის, სატელევიზიო ან კინემატოგრაფიულ საწარმოთა ლიცენზირება.
2. ამ თავისუფლებათა განხორციელება, რამდენადაც ის განუყოფელია შესაბამისი

ვალდებულებისა და პასუხისმგებლობისაგან, შეიძლება დაექვემდებაროს ისეთ წესებს, პირობებს, შეზღუდვებს ან სანქციებს, რომლებიც გათვალისწინებულია კანონით და აუცილებელია დემოკრატიულ საზოგადოებაში ეროვნული უშიშროების, ტერიტორიული მთლიანობის ან საზოგადოებრივი უსაფრთხოების ინტერესებისათვის, უწესრიგობისა თუ დანაშაულის აღსაკვეთად, ჯანმრთელობის ან მორალის დაცვის მიზნით, სხვათა რეპუტაციის ან უფლებების დასაცავად, საიდუმლოდ მიღებული ინფორმაციის გამჟღავნების თავიდან ასაცილებლად ან სასამართლო ხელისუფლების ავტორიტეტისა და მიუკერძოებლობის უზრუნველსაყოფად.

მუხლი 14

დისკრიმინაციის აკრძალვა

ამ კონვენციით გათვალისწინებული უფლებებითა და თავისუფლებებით სარგებლობა უზრუნველყოფილია ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, განურჩევლად სქესის, რასის, კანის ფერის, ენის, რელიგიის, პოლიტიკური თუ სხვა შეხედულებების, ეროვნული თუ სოციალური წარმოშობის, ეროვნული უმცირესობისადმი კუთვნილების, ქონებრივი მდგომარეობის, დაბადების თუ სხვა ნიშნისა.

ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი)

მუხლი 29

1. ყოველ ადამიანს აქვს მოვალეობანი საზოგადოების წინაშე, რადგან მხოლოდ საზოგადოებაშია შესაძლებელი მისი პიროვნების თავისუფალი და სრული განვითარება.

2. თავის უფლებათა და თავისუფლებათა განხორციელებისას, ყოველი ადამიანი უნდა განიცდიდეს მხოლოდ ისეთ შეზღუდვებს, როგორიც კანონითაა დადგენილი მარტოოდენ იმ მიზნით, რომ უზრუნველყოფილ იქნეს სხვების უფლებათა და თავისუფლებათა ჯეროვანი აღიარება და პატივისცემა და დაკმაყოფილდეს ზნეობის, საზოგადოებრივი წესრიგისა და საერთო კეთილდღეობის სამართლიანი მოთხოვნები დემოკრატიულ საზოგადოებაში.

მოკლედ, ეს სამი მუხლი გამოხატავს ინდივიდუალურ თავისუფლებებსა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვით ამ თავისუფლებათა რეგულირებას შორის არსებულ ერთგვარ დაპირისპირებას. საზოგადოებრივი წესრიგი, ერთი მხრივ, ზღუდავს და, მეორე მხრივ, იცავს ამ თავისუფლებებს.

მოსწავლეები, რომელთაც შეუძლიათ ამის ახსნა, საკმაო ინფორმაციას ფლობენ დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა „შესახებ", და სწორედ ეს წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შემეცნებით განზომილებას.

1.2 დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მონაწილეობითი განზომილება: დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „მიზნით" სწავლა

დემოკრატიულ საზოგადოებაში ჩართულობა გულისხმობს,რომ მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ გამოიყენონ ის უფლებები და თავისუფლებები, რომელიც მათ აქვთ მინიჭებული,მაგალითად, საკუთარი უფლება ინფორმაციის ხელმისაწვდომობაზე, თავისუფალი აზროვნების, აზრისა დ აგამოხატვისთავის უფლება. მათ, აგრეთვე, უნდა ჰქონდეთ სხვებთან ურთიერთობის საკუთარი გამოცდილება – მაგალითად, ჯგუფში თავიანთი ინტერესების გამოხატვა, დათმობაზე მოლაპარაკებები ან შეთანხმება იმის თაობაზე, თუ როგორ განიმარტება „საყოველთაო კეთილდღეობა" (ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია, მუხლი 29). მათ უნდა შეეძლოთ წესების ფარგლებში მოქმედება და დაწესებული შეზღუდვების დაცვა. ისინი პასუხისმგებლობით უნდა ეკიდებოდნენ სხვათა კეთილდღეობას და მთლიანად საზოგადოების კეთილდღეობას.

მოკლედ, მოსწავლეებს არა მარტო უნდა ესმოდეთ, თუ რამნიშვნელობა აქვს ადამიანის უფლებათა დაცვის ზემოთგანხილულ სამ მუხლს შორის არსებულ კავშირს, არამედ უნდა ისწავლონ, თუ როგორ დააფასონ ის ღირებულებები, რომლებიც ამ მუხლებით არის დაცული და იმოქმედონ შესაბამისად. ამგვარად, მათ უნდა შეეძლოთ თავიანთი ინტერესების სხვათა და მთლიანად საზოგადოების ინტერესებთან შეთანხმება.

მოსწავლეებმა, რომლებიც ამ პრინციპებზე არიან აღზრდილნი, იციან, როგორ მიიღონ მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში. ეს არის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მონაწილეობითი განზომილება – დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის „მიზნით“სწავლა, ასე ვთქვათ, დემოკრატიის, კანონის უზენაესობისა და ადამიანის უფლებების ხელშეწყობისა და დაცვის მიზნით.

1.3 დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კულტურული განზომილება: დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საშუალებით“ სწავლა

ცოდნა და უნარები ადამიანს აძლევს საშუალებას, მონაწილეობა მიიღოს დემოკრატიულ პროცესებში, მხოლოდ ტექნიკური თვალსაზრისით, რაც ადამიანის ჭეშმარიტ დემოკრატად ჩამოყალიბებისათვის საკმარისი არ არის. მაგალითად, იმ შემთხვევაში, თუ ამგვარ ცოდნასა და უნარებს ფლობს რასისტი, მაშინ იგი ბოროტად გამოიყენებს მათ, ანუ გამოიყენებს დემოკრატიულ, ადამიანის უფლებათა პრინციპებზე დაფუძნებული საზოგადოების წინააღმდეგ შეტევის იარაღად. პირდაპირ უნდა ითქვას, რომ ცოდნა და უნარები, რომელთაც ზურგს არ უმაგრებს ადამიანის უფლებათა ღირებულებები, უსარგებლოა დემოკრატიისათვის.

აქედან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას გააჩნია კულტურული განზომილება. სწავლებისა და სწავლის კულტურა უნდა ასახავდეს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად გზავნილს.

ცოდნის შეძენა შესაძლებელია სწავლებისა და ინსტრუქციების მიღების საშუალებით (ლექციის მოსმენა, კითხვა); კომპეტენციების დაუფლება–განვითარება შესაძლებელია ტრენინგის საშუალებით (დემონსტრირება, პრაქტიკა, წვრთნა). ამგვარად, მოსწავლეები გამოცდილებით იძენენ ღირებულებებს და მათ ასევე გამოცდილებით უყალიბდებათ დამოკიდებულებები.

მაგალითად, ახალგაზრდებს თვითშეფასება უყალიბდებათ მშობლებისა და მასწავლებლების წყალობით. მხოლოდ ის მოსწავლეები ეპყრობიან იმავე პატივისცემით

თავიანთ თანატოლებს, რომელთაც აქვთ მასწავლებლების მხრიდან პატივისცემით მოპყრობის გამოცდილება. ადამიანის უფლებათა ღირებულებებთან ზიარება სკოლაში სოციალიზაციის პროცესით ხდება - სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საშუალებით“.

ადამიანის უფლებათა ღირებულებები განმარტებულია გაერთიანებული ერების ორგანიზაციის, ევროპის საბჭოს და სხვა ორგანიზაციების მიერ და ისინი მოიცავს თანასწორობის პრინციპსა და დისკრიმინაციის დაუშვებლობის პრინციპს; მონაწილეობას, ჩართულობასა და ანგარიშვალდებულებას.

მაშინ, როცა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების „შესახებ“ სწავლება გარკვეულ სასკოლო საგანთა (მაგ. სოციალური მეცნიერებები, ისტორია, სამოქალაქო განათლება) ამოცანას წარმოადგენს, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საფუძველზე“ განხორციელებული სწავლების პროცესი გამოწვევაა მთლიანი სკოლისთვის – დემოკრატია და ადამიანის უფლებათა დაცვა სკოლის საზოგადოების ძირითად პედაგოგიურ სახელმძღვანელო პრინციპს წარმოადგენს და, ასევე, წარმოადგენს იმ სპექტრს, რომელშიც განიხილება სკოლის მმართველობის ყველა ელემენტი.

2. ადამიანის უფლებათა სწავლება და მისი კავშირი დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ განათლებასთან[13]

> განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის და ადამიანის უფლებათა სწავლება მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებს. მათ საერთო მიზნები და გამოყენების სფერო აქვთ, განსხვავება მხოლოდ შესწავლის საგანსა და პრიორიტეტებშია გამოხატული. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების პრიორიტეტს უწინარესად წარმოადგენს როგორც დემოკრატიული უფლებები და მოვალეობები, ასევე საზოგადოების სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პროცესებში აქტიური მონაწილეობა; მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა სწავლება ორიენტირებულია ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ფართო სპექტრზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში.
>
> *ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა 2010 წლის 11 მაისს მინისტრთა კომიტეტის მიერ, მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაციის (2010)7 ფორმით.*

წინამდებარე თავში დეტალურად არის განხილული კავშირი ადამიანის უფლებათა სწავლებასა და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას შორის.

ათწლეულების წინ, გაერთიანებული ერების ორგანიზაციამ და მისმა სპეციალიზებულმა სააგენტოებმა ფორმალურად სცნეს უფლება ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების მიღებაზე, რაც გულისხმობს მოქალაქეების უფლებას, ინფორმირებული იყვნენ მათი ქვეყნის მიერ რატიფიცირებული, ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ არსებულ ხელშეკრულებებში შესული უფლებებისა და თავისუფლებების შესახებ. ქვეყნების მთავრობები პასუხიმგებელნი არიან, დაიცვან აღნიშნული უფლებები მათ მიერ მიღებული კანონების, გატარებული პოლიტიკისა და პრაქტიკული ღონისძიებების საშუალებით. ამ კუთხით მიღწეული წარმატებების შესახებ ისინი პერიოდულად ანგარიშით წარსდგებიან ხელშეკრულების შესრულებაზე პასუხისმგებელი ორგანოს წინაშე. სამეთვალყურეო ორგანიზაციები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დამცავი ჯგუფები, დიდ დახმარებას ეწევიან, სახელმწიფოების მიერ ამ კუთხით წარმოებული პოლიტიკის კონტროლის საქმეში.

[13] ავტორი: ფელისა ტიბიტსი (2009). წყარო: ტიბიტსი ფ. (2008), „ადამიანის უფლებათა სწავლება“ ბაიაჯი მ. (რედ.) *სწავლება მშვიდობის შესახებ, ენციკლოპედია,* გამომცემლობა „Information Age Publishing“,შარლოტი, ჩრდილოეთ კაროლინას შტატი.

ცხადია, რომ მოქალაქეები უნდა ფლობდნენ ცოდნას თავიანთი უფლებების შესახებ, აფასებდნენ მათ და იცავდნენ სხვათა უფლებებს. ასევე, საჭიროა ვფლობდეთ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რა სამართლებრივი პასუხისმგებლობა აკისრია მთავრობებს ჩვენი უფლებების დაცვის თვალსაზრისით. უნდა ვაფასებდეთ მოქალაქეთა ეთიკურ პასუხისმგებლობას, რომელიც მდგომარეობს ყოველდღიურ ცხოვრებაში, ადამიანის უფლებათა დაცვასა და მოფრთხილებაში. ცოდნის შეძენა ადამიანის უფლებათა შესახებ და მზადყოფნის გამომუშავება მასზედ, რომ პასუხისმგებლობით მოეკიდო როგორც საკუთარი, ასევე სხვათა უფლებების დაცვას, ცხოვრების ადრეულ ეტაპზე იწყება: ჩვენს ოჯახებში, სკოლებსა და საზოგადოებაში.

გაერთიანებული ერების ორგანოები, როგორიცაა ადამიანის უფლებათა დაცვის უმაღლესი კომისარიატი, გაერთიანებული ერების განათლების, მეცნიერებისა და კულტურის ორგანიზაცია (*UNESCO*) და *გაეროს* ბავშვთა ფონდი (*UNICEF*), სამთავრობათაშორისო ორგანიზაციებთან ერთად, როგორიცაა ევროპის საბჭო და, ასევე, ადამიანის უფლებათა დაცვის ეროვნულ სააგენტოებთან ერთად, რეკომენდაციას უწევენ ადამიანის უფლებათა სწავლებას, ხაზგასმით აღნიშნავენ რა, რომ სასკოლო სწავლებაში შეტანილ უნდა იქნას ადამიანის უფლებებისა და მათი დაცვის თემა.

ადამიანის უფლებათა სწავლებას გააჩნია როგორც ნორმატიული, ასევე, სამართლებრივი მხარე. ადამიანის უფლებათა სწავლების ნორმატიული მხარე გულისხმობს იმ ხელშეკრულებებსა და შეთანხმებებში შესული ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტების შესახებ თანხმობის მიღწევას, რომელთა შესრულების ვალდებულებასაც კისრულობენ სახელმწიფოები. აღნიშნული სტანდარტები მოიცავს როგორც სამოქალაქო და პოლიტიკურ უფლებებს, ასევე, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს. უკანასკნელ წლებში არსებულ მზარდ ჩამონათვალს დაემატა გარემოს დაცვისა და კოლექტიური უფლებები. კანონზე ორიენტირებული ამგვარი მიდგომა განაპირობებს მონიტორინგისა და ანგარიშვალდებულების აუცილებლობას, რაც გარანტია იმისა, რომ სახელმწიფოთა მთავრობები განუხრელად იცავენ ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით მათზე დაკისრებულ ვალდებულებებს, როგორც ფორმით, ასევე, არსით.

ადამიანის უფლებათა სწავლება ერთდროულად არის როგორც ნორმატიული, ასევე კულტურული ინიციატივა. იგი წარმოადგენს ღირებულებათა სისტემას, რომელიც ყოველ ადამიანს ეხმარება გააცნობიეროს, თუ რამდენად შეესაბამება მისი ყოველდღიური გამოცდილება ადამიანის უფლებათა დაცვის ნორმებსა და ღირებულებებს. საკითხი, ადამიანი უფლებათა დაცვაზე დაფუძნებული მიდგომის სასკოლო სწავლებასთან მისადაგების შესახებ, მოგვიანებით იქნება განხილული ამავე ტომში. საკლასო სისტემაში მიმდინარე, როგორც ადამიანის უფლებათა, ასევე, დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლებაში წინა პლანზეა წამოწეული ინტერაქტიული და მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების მეთოდები. ადამიანის უფლებათა სწავლებისათვის დამახასიათებელია სწავლების შემდეგი ასპექტები:

- ემპირიული და აქტიურობაზე დაფუძნებული სწავლება: მოიცავს იმ ცოდნის გამოყენებას, რომელსაც ფლობენ მოსწავლეები და სთავაზობს მათ აქტივობებს, რომელებიც ავლენს მათ გამოცდილებასა და ცოდნას;
- პრობლემის წამოჭრა: წარმოშობს კითხვებს იმ ინფორმაციასთან და ცოდნასთან დაკავშირებით, რომელსაც მოსწავლეები ფლობენ;
- ჩართულობა: წაახალისებს მოსწავლეებს, კოლექტიურად განმარტონ ცნებები, გააანალიზონ თემები და შეასრულონ აქტივობები;
- დიალექტიკური მეთოდი: მოსწავლეებისაგან მოითხოვს საკუთარი ცოდნის შედარებას სხვა წყაროებთან;
- ანალიტიკური მეთოდი: მოსწავლეები ფიქრობენ და ეძებენ პასუხებს კითხვებზე, თუ რატომ ჩნდება ესა თუ ის მოვლენა და რა მიზეზით არის განპირობებული ამ მოვლენათა წარმოშობა;
- პროდუქტიული: ადამიანის უფლებათა წინ წამოწევა, როგორც პიროვნულ, ასევე, პიროვნებათშორის ურთიერთობებში.
- სტრატეგიულ აზროვნებაზე ორიენტირებული: აიძულებს მოსწავლეებს, დასახონ საკუთარი მიზნები და გამონახონ მათ მისაღწევად საჭირო სტრატეგიული გზები;

— მიზანსა და მოქმედებაზე ორიენტირებული:საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, დაგეგმონ მათ მიზნებთან დაკავშირებული მოქმედებები.[14]

ბევრი ქვეყნის სასწავლო პროგრამაში, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება შერწყმულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და მსოფლიო მოქალაქეობის შესახებ სწავლებასთან, სადაც მოქალაქეობის შესახებ განათლების ძირითად კონცეფციათა განზოგადება და უფრო კრიტიკულად განხილვა მიმდინარეობს. მიმდინარეობს ძირითადი კონცეფციებისა თუ ფაქტების შესახებ ცოდნისა და სამოქალაქო საზოგადოებაში დამკვიდრებული დამოკიდებულებებისა და სამოქალაქო საზოგადოებაში საჭირო უნარების განზოგადება და მათი მისადაგება გლობალური სოციალური პასუხისმგებლობების, სამართლიანობისა და სოციალური ქმედებებისადმი.

გარდა ამისა, ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება პირდაპირ უწყობს ხელს მოსწავლეებს შორის სოციალური პასუხისმგებლობისა და ქმედებების ჩამოყალიბებას. ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება არ შემოიფარგლება მხოლოდ მონაწილეობის, როგორც წარმომადგენლობითი დემოკრატიის ელემენტის, ხელშეწყობით, რადგან მსგავსი ქმედებები განიხილება უფლებათა ჭრილში. ქმედების გახორციელება შესაძლებელია შინაგანად აღქმული იყოს, როგორც უფლებით სარგებლობა. მსგავსი ქმედებები, ასევე, ჩაგვრისა და უსამართლობის წინააღმდეგ ქმედითი ინსტრუმენტის სახით შეიძლება იქნას გამოყენებული.

ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფართო ნორმატიულმა ჩარჩოებმა და პოტენციურ შემსწავლელ სუბიექტთა ფართო სპექტრმა განაპირობა განსხვავებული გზების სიმრავლე, რომლის საშუალებითაც შესაძლებელი ხდება ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება. მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება საერთაშორისო (და ზოგან რეგიონული) სტანდარტების უნივერსალურ ჩარჩოებშია მოქცეული, კონკრეტული თემები და მოსწავლეებისათვის მათი გადაცემის საშუალებები განისაზღვრება ადგილობრივი და ეროვნული კონტექსტის

[14]ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონული რესურსცენტრი ARRC [Asia-Pacific Regional Resource Center for Human Rights Education], (2003 წელი), „რა არის ადამიანის უფლებათა შესახებ განათლება“, ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ინსტრუმენტები, ბანგკოკი, ადამიანის უფლებათა შესახებ განათლების აზიისა და წყნარი ოკეანის რეგიონული რესურსცენტრი.

გათვალისწინებით. გარდა ამისა, სასკოლო გარემოში ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება მორგებულია მოსწავლეთა ასაკობრივ ჯგუფებსა და, ასევე, ეროვნული/რეგიონული და სკოლის საგანმანათლებლო პოლიტიკის პირობებს.

ადამიანის უფლებების თემა და მისი შინაარსი, სკოლის საგანმანათლებლო პროგრამაში, განათლების პოლიტიკიდან გამომდინარე, შესაძლებელია ჩართულ იქნას კულტურათაშორისი სწავლების ფორმით, ან შესაძლებელია მისი ჩართვა არსებულ დისციპლინებში, როგორიცაა ისტორია, სამოქალაქო განათლება, სოციალური და ჰუმანიტარული დისციპლინები. ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ინტეგრირება შესაძლებელია ხელოვნების შემსწავლელ პროგრამებსა და სკოლის ფარგლებში მოქმედ არაფორმალურ წრეებსა და ღონისძიებებშიც.

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ ევროპის საბჭოს ქარტიის რეკომენდაციით, ეს საგანმანათლებლო სფეროები მჭიდროდ არის ერთმანეთთან დაკავშირებული და ერთმანეთს ავსებს. მათ საერთო მიზნები და გამოყენების სფერო აქვთ, განსხვავება მხოლოდ შესწავლის საგანსა და პრიორიტეტებშია გამოხატული. დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების პრიორიტეტს უწინარესად წარმოადგენს როგორც დემოკრატიული უფლებები და მოვალეობები, ასევე, საზოგადოების სამოქალაქო, პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ, სამართლებრივ და კულტურულ პროცესებში აქტიური მონაწილეობა; მაშინ, როცა ადამიანის უფლებათა სწავლება ორიენტირებულია ადამიანთა უფლებათა და ძირითად თავისუფლებათა ფართო სპექტრზე, საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა ასპექტში.

როდესაც სკოლაში ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება და დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლება ერთმანეთს ერწყმის, ისინი ერთმანეთს ავსებს. განათლების საერთაშორისო ასოციაციის მიერ 1999 წელს ჩატარდა კვლევა „სამოქალაქო განათლების კვლევის“ სახელწოდებით, რომლის დროსაც კვლევის სუბიექტებს წარმოადგენდა 14 წლის 88 000 მოსწავლე, 27 ქვეყნიდან.[15] კვლევის მიზანი იყო, ქვეყნებს შიგნით, ადამიანის უფლებათა შესახებ მოსწავლეების ცოდნის დონის შედარება სხვა

[15]ჯ. ტორნი-პურტა, ც.ჰ. ბარბერი და ბ. უილკენფელდი (2008 წელი), „როგორ აღიქვამენ და უფრთხილდებიან ადამიანის უფლებებს და როგორ სარგებლობენ ადამიანის უფლებებით მოზარდები ოცდაშვიდ ქვეყანაში“, Journal of Social Issues, 64: 1.

სამოქალაქო საკითხების ცოდნის დონესთან და მოსწავლეების დამოკიდებულების შესწავლა ადამიანის უფლებათა ხელშეწყობასა და ამ უფლებებით სარგებლობასთან დაკავშირებით.

კვლევის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში დემოკრატიის კუთხითა და საერთაშორისო საკითხებზე მუშაობით მიღებული გამოცდილება დადებითად ზემოქმედებს მოსწავლეების ცოდნის დონეზე, ადამიანის უფლებებთან დაკავშირებით. ფაქტორებს, რომლებსაც შეიძლება ვუწოდოთ „დემოკრატია სკოლაში", დადებითი გავლენა ჰქონდა მოსწავლეების ინდივიდუალურ დამოკიდებულებაზე ადამიანის უფლებათა მიმართ. ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კვლევის შედეგად მიღებული მონაცემების ანალიზმა დაადასტურა, რომ მოსწავლეებს, რომლებსაც სკოლასა და საკლასო გარემოში ყველაზე მეტად უწევთ შეხება დემოკრატიის იდეალებთან, დადებითი დამოკიდებულება აქვთ ადამიანის უფლებების მიმართ. გარდა ამისა, მოსწავლეები, რომლებიც უფრო ღრმა ცოდნას ფლობდნენ ადამიანის უფლებათა შესახებ, უფრო ხშირად ერთვებოდნენ საერთაშორისო საკითხების განხილვაში, უფრო მტკიცე ნორმები გააჩნდათ აქტიური მოქალაქეობის შესახებ და პოლიტიკური განათლების უფრო მაღალ დონეს უჩვენებდნენ, იმ მოსწავლეებთან შედარებით, რომლებიც ნაკლებ ცოდნას ფლობდნენ ადამიანის უფლებების შესახებ.

სკოლები, რომლებიც მოსწავლეებს დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ სწავლებასა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ერთმანეთთან დაკავშირებულს სთავაზობს, ხელს უწყობს მოსწავლეების ჩამოყალიბებას პასუხისმგებელ მოქალაქეებად, რომლებიც ერკვევიან საკუთარ უფლებებსა და თავისუფლებებში და სათანადოდ აფასებენ და უფრთხილდებიან მათ.

3. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კომპეტენციები

3.1 „მე ვისურვებდი, ჩემს მოსწავლეებს შეეძლოთ“

„მას შემდეგ, რაც პრეზენტაციის ტექნიკა დავამუშავეთ, მე ვისურვებდი, რომ ყველა ჩემმა მოსწავლემ შეძლოს, მიმართოს კლასს, ჩანაწერებში ჩახედვის გარეშე.“

„მას შემდეგ, რაც ჩვენ ექვსი გაკვეთილი მივუძღვენით ჩვენი ქვეყნის კონსტიტუციის საფუძვლების შესწავლას, ყველაზე მცირე, რასაც მე ველი ყველა ჩემი მოსწავლისაგან, არის ის, რომ ისინი ახსნიან, როგორ მუშაობს ჩვენი საარჩევნო სისტემა და მოცემულ მომენტში რომელი პარტიები დგას ხელისუფლების სათავეში.“

„რამდენიმე თვის წინ კლასში პრობლემას წარმოადგენდა ის, რომ საკითხის განხილვისას, მოსწავლეები არ უსმენდნენ ერთმანეთს და აწყვეტინებდნენ საუბარს იმ მოსწავლეს, რომლის მოსაზრებასაც არ იზიარებდნენ. ჩვენ ბევრი ვისაუბრეთ აზრის თავისუფლად გამოხატვის უფლებაზე და იმაზე, რომ ამ უფლებით სარგებლობას მხოლოდ მაშინ აქვს აზრი, როდესაც ერთმანეთს პატივისცემით ვეპყრობით. სასწავლო წლის დასასრულისათვის, ვიმედოვნებ, რომ ბევრი მოსწავლე გააცნობიერებს ამას და ეცოდინება, როგორ მოიქცეს დისკუსიის დროს.“

ზემოთ მოყვანილი ციტატები წარმოადგენს იმის მაგალითს, თუ რას ფიქრობს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელი მასწავლებელი გაკვეთილების დაგეგმვის პროცესში: ამგვარად განისაზღვრება მიზნები. მასწავლებელი გეგმავს, თუ რისი კეთება უნდა შეძლონ მისმა მოსწავლეებმა და რისი მიღწევა შეუძლიათ მათ, იმ შემთხვევაში, თუ ძალისხმევას არ დაიშურებენ: მასწავლებელი გეგმავს, თუ რა მიზანს უნდა მიაღწიონ მისმა მოსწავლეებმა და ამის შემდეგ გეგმავს სწავლის პროცესსა და განსაზღვრავს მოსწავლეების საჭიროებებს საწყის ეტაპზე - მათ შესაძლებლობებსა და სირთულეებს, რომელთა დაძლევაც მოსწავლეებს დასჭირდებათ; მათ ძლიერსა და სუსტ მხარეებს.

ამგვარი მოსამზადებელი სამუშაო მასწავლებლებისათვის სიახლეს არ წარმოადგენს - ეს მათთვის კარგად აპრობირებული პრაქტიკაა. მასწავლებელთა უმრავლესობა არა მარტო გაკვეთილის თემასა და შესწავლის საგანზე ახდენს ყურადღების კონცენტრირებას - „არდადეგებამდე მე-19 საუკუნე უნდა დავასრულოთ“ - არამედ იმასაც განსაზღვრავს, თუ რა შედეგების მიღება სურს მოსწავლეებისაგან.

მიზნები, რომლებიც მოსწავლეებს უკავშირდება და უკავშირდება იმას, თუ რა შედეგები ექნებათ მათ, წარმოადგენს მოსწავლეების კომპეტენციებს. შემდგომ, ცხოვრებაში მოსწავლეებს მოუწევთ მასწავლებლის, მწვრთნელისა და ზედამხედველის გარეშე გაართვან თავი შექმნილ სიტუაციებს. სწავლების ტრადიციული მოდელი - ფორმალური ინსტრუქციები, მკაცრად განსაზღვრული სასწავლო პროგრამები - არ უწყობს ხელს მოსწავლის ჩამოყალიბებას დამოუკიდებელ, თავის თავში დარწმუნებულ და კომპეტენტურ პიროვნებად, იმ თვალსაზრისით, რომ სწავლების ტრადიციული მოდელი არ არის ორიენტირებული ისეთ განზომილებებზე როგორიცაა უნარები, დამოკიდებულებები და ღირებულებები.

ზემოთ მოყვანილი სამი მაგალითი კომპეტენციების განვითარების სხვადასხვა განზომილებას გულისხმობს:

— პირველი მაგალითი გულისხმობს აუდიტორიასთან მხედველობითი კონტაქტის დამყარებასა და თავისუფლად საუბარს - ეხება შინაგან შესაძლებლობებს, რომლებიც არ არის დამოკიდებული შინაარსზე, მაგრამ მოსწავლეებს სძენს უნარს, რომელიც მათ ყოველთვის გამოადგებათ, მათ ხელთ არსებული ცოდნისა თუ ინფორმაციის გამომჟღავნებისა თუ სხვებისათვის გადაცემის პროცესში. ამ შემთხვევაში ვითარდება უნარი, ანუ სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „მიზნით“, ეხმარება მოსწავლეებს, ისარგებლონ მათთვის მინიჭებული ადამიანის უფლებით და მონაწილეობა მიიღონ დემოკრატიულ პროცესებში.
— მეორე მაგალითი გულისხმობს საარჩევნო სისტემის საფუძვლების გაგებასა და ინფორმაციის ფლობას იმის შესახებ, თუ ვინ გაიმარჯვა უკანასკნელ არჩევნებში და, შესაბამისად, ვინ შეადგენს ამჟამად მოქმედ მთავრობას; ეს არის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „შესახებ“

სწავლების მაგალითი. ახალგაზრდა მოქალაქეები უნდა ფლობდნენ ცოდნას იმის შესახებ, თუ ადამიანის რომელი უფლებები - მაგალითად, არჩევნებში მონაწილეობის უფლება - არის შესული მათი ქვეყნის კონსტიტუციაში, სამოქალაქო უფლებების სტატუსით, და რა მნიშვნელობა ენიჭება მათ ხმას ქვეყნის საარჩევნო სისტემაში.

— და ბოლოს, მესამე მაგალითი გამოხატავს ღირებულებებისა და დამოკიდებულებების მნიშვნელობას. დემოკრატიას განსაზღვრავს პოლიტიკური კულტურა, რომელიც ყალიბდება იმ დამოკიდებულებებისა და ღირებულებების საფუძველზე, რომლის მიმართაც ერთგულებას იჩენენ მოქალაქეები, მოცემულ შემთხვევაში, ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს წარმოადგენს ურთიერთპატივისცემა და იმ მოსაზრებისადმი შემწყნარებლური დამოკიდებულება, რომელსაც მოსწავლეები შეიძლება არ იზიარებდნენ. მოსწავლეები მზად უნდა იყვნენ იმის გასაცნობიერებლად, რომ მათი უფლება - იყვნენ თავისუფალნი - უნდა ითვალისწინებდეს სხვათა უფლებებსაც. აქედან გამომდინარე, თავისუფლება გულისხმობს ვალდებულებებს. ადამიანის უფლებათა კულტურა გულისხმობს არამარტო უფლებებით სარგებლობას, როგორც მოსწავლეების, ასევე, მასწავლებლისათვის, არამედ იმის გაცნობიერებასაც, რომ ჩვენ ერთმანეთის მიმართ გვაქვს ვალდებულება, პატივი ვცეთ სხვათა უფლებებს. ადამიანი ღირებულებებს გამოცდილებითა და დამაჯერებელი მოდელების საშუალებით ითვისებს - სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების „საშუალებით“.

3.2 კომპეტენციები - ზოგადი განმარტება

კომპეტენციები გულისხმობს იმას, თუ რისი კეთება შეუძლია პიროვნებას, იმ სამ ასპექტში, რომელიც პიროვნების ინდივიდუალობის საფუძველს წარმოადგენს:

— რა ცოდნას ფლობს და რას აცნობიერებს;
— უნარები, რომლებიც პიროვნებას საშუალებას აძლევს, გამოიყენოს საკუთარი ცოდნა;

— იმ ცოდნასა და უნარებში დარწმუნება და მათი სათანადოდ შეფასება, რომელსაც ფლობს პიროვნება, რისი შედეგიც არის ამ ცოდნისა და უნარების პასუხისმგებლობითა და დამაჯერებლად გამოყენებისათვის მზადყოფნა.

ბოლო ასპექტს განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება. არა მარტო მასწავლებელი უნდა იყოს დარწმუნებული, რომ მისი მოსწავლეები ფლობენ კომპეტენციას, არამედ თავად მოსწავლეებმაც უნდა გააცნობიერონ ეს. მათ უნდა ჰქონდეთ შეგნებული, თუ რა გონებრივ რესურსებს ფლობენ ისინი და რა ამოცანისა თუ პრობლემის გადასაჭრელად უნდა გამოიყენონ ეს რესურსები. გარდა ამისა, მათ სჭირდებათ, იყვნენ თავიანთ შესაძლებლობებში დარწმუნებულები, რათა მიიღონ გამოწვევები და შესაძლო მარცხის რისკი, რაც მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლის პროცესს უკავშირდება.

3.3 როგორ შეუძლია მასწავლებელს, აღმოაჩინოს, რა კომპეტენციებს ფლობენ მისი მოსწავლეები? კომპეტენციები და მათი გამოვლენა

კომპეტენციები გულისხმობს ჩვენ „შიგნით“ არსებულ უნარებსა და პოტენციალს. აქედან გამომდინარე, ისინი დაფარულ უნარებსა და პოტენციალს წარმოადგენს. მაშინ როგორ შეუძლია მასწავლებელს, აღმოაჩინოს, რა კომპეტენციებს ფლობენ მისი მოსწავლეები?

მოვიყვანოთ მაგალითი. ლინგვისტი ნოამ ჩომსკი აღწერს მშობლიური ენის მატარებლის ენობრივ კომპეტენციას. მშობლიური ენის მატარებლები მუდმივად ქმნიან და აღიქვამენ წინადადებებს, რომლებიც მათ აქამდე არასდროს წარმოუთქვამთ და არც არასდროს სმენიათ. ენობრივ კომპეტენციას ჩვენ ვერ ვხედავთ, მაგრამ ჩვენ აღვიქვამთ მშობლიური ენის მატარებლის მიერ განხორციელებულ ქმედებას და, აქედან გამომდინარე, უნდა მივიჩნიოთ, რომ იგი ფლობს აზრის ჩამოყალიბებულად გადმოცემის კომპეტენციას.

კომპეტენცია არ არსებობს ვიზუალური გამოხატულების გარეშე, მაგრამ ასევე არ არსებობს არც ერთი მოქმედება კომპეტენციის გარეშე. მასწავლებლები თავიანთი მოსწავლეების კომპეტენციის განვითარებას აფასებენ მათ მიერ შესრულებული ქმედებებით - რისი კეთება შეუძლიათ მათ. ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა მოსწავლეებს აძლევს კომპეტენციების დახვეწის შესაძლებლობას, ხოლო

მასწავლებლებს აძლევს მოსწავლეების მიღწევების შეფასებისა და მათი საჭიროებების განსაზღვრის საშუალებას. აღნიშნული დებულება ვრცელდება არა მარტო დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე, არამედ, ზოგადად, სწავლებასა და სწავლაზე.

3.4 მოსწავლეთა კომპეტენციები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში - მოდელი

ჩვენ მოსწავლის კომპეტენციის განვითარებას მოსწავლის მიერ შესრულებული მოქმედების ჩვენეული აღქმის საშუალებით ვაფასებთ. კომპეტენციები უხილავია და მათი გამოვლენა მხოლოდ მოდელის შექმნით შეგვიძლია, რომელიც გვეხმარება სწავლის მიზნების განსაზღვრასა და მოსწავლეთა მიღწევების შეფასებაში.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების წინამდებარე გამოცემაში ჩვენ ჩავრთეთ კომპეტენციათა შემდეგი მოდელი, რომელიც შეესაბამება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად პრინციპებს - სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებით, დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის მიზნით.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში მოსწავლეთა კომპეტენციები მოიცავს შემდეგ ჩამონათვალს:

- პოლიტიკური ანალიზი და მსჯელობა;
- უნარები (იხილეთ წინამდებარე წიგნის ნაწილი 3);
- მოქმედება და პოლიტიკაში მონაწილეობა;
- პიროვნული და სოციალური კომპეტენციები.

3.4.1 პოლიტიკური ანალიზისა და მსჯელობის კომპეტენციები

დემოკრატიული მოქალაქეობა გულისხმობს, რომ მოქალაქეებს უნდა ესმოდეთ საკითხი, რომელსაც განიხილავენ, რაც, თავის მხრივ, გულისხმობს მოქალაქეების ინფორმირებულობას და იმას, რომ მოქალაქეები ფლობდნენ პრობლემების, განსახილველი საკითხისა და კონფლიქტის ანალიზის უნარს. ეს წარმოადგენს

კომპეტენციების განვითარების შემეცნებით განზომილებას (პოლიტიკური საკითხების „შესახებ“ სწავლა).

აღქმისა და შემეცნების ამ დონის გარეშე, მოქალაქე დემაგოგების, ლობისტებისა და პოპულისტების იოლ სამიზნედ იქცევა და ვერ შეძლებს ინდივიდუალური თუ ჯგუფის ინტერესების განსაზღვრასა და მასზე მოლაპარაკებების წარმოებას. ჩვენ ვართ დამოკიდებული მედიაზე, როგორც ინფორმაციის წყაროზე და უნდა ვფლობდეთ მედიის მიერ მოწოდებული ინფორმაციის კრიტიკული ანალიზის უნარს.

პოლიტიკური ნაბიჯის გადადგმა, ისევე როგორც ცხოვრებაში ნებისმიერი ნაბიჯის გადადგმა, შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ვიცით, რისი მიღწევა გვსურს. ჩვენ უნდა შეგვეძლოს საკუთარი ინტერესებისა და მიზნების განსაზღვრა, მოთხოვნილებებსა და საჭიროებებს შორის, ღირებულებებსა და პასუხისმგებლობებს შორის ბალანსის გამონახვა. პოლიტიკა არის გადაწყვეტილების მიღების პროცესი, რომელიც პრობლემების გადაჭრასა და კონფლიქტების მოგვარებას ემსახურება; არ არსებობს არჩევანი, რომელიც გადაწყვეტილების არმიღებას გულისხმობს, ხოლო გადაწყვეტილების მიღება მსჯელობის გარეშე შეუძლებელია.

მზარდი კომპლექსურობა, რომელიც მოდერნიზაციის ეპოქაში ჩვენი საზოგადოების მახასიათებელს წარმოადგენს, ძალიან მაღალ მოთხოვნებს უყენებს „რიგითი მოქალაქის“ ანალიზისა და მსჯელობის კომპეტენციას. საკითხების პერსონალიზება - პოლიტიკური ლიდერების მიმართ ნდობის ან უნდობლობის გამოცხადება - არის ერთ-ერთი გზა ამ კომპლექსურობის შემსუბუქებისაკენ. განათლება, და არა მარტო დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წარმოადგენს იმ ძირითად საშუალებას, რომელიც მოქალაქეებს აძლევს შესაძლებლობას, მუდმივად იყვნენ ჩართული ისეთ საკითხებზე გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რომლებიც მათ ეხებათ.

3.4.2 უნარები

მოსწავლეებს უნდა გააჩნდეთ გონებრივი რესურსები - უნდა ფლობდნენ უნარებსა და ტექნიკას - რათა სისტემატურად იღებდნენ და იყენებდნენ ინფორმაციას და

დამოუკიდებლად აყალიბებდნენ თავიანთ მოსაზრებებს. ეს რესურსები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას:

- მიიღონ ინფორმაცია როგორც მედიის საშუალებით, ასევე, პირველწყაროდან, გამოცდილებითა და კვლევის საშუალებით - ბეჭდვითი და ელექტრონული მედიის გამოყენების, ინტერვიუებისა და კვლევების წარმოების, განსჯა-მსჯელობის და ა.შ. ტექნიკა;
- შეარჩიონ და დაიმახსოვრონ ინფორმაცია (კონსტრუქტივისტული სწავლა) - დაგეგმვის, დროის განსაზღვრის, კითხვის, ფიქრის, ჩანაწერების გაკეთების ტექნიკა;
- განსაზღვრონ, წარმოადგინონ, სხვებს გაუზიარონ და დაიცვან თავიანთი მოსაზრებები - გასავრცელებელი მასალის, პოსტერების, ნაშრომების, PowerPoint-ში მომზადებული პრეზენტაციების შექმნის, ლექციების, განხილვების, დებატების და ა.შ. მომზადების ტექნიკა (ერთობლივი კონსტრუქტივისტული სწავლა და დეკონსტრუქცია);
- გაიაზრონ სწავლისა და შეძენილი ცოდნის გამოყენების პროცესები და შედეგები.

ეს უნარები, მნიშვნელოვანწილად, საჭიროა არა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, არამედ, ზოგადად, სკოლაში. მათი საშუალებით შესაძლებელი ხდება მოსწავლეების მომზადება სწავლის უფრო მაღალი საფეხურისათვის და კვალიფიციური სამუშაო ადგილებისათვის. ამ ფორმალური, კონტექსტს მოცილებული უნარების განვითარება, დისციპლინათშორისი წვრთნის საშუალებით, აუცილებელიც არის და შესაძლებელიც.

3.4.3 მოქმედებისათვის მზადყოფნა

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას მოსწავლეებისათვის ფორმალური უნარების გამომუშავება ხელს უწყობს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის მიზნით სწავლას, მაგრამ მხოლოდ ამით შემოფარგვლა არ არის საკმარისი. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში სკოლა მიჩნეულია მიკროსაზოგადოებად, სადაც მოსწავლეები თავიანთი გამოცდილებით სწავლობენ, თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა

საზოგადოებრივ და პოლიტიკურ პროცესებში. კომპეტენციები, რომლებიც სკოლაში გამომუშავდება, მოიცავს:

- საკუთარი სურვილებისა და მოთხოვნილებების გაცნობიერებას, საკუთარი ინტერესების გარკვევასა და წინ წამოწევას;
- ხმის მიცემას, არჩევნებში მონაწილეობას ამომრჩევლისა და კანდიდატის ფუნქციებით (კლასის წარმომადგენლების არჩევა);
- მოლაპარაკებების წარმოებასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში მონაწილეობას;
- გადაწყვეტილებების მიღების პროცესზე ზემოქმედებას ინფორმირებულობის დონის ამაღლებით, ლობირებითა და კოლექტიური აქტივობით;
- წესებისა და სანქციების ჩარჩოების არსებობის აუცილებლობის გაცნობიერებასა და სათანადოდ შეფასებას.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება და, ზოგადად, სკოლა გადამწყვეტ როლს თამაშობს მოსწავლეებისათვის სწავლის შესაძლებლობების შექმნის თვალსაზრისით, რათა მათ, აქ მიღებული განათლების გამოყენებით, თავიანთი წვლილი შეიტანონ იმ საზოგადოების წინსვლაში, რომელსაც ეკუთვნიან. თუმცა სკოლას მოსწავლეების მიერ ამოცანებისათვის თავის გართმევისა და მათი კომპეტენციების განვითარების შეფასების საკუთარი საზღვრები გააჩნია. შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების გამოვლენის შესაძლებლობები სკოლის ფარგლებს სცდება, გადადის ფართო საზოგადოებაში და გრძელდება მოზრდილობის პერიოდში. შემდგომში რთულია და უფრო მეტად შეუძლებელია სწავლის შედეგების დაკავშირება სკოლაში შეძენილ ცოდნასა და უნარებთან.

3.4.4 პიროვნული და სოციალური კომპეტენციები

კომპეტენციის ცნება გარკვეულწილად რთულდება, როდესაც ღირებულებებისა და დამოკიდებულებების განზომილებას ესადაგება. მეორე მხრივ, ამ მიმართულებით მნიშვნელოვანია ის, თუ როგორ ართმევს თავს მოსწავლე დავალებას, როგორ იქცევა იგი და, აქედან გამომდინარე, მოქმედებისათვის მზადყოფნა შესაძლებელია მიჩნეულ იქნეს კომპეტენციად. კომპეტენციის განვითარების ეს განზომილება ესადაგება

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საშუალებით“ სწავლას. იგი მოიცავს შემდეგს:

- საკუთარ თავსა და შესაძლებლობებში დარწმუნებულობა და თვითშეფასება;
- თანაგრძნობა;
- ურთიერთპატივისცემა;
- კომპრომისზე წასვლის აუცილებლობის გაცნობიერება;
- პასუხისმგებლობა;
- ადამიანის უფლებათა გაცნობიერება, როგორც საერთო ღირებულებებისა, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელი ხდება მშვიდობის, სამართლიანობისა და სოციალური ერთობის შენარჩუნება.

3.5 მასწავლებელთა კომპეტენციები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელი მასწავლებელი განსაზღვრულ კომპეტენციებს უნდა ფლობდეს, რათა მან საკუთარ მოსწავლეებს ადეკვატური სასწავლო გარემო შესთავაზოს.

მასწავლებელთათვის განკუთვნილი ინსტრუმენტების ჩამონათვალი შეიცავს ინსტრუმენტს, რომელიც მასწავლებლებს ეხმარება, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას, კომპეტენციებზე ორიენტირებული მიზნების დასახვაში, რაზეც წინამდებარე თავის შესავალშია საუბარი. დამატებითი ინფორმაციის მისაღებად შეგიძლიათ იხილოთ ევროპის საბჭოს გამოცემა: რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად: მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო (სტრასბურგი, 2009 წელი).

4. „ჩვენ ვქმნით მსოფლიოს ჩვენს გონებაში“: კონსტრუქტივისტული მიდგომა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისადმი[16]

როდესაც წიგნში რაიმე ამბავს ვკითხულობთ, ჩვენს წარმოსახვაში ფილმის მსგავსი რამ იქმნება. ვამატებთ დეტალებს ან სცენებს, რომლებზეც ავტორი მიგვანიშნებს, ან რომელზეც არაფერს ამბობს; შეგვიძლია, პერსონაჟთა სახეებიც კი შევქმნათ წარმოსახვაში. ზოგიერთი ისტორია იმდენად ღრმად აღწევს ჩვენში, რომ ამ ისტორიაზე გადაღებული ფილმის ნახვის შემდეგ იმედგაცრუებულები ვრჩებით, ვინაიდან წარმოსახვაში ჩვენ გაცილებით უკეთესი ფილმი შევქმენით, რომელიც უნიკალურია, ვინაიდან ყოველი ადამიანი თავის გონებაში ერთსა და იმავე ისტორიაზე სხვადასხვა „ფილმს“ ქმნის.

ეს არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეგვიძლია „შევქმნათ მსოფლიო ჩვენს გონებაში“. მსოფლიო, რომელშიც ჩვენ ვცხოვრობთ, არის ის მსოფლიო, როგორადაც ჩვენ მას აღვიქვამთ – იგი შედგება წარმოდგენებისა და გამოცდილებებისაგან, ცნებებისა და შეფასებებისაგან, რომელთა ავტორებიც ჩვენ თვითონ ვართ. სწავლისა და შემეცნების პროცესში ადამიანი ცდილობს, მისცეს ფორმა იმას, რაც მას ესმის და რასაც ის კითხულობს – მას სურს, კარგად გაიგოს ის, რასაც სწავლობს. ერთ-ერთმა მკვლევარმა, რომელიც ადამიანის ტვინს იკვლევდა, იგი დაახასიათა, როგორც „მანქანა, რომელიც მნიშვნელობების ძიებაშია“. რაღაც უნდა მოვუხერხოთ იმას, რაც აზრს არ ქმნის. თუ ინფორმაცია გამოტოვებულია, ჩვენ ან ვეძებთ მას, ან ვავსებთ ვარაუდით. სტერეოტიპები რთული საკითხების გამარტივებაში გვეხმარება“.[17]

მასწავლებლები გამოცდილებით აღმოაჩენენ ხოლმე, რომ როდესაც გაკვეთილს ატარებენ, ყოველი მოსწავლე ითვისებს და იმახსოვრებს სხვადასხვა გზავნილს. ზოგის მეხსიერებაში ინფორმაცია დიდხანს რჩება იმიტომ, რომ მისთვის ამ ინფორმაციას დიდი მნიშვნელობა ჰქონდა, ხოლო ზოგს იგივე ინფორმაცია მეორე დილით უკვე აღარ ახსოვს, ვინაიდან მისთვის ამ ინფორმაციას არ ჰქონდა მნიშვნელობა.

[16]მოცემულ საკითხზე სრულყოფილი ინფორმაციისათვის იხილეთ ამ სერიის IV წიგნი.

[17]იხ. როლფგოლობი / პიტერკრაფი (რედაქტორები) სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ, წიგნი III: ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი, 2008 წ. თავი 1, „სტერეოტიპები და ცრურწმენები.რა არის თვითმყოფადობა? როგორ აღვიქვამ სხვებს და როგორ აღმიქვამენ ისინი?“ გვ.19–38.

კონსტრუქტივისტული თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია, თუ რა ხდება მოსწავლის გონებაში.

კონსტრუქტივიზმი სწავლის პროცესს აღიქვამს, როგორც აბსოლუტურად ინდივიდუალურ პროცესს:

- მოსწავლეები აყალიბებენ მნიშვნელობას. ახალი ინფორმაცია უკავშირდება იმას, რაც მოსწავლემ უკვე იცის, ან რაც გაიგო.
- მოსწავლეებს, რომლებიც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე მოდიან, თავიანთი ინდივიდუალური ბიოგრაფია და გამოცდილება აქვთ.
- სქესი, კლასი, ასაკი, ეთნიკური წარმომავლობა თუ რელიგია ყოველ მათგანს ინდივიდუალურ თვალთახედვას უყალიბებს.
- ჩვენ ინტელექტის სხვადასხვა ფორმის მატარებელი ვართ, რაც სცდება საყოველთაოდ მიღებულ გაგებას იმის თაობაზე, მათემატიკაში ხარ ძლიერი თუ ენების ათვისებაში.[18]
- არ არსებობს პიროვნული თუ პოლიტიკური მართებულობის აბსოლუტური სტანდარტი. ადამიანისთვის პრობლემად იქცევა ის, რასაც იგი პრობლემად აღიქვამს, მსმენელის გონება ირჩევს, დაიმახსოვროს თუ დაივიწყოს ინფორმაცია.

კონსტრუქტივისტული სწავლა შეიძლება დავყოთ სამ ქვეკატეგორიად და ამ შემთხვევაში მასწავლებლის როლი მნიშვნელოვანია მოსწავლეთა მხარდაჭერის თვალსაზრისით.

4.1 მოსწავლეები აყალიბებენ მნიშვნელობას - ისინი აღმოაჩენენ და ქმნიან რაღაც ახალს

მასწავლებელს შეუძლია, შემდეგნაირად დაეხმაროს მათ:

- შექმნას სწავლის შესაძლებლობები;
- დაუსახოს რთული და სააზროვნო ამოცანა;
- მიაწოდოს ინსტრუქციები შესწავლის საგნის შესახებ, მედიასაშუალებების გამოყენებითა და ლექციებით;
- გაამხნეოს და ხელი შეუწყოს მოსწავლის თვითშეფასების ამაღლებას.

[18]იხ. ჰოვარდ გარდნერის ნაშრომი მრავალმხრივ ინტელექტზე.

4.2 მოსწავლეები ცდილობენ შესწავლილი მასალის რეკონსტრუქციას - იყენებენ შეძენილ ცოდნას პრაქტიკაში და სცდიან მას

ზოგადად, ყველა ჩვენგანი მიმართავს მსგავს ხერხს, მაგრამ სკოლაში ამ პროცესის ხელშემწყობი არის მასწავლებელი:

- მოსწავლეებს აძლევს მოსაზრებების გაზიარების, პრეზენტაციისა და დისკუსიის შესაძლებლობებს;
- ფორმალურად ატარებს ტესტირებებს და აფასებს მოსწავლეებს;
- მოსწავლეებს სთავაზობს ან სთხოვს პორტფოლიოს შექმნას;
- მოსწავლეებს აძლევს რთულ დავალებებს, მაგალითად, პროექტის სახით;

4.3 მოსწავლეები ცდილობენ საკუთარი ან ერთმანეთის შედეგების დეკონსტრუირებას, ან აკრიტიკებენ მათ

კრიტიკული შეფასებისა და ტესტირების ელემენტის გარეშე, სწავლების ნებისმიერი მცდელობა კარგავს მნიშვნელობას როგორც საზოგადოებისთვის, ასევე, თავად მოსწავლისთვის. აქ კი სწავლა მოიცავს სოციალურ განზომილებასაც.

5. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ჩართულ მასწავლებელთა პროფესიული ეთიკა: სამი პრინციპი

თუ მოსწავლეები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე თავიანთი შეხედულებებით მოდიან, ხოლო გაკვეთილების შემდეგ ყველანი მასწავლებლის შეხედულებას იზიარებენ, ეს უკვე პრობლემაზე მიუთითებს. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელმა მასწავლებელმა არ უნდა მოახდინოს გავლენა მოსწავლეებზე, იმ შეხედულებებისა და ღირებულებების ჩანერგვის მიზნით, რომელსაც თავად მასწავლებელი იზიარებს. სკოლები საჯარო დაწესებულებებს წარმოადგენს და რასაც მშობლები და მთლიანად საზოგადოება ელის მასწავლებლისაგან, არის ის, რომ მასწავლებლები ბოროტად არ გამოიყენებენ თავიანთ პოზიციას და ხელს არ მიჰყოფენ მათი შვილების ინდოქტრინაციას.

აქედან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელი მასწავლებლის პროფესიულ ეთიკას გადამწყვეტი როლი ენიჭება ამ სწავლების წარმატებით გახორციელებაში და, ზოგადად, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სასკოლო პროგრამაში ჩართვის გამართლების თვალსაზრისით. შესაძლებელია გამოვყოთ მასწავლებელთა ეთიკის სამი ძირითადი პრინციპი, რომელთა ჩამოყალიბებაც უკავშირდება,1970-იან წლებში ამ საკითხის ირგვლივ გერმანიაში გამართულ დებატებს.[19]

5.1 ინდოქტრინაციის დაუშვებლობის პრინციპი

მასწავლებლის მხრიდან დაუშვებელია მოსწავლეთა ინდოქტრინაციის ნებისმიერი მცდელობა, რომელიც მიზნად ისახავს იმას, რომ მოსწავლეებმა მასწავლებლისათვის მისაღები მოსაზრება გაიზიარონ, მაგალითად, პოლიტიკური მართლზომიერების შესახებ. ამ მიზნით, დაუშვებელია მასწავლებლის მცდელობა, გააჩუმოს ან „ჩაახშოს“ ნებისმიერი მოსწავლე, საწინააღმდეგო მოსაზრების არგუმენტებით. პირიქით, მასწავლებელმა მოსწავლეებს საკითხზე თავისუფლად მსჯელობის საშუალება უნდა მისცეს, ყოველგვარი ჩარევისა და დაბრკოლებების გარეშე. მასწავლებლის მხრიდან

[19]იხილეთ, “Der Beutelsbacher Konsens” (www.lpb-bw.de).

მოსწავლეთა ინდოქტრინაციის ნებისმიერი მცდელობა ეწინააღმდეგება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებასა და მის მიზნებს, რომელიც ემსახურება ისეთი მოქალაქეების აღზრდას, რომელთაც ექნებათ სურვილი და მზადყოფნა, მონაწილეობა მიიღონ და ჩაერთონ ღია და თავისუფალი, პლურალისტური, დემოკრატიული საზოგადოებების საქმიანობაში.

5.1.1 პრაქტიკული გამოსავალი

მასწავლებელი უნდა უძღვებოდეს დისკუსიებს, რომლებიც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე იმართება, მაგრამ არ უნდა იღებდეს მონაწილეობას მათში. მეორე მხრივ, თუ მოსწავლეები დაინტერესდებიან მასწავლებლის მოსაზრებით ამა თუ იმ საკითხის შესახებ, მასწავლებელმა უნდა გამოთქვას საკუთარი მოსაზრება. მოსწავლეებისათვის ნათელია, რომ მასწავლებელს, როგორც ნებისმიერ სხვა მოქალაქეს, საკუთარი პოლიტიკური შეხედულებები გააჩნია და, ძალიან ხშირად, მოსწავლეები ინტერესდებიან მასწავლებლის შეხედულებებით. ამასთან, საჭიროა მასწავლებელმა ნათელყოს, რომ იგი საუბრობს არა პროფესიონალის, არამედ მოქალაქის პოზიციიდან. ცხადია, მოსწავლეები უცნაურად ჩათვლიან იმ ფაქტს, რომ მათ მასწავლებელს არ გააჩნია საკუთარი მოსაზრება პოლიტიკასთან დაკავშირებით, მაშინ, როცა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე მათ, მოსწავლეებს, მუდმივად მოეთხოვებათ გამოთქვან თავიანთი მოსაზრებები.

მასწავლებლისათვის, რომლისთვისაც ადამიანის უფლებები შეუცვლელ ღირებულებას წარმოადგენს, ძნელი იქნება მოსწავლის მიერ რასიზმის ან ფუნდამენტალიზმის ელფერის მატარებელი ნებისმიერი მოსაზრებების მოსმენა. მაგრამ მასწავლებელმა საწინააღმდეგო მოსაზრებებითა და არგუმენტაციით კი არ უნდა ჩაახშოს მოსწავლეების მხრიდან გამოთქმული მსგავსი ელფერის მატარებელი მოსაზრებები, არამედ უნდა ეცადოს, მიხვდეს, რა დგას ამ მოსაზრებების უკან, რატომ ჩამოყალიბდა მისი მოსწავლის აზროვნებაში მსგავსი შეხედულება და უნდა გამოიწვიოს მოსწავლეები, რათა სხვაგვარად და სხვა კუთხით წაიყვანოს მათი აზროვნება, მაგრამ არა დოგმატური გზებით.

5.2 სადავო საკითხზე მსჯელობის პრინციპი

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე საჭიროა შემოტანილ იქნას აქტუალური და სადავო სამეცნიერო ან პოლიტიკური საკითხები. სადავო საკითხებზე მსჯელობა ინდოქტრინაციის დაუშვებლობის პრინციპით უნდა წარმოებდეს: იმ შემთხვევაში, თუ არ უსმენენ განსხვავებულ მოსაზრებებს, ხოლო ალტერნატიული მოსაზრებები უგულებელყოფილია, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას ინდოქტრინაციის ასპარეზად გადაქცევის პერსპექტივა ემუქრება. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე დაშვებულია კომპლექსურობა, კამათი და დაპირისპირებაც კი. მაგალითად, მიუხედავად იმისა, რომ ადამიანის უფლებები საყოველთაო უფლებებს წარმოადგენს, ინდივიდუალურად აღებული უფლებები შესაძლებელია ეწინააღმდეგებოდეს ერთმანეთს და ურთიერთგამომრიცხავიც კი იყოს.

პლურალისტულ საზოგადოებაში უთანხმოება, განსხვავებული ღირებულებები და ურთიერთგამომრიცხავი ინტერესები ჩვეულ წესს წარმოადგენს, და არა გამონაკლისს; და ამისათვის მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ გაართვან თავი მსგავს სიტუაციებს. დემოკრატიის პირობებში დებატები და განხილვები პრობლემების გადაჭრისა და კონფლიქტების მოგვარების საშუალებაა. შეთანხმება და გარკვეული ჰარმონია, რომელიც კომპრომისის საშუალებით მიიღწევა, მოლაპარაკებების შედეგს წარმოადგენს. ძალად თავს მოხვეული ჰარმონია, პრობლემური საკითხების ღიად განხილვის გარეშე, ჩახშობის ტენდენციის მანიშნებელია.

5.2.1 პრაქტიკული გამოსავალი

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე მასწავლებელმა, ამა თუ იმ საკითხთან დაკავშირებით, საჭიროა წარმოადგინოს, სულ მცირე, ორი მოსაზრება მაინც. მნიშვნელოვანია მოსაზრებათა შორის ბალანსის არსებობა (მაგალითად, ყველა მოსაზრება თანაბარი მოცულობის ტექსტის სახით უნდა იყოს წარმოდგენილი).

საერთო საკლასო განხილვის დროს, მასწავლებელმა გულდასმით უნდა მოისმინოს მოსწავლეების მიერ გამოთქმული განსხვავებული მოსაზრებები. თუ რომელიმე მოსაზრება მხოლოდ უმცირესობის მხრიდან გამოითქმება - ან თუნდაც არც ერთი მოსწავლე არ გამოთქვამს მას - მასწავლებელმა უნდა შემოიტანოს ეს მოსაზრება, პაექრობის სულისკვეთების შენარჩუნების მიზნით, მაგრამ, ამავე დროს, ნათლად უნდა განაცხადოს, რომ ამ შემთხვევაში იგი მხოლოდ გარკვეულ როლს ასრულებს და არ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას. მასწავლებელმა პაექრობაში მონაწილეობის საკუთარი სტილი მოსწავლეების მიერ წარმოებული პაექრობის სტილს უნდა შეუსაბამოს.

5.3 მოსწავლეთა წახალისება, რათა მათ თავიანთი ინტერესების წარმოჩენა და წინ წამოწევა შეძლონ

მოსწავლეები უნდა ფლობდნენ პოლიტიკური სიტუაციის ანალიზის უნარს, უნდა შეეძლოთ თავიანთი ინტერესების ამოცნობა და იმ გზებისა და საშუალებების გამონახვა, რომლითაც ზემოქმედებას მოახდენენ შექმნილ სიტუაციაზე, საკუთარი ინტერესების სასარგებლოდ შეცვლის მიზნით. ეს მიზანი მოითხოვს მოსწავლეების წვრთნას, მოქმედებების განხორციელებისა და მონაწილეობისათვის საჭირო უნარებისა და კომპეტენციების გამომუშავება-გამტკიცების მიზნით. ამის მიღწევა მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ დაცული იქნება ზემოთ მოყვანილი ორი პრინციპი, რომელიც გულისხმობს ინდოქტრინაციის დაუშვებლობასა და სადავო საკითხებზე მსჯელობას. მოცემული პრინციპი არ უნდა იქნას არასწორად გაგებული და მიჩნეული, როგორც ეგოიზმის გაღვივებისა და პასუხისმგებლობების უგულებელყოფის პრინციპი. ნებისმიერი საზოგადოება სწორედ ამ ღირებულებებს ემყარება, მაგრამ, ამ კონკრეტულ შემთხვევაში, მასწავლებელმა არ უნდა მოუწოდოს მოსწავლეებს თავიანთი მოვალეობებისა და პასუხისმგებლობების შესრულებისაკენ, რათა ამით ხელი არ შეუშალოს მოსწავლეების მიერ თავიანთი ინტერესების წარმოჩენისა და დაცვის მცდელობას.

5.3.1 პრაქტიკული გამოსავალი

სკოლა წარმოადგენს მიკროსაზოგადოებას, სადაც მოსწავლეები სწავლობენ საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილეობას. ამის განხორციელება სხვადასხვა

საშუალებით არის შესაძლებელი, დაწყებული საკლასო ოთახიდან, სადაც მოსწავლეები მათთვის საინტერესო განსახილველი თემის შერჩევასა და გაკვეთილის დაგეგმვაში მონაწილეობენ, და დამთავრებული სკოლის დემოკრატიული პრინციპებით მართვაში მონაწილეობითა (სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის „საშუალებით“) და აქტივობებით.

ამოცანასა და პრობლემაზე ორიენტირებული სწავლა ხელს უწყობს მოსწავლეებში დამოუკიდებელი განსჯა-მსჯელობისა და გადაწყვეტილებების მიღების უნარების განვითარებას.

6. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი ცნებები

6.1 რისთვის არის საჭირო დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი ცნებები

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება წარმოადგენს კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესს.[20] მოსწავლეები, ინფორმაციის ცნებებთან დაკავშირების საშუალებით, ქმნიან ან აყალიბებენ მნიშვნელობასა და აღქმას. სწავლა და აზროვნება კონკრეტულ და აბსტრაქტულ დონეებზე განიხილება. აბსტრაქტული აზროვნება ემყარება ცნებებს. საერთო ცნებების გარეშე, რომელთა მნიშვნელობები ჩვენთვის გასაგებია და რომელთა განმარტებებზეც ვთანხმდებით, შეუძლებელი იქნება აზრების გაცვლა-გამოცვლა და გაზიარება, ან დებატები, განხილვები და მსჯელობა.

აქედან გამომდინარე, ცნებები მეტად აუცილებელია, როგორც კონსტრუქტივისტული სწავლის, ასევე, საბოლოო ჯამში, პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების პროცესში. რომელი ცნებები უნდა ავირჩიოთ? ჩვენ პლურალისტულ საზოგადოებებში ვცხოვრობთ, რაც იმას ნიშნავს, რომ ინდივიდუალური პიროვნებები და ჯგუფები აყენებენ სხვადასხვა და, ზოგ შემთხვევაში, ერთმანეთის საწინააღმდეგო ინტერესებსა და ღირებულებებს. უფრო მეტიც, ფილოსოფია და სოციალური მეცნიერება მოიცავს სხვადასხვა, მათ შორის, არაერთაზროვან და საკამათო მიდგომებს. მაშასადამე, შეუძლებელია ძირითადი ცნებების მოპოვება რომელიმე ერთი წყაროდან. კონსტრუქტივისტულ სწავლაში, რომელიც კომპეტენციების განვითარებაზეა ორიენტირებული, ცნებებს გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება; სამოქალაქო განათლების სფეროში მიმდინარეობს ცნების მოდელების განხილვა. ჩვენ მივიჩნევთ, რომ ჩვენ მიერ შემოთავაზებული მოდელი წარმოადგენს ერთ-ერთ შესაძლო მიდგომას.

ჩვენ შევარჩიეთ შემდეგი ჩამონათვალი, სადაც მოცემულია ცხრა ძირითადი ცნება, რომელიც უკავშირდება როგორც მოსწავლეების მიერ მიკროსაზოგადოებაში მიღებულ გამოცდილებას, ასევე, ზოგადად, პოლიტიკურ საზოგადოებას:

[20] იხილეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს ნაწილი 1, თავი 3, კონსტრუქტივისტული სწავლის შესახებ.

— ინდივიდუალობა;

— მრავალფეროვნება და პლურალიზმი;

— პასუხისმგებლობა;

— კონფლიქტი;

— წესები და კანონი;

— მმართველობა და პოლიტიკა;

— თანასწორობა და თავისუფლება;

— მედია.

ძირითადი ცნებები ქმნის სპირალურ სასწავლო პროგრამას, სადაც ყურადღება სკოლის საზოგადოებიდან (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის განკუთვნილი წიგნი II) პოლიტიკურ საზოგადოებაზე (ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის განკუთვნილი წიგნი IV) გადადის და სადაც წიგნი III მოიცავს ორივე ასპექტს (იხ. წინამდებარე სახელმძღვანელოს ნაწილი 1, თავი 4). დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების ცნებები - დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი ცნებები - მოიცავს ზემოთ ჩამოთვლილ ცხრა ძირითად ცნებას; წინამდებარე სახელმძღვანელოში თითოეული ცნება განხილულია ცალკე ქვეთავში. შესაძლებელი და აუცილებელია, ამ ცხრა ცნებიდან თითოეული მათგანი დანარჩენ ცნებებთან და კატეგორიებთან დავაკავშიროთ, მოსწავლეების ასაკისა და შესწავლის საგნის გათვალისწინებით. მოცემულ გამოცემათა სერიაში შემავალ სამივე წიგნში შესულია ცხრა მოდელი, ცალკე თავების სახით, რომელთაგანაც თითოეული შედგება ოთხი გაკვეთილისაგან და მოიცავს ძირითად ცნებათა ერთსა და იმავე ნაკრებს. მაგრამ მოცემული ცნებები სხვადასხვა წიგნში სხვადასხვანაირად არის წარმოდგენილი, რაც არის მაგალითი იმისა, თუ როგორ შეიძლება ერთი და იგივე ცნების მორგება მოსწავლეების აღქმის დონესა და ასაკობრივ ჯგუფზე. ორი ან სამი წიგნის კომბინირებით (ვერტიკალური თანწყობით), შესაძლებელია მივიღოთ კონკრეტული ძირითადი ცნების კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესი. ამავე დროს, ძირითადი ცნებების ჰორიზონტალური თანწყობით

ვიღებთ აღქმის ქსელს. ცნებათა თანწყობა მიახლოებით განისაზღვრება იმის მიხედვით, თუ პოლიტიკის[21] რომელ განზომილებას გულისხმობს ეს ცნებები.

6.2 ძირითად ცნებათა არსი

წინამდებარე სახელმძღვანელოს მოცემულ ნაწილში მოკლედ არის ჩამოყალიბებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში შესული ცხრა ძირითადი ცნების არსი, აღწერილია მათი მნიშვნელობა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, მიკრო და მაკრო დონეებზე (სკოლის საზოგადოებასა და პოლიტიკურ საზოგადოებაში).

6.2.1 ინდივიდუალობა

წარმოადგენს რა ბუნებრივად მინიჭებულ უფლებებს, ადამიანის უფლებები კონცენტრირებულია ინდივიდუალურ პიროვნებაზე. ყველა ადამიანს გააჩნია ღირსება და უფლება, იყოს თავისუფალი და ისარგებლოს მისთვის მინიჭებული უფლებით, რომელიც მას დისკრიმინაციისაგან იცავს. სახელმწიფო არსებობს იმისათვის, რომ ემსახუროს პიროვნებას, და არა პირიქით. პირადი თავისუფლება პიროვნებას აძლევს საკუთარი პიროვნების თავისუფლად განვითარების უფლებას, მათ შორის, ცხოვრების ძირითადი ასპექტების არჩევანის თავისუფლებას, როგორიცაა ღირებულებები, პარტნიორი, პროფესია და არჩევანი, იყოლიოს თუ არა შვილები. თანამედროვე სამოქალაქო საზოგადოებაში პირადი თავისუფლება გამოწვევას წარმოადგენს, ვინაიდან კავშირების შესუსტება (ოჯახი, რელიგია და ა.შ.) ნიშნავს არჩევანის გაკეთებას. ჩვენი არჩევანი გავლენას ახდენს სხვებზე და პირიქით, სხვების არჩევანი გარკვეული შედეგების მომტანია ჩვენთვის; აქედან გამომდინარე, ჩვენი, როგორც პიროვნებების, ჩამოყალიბებისას, ჩვენ გარკვეული ვალდებულებებიც გვეკისრება. სასკოლო საზოგადოებაში მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ გამოცდილებებს და ცხოვრებისეული არჩევანის გაკეთებისათვის ემზადებიან, რომელიც ყველა ახალგაზრდა პიროვნებამ უნდა გააკეთოს, როგორიცაა სწავლის გაგრძელება და კარიერა.

[21]პოლიტიკის სამი ძირითადი განზომილების შესახებ დამატებითი ინფორმაციისათვის იხილეთ ამავე სახელმძღვანელოში მოცემული სამუშაო ფურცელი (როგორ შემოვიტანო პოლიტიკა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე?).

ინდივიდუალობის ცნება მჭიდროდ უკავშირდება მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის, თავისუფლების, თანასწორობისა და პასუხისმგებლობის ცნებებს.

6.2.2 მრავალფეროვნება და პლურალიზმი

თანამედროვე საზოგადოებები პლურალისტულ საზოგადოებებს წარმოადგენს. პიროვნებები, რომლებიც სარგებლობენ უფლებით, იყვნენ თავისუფალი, თავად ქმნიან პლურალისტულ საზოგადოებას - ინდივიდუალურ პიროვნებათა დიდი რაოდენობა, რომელთაც განსხვავებული ცხოვრების სტილი, პრიორიტეტები და ინტერესები გააჩნიათ, ხელმისაწვდომი მატერიალური რესურსებით (შემოსავალი, ქონება) უზრუნველყოფილი ან მატერიალურ რესურსებს მოკლებული. მრავალფეროვნება გულისხმობს განსხვავებებს, რომელიც მოიცავს სქესს, ეთნიკურ წარმოშობას, კლასს, განათლების დონეს, რეგიონს, რელიგიურ აღმსარებლობასა და ღირებულებებს. მისი წევრების წინაშე პლურალისტული საზოგადოება პრობლემას აყენებს: რა ღირებულებები უნდა აღიარონ ერთი საზოგადოების წევრებმა? ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საზოგადოებების სტაბილურობას განაპირობებს პირობები, რომელთა უზრუნველყოფაც არ შეუძლია დემოკრატიულ სახელმწიფოს (თავისუფლებისა და სტაბილურობის დილემა). იგივე სიტუაცია მეორდება სკოლაში, სადაც მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, თუ როგორ მიიღონ და როგორ გაუმკლავდნენ მრავალფეროვნებასა და პლურალიზმს, რაც მათთვის გამოწვევაა - საჭიროა ამ გამოწვევასთან გამკლავება, რომელიც მოიცავს შესაძლებლობებთან დაკავშირებულ პრობლემებსა და რისკებს.

მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის ცნება მჭიდროდ უკავშირდება მმართველობისა და პოლიტიკის, თავისუფლების, კონფლიქტისა და პასუხისმგებლობის ცნებებს.

6.2.3 პასუხისმგებლობა

თავისუფლება არის ის, რითაც ყველამ უნდა ისარგებლოს და, აქედან გამომდინარე, საჭიროა, ყველამ მიიღოს და აღიაროს გარკვეული შეზღუდვები. მაგალითად, საკლასო გარემოში ყველა მოსწავლეს თანაბარი დრო უნდა დაეთმოს საკუთარი აზრის გამოსათქმელად და, ასევე, ყოველი მათგანი თანაბარ ყურადღებას საჭიროებს. თავისუფალი ვაჭრობისა და კონკურენციის პრინციპებზე დაფუძნებულ

საზოგადოებაში შემოსავლებისა და კეთილდღეობის არათანაბარი გადანაწილება საფუძველს უდებს თავისუფლებით სარგებლობის შესაძლებლობების არათანაბარ გადანაწილებას. დემოკრატიულ საზოგადოებაში უმრავლესობის ძალაუფლება უნდა რეგულირდებოდეს უმცირესობის ინტერესთა დაცვისა და სოციალური ერთობის უზრუნველყოფით.

თავისუფლებასა და თანასწორობას შორის ბალანსის დაცვა შესაძლოა სირთულეებთან იყოს დაკავშირებული. მათ შორის, წონასწორობის დაცვის ერთ-ერთ საშუალებას პიროვნებების პასუხისმგებლობა წარმოადგენს, ისევე, როგორც სავალდებულო ხასიათის პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღება; ორივე აუცილებელი მეთოდია, ვინაიდან ორივე მათგანს საკუთარი შეზღუდვები აქვს. კანონი ვერ უზრუნველყოფს ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში მიმდინარე მოვლენების რეგულირებას, და ჩვენს ცხოვრებაზე სრული კონტროლის სახელმწიფო ხელისუფლებისათვის გადაცემა შეუძლებელი და არასასურველია. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საზოგადოება მისი მოქალაქეების მზადყოფნასა და უნარზეა დამოკიდებული, რათა მათ აიღონ პასუხისმგებლობა თავიანთ ქმედებებსა და სხვათა საჭიროებებზე.

პასუხისმგებლობა მჭიდროდ უკავშირდება თავისუფლების, თანასწორობის, ინდივიდუალობის, წესებისა და კანონების თუ კონფლიქტის ცნებებს.

6.2.4 კონფლიქტი

მოსაზრებათა სხვადასხვაობა, ურთიერთსაწინააღმდეგო მოთხოვნები და ინტერესები და კონფლიქტები ადამიანის ცხოვრების ნაწილს შეადგენს და ეს განსაკუთრებით ეხება პლურალისტურ საზოგადოებებს. ბევრი ადამიანი კონფლიქტს საზიანო მოვლენად აღიქვამს, რომელიც წინ ეღობება ჰარმონიულ თანაარსებობას და მიიჩნევს, რომ საჭიროა მისი აღკვეთა ან ჩახშობა. თუმცა არ არის აუცილებელი, კონფლიქტი ზიანისმომტანი იყოს, ზიანისმომტანი შეიძლება იყოს ზოგიერთი ის საშუალება, რომელიც მასთან გასამკლავებლად გამოიყენება. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების სწავლების პროცესში მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, რომ პროცედურული წესების ფარგლებში, რომელსაც ზურგს უმაგრებს ურთიერთპატივისცემის პოლიტიკური კულტურა, დასაშვებია როგორც უთანხმოებები, ასევე, კამათი. ინდივიდუალურ პიროვნებებსა და ჯგუფებს შეუძლიათ გამოთქვან თავიანთი

ინტერესები და მათი მხრიდან ეს აუცილებლობასაც წარმოადგენს, რათა მათი ინტერესები იყოს გათვალისწინებული. თუმცა ამის შემდგომ გამართული დისკუსიებისა და მოლაპარაკებების დროს ყოველი მხარე მზად უნდა იყოს დათმობაზე წასასვლელად. საკუთარი ინტერესების მიმართ ამგვარი დიალექტიკური და კონსტრუქციული დამოკიდებულების გარეშე, კომპრომისის მიღწევა შეუძლებელია.

პრინციპში, ნებისმიერი კონფლიქტი რესურსების გადანაწილების შესახებ, რომელიც რიცხვების დონეზე შეიძლება იქნას დაყვანილი, შეიძლება კომპრომისის საშუალებით მოგვარდეს. მეორე მხრივ, იდეოლოგიის, ღირებულებების ან თუნდაც ეთნიკურ ნიადაგზე წარმოქმნილი კონფლიქტების მოგვარება კომპრომისით შეუძლებელია. აქედან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის სასიცოცხლოდ აუცილებელ ფაქტორს წარმოადგენს ურთიერთპატივისცემაზე დამყარებული, ცივილიზებული, კონფლიქტების არაძალადობრივი გზებით მოგვარების კულტურა. სკოლაში, ისევე როგორც ნებისმიერ სამსახურსა თუ საზოგადოებაში, კონფლიქტი აუცილებლად იჩენს თავს, რაც მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ისწავლონ მისი მშვიდობიანად მოგვარების გზები და არ შეუშინდნენ მას.

კონფლიქტი მჭიდროდ უკავშირდება მრავალფეროვნებისა და პლურალიზმის, მმართველობისა და პოლიტიკის, წესებისა და კანონებისა და პასუხისმგებლობის ცნებებს.

6.2.5 წესები და კანონი

კანონები დემოკრატიული, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული საზოგადოების ფორმალურ ინსტიტუციურ ჩარჩოებს ქმნის. კანონებს ყველა უნდა ემორჩილებოდეს, ვინაიდან მათი დამტკიცება უმრავლესობის პრინციპით წარმოებს, ჩვეულებრივ, საპარლამენტო კენჭისყრის საშუალებით, რომელიც, თავის მხრივ, საპარლამენტო არჩევნებში უმრავლესობის ხმებს ემყარება, მაგრამ კანონის დამტკიცება შესაძლებელია პლებისციტის საშუალებითაც. კანონებში ასახული უნდა იყოს ადამიანის უფლებები, ისინი ადამიანის უფლებების დაცვას უნდა უზრუნველყოფდნენ, მათში ჩადებული უნდა იყოს კონფლიქტის მოგვარებისა და პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესუალური წესები. წესები იმავე მიზანს ემსახურება, მაგრამ ისინი სხვა უწყებების

მიერ შემუშავდება და შეიძლება არსებობდეს როგორც წერილობითი დოკუმენტის სახით, ასევე დაუწერელი წესის სახით.

ჩვენ მოგვეთხოვება, დავმორჩილდეთ კანონს, მაგრამ რა ხდება, როდესაც კანონს არასამართლიანად თუ უსამართლოდ მივიჩნევთ? სამოქალაქო დაუმორჩილებლობის გამო, სოციალური და საკანონმდებლო რეფორმების გატარების მრავალი შემთხვევა არსებობს: მოქალაქეები შეგნებულად არღვევდნენ კანონს, რათა გამოეხატათ თავიანთი უარყოფითი დამოკიდებულება კანონისადმი, რომელიც, მათი თვალსაზრისით, უსამართლო იყო ან არღვევდა ადამიანის უფლებებს, ამ შემთხვევებში,მათ მიზანს წარმოადგენდა გადაწყვეტილების მიღწევა მოქმედ კანონში ცვლილების შეტანის შესახებ.

მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ და აცნობიერებდნენ თავისუფლების უფლებებსა და ინსტიტუციურ ჩარჩოებში მათ დაცვასა და შეზღუდვას შორის არსებულ დიალექტიკურ მიმართებას. ამ ჩარჩოების არარსებობის შემთხვევაში, თავისუფლება ანარქიად გადაიქცევა, ხოლო ანარქია, თავის მხრივ, ძალადობის გაბატონების საფუძველს წარმოადგენს. ამოცანაზე ორიენტირებული სწავლისას, მოსწავლეები ამ პრინციპს სკოლის მაგალითზე გამოცდიან. მკაცრად განსაზღვრული ამოცანა, დროის ლიმიტი და წესები არ ახშობს მოსწავლეთა შემოქმედებით უნარს, არამედ პირიქით, გაჰყავს ისინი თავისუფლებისა და შემოქმედებითი მოღვაწეობის შესაძლებლობებით სავსე ასპარეზზე. მოსწავლეებს ასევე შეუძლიათ, მონაწილეობა მიიღონ სკოლაში მოქმედი იმ კანონების რეფორმირებაში, რომლებიც არ ეფუძნება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა ღირებულებებს.

წესები და კანონები მჭიდროდ უკავშირდება კონფლიქტის, თავისუფლებისა და თანასწორობის ცნებებს.

6.2.6 მმართველობა და პოლიტიკა

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლებაში პოლიტიკის ცნება კონცენტრირებულია პოლიტიკის, როგორც კონფლიქტის მოგვარებისა და პრობლემების გადაჭრის პროცესის ასპექტებზე. მმართველობა პოლიტიკის ინსტიტუციურ ასპექტს ქმნის, რაც პოლიტიკური გადაწყვეტილებების მიღების

ინსტიტუციურ ჩარჩოებს გულისხმობს. სკოლის დემოკრატიული მმართველობა მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, ისწავლონ, თუ როგორ მოახდინონ ზემოქმედება და მიიღონ მონაწილეობა გადაწყვეტილების მიღების პროცესებში, რაც საზოგადოების მოწყობასა და მისი მიზნების განსაზღვრას ემსახურება. პოლიტიკური ციკლის მოდელის მისადაგება შესაძლებელია გადაწყვეტილების მიღების პროცესებისადმი, როგორც მიკრო, ასევე, მაკრო დონეზე, ანუ როგორც სკოლის საზოგადოებაში, ასევე, ფართო პოლიტიკურ საზოგადოებაში (როგორც რეგიონულ, ისე ეროვნულ დონეებზე). მედია გადამწყვეტ როლს თამაშობს პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართული პირების კონტროლის თვალსაზრისით, ისევე, როგორც დღის წესრიგის დადგენის კონტროლის თვალსაზრისით. იგივე პრინციპი მოქმედებს სკოლებში, როგორც ეს წინამდებარე სახელმძღვანელოთა კრებულის (წიგნი II და წიგნი IV) იმ თავებიდან ირკვევა, რომლებიც მედიას ეძღვნება.

მმართველობისა და პოლიტიკის ცნებათა წყვილიდან თითოეული, პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების სხვადასხვა გარემოებებს უკავშირდება. მმართველობა წარმოადგენს იერარქიულ, ინსტიტუციურ განზომილებას, პოლიტიკაც მოიცავს არაფორმალურ, იერარქიულ, ინსტიტუციურ განზომილებას - უფრო ფართო გაგებით, მაგრამ პროცედურათა რეგულირების ნაკლები დოზით. პოლიტიკის არაფორმალური, დამატებითი მხარე მნიშვნელოვანია ინსტიტუციური სისტემის ეფექტურობის თვალსაზრისით. როგორც სკოლაში, ასევე, პოლიტიკაში, ინსტიტუტებს არ შესწევთ ყველა პრობლემასთან გამკლავება და ყველა საკითხის მოგვარება და, ამრიგად, პიროვნებებს შორის დავისა და კონფლიქტის მოგვარება მოქალაქეების კომპეტენციაში შედის.

მმართველობა და პოლიტიკა მჭიდროდ უკავშირდება კონფლიქტის, წესებისა და კანონის, პასუხისმგებლობისა და მედიის ცნებებს.

6.2.7 თანასწორობა და თავისუფლება

ძირითადი ცნებები, როგორიცაა თანასწორობა და თავისუფლება, მოცემულ კონტექსტში ერთად განიხილება, ორი მიზეზის გამო.

პირველი, ადამიანის ღირსება ადამიანის უფლებათა ძირითად და ამოსავალ ღირებულებას წარმოადგენს. სამართლიანობის ორი ძირითადი პრინციპი, რომელსაც ადამიანის ღირსება ეყრდნობა, სამართლებრივი თვალსაზრისით, არის თანასწორობა (დისკრიმინაციის დაუშვებლობა) და თავისუფლება (რომელიც მიიღწევა მოქალაქეების მიერ სამოქალაქო და პოლიტიკური უფლებებით სარგებლობისას). ადამიანის ღირსებას შელახვის საფრთხეს უქმნის დისკრიმინაცია და თავისუფლების აღკვეთა. ადამიანის უფლებათა შესახებ არსებული შეთანხმებების პირველ ორ ვარიანტში ყურადღება გამახვილებული იყო თავისუფლების უფლებასა და თანაბარი გადანაწილებისა და თანაბარი შესაძლებლობების ასპექტებზე.

მეორე, შესაძლებელია გაჩნდეს ერთგვარი წინააღმდეგობა თავისუფლებასა და თანასწორობას შორის. მაგალითად, გამოხატვის თავისუფლება გულისხმობს, რომ მოსწავლეს უნდა მიეცეს შესაძლებლობა, კლასის წინაშე გამოთქვას საკუთარი მოსაზრება, რომელიც, მისი თვალსაზრისით, ჭეშმარიტებას შეესაბამება. მეორე მხრივ, თანაბარი შესაძლებლობები ყველა მოსწავლისათვის გულისხმობს, რომ აზრის გამოხატვისათვის გამოყოფილი დრო სამართლიანად და თანაბრად უნდა იყოს განაწილებული ყველა მოსწავლეს შორის. ინდივიდუალური მოსწავლისათვის ამან შეიძლება შეადგინოს ერთი ან ორი წუთი, ვიდრე სიტყვა გადაეცემა შემდეგ მოსწავლეს. ამგვარად, აზრის გამოხატვის თავისუფლება ერთგვარ შეზღუდვასაც მოითხოვს, რაც, შესაძლებლობების ფარგლებში, მკაცრი უნდა იყოს, რათა ყველა მოსწავლეს მიეცეს საშუალება, მონაწილეობა მიიღოს დებატებში. ის, თუ რამდენად ზარალდება ინდივიდუალური მოსწავლე, მსგავსი შეზღუდვის გამო, დამოკიდებულია იმაზე, თუ რამდენად ლაკონურად და ნათლად შეძლებს იგი საკუთარი აზრის ჩამოყალიბებას. ქედან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებში, მოსწავლეებს სჭირდებათ ისეთი კომპეტენციების განვითარება, რომლებიც ხელს შეუწყობს აზრის გამოხატვის თავისუფლებასა და თანაბარ შესაძლებლობებს შორის წონასწორობის დაცვას. ასეთი კომპეტენციები მოიცავს ენობრივ კომპეტენციებს, განსახილველი საკითხის ნათლად გაცნობიერების კომპეტენციას და იმ წესების ჩარჩოების გაცნობიერებას, რომელიც ემსახურება თავისუფლებასა და თანასწორობას შორის წონასწორობისა და ბალანსის შენარჩუნებას.

მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ,თუ როგორ ისარგებლონ მათთვის მინიჭებული თავისუფლების უფლებებით, მაგალითად, აზრის თავისუფლების, გამოხატვის თავისუფლების და ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თავისუფლების უფლებებით. მათ ასევე უნდა ისწავლონ, თუ როგორ უნდა აღკვეთონ და არ დაუშვან დისკრიმინაციის ნებისმიერი გამოვლინება, მათ წინააღმდეგ იქნება ეს მიმართული, თუ სხვების წინააღმდეგ. მასწავლებელი კარგად უნდა აცნობიერებდეს მოსწავლეების სწავლის შესაძლებლობებსა და პირობებს შორის სხვაობებს, რომელიც მომდინარეობს ისეთი ფაქტორებიდან, როგორიცაა მშობლების შემოსავალი და მათი განათლების დონე, ან კულტურული და ეთნიკური წარმომავლობა. სკოლა და საზოგადოება ვერ უზრუნველყოფს თანაბარ გადანაწილებას, მაგრამ მათ უნდა უზრუნველყონ საწყისი პირობების თანაბარობა. სკოლაში ამ საკითხის მოგვარება მასწავლებლის კომპეტენციაში შედის, რომლის მოვალეობასაც შეადგენს მოსწავლეების სპეციფიკური საჭიროებების გათვალისწინება. თანასწორობა არ გულისხმობს ყველასადმი ერთნაირ მოპყრობას, არამედ თითოეულისადმი სწორედ ისეთ მოპყრობას, როგორიც მას სჭირდება. პრაქტიკულად ამას ემსახურება ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებით სწავლება.

დემოკრატიის მსგავსად, თავისუფლება და თანასწორობა მჭიდროდ უკავშირდება ყველა ძირითად ცნებას. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების არც ერთი ასპექტი არ მოიაზრება თავისუფლებისა და თანასწორობის პრინციპების გათვალისწინების გარეშე, რომლებიც ადამიანის ღირსების შემადგენელ, განუყოფელ ნაწილებს წარმოადგენს და, ამავე დროს, ადამიანებს შორის არსებული დაძაბულობის მოგვარების ამოსავალს წარმოადგენს.

6.2.8 მედია

მედიის ცნება უკავშირდება გამოცდილებას, რომ თანამედროვე საზოგადოება მედიაკულტურის გარემოში არსებობს. მედიას შეუცვლელი ფუნქცია აკისრია ჩვენ მიერ ადამიანის უფლებებით სარგებლობის თვალსაზრისით - მათ შორის, აზრის გამოხატვის თავისუფლებით, ინფორმაციის გაცვლისა და ხელმისაწვდომობის, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის, მთავრობის საქმიანობაზე, გადაწყვეტილების მიღების პროცესებზე და დღის წესრიგის შემუშავების პროცესებზე კონტროლის უფლებების

თვალსაზრისით. რაც უფრო კომპლექსური ხდება ის საზოგადოებები, რომლებშიც ჩვენ ვცხოვრობთ და ის სტრუქტურები, რომლებიც ურთიერთდამოკიდებულია გლობალური მასშტაბით, და რაც უფრო მეტ დახმარებასა და ხელშეწყობას ვსაჭიროებთ, იმ გამოწვევების გაცნობიერების თვალსაზრისით, რომლებიც ჩვენს აწმყოსა და მომავალს ახლავს თან, მით უფრო მეტად ვხდებით დამოკიდებული მედიაზე. მედია თავისთავად წარმოადგენს გამოწვევას, იგი არის საშუალება კომუნიკაციისათვის და პროცესებში მონაწილეობისათვის საჭირო ახალი შესაძლებლობების შექმნისა და ინსტრუმენტების ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით, მაგრამ მანიპულირებისა და კრიმინალური ქმედებებისათვისაც ქმნის ასპარეზს.

მედია წარმოადგენს კომერციულ საწარმოებს, რომლებიც სუბიექტებს ინფორმაციას გადასცემენ ინფორმაციის გაყიდვის გზით. საზოგადოებას მედიაინფორმაციას გადასცემს მის მიერვე მომზადებული რეპორტაჟებით. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ და შეიძინონ საჭირო კომპეტენციები, რომლებიც მათმედიასაშუალებების გამოყენების საშუალებას მისცემთ (გზავნილის შექმნა), ასევე, მედიასაშუალების მიერ მიღებული გზავნილის დეკონსტრუირებაში დაეხმარება. მედია ასევე დიდ როლს თამაშობს სასკოლო საზოგადოებაშიც. მოსწავლეები გაცილებით უკეთ აცნობიერებენ იმ ფაქტს, რომ მედია მათი ყოველდღიური ცხოვრების ნაწილს წარმოადგენს, ვიდრე ამას მათი მშობლები და მასწავლებლები აღიარებენ. აქედან გამომდინარე, ზოგიერთი ახალგაზრდა უფრო კარგად ფლობს მედიასაშუალებებს, ვიდრე მათი მშობლები და მასწავლებლები. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, მედიასთან მუშაობის კომპეტენცია ძალიან მნიშვნელოვან ფუნქციას ასრულებს, როგორც პროცესებში მონაწილეობის თვალსაზრისით, ასევე, სხვა მრავალ სფეროში საჭირო კომპეტენციების განვითარების თვალსაზრისითაც.

მედიის ცნება მჭიდროდ უკავშირდება მმართველობისა და პოლიტიკის, ინდივიდუალობის, თავისუფლებისა და პასუხისმგებლობის ცნებებს.

7. მეთოდი, რომელიც შეიცავს გზავნილს: ამოცანაზე ორიენტირებული სწავლა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში

7.1 მოქალაქეობის შესახებ ტრადიციული განათლების ხარვეზები

ტრადიციული, შინაარსზე დაფუძნებული სწავლების პირობებში, სამოქალაქო განათლება ორიენტირებულია, მიაწოდოს მოსწავლეებს ფაქტები და ინფორმაცია ქვეყნის ინსტიტუციური ჩარჩოების შესახებ. თუმცა სწავლების საგნის შინაარსი, გარკვეული პერიოდის შემდეგ, ძველებოდა და საჭირო იყო მისი გადაკეთება და სისტემატური სწავლება. მოსწავლეთათვის პარლამენტის შესახებ ფაქტების დამახსოვრება მტკნარი წყლის აუზში მობინადრე თევზის სხვადასხვა სახეობის დამახსოვრებისაგან დიდად არ განსხვავდებოდა; ისინი „სწავლობდნენ“, რათა ჩაებარებინათ გამოცდა და მერე დაევიწყებინათ „შესწავლილი“ მასალა. სწავლების მსგავსი მოდელი, განათლების თვალსაზრისით, არანაირი სარგებლის მომტანი არ არის დემოკრატიულ, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებულ საზოგადოებაში მცხოვრები მოქალაქეებისათვის.

7.2 განათლება დემოკრატიისა და ადამიანთა უფლებების დაცვის საშუალებითა და დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვისათვის საჭიროებს აქტიურ სწავლას

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისას, ქვეყნის პოლიტიკურ სისტემაზე ინფორმაცია გარკვეულ მიზანს ემსახურება - შესაძლებლობას აძლევს მოსწავლეებს, მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში (სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „მიზნით“). თუმცა პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობა მოითხოვს წვრთნასა და გამოცდილებას. აქედან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლებაში აუცილებელია, მეთოდი შეიცავდეს გზავნილს. დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა „შესახებ“ სწავლებას ხელს უნდა უწყობდეს მეთოდი, რომლითაც მოსწავლეები სწავლობენ - სწავლება დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის „საშუალებით“. მოსწავლეებს სჭირდებათ სასწავლო გარემო, რომელიც ხელს უწყობს ინტერაქტიულ, კონსტრუქტივისტულ სწავლასა და კომპეტენციების განვითარებას. მოკლედ რომ ვთქვათ, მოსწავლეები უნდა იყვნენ აქტიურნი და ჩართულნი -

მასწავლებლის ფუნქცია შემოიფარგლება მათთვის საშუალების მიცემით, რომ ისინი დაკავდნენ და კომუნიკაცია დაამყარონ ერთმანეთთან.

7.3 ამოცანები - მასწავლებლის ხელთ არსებული ინსტრუმენტი, აქტიური სწავლის ხელშეწყობისათვის

მასწავლებლის პერსპექტივიდან ზედმიწევნით ზუსტად შერჩეული ამოცანები წარმოადგენს სწავლის აქტიური პროცესის შენარჩუნების მთავარ ინსტრუმენტს. ამოცანის შედგენის ან შერჩევისას, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს სწავლებისა და სწავლის ყველა ძირითადი ასპექტი: თემატიკის სტრუქტურა და სწავლის მიზნები, მოსწავლეების საწყისი მიღწევებისა და აღქმა-გაგების დონე, მათი უნარები, სწავლის შესაძლებლობები და საშუალებები და კლასში არსებული სამუშაო ატმოსფერო.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლება ძირითადად აგებულია ამოცანაზე დაფუძნებულ სწავლაზე. მოცემულ სახელმძღვანელოთა კრებულის წიგნებში II, III, IV, V და VI, მრავლად არის მოცემული ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის მაგალითები და აღწერა - რომლებიც დალაგებულია ოთხ-ოთხი გაკვეთილის ფორმით, რაც რეალისტურ დაგეგმვას შეესაბამება. ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა ოთხ ძირითად კატეგორიას მოიცავს: რეალურ სიტუაციათა სიმულაცია, რეალობის კვლევა და პროდუქტი/შედეგი. ქვემოთ მოცემულ ცხრილში მოყვანილია ამ კატეგორიათა მაგალითები.

ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა		
რეალურ სიტუაციათა სიმულაცია საკლასო გარემოში	რეალური ცხოვრებისეული სიტუაციების კვლევა და მოქმედება	პროდუქტი
• რეალურ სიტუაციათა გათამაშება როლების გადანაწილებით • თამაში გადაწყვეტილების მიღებაზე • ქანდაკებები • კონფერენციები • თოქ შოუები	• ინტერვიუ ექსპერტთან • ინტერვიუ ქუჩაში • გამოკითხვა და კვლევა • სტაჟირება • სპეციალისტზე დაკვირვება • პრაქტიკული მაგალითები • მონაწილეობა სკოლის მმართველობაში	• პრეზენტაცია • სარეკლამო პროსპექტი • პოსტერი • ფლაერი • კედლის გაზეთი • ვიდეო ან მუსიკალური კლიპი • ინტერნეტსაიტი • პრეზენტაცია

• დებატები • სასამართლო მოსმენები • ტრიბუნალები	• მონაწილეობა გაკვეთილის დაგეგმვაში	• ანგარიში:კვირის ახალი ამბავი • გამოფენა • პორტფოლიო
უნარებში წვრთნა		

7.4 ამოცანაზე ორიენტირებული სწავლა არის პრობლემაზე ორიენტირებული სწავლა

გამოცდილებით დასტურდება, რომ მოსწავლეები დიდად აფასებენ თავისუფლებას, რომელიც მათ ამგვარ გარემოში ენიჭებათ, ისევე, როგორც მასწავლებლის მხრიდან გამოცხადებულ ნდობას, რომ ისინი მათთვის მიცემულ დროს ნაყოფიერად გამოიყენებენ. მოსწავლეები პასუხისმგებლობის აღებას მხოლოდ იმ შემთხვევაში სწავლობენ, თუ მათ ამის თავისუფლება ეძლევათ. წარუმატებლობის რისკი ყოველთვის არსებობს, მაგრამ რისკის გარეშე შეუძლებელია პროგრესის მიღწევა. უფრო მეტიც, მოსწავლეების მიერ მიღწეული შედეგები შესაძლებელია არ ამართლებდეს მასწავლებლის მოლოდინს, მაგრამ, ასეთ შემთხვევაში, მასწავლებელი ეცნობა მოსწავლეების კომპეტენციათა განვითარების დონეს და მათ სწავლის საჭიროებებს, რაც ესოდენ მნიშვნელოვანია სწავლების შემდგომი პროცესის დაგეგმვისას. სწავლის პროცესი სწორედ ისევე მნიშვნელოვანია, როგორც სწავლის შედეგი.

ამოცანაზე დაფუძნებული სწავლისას, მოსწავლეების წინაშე დგება პრობლემა, არა მარტო ამოცანის შინაარსსა და შესწავლის საგანთან დაკავშირებული, არამედ უწევთ ფიქრი, როგორ დაგეგმონ შესასრულებელი სამუშაო. მოსწავლეებს კარგად უნდა ესმოდეთ პრობლემის არსი და თავად უნდა მონახონ მისი მოგვარების გზები. პრობლემის გადაჭრის ამოცანასთან დაკავშირებული ნებისმიერი გამოწვევა უნარებში დახელოვნების შესანიშნავ შესაძლებლობებს იძლევა, როგორიცაა, მაგალითად, დროის გადანაწილება, სამუშაოს დაგეგმვა, გუნდის წევრებს შორის თანამშრომლობა, მასალის მოპოვება და ინფორმაციის შერჩევა, საშუალებებისა და ინსტრუმენტების მოძიება და მათი გამოყენება და ა. შ. ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა კომფორტულია, ვინაიდან მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, ამოცანა თავიანთ შესაძლებლობებს მოარგონ.

7.5 მასწავლებლის როლი ამოცანაზე ორიენტირებული სწავლის ეტაპებზე

ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა ძალიან ახლოს არის მოზრდილი ადამიანის ცხოვრების გამოცდილებასთან, ვინაიდან ჩვენ ყველას გვიწევს, თავი გავართვათ ჩვენ წინაშე მდგარ ამოცანებს, მასწავლებლისა და მწვრთნელის გარეშე. მასწავლებელი უნდა ეცადოს, ხელი არ შეუშალოს მოსწავლეებს ამ უდიდესი მნიშვნელობის შესაძლებლობაში, სწავლის პროცესში დროზე ადრე და საჭიროზე მეტი დოზით ჩართვით. მასწავლებელი მწვრთნელის ან ინსტრუქტორის როლს ასრულებს, ნაცვლად მისი ტრადიციული როლისა, რომელიც ლექციითა და მოსწავლეთა გამოცდითა და შეფასებით შემოიფარგლებოდა.

— მაწავლებელი აკვირდება, თუ როგორ ართმევენ თავს მისი მოსწავლეები ამოცანის შესრულების დროს მათ წინაშე წამოჭრილ პრობლემებს, არ არის აუცილებელი მყისიერი რეაგირება, თუ მოსწავლეები დახმარებას მოითხოვენ. მის ფუნქციას შეადგენს მინიშნებების მიცემა და, საჭიროების შემთხვევაში, ამოცანის მეტ-ნაკლებად გამარტივება. საჭიროა მოსწავლეებს მივცეთ დრო, რომ მათ თავად „იწვალონ“ პრობლემურ საკითხთან გამკლავებისას, როგორც ეს რეალურ ცხოვრებაში ხდება.
— მასწავლებელი აკვირდება მოსწავლეების მუშაობის პროცესს და გონებაში აფასებს ორ ასპექტს - სწავლის პროცესის მიმდინარეობას და მოსწავლეთა მიღწევებს შესრულებული სამუშაოს თვალსაზრისით.[22] მოსწავლეების მუშაობის პროცესი, ამოცანის შესრულებისას, წარმოადგენს მოსწავლეების სწავლის საჭიროებების შეფასების საუკეთესო ნიადაგს. მოსწავლეების მუშაობის პროცესზე დაკვირვებისას, მასწავლებელი პირველ ნაბიჯებს დგამს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შემდგომი გაკვეთილების თანამიმდევრობის დაგეგმვისთვის.
— შესაძლებელია, მასწავლებელმა შეასრულოს ინფორმაციის წყაროს ფუნქცია; როდესაც მოსწავლეებს ეს დასჭირდებათ, მასწავლებელი მოკლედ უპასუხებს დასმულ შეკითხვაზე. ამგვარი სწავლების პროცესში მასწავლებლისა და მოსწავლეების როლები შეცვლილია - მოსწავლეები თავად ირჩევენ, როდის და რა თემასა თუ საკითხზე სურთ მათ ინფორმაციის მიღება მასწავლებლისაგან.

[22]იხილეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს ნაწილი 2, თავი 5, სამუშაო ფურცელი 3: შეფასების პერსპექტივები და ფორმები.

7.6 აქტიური სწავლა მოითხოვს შეჯამებას

ამოცანაზე დაფუძნებულ სწავლას განმტკიცება სჭირდება და, ასევე, დაუყოვნებელი შეჯამებაც, იმ შემთხვევაში, თუ, მაგალითად, სიტუაციის გათამაშებისას, როლის შესრულების შემდეგ, მოსწავლეებს მძაფრი ემოციები ეუფლებათ, როგორიცაა მხიარულება, იმედგაცრუება, ბრაზი და ა. შ.

საერთო საკლასო განხილვისას, რომელსაც მასწავლებელი თავმჯდომარეობს, მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მოსაზრებებს და მოჰყავთ მაგალითები ამა თუ იმ ამოცანის შესრულების პროცესში მიღებული გამოცდილებიდან. რა შევისწავლეთ? როგორ შევისწავლეთ? რატომ შევისწავლეთ? ამგვარი შეჯამების გარეშე, ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა მხოლოდ „მოქმედებას მოქმედებისათვის“ წარმოადგენს. კონსტრუქტივისტული სწავლის თვალსაზრისით, შეჯამება არის აბსტრაქტული და სისტემატური ანალიზისა და მსჯელობის პროცედურა. მასწავლებელს შეუძლია მოსწავლეებს მიაწოდოს ინსტრუქციები - ცნებები, დამატებითი ინფორმაცია - რომელიც ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის საგნის კონტექსტს შეესაბამება.

8. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სასკოლო განათლებისადმი[23]

ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება, რომელიც, უწინარეს ყოვლისა, ორიენტირებულია სწავლებასა და სწავლაზე, შესაძლებელია აღქმულ იქნას, როგორც ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სასკოლო განათლებისადმი. ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა ჩვენს ყურადღებას საერთო სასკოლო კულტურაზე, პოლიტიკასა და პრაქტიკაზე მიაპყრობს, ადამიანის უფლებათა ღირებულებების პერსპექტივიდან.

ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციაში შესულია ორი მუხლი, სადაც განათლებაზეა საუბარი. მუხლი 28 განათლებას განმარტავს, როგორც უფლებას, ხოლო 29-ე მუხლში მოცემულია დებულება, სადაც ნათქვამია, რომ განათლება ხელს უნდა უწყობდეს ბავშვის განვითარებას, რათა „ბავშვის პიროვნება, ნიჭი და გონებრივი და ფიზიკური შესაძლებლობები რაც შეიძლება სრული მოცულობით განვითარდეს“. ბავშვის უფლებების შესახებ კონვენციის მიხედვით, სკოლის კიდევ ერთ დანიშნულებას წარმოადგენს მოსწავლეებში ადამიანის უფლებებისა და ძირითად თავისუფლებათა მიმართ პატივისცემის ჩამოყალიბება. ერთი რამ, რაც საზოგადოდ არის ცნობილი, არის ის, რომ იმისათვის, რათა სრულყოფილად გააცნობიერო ადამიანის უფლებების დანიშნულება და ხელი შეუწყო მათ დაცვას, საჭიროა მათი პრაქტიკაში, სხვებთან ურთიერთობაში გამოცდა.

ძირითადი ღირებულებები, რომლებსაც წარმოადგენს ღირსება, პატივისცემა და პასუხისმგებლობა, საფუძვლად უნდა ედოს სკოლას; ეს არ შემოიფარგლება მოსწავლეებისათვის ადამიანის უფლებათა ღირებულებისა და შინაარსის მხოლოდ მიწოდებითა და გაცნობით საკლასო გარემოში; ადამიანის უფლებათა ჩარჩოები გულისხმობს ბავშვზე ორიენტირებულ სკოლას, სადაც სწორედ ეს ღირებულებები უდევს საფუძვლად იმას, თუ როგორ სწავლობენ მოსწავლეები, როგორ ეპყრობიან მათ მასწავლებლები, როგორ ეპყრობიან ისინი ერთმანეთს და როგორ დაიკავებენ ისინი მათ კუთვნილ ადგილს გარემოში, სოციალური სამართლიანობის ხელშეწყობისათვის

[23]ავტორი: ფელისა ტიბიტსი (2009 წელი). თავდაპირველი წყარო: ფ. ტიბიტსი (2005 წელი), „რას ნიშნავს „სკოლაზე დაფუძნებული მიდგომა ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისადმი“ და „ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სასკოლო განათლებისადმი“ საერთაშორისო ამინისტია ამერიკის შეერთებული შტატები, საინფორმაციო ბიულეტენი, მუხლი 26, აგვისტო.

მზადყოფნის გრძნობით; მოთხოვნა, ეჭვგარეშე, ძალიან მაღალია, მაგრამ სწორედ ამ მოთხოვნით არის განპირობებული სკოლებში ადამიანის უფლებათა წინ წამოწევა და მის ქვაკუთხედად ქცევა.

მასწავლებლებს შეუძლიათ, საკლასო გარემოში, ადამიანის უფლებებს ხორცი შეასხან მაგალითებით, რომლებიც მოჰყავთ, კითხვებით, რომლებსაც სვამენ, აქტიური დისკუსიებით, კრიტიკული აზროვნებითა და შეჯამებით, პროექტზე დაფუძნებული სამუშაოებითა და განმანათლებელი ექსკურსიებით. მასწავლებლების ამოცანას წარმოადგენს არა მარტო ადამიანის უფლებათა შინაარსის შესწავლა, არამედ მოსწავლეებისათვის ადამიანის უფლებების შესახებ ინფორმაციის იმგვარად მოწოდება, რომ ეს მათთვის გასაგები, მნიშვნელობის მატარებელი და სასარგებლო იყოს. ერთ-ერთი, მთავარ გამოწვევათაგან, არის არა მხოლოდ ის, რომ ადამიანის უფლებები აბსტრაქტულ ცნებებად არ დარჩეს მოსწავლეებისათვის, არამედ ისიც, რომ მოსწავლეებმა შეიყვარონ ადამიანის უფლებების იდეა.

ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომა სასკოლო განათლებისადმი, რისკენაც მიისწრაფვის სკოლა, მოიცავს შემდეგ მახასიათებლებს, რომლებიც, ზოგადად, შესაძლებელია აღქმულ იქნას როგორც სკოლაზე ორიენტირებული მიდგომა ადამიანის უფლებებისადმი. მახასიათებლები აღებულია გაერთიანებული ერების ბავშვთა დახმარების ფონდის (UNICEF) მიერ შემუშავებული ჩარჩო-დოკუმენტიდან[24]:

- **აღიარებს ყველა ბავშვის უფლებას.**
- **ბავშვს განიხილავს ფართო კონტექსტში.** სკოლის პერსონალი დაინტერესებულია იმით, თუ რა მდგომარეობაში არიან ბავშვები, სანამ ისინი სკოლაში შეაბიჯებენ (მაგალითად, ჯანმრთელობის მდგომარეობა) და მას შემდეგ, რაც სკოლიდან სახლში ბრუნდებიან.
- **არის ბავშვზე ორიენტირებული.** ყურადღება გამახვილებულია ბავშვის ფსიქო-სოციალურ კეთილდღეობაზე.
- **არის გენდერულ თანასწორობაზე ორიენტირებული და გოგონების მიმართ კეთილგანწყობილი.** სკოლის პერსონალი ყურადღებით ეკიდება გენდერულ

[24]სახელმძღვანელო ბავშვზე ორიენტირებული სკოლებისათვის, პროგრამის ნაწილი/ განათლება, გაერთიანებული ერების ბავშვთა დახმარების ფონდი (UNICEF), www.unicef.org/publications/files/Child_Friendly_Schools_Manual_EN_040809.pdf. 2010 წლის 23 სექტემბერი.

თანასწორობასთან დაკავშირებულ საკითხებს, აღკვეთს გენდერული სტერეოტიპების არსებობას და ხელს უწყობს როგორც გოგონების, ისე ვაჟების მიღწევებს.

— **ხელს უწყობს სწავლის ხარისხიან შედეგებს.** მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, იაზროვნონ კრიტიკულად, დასვან შეკითხვები, გამოხატონ მოსაზრებები და დაეუფლონ ძირითად უნარებს.

— **უზრუნველყოფს ბავშვების ცხოვრების რეალობაზე დაფუძნებულ განათლებას.** მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალობას და მათ სკოლამდელ გამოცდილებას, მათ საზოგადოებასა და ოჯახებს, მოსწავლეების სწავლისა და განვითარების ხელშეწყობის მიზნით.

— **უზრუნველყოფს ყველა ბავშვის ჩართულობას,** პატივისცემასა და თანაბარ შესაძლებლობებს ყველა ბავშვისათვის. შეუწყნარებელია სტერეოტიპების, გარიყვისა და დისკრიმინაციის მიმართ.

— **ხელს უწყობს მოსწავლეების უფლებათა დაცვასა და მათზე დაკისრებული მოვალეობების შესრულებას** სკოლის გარემოში და, ასევე, მათ აქტიურობას იმ ფართო საზოგადოებაში, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

— **ხელს უწყობს მასწავლებელთა შესაძლებლობების განვითარებას მათი მორალის, პასუხისმგებლობისა და სტატუსის ამაღლებას,** შესაბამისი ტრენინგის უზრუნველყოფით, მათი სათანადოდ დაფასებითა და მათთვის შესაბამისი ანაზღაურების გამოყოფით.

— **არის ოჯახზე ორიენტირებული.** სკოლის პერსონალი ცდილობს, იმუშაოს ოჯახებთან და გააძლიეროს ისინი, უზრუნველყოს ბავშვებს, მშობლებსა და მასწავლებლებს შორის თანამშრომლობაზე დაფუძნებული ურთიერთობის ჩამოყალიბება.

ზემოთ მოყვანილი დებულებები მხოლოდ ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს, მაგრამ მათი გამოყენება შესაძლებელია ორგანიზაციული ჩარჩოს სახით და სკოლის მეთოდისტებს შეუძლიათ, მიუსადაგონ ისინი კონკრეტული სკოლის გარემოს. ზემოთ მოყვანილი პრინციპები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას კითხვების სახით, სკოლებში გახორციელებული კონკრეტული პრაქტიკის შეფასებისას. არის ჩვენ მიერ შერჩეული პოლიტიკა ბავშვზე ორიენტირებული? უწყობს იგი ხელს მოსწავლის

უფლებების დაცვასა და მისი მოვალეობების გახორციელებას? იძლევა იგი საკმარის შესაძლებლობას სკოლაში მიმდინარე პროცესებში მოსწავლეების მონაწილეობისათვის? შედეგიანია თუ არა მოსწავლეთა ჩართულობა პროცესებში და შეუძლიათ თუ არა მათ ზეგავლენა იქონიონ კონკრეტულ პროცესებზე? ამავე პრინციპებზე დაყრდნობით, შესაძლებელია მთელი სკოლის ჩართვა სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა სფეროში, ადამიანის უფლებათა ღირებულებების დამკვიდრების საქმეში: სწავლა, სკოლის მართვა-განვითარება და სკოლისა და საზოგადოების პოლიტიკა.

შესაძლებელია შევთანხმდეთ, რომ ადამიანის უფლებები სკოლაში მხოლოდ სასწავლო საგანს არ წარმოადგენს, არამედ სკოლის ცხოვრების წესია. ეს არ არის მხოლოდ რამდენიმე მასწავლებლის კეთილი ნების საფუძველზე შექმნილი რამ, არამედ არის სკოლის ხელმძღვანელობის და მასწავლებელთა აბსოლუტური უმრავლესობის მოწოდება, რაც დღეს იშვიათობას წარმოადგენს, თუმცა საწყისი შედეგები პერსპექტიულია.

გაერთიანებულ სამეფოში შექმნილი, ჰემპშირის საგრაფოს საბჭოს ინიციატივა, რომელიც ცნობილია შემდეგი სახელწოდებით „Rights, Respect, Responsibility" (RRR) – „უფლებები, პატივისცემა, პასუხისმგებლობა" - წარმოადგენს სკოლის ერთიან მიდგომას, რომელიც ბავშვის უფლებების შესახებ გაერთიანებული ერების კონვენციას ეყრდნობა.[25] მის საყოველთაო პრინციპებში ხაზგასმულია ყველა ბავშვის უფლებების დაცვის აუცილებლობა, საჭიროება იმისა, რომ ბავშვებს დავეხმაროთ, გააცნობიერონ თავიანთი პასუხისმგებლობები და უზრუნველვყოთ ისინი სწავლებისა და სწავლის შესაბამისი გარემოთი. ეს პრინციპები გამოიყენება სკოლის საზოგადოების ყველა წევრის მიერ, დემოკრატიული მოქალაქის ფუნქციის შესრულებისა და ადამიანის უფლებათა პატივისცემის ხელშეწყობის მიზნით. აღნიშნულ პროგრამაში ჩართულია ასობით დაწყებითი სკოლა და, ასევე, 50 საშუალო და სპეციალიზებული სკოლა. პროგრამის ძირითად მახასიათებლებს წარმოადგენს შემდეგი:

[25]ჰემპშირის საგრაფოს საბჭო (2009 წელი) „Rights, Respect, Responsibility – უფლებები, პატივისცემა, პასუხისმგებლობა: სკოლის ერთიანი მიდგომა", ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება ევროპის, ცენტრალური აზიისა და ჩრდილოეთ ამერიკის სასკოლო სისტემებში: საუკეთესო პრაქტიკის სახელმძღვანელო, ევროპაში უსაფრთხოებისა და თანამშრომლობის ორგანიზაცია, ვარშავა, გვ 72-74.

— ბავშვის უფლებების შესახებ კონვენცია ისწავლება საგნის სახით და ქმნის სკოლის ეთოსის, სწავლებისა და სწავლის ჩარჩოებს.
— ბავშვები და ახალგაზრდა თაობა აღქმულია, როგორც მოქალაქეები და მათდამი მოპყრობაც შესაბამისია.
— ხელი ეწყობა ბავშვების ინდივიდუალობასა და მათ თვითშეფასებას იმგვარად, რომ ისინი თავს გრძნობენ სრულუფლებიან პიროვნებებად, როგორც მოზრდილები.
— ადამიანის უფლებები ჩართულია მთელ რიგ სასკოლო დისციპლინებში, მათ შორის, ლიტერატურაში, მათემატიკაში, საბუნებისმეტყველო საგნებსა და ისტორიაში, მასწავლებლები, რეგულარული სამუშაოს შესრულებისას, მუდმივად ხელმძღვანელობენ ადამიანის უფლებებით.
— ჩამოყალიბებულია სწავლებისა და სწავლისადმი უფრო დემოკრატიული დამოკიდებულება (რომელიც ემყარება ჩართულობასა და უფლებებს).
— დგება საკლასო ქარტია უფლებებისა და პასუხისმგებლობების შესახებ, რომელსაც ხელს აწერენ როგორც მოსწავლეები, ასევე, მასწავლებლები.

სკოლების მიერ გაკეთებულ ანგარიშში ნათქვამია, რომ ინიციატივა „Rights, Respect, Responsibility" (RRR) – „უფლებები, პატივისცემა, პასუხისმგებლობა" გამოყენებულია მათი მუშაობის უმეტეს სფეროში (მაგალითად, სკოლის ჯანსაღი გარემო, ურთიერთობების სწავლება, ნარკოტიკების ავადმოხმარების პრევენცია, ემოციური წიგნიერება, სკოლის საბჭო), რომელიც შეიძლება დაკავშირებულ იქნეს ბავშვის უფლებების შესახებ ქარტიაში შესულ მუხლებთან. სკოლის საზოგადოების წევრები დიდად აფასებენ იმ ფაქტს, რომ მათ სკოლაში დანერგილი ღირებულებები და ქცევის კოდექსი ეფუძნება ადამიანის უფლებათა საერთაშორისო სტანდარტებს.

2008 წელს დასრულდა სამწლიანი შეფასების პროგრამა, რომელმაც აჩვენა, მნიშვნელოვანი გავლენა სკოლის გარემოზე იმ სკოლებში, სადაც სრულად იყო დანერგილი ინიციატივა „Rights, Respect, Responsibility" (RRR) – „უფლებები, პატივისცემა, პასუხისმგებლობა". ეს გავლენა გულისხმობს დადებით შედეგებს მოსწავლეების მხრიდან მათი უფლებების გაცნობიერების, სხვათა უფლებებისადმი პატივისცემისა და სკოლის აქტივობებში ჩართულობისა და მონაწილეობის ხარისხის

თვალსაზრისით. მასწავლებლების ანგარიშში აღსანიშნავია ნაკლები დაძაბულობა მოსწავლეებთან ურთიერთობისას და მეტი კმაყოფილება გაკვეთილების ჩატარებისას. ამგვარად, ადამიანის უფლებებზე დაფუძნებული მიდგომით მიღწეულ იქნა როგორც საზოგადოების წევრების ღირსების შეგრძნების ამაღლება, ასევე, სკოლის უნარის ამაღლება, წარმატებით ჩართოს მოსწავლეები სწავლების პროცესში, რაც მის აკადემიურ მოვალეობას წარმოადგენს.

თავი 4

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ევროპის საბჭოს მიდგომის ჩამოყალიბების მოკლე ისტორია[26]

1. საფუძველი

ევროპის საბჭო, რომელიც უძველეს ევროპულ ორგანიზაციას წარმოადგენს, შეიქმნა 1949 წელს, მეორე მსოფლიო ომის მოვლენების შემდეგ. მის უმთავრეს მიზანს წარმოადგენს ადამიანის უფლებათა, დემოკრატიისა და კანონის უზენაესობის დაცვა და ხელშეწყობა. ევროპის საბჭო აქტიურად არის ჩაბმული ბევრ სფეროში, მათ შორის, კულტურისა და განათლების სფეროებში. 50 წელზე მეტია, იგი ახორციელებს თანამშრომლობის პროექტებს განათლების სფეროში, რათა ხელი შეუწყოს დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დამკვიდრებას მთელ ევროპაში.

1990-იანი წლების დასაწყისში, ევროპის საბჭოში ცენტრალური და აღმოსავლეთ ევროპის ახლად შექმნილი დემოკრატიული სახელმწიფოების შემოერთებასთან დაკავშირებით, ევროპის საბჭომ მნიშვნელოვანი ტრანსფორმაცია განიცადა: 10 წლის განმავლობაში ორგანიზაციის წევრთა რაოდენობა ორჯერ და უფრო მეტადაც გაიზარდა. ამგვარი ცვლილებების ფონზე, საჭირო გახდა დემოკრატიის შესახებ სწავლების საქმეში სისტემატური სამუშაოების გახორციელება. 1997 წელს, ევროპის საბჭოს წევრ სახელმწიფოთა ხელმძღვანელებისა და მთავრობების თაოსნობით, საფუძველი ჩაეყარა ახალ პროექტს, სახელწოდებით - განათლება დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ. ამ პერიოდიდან მოყოლებული, აღნიშნული პროექტი მეტად გაფართოვდა, შეიძინა ახალი განზომილება ადამიანის უფლებათა სახით და ამჟამად იწოდება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროექტად.

აღნიშნული პროექტის წამოწყებით, ევროპის სახელმწიფოთა მთავრობები აღიარებენ დემოკრატიული მოქალაქეობის სწავლების აუცილებლობას, რადგან დემოკრატიული მოქალაქეობისათვის საჭირო უნარები არ წარმოადგენს თანდაყოლილ უნარებს. მე-20

[26]ავტორი: ოლაფ ოლაფსდოტირი, ევროპის საბჭოს განათლებისა და ენების დირექტორატის მოქმედი ხელმძღვანელი.

საუკუნის დასასრულისათვის, ევროპის საზოგადოებების წინაშე უამრავი პრობლემა დადგა, როგორიცაა პოლიტიკური აპათია, მოსახლეობის მიგრაცია, რასაც შედეგად მოჰყვა სოციალური მრავალფეროვნება და, ასევე, პრობლემები, როგორიცაა გარემოს დაცვა და მზარდი ძალადობა. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება აღქმულ იქნა, როგორც მსგავს პრობლემათა მოგვარების ერთ-ერთი ინსტრუმენტი. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ემსახურება საზოგადოებრივ ცხოვრებაში მოქალაქეების ჩართულობის უზრუნველყოფას, მთელი ცხოვრების მანძილზე, და ეხება მათ პასუხისმგებლობას, სოლიდარობას, ურთიერთპატივისცემასა და დიალოგს. ევროპის საბჭოში შექმნილმა უნიკალურმა გარემომ ხელი შეუწყო, ბოლო 13 წლის მანძილზე, ევროპის მასშტაბით ამ სფეროში მოღვაწე საუკეთესო სპეციალისტების თავმოყრას, რათა მათ ემსჯელათ და ემუშავათ მოცემულ საკითხზე.

2. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროექტის შედეგები

პროექტის გახორციელების პირველი წელი დაეთმო კონცეფციათა განსაზღვრას. ამ პერიოდში გამოქვეყნდა რამდენიმე მნიშვნელოვანი ნაშრომი, რომელიც ეძღვნებოდა დემოკრატიული მოქალაქეობის პრაქტიკისათვის საჭირო სტრატეგიებსა და უნარებს. 2002 წელს ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტმა შეიმუშავა რეკომენდაცია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების შესახებ (რეკომენდაცია Rec(2002) 12). აღნიშნული რეკომენდაცია წარმოადგენს ევროპის მასშტაბით ამ საკითხის გამო შედგენილ პირველ პოლიტიკურ დოკუმენტს (რიგით მეორე მნიშვნელოვან დოკუმენტს წარმოადგენს ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ,[27] იხილეთ ქვემოთ მოცემული კომენტარი). მასში განმარტებულია, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა

[27] ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ, რომელიც მიღებულ იქნა მინისტრთა კომიტეტის მიერ გაცემული რეკომენდაციის - CM/Rec(2010) 7 - ფარგლებში.

შესახებ სწავლება უნდა გახდეს „საგანმანათლებლო სფეროში პოლიტიკის განსაზღვრისა და რეფორმირების პრიორიტეტული მიზანი“.[28]

2002 წელს ჩამოყალიბდა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კოორდინატორთა ქსელი, რომელშიც შესული იყო თითო წარმომადგენელი თითოეული წევრი სახელმწიფოდან და რომლის მიზანსაც წარმოადგენდა წევრ სახელმწიფოებს შორის ამ სფეროში არსებული ინფორმაციის გაცვლა-გამოცვლისა და თანამშრომლობის ხელშეწყობა. მოკლე დროში ეს ქსელი ფასდაუდებელ ორგანოდ გადაიქცა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების განვითარებისა და ხელშეწყობის საქმეში. სპეციალური პროექტები გახორციელდა სამხრეთ-აღმოსავლეთ ევროპის რეგიონებში. 2005 წელი გამოცხადდა მოქალაქეობისათვის განათლების ევროპულ წლად, რომლის მოწოდებასაც წარმოადგენდა „ვსწავლობთ დემოკრატიას და ვცხოვრობთ დემოკრატიის პრინციპებით“. მოქალაქეობისათვის განათლების ევროპული 2005 წელი უმნიშვნელოვანესი იყო იმ თვალსაზრისით, რომ წევრ ქვეყნებში კიდევ უფრო გამყარდა რწმენა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების როლის მნიშვნელობის შესახებ. მოქალაქეობისათვის განათლების ევროპულ 2005 წელში, სხვადასხვა სახით, მონაწილეობა მიიღო ყველა წევრმა სახელმწიფომ და სხვადასხვა ქვეყნის შედეგები უაღრესად პოზიტიური იყო.

თუმცა დასაწყისიდანვე ნათელი გახდა, რომ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის ესოდენ მაღალი პრიორიტეტის მინიჭება ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების საგანმანათლებლო პოლიტიკაში, არ იქნებოდა მარტივი ამოცანა, თუნდაც იმ მიზეზით, რომ წევრ ქვეყნებში არსებული სიტუაცია მეტად განსხვავდება ერთმანეთისაგან. განათლების სისტემაში, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების უმთავრეს მიზნად გამოცხადება გულისხმობს სრულიად ახლებურ ფილოსოფიას, მეთოდოლოგიისა და სამუშაოს ორგანიზების თვალსაზრისით. მოცემული პროექტის ფარგლებში განხორციელებული სწავლება, მათ შორის, დემოკრატიული

[28]ევროპის საბჭოს მინისტრთა კომიტეტის რეკომენდაცია Rec(2012) 12, გაცემული წევრი სახელმწიფოებისათვის, დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების შესახებ.

მოქალაქეობისათვის განათლების პოლიტიკის საერთო ევროპული კვლევა,[29] მიუთითებდა პრაქტიკული ინსტრუმენტების აუცილებლობაზე, რომლებიც პოლიტიკისა და პრაქტიკის დაკავშირებას შეუწყობდა ხელს. აქედან გამომდინარე, 2006 -2009 წლებში, აღნიშნული პროექტის პრიორიტეტს წარმოადგენდა ინსტრუმენტების მომზადება, საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება და თანამშრომლობის გააქტიურება როგორც წევრ სახელმწიფოებს შორის, ასევე, წევრი სახელმწიფოების შიგნით. მუშაობა სამი ძირითადი მიმართულებით ხორციელდებოდა: პოლიტიკის შემუშავება, განათლების სფეროში ჩართული პროფესიონალების მომზადება და საგანმანათლებლო დაწესებულებათა დემოკრატიული მმართველობა. ევროპის საბჭოს მიერ მომზადდა პრაქტიკული ინსტრუმენტების კომპლექტი, ყველა დაკავშირებული სფეროსათვის, ამასთან, სახელმძღვანელოების სერია მასწავლებლებისათვის.

2010 წლის მაისში, ზემოთ აღწერილი მრავალწლიანი მუშაობის შემდეგ, მინისტრთა კომიტეტის მიერ შემუშავებული რეკომენდაციის CM/Rec(2007) 7 ფარგლებში, ევროპის საბჭოს 47-ივე წევრი სახელმწიფოს მიერ მიღებულ იქნა ევროპის საბჭოს ქარტია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების შესახებ. სწორედ ეს ჩარჩო-დოკუმენტია ამ სფეროში სახელმძღვანელო ინსტრუმენტი ევროპის მასშტაბით და ევროპის საბჭოს მიერ გამოყენებულ იქნება მომავალში განსახორციელებელი სამუშაოების საფუძვლადაც.

[29]ბირზეა და სხვ. (2004 წელი). დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების პოლიტიკის საერთო ევროპული კვლევა, ევროპის საბჭოს გამომცემლობა, სტრასბურგი.

3. პრაქტიკული ინსტრუმენტები

3.1 დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ინსტრუმენტთა ნაკრები

ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებული და მომზადებული ინსტრუმენტები მოიცავს არსებით საცნობარო ინფორმაციას სხვადასხვა ასპექტის შესახებ, რომელიც უკავშირდება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ჩართვას საგანმანათლებლო სისტემებში. აქედან, ძირითადი ინსტრუმენტები, რომელთაც „დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ინსტრუმენტთა ნაკრები“ ეწოდება, მოიცავს შემდეგ ინსტრუმენტებს:

- ინსტრუმენტი 1: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პოლიტიკის ინსტრუმენტი:
- ინსტრუმენტი 2: სკოლების დემოკრატიული მმართველობა;
- ინსტრუმენტი 3: რა უნდა გააკეთოს თითოეულმა მასწავლებელმა სამოქალაქო განათლებისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ხელშესაწყობად: მასწავლებელთა კომპეტენციების ჩარჩო;
- ინსტრუმენტი 4: დემოკრატიული მოქალაქეობის შესახებ სკოლებში სწავლების ხარისხის კონტროლი;
- ინსტრუმენტი 5: სკოლას, საზოგადოებასა და უნივერსიტეტს შორის პარტნიორობა მდგრადი დემოკრატიისათვის: განათლება დემოკრატიული მოქალაქეობისათვის ევროპასა და ამერიკის შეერთებულ შტატებში.

მოცემული ინსტრუმენტები შემუშავდა ევროპის საბჭოს წევრი ქვეყნების ექსპერტთა მიერ, იმ ინფორმაციისა და კომენტარების საფუძველზე, რომლებიც მოწოდებულ იქნა სხვადასხვა სამიზნე ჯგუფის, მათ შორის, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კოორდინატორთა მხრიდან. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ინსტრუმენტთა ნაკრების გარდა, დიდი რაოდენობით დამატებითი მასალა შეგიძლიათ მოიძიოთ ევროპის საბჭოს ვებგვერდზე (www.coe.int/edc).

მოცემული პრაქტიკული ინსტრუმენტები, რომლებიც შემუშავდა ევროპის საბჭოს მიერ, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში, წარმოადგენს ზოგად ინსტრუმენტებს. სხვა სიტყვებით რომ ვთქვათ, მიჩნეულია, რომ შესაძლებელია საჭირო გახდეს მათი მორგება განსხვავებულ სიტუაციებზე, ასევე, შესაძლებელია მათი შემდგომი დახვეწა, რათა შესაძლებელი გახდეს მათი გამოყენება ქვეყნის საჭიროებების შესაბამისად.

3.2 სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - წიგნები I –VI; დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება ზოგადსაგანმანათლებლო სკოლებში - სწავლების პროცესის თანამიმდევრობა, ცნებები, მეთოდები და მოდელები

ბევრ ქვეყანაში მასწავლებლებს სჭირდებათ დახმარება, რათა მათ წარმატებით გაართვან თავი დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას. სწორედ ამ მიზნით, ევროპის საბჭოს მიერ შემუშავებულ იქნა სახელმძღვანელოთა სერია, რომელიც განკუთვნილია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში დასაქმებული მასწავლებლებისათვის.

სახელმძღვანელოები მზადდებოდა ციურიხის უნივერსიტეტის მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის განვითარების საერთაშორისო პროექტთან თანამშრომლობით. სახელმძღვანელოების გამოცემათა თანადამფინანსებელია შვეიცარიის განვითარებისა და თანამშრომლობის სააგენტო. წინამდებარე სახელმძღვანელო, წიგნი I, განათლება დემოკრატიისათვის - ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის, წარმოადგენს ამ სერიის პირველ წიგნს. ქვემოთ მოცემულ სურათზე შეგიძლიათ იხილოთ სერიაში შემავალი ექვსივე სახელმძღვანელოს მოკლე მიმოხილვა, იმ სამიზნე ჯგუფების მითითებით, რომელთათვისაც განკუთვნილია თითოეული მათგანი.

სახელმძღვანელოებში შესულია აქტიური მოქალაქეობის ხელშეწყობის მიზნით განხორციელებული სწავლებისას საჭირო გაკვეთილების გეგმები განათლების ყველა დონისათვის, რომლებიც ეფუძნება აქტიურ მონაწილეობასა და ამოცანაზე დაფუძნებულ სწავლებას სკოლის დემოკრატიულ გარემოში.

აღნიშნული სახელმძღვანელოების უნიკალურობა იმაში მდგომარეობს, რომ ისინი წარმოადგენს ჭეშმარიტად ევროპული პროექტის შედეგს. სახელმძღვანელოთა შექმნის იდეა და მათი თავდაპირველი ვარიანტები შემუშავდა ბოსნია-ჰერცოგოვინაში და მათ შექმნაში მონაწილეობა მიიღო უამრავმა მასწავლებელმა და მეთოდისტმა. სახელმძღვანელოთა საბოლოო ვარიანტების ავტორები და რედაქტორები არიან ევროპის სხვადასხვა ქვეყნის, და არა მარტო ევროპის ქვეყნების, წარმომადგენლები. რაც შეეხება თავად სახელმძღვანელოებს, ისინი გამოიცადა და დაკორექტირდა სხვადასხვა წარმომავლობისა და ღირებულებების მქონე მრავალი სპეციალისტის მიერ. ჩვენ ვიმედოვნებთ, რომ აღნიშნული სახელმძღვანელოები დიდ სამსახურს გაუწევს მასწავლებლებსა და მოსწავლეებს ევროპის მასშტაბით.

წიგნი I:

განათლება დემოკრატიისათვის

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

წიგნი II:

ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი III:

ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის

წიგნი IV:

მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში

სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ – საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

წიგნი V:

ბავშვთა უფლებების კვლევა

ცხრა მცირე პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი VI:

დემოკრატიის სწავლება

სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის

ნაწილი 2

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების სწავლება

თავი 1

სწავლებისა და სწავლის პირობები

თავი 2

მიზნების დასახვა და მასალების შერჩევა

თავი 3

ვეცნობით პოლიტიკას

თავი 4

სწავლის პროცესის წარმართვა და სწავლების ფორმების შერჩევა

თავი 5

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

საჭიროა, მოსწავლეებმა არა მხოლოდ იცოდნენ იმის შესახებ, რომ მათ მინიჭებული აქვთ, მაგალითად, პროცესებში მონაწილეობის უფლება, არამედ, ასევე საჭიროა, შეეძლოთ ამ უფლებით სარგებლობა. სწორედ ამ მიზანს ემსახურება ის წვრთნა და პრაქტიკა, რომელსაც მოსწავლეები სკოლის ფარგლებში გადიან, გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში მონაწილეობითა და სკოლაში არსებულ გარემოზე სხვაგვარად ზემოქმედების საშუალებით. მაგალითად, მასწავლებელმა მოსწავლეებს უნდა მისცეს თავიანთი მოსაზრებების გამოხატვის შესაძლებლობა, როგორც კლასში წამოჭრილი თემის შესახებ, ასევე, სწავლებასა და სკოლის მართვასთან დაკავშირებულ საკითხებზე. ამგვარი ტიპის სწავლება და სწავლა მომზადებას მოითხოვს. აქედან გამომდინარე, მასწავლებელს სჭირდება, წინასწარ და კარგად გააცნობიეროს მისი პროფესიის ესა თუ ის ელემენტი. ეს ეხება ყველა საგნის სწავლებას, განსაკუთრებით კი - დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას, ვინაიდან მოსწავლეების ცხოვრებისეული გამოცდილება მუდმივად წარმოადგენს ამ მიდგომის ნაწილს. როგორ ჩავრთო გაკვეთილზე ესა თუ ის ელემენტი? როგორ უნდა უზრუნველვყო ყველა მოსწავლის აზრის მოსმენა და გაზიარება? როგორ უნდა მოვახერხო, რომ მოსწავლეებს თავს არ მოვახვიო ჩემი მოსაზრება? ამ კითხვებზე პასუხად, რეკომენდებულია შემდეგი ხუთი ასპექტის გათვალისწინება:

- როგორია სწავლებისა და სწავლის პირობები?
- რა მიზანი უნდა დავსახო და რა მასალა უნდა შევარჩიო?
- პოლიტიკის რომელი კონკრეტული ცნებები უნდა გავითვალისწინო?
- როგორია სწავლის პროცესის ჩემეული აღქმა და სწავლების რომელ ფორმებს ვირჩევ?
- როგორ უნდა შეფასდეს შედეგები (მოსწავლეთა, მასწავლებლებისა და სკოლების)?

წინამდებარე სახელმძღვანელოს მოცემულ ნაწილში მასწავლებლებს ვაწვდით მასალას სამუშაო ფურცლების სახით, რომლებიც მათ დაეხმარება ამ ძირითად კითხვებზე პასუხის გაცემაში.

თავი 1

სწავლებისა და სწავლის პირობები

1. წინასიტყვაობა

გაკვეთილის დაგეგმვისას, აუცილებელია ფლობდეთ საკმარისად ნათელ წარმოდგენას როგორც მთლიანად კლასის, ასევე, მოსწავლეთა ინდივიდუალური მახასიათებლებისა და სწავლისათვის საჭირო გარემოებების შესახებ. მნიშვნელოვანია, ვხედავდეთ ბავშვებს შორის განსხვავებას, მათი უნარების, ძლიერი და სუსტი მხარეების, შეხედულებების, დამოკიდებულებებისა და ინტერესების თვალსაზრისით.

ერთი მხრივ, თქვენ თავად განსაზღვრავთ სწავლის პირობებს კლასში, სწავლების მიზნებიდან გამომდინარე, რომელსაც თქვენ წინასწარ გეგმავთ. მეორე მხრივ, მიზნებისა და თემის შერჩევისას, აუცილებელია, გაითვალისწინოთ როგორც მთლიანი კლასის, ასევე, მოსწავლეთა ინდივიდუალური თავისებურებები.

სწავლის პირობების განსაზღვრით სრულდება გაკვეთილისათვის მოსამზადებელი სამუშაოს პირველი ეტაპი. გაკვეთილის დაგეგმვის შემდგომ ეტაპზე, აუცილებელია, გათვალისწინებულ იქნეს ის ზოგადი, ობიექტური გარემოებები, რომელშიც უნდა განხორციელდეს სწავლების პროცესი. და ბოლოს, არ უნდა დაგავიწყდეთ სწავლების თქვენეული მეთოდები; მაქსიმალურად უნდა უზრუნველყოთ მათი ეფექტური გამოყენება და ამ მეთოდების შემდგომი დახვეწა, თანამიმდევრობით და გონივრული მიდგომით, რათა ამან უარყოფითი ზემოქმედება არ იქონიოს სწავლების პროცესზე.

წინამდებარე თავის დასაწყისში მოცემულია ძირითადი კითხვები, მათ მოჰყვება სამუშაო ფურცლები, რომელთა სარგებლობაც შეგიძლიათ საჭიროების შემთხვევაში.

2. სწავლებისა და სწავლის პირობებთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი კითხვები

2.1 ამოცანა

წინამდებარე თავის დასაწყისში მოცემულია ძირითადი კითხვები. შემდგომი კითხვები, რომლებიც მასწავლებელთა თვითკონტროლისთვის არის განკუთვნილი, უფრო დეტალურ მიდგომას გვთავაზობს სწავლის პირობების სხვადასხვა ასპექტთან დაკავშირებით.

2.2 ძირითადი კითხვები

— რა ცოდნასა და უნარებს ფლობენ მოსწავლეები მოცემულ ეტაპზე?

— რა ცოდნასა და უნარებს ვფლობ მე?

— რა გარეშე პირობები უნდა გავითვალისწინო?

— რა ვიცი ჩემის მოსწავლეების, როგორც პიროვნებების შესახებ?

— ცოდნის რა ელემენტები და რა ინფორმაცია სჭირდებათ მოსწავლეებს იმისათვის, რომ თავი გაართვან ახალ დავალებას?

— იმ შესწავლის საგანთან დაკავშირებით, რომელიც მოსწავლეებისათვის სიახლეს წარმოადგენს, რა ინფორმაციას, უნარებსა და გამოცდილებას ფლობენ მოსწავლეები მოცემულ ეტაპზე? რა არის ახალი მათთვის, რისი გამეორება მოუწევთ, რა არის უმთავრესი და რა არის მეორეხარისხოვანი?

— როგორია ჩემი მოლოდინი მოსწავლეების მიერ მუშაობისა და სწავლის ტექნიკის დაუფლებასთან დაკავშირებით და როგორია მათი გამოცდილება, სოციალური ურთიერთობების თვალსაზრისით, სწავლების სხვადასხვა მეთოდსა და ფორმასთან დაკავშირებით?

— რა პოზიტიური ან ნეგატიური დამოკიდებულებების, წინასწარგანწყობის, ჩვევებისა და შეხედულებების გამოვლინების მოლოდინი უნდა მქონდეს?

— როგორ უნდა დავძლიო ის პრობლემები, რომლებიც უკავშირდება მოსწავლეების მხრიდან გამოვლენილ, სწავლასთან დაკავშირებულ სირთულეებს, სწავლის პროცესის შემაფერხებელ ფაქტორებსა და მოსწავლეებში სწავლისადმი მონდომებისა და მზადყოფნის ნაკლებობას?

— ადეკვატურად შევაფასე თუ არა მოსწავლეების მზადყოფნა სწავლისათვის, მათი ემოციური მდგომარეობა, მათი რეაგირების უნარი, მათი სწავლის საჭიროებები, მათი გამოცდილება, მათი ინტერესები, თავისუფალი დროის გამოყენების მათეული ჩვევები და ცხოვრებისეული პირობები?

— რა სოციალურ-კულტურული პირობები, ზემოქმედება და დახმარების რა სისტემებია მნიშვნელოვანი კლასში მუშაობისათვის? ფსიქოლოგიური თვალსაზრისით, რა როლს თამაშობენ მშობლები, დედმამიშვილები, თანატოლები ან სხვა პირები?

სწავლებისა და სწავლის პირობები

სამუშაო ფურცელი 1: როგორ გამოვიყენოთ მოსწავლეების უნარები და ცოდნა

— რა ვიცი კლასის შესახებ?

— კლასის რა მახასიათებლები უნდა გავითვალისწინო და რაზე უნდა მოვახდინო რეაგირება?

— რისი გაკეთება მსურს ან როგორ უნდა წარვმართო გაკვეთილი (კომუნიკაცია, სოციალური ქცევა, დაძაბული ურთიერთობები და ა.შ.)?

— როგორია კლასში შექმნილი ატმოსფერო (როგორ ვითარდება მოვლენები ჯგუფში, მეგობრობა მოსწავლეებს შორის, ინდიფერენტული მოსწავლეები და ა.შ.)?

— რა პირობების შექმნაზე უნდა ვიზრუნო (მეტყველების სტილი, მოვალეობები, მოსწავლეების განლაგება, სოციალურ ურთიერთობათა წესები, რიტუალები, საზეიმო თავშეყრები, ოფიციალური ცერემონიები, წვეულებები და ა.შ.)?

— რამდენი მოსწავლეა კლასში და როგორია კლასის სტრუქტურა (გოგონებისა და ვაჟების რაოდენობას შორის თანაფარდობის თვალსაზრისით, მრავალეროვნულობის თვალსაზრისით და ა.შ.)?

სწავლებისა და სწავლის პირობები

სამუშაო ფურცელი 2: როგორ გამოვიყენოთ ჩვენი პროფესიული უნარები და ცოდნა

— რა ზოგად გამოცდილებას, უნარებსა და ცოდნას ვფლობ?
— რამდენად საკმარისია ჩემი ცოდნა შესწავლის საგანთან და მის შინაარსთან დაკავშირებით, სწავლის მიზნებთან, სწავლების შესაბამის მეთოდებთან და სწავლის პროცესთან დაკავშირებით?
— რა სფეროებში ვისურვებდი ჩემი ცოდნის გაღრმავებასა და უნარების დახვეწას (ცოდნა, სწავლების მეთოდები, პროფესიული უნარები, პიროვნული მახასიათებლები, რეჟიმი და ა.შ.)?
— ადამიანისათვის დამახასიათებელი რომელი თვისებაა ჩემთვის მთავარი და მამოძრავებელი, რომლითაც მე ვხელმძღვანელობ?
— რომელ თეორიულ ჩარჩოებში ვაქცევ ჩემს მუშაობას მასწავლებლის რანგში, ან თეორიის რა გამარტივებულ ვარიანტს ვიყენებ პედაგოგიური მოღვაწეობისას?
— როგორ აღვწერდი და დავახასიათებდი ჩემს ურთიერთობას მოსწავლეებთან?
— სად გადის ჩემი პიროვნული ზღვარი, სამუშაო საათებთან, დაძაბულ ვითარებაში მუშაობასთან და ა.შ. დაკავშირებით? როგორ ვიყენებ ჩემს პირად სამუშაო შესაძლებლობებსა და უნარებს?
— როგორ შევამსუბუქო სამუშაო დატვირთვა როგორც სამუშაოს, ასევე, განსახორციელებელი ქმედებების ორგანიზებითა და უკეთესი დაგეგმვით?
— როგორ და რამდენად ეკონომიურად ვიყენებ დროს და როგორ ვუმკლავდები სტრესის გამომწვევ ფაქტორებს?

სწავლებისა და სწავლის პირობები

სამუშაო ფურცელი 3: სწავლებისა და სწავლის ზოგადი პირობების გამოყენება

— როგორ ვანაწილებ დროს დღის განმავლობაში, წლის განმავლობაში და, ასევე, ზოგადად, სწავლებისათვის განკუთვნილ დროს?

— როგორ არის მოწყობილი საკლასო ოთახი?

— როგორ არის აღჭურვილი სკოლა: ოთახების რაოდენობა და განსხვავებული მოწყობა, ხელმისაწვდომი მედიასაშუალებები, მასალა და ა.შ.?

— რა ჩარჩოებია დადგენილი სკოლის კულტურის თვალსაზრისით (ერთობლივი პროექტები სხვადასხვა ასაკობრივი ჯგუფისათვის, ჯგუფური სამუშაო და ჯგუფური ვალდებულებები, თანამშრომლობა მშობლებთან, სპეციალისტები ან ექსპერტები განსაკუთრებული საჭიროებების მქონე ბავშვებისათვის და ა.შ.)?

- თანაგრძნობა (ემპათია), ერთგულება (გრძნობებზე, მოსაზრებებზე, შეხედულებებზე და საჭიროებებზე რეაგირება), კეთილგანწყობა (პიროვნებისადმი პატივისცემა არ არის დამოკიდებული გარემოებებზე), გულწრფელობა, სტაბილურობა, ნდობა
- პატივისცემის გრძნობით განმსჭვალული ხელმძღვანელობა (ემოციური ერთგულება, ინდუქციური აზროვნება და განსჯა, ავტორიტეტული კონტროლი, სოციალური ინტეგრაციისა და დემოკრატიის დაცვა და ხელშეწყობა)

ურთიერთობა და კომუნიკაცია კლასში

- ურთიერთგაგება
- ადეკვატური ურთიერთობები
- განათლების მიწოდება გენდერული თანასწორობის დაცვით
- ახალი ნაცნობობის დამყარება
- მეგობრობა
  - ➡ ვერბალური და არავერბალური კომუნიკაცია
  - ➡ სხვათა შეხედულებებისა და მოსაზრებების გაზიარება
  - ➡ თვითაღქმა და აღქმა სხვათა მიერ

კონფლიქტის პრევენციის ატმოსფერო

- სამართლიანი და მზრუნველი საზოგადოება, შემსწავლელთა საზოგადოება, საერთო პასუხისმგებლობები (მასწავლებლები და მოსწავლეები - როგორც ვაჟები, ასევე, გოგონები)
- თანამშრომლობა, და არა კონკურენცია
  - ➡ სოციალური სწავლება
  - ➡ წესები და ჩვეულებები
  - ➡ მეტაკომუნიკაცია და მეტაურთიერთობა

➡ შეზღუდვა და გაძლიერებული დაცვა

საგანმანათლებლო ღონისძიებები

— საუბრები კონფლიქტის მოსაგვარებლად

— „მრგვალი მაგიდა“

— თამაშები

— თანამშრომლობა, როგორც ქცევის კორექტირების საშუალება

— რეაგირება ხელშეწყობისა და დახმარების მიზნით

— ინდივიდუალური პასუხისმგებლობები

— დასჯა

— კლასში ან სკოლაში ჩაგვრისა და ძალადობის შემთხვევებთან გამკლავება

სწავლებისა და სწავლის პირობები

სამუშაო ფურცელი 5: დისციპლინისა და წესრიგის განხილვა დემოკრატიული თვალსაზრისით

— წესრიგი საჭიროა ყველა შემთხვევაში. ჯგუფი, რომელიც არ იცავს წესრიგს და არ გააჩნია საბაზისო წესები, ვერ იქნება დემოკრატიული.

— შეზღუდვები აუცილებელია. წესები შესაძლებელია იყოს არამართლზომიერი და შეუსაბამო. მაგრამ იმ შემთხვევაში, თუ არ ხდება მათი ჩანაცვლება, საჭიროა მათი დაცვა. თუმცა შესაძლებელი უნდა იყოს მათი შეცვლა.

— დასაწყისიდანვე, მოსწავლეები უნდა მონაწილეობდნენ წესების შემუშავებასა და მათ დანერგვაში. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი მოსწავლეებში წესების შესაბამისი პასუხისმგებლობისა და მიდგომის ჩამოყალიბება.

— კლასის საზოგადოება ვერ იმუშავებს ურთიერთნდობისა და ურთიერთპატივისცემის გარეშე. რიგ შემთხვევებში, მსგავსი ატმოსფეროს შექმნა გარკვეულ სირთულეებთან არის დაკავშირებული.

— კლასში მოსწავლეებს შორის არსებული კონკურენცია ჩანაცვლებულ უნდა იქნას გუნდური სულისკვეთებით.

— კლასში მოსწავლეებს შორის მეგობრულ განწყობას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება.

— მასწავლებლის მიერ დემონსტრირებულ სოციალურ უნარებს დიდი წვლილი შეაქვს (ხელმძღვანელის ფუნქციის შესრულება დემოკრატიის პრინციპების დაცვის საფუძველზე, მოსწავლეებში იმ განწყობის შექმნა, რომ ისინი ჯგუფის სრულფასოვან წევრებს წარმოადგენენ, ურთიერთობების დამყარება და ა.შ.).

— კლასში, სადაც დემოკრატიული პრინციპებია დანერგილი, ჯგუფურ კომუნიკაციას მუდმივი ხასიათი აქვს.

— მოსწავლეებს, როგორც ვაჟებს, ასევე გოგონებს, უნდა ჰქონდეთ სტიმული, გამოიკვლიონ რაღაც ახალი და ისწავლონ საკუთარ შეცდომებზე.

— დადგენილი შეზღუდვები უნდა იძლეოდეს თავისუფლების უფლებით სარგებლობის საშუალებას. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი ინდივიდუალური პასუხისმგებლობის გამომუშავება.

— დისციპლინა და წესრიგი ენთუზიაზმითა და ხალისით იქნება მიღებული და დაცული იმ შემთხვევაში, თუ მისცემს პიროვნებას საკუთარი აზრის გამოხატვის შესაძლებლობას, თუ ხელს შეუწყობს ჯგუფის შიგნით დამაკმაყოფილებელი ურთიერთობების ჩამოყალიბება-გამყარებას და მუშაობისათვის შესაფერისი გარემოს შექმნას.

სამუშაო ფურცელი 6: მასწავლებლის როლის გააზრება დემოკრატიული თვალსაზრისით

მასწავლებლები კლასში ხელმძღვანელის როლსაც უნდა ასრულებდნენ და ზედამხედველისასაც. სწორედ ეს წარმოადგენს მათ ფუნქციას. მასწავლებლები იღებენ გადაწყვეტილებას კლასში განსახორციელებელი სხვადასხვა ამოცანის შესახებ და, ამავე დროს, აკონტროლებენ მოსწავლეების ქმედებებსა და შექმნილ სიტუაციას. ის, რასაც მასწავლებლები არ უნდა აკონტროლებდნენ, არის მოსწავლეების აზროვნება და მათი პიროვნული განვითარების პროცესი. განსაკუთრებით, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას, მასწავლებელი მაგალითის მიმცემია საკუთარი მოსწავლეებისათვის. როგორ უმკლავდება იგი კონფლიქტურ სიტუაციებს? რა ადამიანურ ღირებულებებს წარმოაჩენს იგი? ქვემოთ მოცემული ცხრილის მიხედვით, თქვენ შეგიძლიათ დაადგინოთ, როგორია თქვენი მიდგომა. მაგრამ ცხადია, რომ სიტუაციიდან, შექმნილი ვითარებიდან, საფრთხის არსებობისა და მოსწავლეთა ჯგუფის სპეციფიკიდან და ა.შ. გამომდინარე, შეიძლება საჭირო გახდეს უფრო ავტოკრატიული მიდგომის ან უფრო დემოკრატიული მიდგომის გამოყენება. ზოგადად, საჭიროა, გაითვალისწინოთ, რომ მასწავლებლის, როგორც პიროვნების არქეტიპი მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მასწავლებლის მოსწავლეებთან ყოველდღიური მუშაობის პროცესზე.

სწავლის გარემო						
ავტოკრატი			მე			დემოკრატი
მმართველი						ხელმძღვანელი
მკაცრი ტონი მეტყველებისას						მეგობრული ტონი მეტყველებისას
განკარგულებების გაცემა						თავაზიანი მოთხოვნა
ძალაუფლება						გავლენა
ზეწოლა						შეთავაზება
მკაცრი მოთხოვნა დამორჩილებაზე						თანამშრომლობაზე დათანხმება
იძულება დავალების შესრულებაზე						იდეების შეთავაზება
კრიტიკული მიდგომა						გამხნევება
ხშირი დასჯა						ხშირი დახმარება
„მომისმინეთ!“						„მოდით ვისაუბროთ“
„მე ვიღებ გადაწყვეტილებას, თქვენ ასრულებთ მას!“						„მე გთავაზობთ წინადადებას და გეხმარებით გადაწყვეტილების მიღებაში“
მთლიანად ვიღებ პასუხისმგებლობას კლასზე						პასუხისმგებლობას ვიზიარებ მოსწავლეებთან

სწავლებისა და სწავლის პირობები

სამუშაო ფურცელი 7: როგორ შევქმნათ დემოკრატიული ატმოსფერო კლასში

თუ მასწავლებელი მიიღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ კლასში უფრო დემოკრატიული ატმოსფერო შექმნას, მისი ეს გადაწყვეტილება გაცილებით დიდ მიზანს ემსახურება. ქვემოთ მოყვანილ ცხრილში მოცემულია იმ ღონისძიებათა ჩამონათვალი, რომლებიც კლასში დემოკრატიული ატმოსფეროს შექმნას ემსახურება.

1. რომელ ეტაპზე ვარ თითოეულ ასპექტში?
2. რომელს ასპექტზე შევაჩერებ ჩემს ყურადღებას ხვალ, მომავალ კვირას, მომავალ წელს?
3. რას ვაკეთებ მე, როგორც მასწავლებელი იმისათვის, რომ სკოლამ, სწავლების თვალსაზრისით, სარგებელი ნახოს ჩემი მიღწევებით?

ახლო პერსპექტივა	**შუალედური პერსპექტივა**	**სამომავლო პერსპექტივა**
მასწავლებელი არ იყენებს ზედმეტად ავტორიტარულ გამოთქმებს	მასწავლებელი იმუშავებს ისეთი გამოთქმების გამოყენების ჩვევას, რომელთა შეცვლაც და უკან წაღებაც შესაძლებელია	ურთიერთგაგება მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის
მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, თუ რატომ შეარჩია მან ესა თუ ის საკითხი ან მასალა	მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს ალტერნატიულ საკითხებსა და შესასწავლ მასალას	მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად გეგმავენ გაკვეთილს
მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს სწავლების მიზნებს	მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს სწავლების ალტერნატიულ მიზნებს	მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად განსაზღვრავენ სწავლების მიზნებს
მასწავლებელი მოსწავლეებს განუმარტავს, თუ რატომ შეარჩია მან სწავლების ესა თუ ის მეთოდი	მასწავლებელი სთავაზობს მოსწავლეებს სწავლების ალტერნატიულ მეთოდებს	მასწავლებელი და მოსწავლეები ერთობლივად არჩევენ სწავლების მეთოდებს
მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს მიცემული შეფასების მიზეზებს	მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს შეფასებასთან დაკავშირებულ დეტალებს	მოსწავლეები მუშაობენ თვითშეფასებაზე
კონფლიქტის დემოკრატიულად მოგვარების მოდელების გაცნობა	კონფლიქტების მოგვარებისას მასწავლებელი აღარ სარგებლობს საკუთარი ავტორიტეტითა და ძალაუფლებით	კონფლიქტების მოგვარება თანამშრომლობისა და კომუნიკაციის საშუალებით
მასწავლებელი განუმარტავს მოსწავლეებს საკლასო გარემოში სამუშაოს ორგანიზების პრინციპებს	მასწავლებელი ითვალისწინებს მოსწავლეების მიერ შემოთავაზებულ მოსაზრებებს, საკლასო გარემოში სამუშაოს ორგანიზების შესახებ	მოსწავლეები მონაწილეობას იღებენ საკლასო გარემოში სამუშაოს ორგანიზების შესახებ გადაწყვეტილების მიღებაში

სწავლებისა და სწავლის პირობები

სამუშაო ფურცელი 8: სკოლის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების განვითარების გზები

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება და დემოკრატიული ატმოსფეროს შექმნის გზების ძიება ვერ მოხერხდება იზოლირებულად, მხოლოდ საკლასო გარემოში, მისი სრულყოფილად განხორციელებისათვის საჭიროა სათანადო ღონისძიებების გატარება სკოლაშიც. ამ მიზნით, ყველაზე კომპეტენტურ ფიგურას წარმოადგენს სკოლის დირექტორი.

ევროპის საბჭოს მიერ მომზადებული, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში საჭირო მასალა შეიცავს ისეთ ინსტრუმენტს, როგორიცაა „სკოლის დემოკრატიული მმართველობა“, რომელიც გამოყოფს იმ ძირითად სფეროებს და გვთავაზობს იმ ნაბიჯებს, რომლებიც აუცილებლად უნდა გადაიდგას სკოლის, როგორც დემოკრატიული საზოგადოების განვითარების გზაზე (იხილეთ, ასევე, წინამდებარე სახელმძღვანელო, ნაწილი 2, თავი 5, სამუშაო ფურცლები 15-დან 18-ის ჩათვლით).

ამ თვალსაზრისით, ოთხ ძირითად სფეროს წარმოადგენს:

1. მმართველობა, ხელმძღვანელობა, მენეჯმენტი და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე
2. ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება
3. თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ჩართულობა; კონკურენტუნარიანობა და თვითგამორკვევა
4. მოსწავლეების დისციპლინა

მმართველობა, ხელმძღვანელობა, მენეჯმენტი და ანგარიშვალდებულება საზოგადოების წინაშე

სკოლის ხელმძღვანელობა ანგარიშვალდებულია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის მიმართ, როგორიცაა კანონმდებლები, სკოლების სამეურვეო საბჭოები, პროფესიული კავშირები, მოსწავლეები და მათი მშობლები, ისევე როგორც ადგილობრივი

საზოგადოებები, რომლებიც სკოლის ხელმძღვანელობას გარკვეულ მოთხოვნებს უყენებენ. როგორ უნდა გაართვას თავი სკოლის ხელმძღვანელობამ ამ ვალდებულებას და მასთან დაკავშირებულ გამოწვევებს? სკოლის ორგანიზებისა და მართვის რა ფორმას იყენებს სკოლის ხელმძღვანელობა? კონსენსუსსა და ნდობას ემყარება, თუ ხელმძღვანელობის ქმედებებს უნდობლობა და მეტოქეობა განსაზღვრავს? როგორ არის გადანაწილებული პასუხისმგებლობები სკოლის შიგნით? როგორ ართმევს თავს სკოლის ხელმძღვანელობა სკოლაში არსებულ მრავალფეროვნებას? და როგორ ასრულებს სკოლა დაინტერესებულ მხარეთა წინაშე ანგარიშვალდებულებაზე აღებულ პასუხისმგებლობას?

ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება

როგორ ხდება სკოლაში, ფორმალურსა თუ არაფორმალურ კონტექსტში, ისეთი ღირებულებების წარმოჩენა, როგორიცაა ადამიანის უფლებები და მრავალფეროვნების პატივისცემა? როგორ ხდება ღირებულებებისა და სოციალური უნარების, როგორც გლობალიზაციის პირობებში არსებულ თანამედროვე საზოგადოებებში მშვიდობიანი თანაარსებობის საწინდარის ხელშეწყობა? როგორ ხდება ამ ღირებულებათა მიწოდება მოსწავლეებისათვის?

თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ჩართულობა; კონკურენტუნარიანობა და თვითგამორკვევა

სკოლა არ წარმოადგენს ფართო საზოგადოებისაგან ან რეალური სამყაროსაგან მოწყვეტილ გარემოს. როგორია კომუნიკაცია სკოლის ფარგლებში დასკოლის ფარგლებს მიღმა? როგორია თანამშრომლობა სკოლის ფარგლებში და სკოლის ფარგლებს მიღმა? სკოლა წააგავს იზოლირებულ გარემოს, თუ მის ფარგლებში დანერგილი კომუნიკაციისა და ჩართულობის საშუალებით, შესაძლებელი ხდება ფართო ასპარეზზე გასვლა? როგორ არის მისი მისია ფორმულირებული? რამდენად არის სკოლა მზად, გარე სამყაროსთან კომუნიკაციისას განახორციელოს დასახული მიზნები?

მოსწავლეების დისციპლინა

სკოლაში ბევრი ადამიანია დასაქმებული, რომელთაც ერთმანეთთან თანამშრომლობა უწევთ. რა საშუალებები უნდა იქნეს გამოყენებული დისციპლინისა და წესრიგის

უზრუნველსაყოფად სკოლაში, რომელიც დემოკრატიული პრინციპებით არის მართული? რა აიძულებს მოსწავლეებს, დაექვემდებარონ დადგენილ წესებს და რა აიძულებთ მათ, დაარღვიონ ისინი ან იმოქმედონ მათ საწინააღმდეგოდ? სკოლაში, რომელიც დემოკრატიულ პრინციპებს ეფუძნება, წესების არარსებობა ან მოსწავლეების მიერ მათი უგულებელყოფა ქაოსს ხომ არ გამოიწვევს?

თავი 2

მიზნების დასახვა და მასალების შერჩევა

1. წინასიტყვაობა

მასწავლებლების წინაშე მუდმივად დგას საკუთარი გადაწყვეტილებების მართებულობის დამტკიცების პრობლემა: რამ განაპირობა ჩემ მიერ ამა თუ იმ მიზნის დასახვა თუ თემის შერჩევა? სწავლების მიზნების განსაზღვრა და თემების შერჩევა სწავლებასთან დაკავშირებული პრინციპული გადაწყვეტილების მიღების ტოლფასია. არ შეიძლება მიზნების გადმოღება და მათი მორგება საკუთარ საჭიროებებზე, არც მათი დოგმატურად თავს მოხვევაა რეკომენდებული. ნაცვლად ამისა, საჭიროა მიზნების დეტალური გამოკვლევა, ისინი უნდა ეფუძნებოდეს საღ აზრს და უნდა იყოს დასაბუთებული. მხოლოდ ამის შემდეგ - შესაძლებელია თქვენს მოსწავლეებთან ერთად - რეკომენდებულია თემებისა და სწავლების მიზნების წინდახედულად შერჩევა, მიღებული გადაწყვეტილების გაცილებით ფართო კონტექსტში განხილვა და შერჩეული თემების გადასინჯვა, საგანმანათლებლო ღირებულების თვალსაზრისით. აღნიშნული ამოცანა უპირატესი მნიშვნელობისაა, ვინაიდან შესასწავლი თემების სპექტრი ძალიან ფართოა მაშინ, როცა სწავლების დაგეგმვისა და თავად სწავლების პროცესისათვის გამოყოფილი დრო - შეზღუდულია.

ქვემოთ მოცემული ძირითადი კითხვები ემსახურება მასწავლებლების დახმარებას თემების შერჩევისა და მომზადების რთული პროცესისათვის თავის გართმევის საქმეში.

2. მიზნების დასახვასა და მასალების შერჩევასთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი კითხვები

2.1 ამოცანა

მასწავლებლები, რომლებიც დიდი პასუხისმგებლობით ეკიდებიან საკუთარ საქმეს,მუდმივად დგანან თავიანთი გადაწყვეტილებების მართებულობის დამტკიცების პრობლემის წინაშე. რამ განაპირობა ჩემ მიერ ამა თუ იმ მიზნის დასახვა თუ თემის შერჩევა?

სწავლების მიზნების განსაზღვრა და თემების შერჩევა სწავლებასთან დაკავშირებული პრინციპული გადაწყვეტილების მიღების ტოლფასია. არ შეიძლება მიზნების გადმოღება და მათი მორგება საკუთარ საჭიროებებზე, არც მათი დოგმატურად თავს მოხვევაა რეკომენდებული. ნაცვლად ამისა, საჭიროა მიზნების დეტალური შესწავლა, ისინი უნდა ეფუძნებოდეს საღ აზრს და უნდა იყოს დასაბუთებული. მნიშვნელოვანია, მასწავლებელმა სწავლების მიზნები თავისი მოსწავლეების სწავლის პირობებს მოარგოს და მიუსადაგოს (იხილეთ თავი 1, სწავლებისა და სწავლის პირობები).

მას შემდეგ, რაც მიზნები უფრო ჩამოყალიბებულ და კონკრეტულ სახეს მიიღებს, საჭიროა, მათში ჩავრთოთ შინაარსობრივი ასპექტები. მაგრამ არა მანამდე, სანამ გარკვევით არ გვექნება განსაზღვრული, თუ რა დონეს უნდა მივაღწიოთ შესწავლის საგნის შინაარსთან დაკავშირებით, ანუ მოსწავლეებისათვის გასაცნობ თემასთან დაკავშირებით. გაძლევთ შერჩეული თემა თქვენ მიერ დასახული სწავლების მიზნების განხორციელების საშუალებას?

სწავლების დაგეგმვის პროცესში, შინაარსობრივ ასპექტებზე მუშაობა რთულია და, ამავე დროს, საკმაო დროსაც მოითხოვს. ერთი შეხედვით მცირე ძალისხმევა საკმარისად გვეჩვენება, ვინაიდან სასკოლო პროგრამები, ამასთან დაკავშირებით, გვაძლევს მკაფიო და გარკვეულ მიმართულებებს და სასწავლო საშუალებები დეტალურ ინფორმაციას აწვდის მასწავლებლებს. თუმცა ძირითად ამოცანაზე პასუხისმგებელი თავად მასწავლებელია: იგი ძირფესვიანად უნდა იყოს ინფორმირებული და საფუძვლიან ცოდნას ფლობდეს იმ სფეროში, რომლის სწავლებასაც გეგმავს, საჭიროა ამ სფეროს სტრუქტურის შედგენა, მისი დაწვრილებითი შესწავლა, ანალიზი, კრიტიკული თვალით შეფასება, თემებისა და სწავლების მიზნების გონივრული შერჩევა, საკუთარი გადაწყვეტილების განხილვა ფართო კონტექსტში, იმის შეფასება, თუ რამდენად იძლევა შერჩეული თემა დასახული მიზნების მიღწევის საშუალებას და ა.შ. აღნიშნული ამოცანა უპირატესი მნიშვნელობისაა, ვინაიდან შესასწავლი თემების სპექტრი ძალიან ფართოა, მაშინ როცა სწავლების დაგეგმვისა და თავად სწავლების პროცესისათვის გამოყოფილი დრო - შეზღუდულია.

ქვემოთ მოცემული კითხვები და მათგან გამომდინარე გარკვეული ქვეკითხვები ემსახურება მასწავლებლის თვითკონტროლს და მიზნად ისახავს მასწავლებლების

დახმარებას თემების შერჩევისა და მომზადების რთული პროცესისათვის თავის გართმევის საქმეში. რეკომენდებულია, თითოეულმა მასწავლებელმა ითანამშრომლოს სხვა მასწავლებლებთან და, შესაძლოა, მოსწავლეებთანაც.

2.2 ძირითადი კითხვები

მიზნების განსაზღვრისათვის:

- — რა მიზნების მიღწევა მსურს?
- — მოცემული თემის ამოწურვის შემდეგ, რა კომპეტენციები იქნება ყველაზე მნიშვნელოვანი?
- — რამ განაპირობა მოცემული კონკრეტული მიზნების დასახვა?
- — რა პრიორიტეტს ვანიჭებ ჩემ მიერ დასახულ მიზნებს (პირველადი მნიშვნელობის თუ მეორეხარისხოვანი)?
- — რა მიზნების მიღწევაა მოცემულ მომენტში მნიშვნელოვანი - მთლიანი კლასისათვის, ინდივიდუალურად მოსწავლეებისათვის, გოგონების და/ან ვაჟებისათვის?
- — დარწმუნებული ვარ, რომ ჩემ მიერ დასახული მიზნები ემსახურება ჩემი მოსწავლეების ძირითად ინტერესებსა და საჭიროებებს? ჩემ მიერ ჩატარებული გაკვეთილი ესადაგება იმას, რაც ჩემს მოსწავლეებს ყველაზე მეტად აინტერესებთ?
- — შესაძლებელია მოსწავლეების ჩართვა სწავლების მიზნების განსაზღვრისა და შერჩევის პროცესში?
- — რა დრო (რამდენი გაკვეთილი, რამდენი კვირა) არის განსაზღვრული დასახული მიზნების მისაღწევად?
- — რა მიზნები უნდა იყოს მიღწეული ყველა მოსწავლის მიერ, სწავლებისათვის განსაზღვრულ დროში (მოსწრების ძირითადი სტანდარტი)?
- — საჭიროა თუ არა მოსწრების სპეციფიკური დონის განსაზღვრა ინდივიდუალური მოსწავლეებისათვის (სწავლება ინდივიდუალური შესაძლებლობის მიხედვით)?
- — ვაძლევ თუ არა მოსწავლეებს ცოდნის პრაქტიკაში გამოყენების საშუალებას, ანუ, შეუძლიათ თუ არა მათ საკუთარ თავში დაჯერებულად გამოიყენონ შეძენილი ცოდნა?

- — რაზე ვამახვილებ ყურადღებას სწავლებისას - შემეცნებით, პიროვნულ თუ სოციალურ კომპეტენციებზე?
- — მაქვს თუ არა ნათელი წარმოდგენა მოკლევადიან და გრძელვადიან მიზნებზე, რომლებიც ჩემი მოსწავლეებისათვის, მოსწავლეთა ჯგუფებისათვის, ინდივიდუალური მოსწავლეებისათვის, გოგონებისა და ვაჟებისათვის უმთავრესი მნიშვნელობისაა?
- — ნათლად და გასაგებად განვმარტე მიზნები?

თემებისა და მასალის შერჩევისათვის:

- — რა თემა შევარჩიე?
- — რამ განაპირობა ჩემ მიერ მოცემული თემის შერჩევა?
- — როგორია ჩემ მიერ შერჩეული თემის სტრუქტურა?
- — ჩემ მიერ შერჩეული თემა ესადაგება სილაბუსს?
- — ჩემ მიერ შერჩეული თემის რა ასპექტები იქნება საინტერესო ჩემი მოსწავლეებისათვის?
- — რა მხრივ უკავშირდება მოცემულ თემაზე სკოლაში შეძენილი ცოდნა სკოლის გარეთ შეძენილ ცოდნას?
- — არსებობს კავშირი ჩემ მიერ შერჩეულ თემასა და რეალურ ცხოვრებასა თუ მოსწავლეთა გარემოს შორის?
- — კარგად მესმის იმ თემის საგანი, რომელიც მე შევარჩიე? როგორ შემიძლია ავიმაღლო ინფორმირებულობის დონე? მჭირდება გარკვეული კვლევის ან ექსპერიმენტის განხორციელება, ვიდრე მოცემულ თემას მოსწავლეებს გავაცნობ?
- — რა სასწავლო მასალაა ხელმისაწვდომი ჩემ მიერ შერჩეული თემის კონკრეტული ასპექტების შესახებ?
- — ჩემ მიერ შერჩეული თემა მისცემს მოსწავლეებს იმის საშუალებას, რომ მათ გამოიყენონ საკუთარი გამოცდილება, ცოდნა და უნარები გაკვეთილის მსვლელობისას (მაგალითად, მოსწავლეებმა, რომელთაც განსხვავებული კულტურული და ენობრივი წარმომავლობა გააჩნიათ)?
- — ჩემ მიერ შერჩეული თემა თანაბრად შესაფერისი იქნება როგორც გოგონების, ასევე, ვაჟების საჭიროებებისათვის?

— შერჩეული თემა ჩემთვის საინტერესოა?

მიზნების დასახვა და მასალების შერჩევა

სამუშაო ფურცელი 1: მოსწავლეთა კომპეტენციები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სფეროში

კომპეტენციათა სამი სფერო დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში

დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების მიზანს წარმოადგენს კომპეტენციათა განვითარება სამ სფეროში, რომელიც ერთმანეთთან მჭიდროდ არის დაკავშირებული და, აქედან გამომდინარე, არ უნდა განვიხილოთ ცალ-ცალკე.

ა

პოლიტიკური ანალიზისა და აზროვნების კომპეტენცია

პოლიტიკური მოვლენების, პრობლემების, სადავო საკითხების და, ასევე, ეკონომიკურ და სოციალურ განვითარებასთან დაკავშირებული საკითხების ანალიზისა და მათზე მსჯელობის უნარი, შინაარსისა და ღირებულების ასპექტების გათვალისწინებით.

ბ

მეთოდების გამოყენების კომპეტენცია

ინფორმაციის მიღება-გაცემისა და კომუნიკაციის უნარის შეძენა და იმ მეთოდების გამოყენების უნარი, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკურ ცხოვრებაში მონაწილეობისათვის.

გ

პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენცია

სხვების წინაშე საკუთარი მოსაზრებების, შეხედულებებისა და ინტერესების სათანადოდ ჩამოყალიბება-წარდგენის უნარი.

მოლაპარაკებების წარმოებისა და კომპრომისზე წასვლის უნარი.

საკუთარი შესაძლებლობების (შესაძლებლობების ზღვრების)გაანალიზების უნარი, პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისას და, ასევე, უნარი -აირჩიო საკუთარი შესაძლებლობების შესაბამისი მოქმედების კურსი.

პოლიტიკური ანალიზისა და აზროვნების კომპეტენცია

მიზანი პოლიტიკური მოვლენების, პრობლემებისა და სადავო საკითხების ანალიზის კომპეტენციისა და საკუთარი მოსაზრების საფუძვლების ახსნა-განმარტების უნარის განვითარებაა. სკოლას შესწევს უნარი, საკუთარი წვლილი შეიტანოს მოსწავლეების ამ კუთხით განვითარებაში, მოსწავლეების ხელშეწყობით, რათა მათ გამოიყენონ სტრუქტურული ანალიზის უნარი, საკითხის სიღრმისეული შესწავლის მიზნით.

ამ მიზნის მისაღწევად, საჭიროა, მოსწავლეები ფლობდნენ შემდეგ უნარებს:

- პიროვნების ცხოვრებაში პოლიტიკური გადაწყვეტილებების მნიშვნელობის შეცნობა;
- პოლიტიკურ გადაწყვეტილებათა შედეგების გაანალიზება და განსჯა;
- საკუთარი შეხედულებებისა და მოსაზრებების, ასევე, სხვათა შეხედულებებისა და მოსაზრებების გაანალიზება და გადმოცემა;
- პოლიტიკის სამი განზომილების აღქმა და შეცნობა:
  ა) ინსტიტუციური განზომილება
  ბ) შინაარსზე დაფუძნებული განზომილება
  გ) პროცესზე ორიენტირებული განზომილება
- პოლიტიკური პროცესების სხვადასხვა ფაზების ანალიზი და შეფასება მიკრო დონეზე (მაგალითად, სკოლის ცხოვრება), საშუალო დონეზე (მაგალითად, საზოგადოება) და მაკრო დონეზე (ეროვნული და საერთაშორისო პოლიტიკა);
- ფაქტების, პრობლემებისა და გადაწყვეტილებების წარმოდგენა ანალიტიკური კატეგორიების საშუალებით, ძირითადი ასპექტების გამოცნობა და მათი დაკავშირება ადამიანის უფლებათა და დემოკრატიულ სისტემათა ძირითად ღირებულებებთან;
- აქტუალური სადავო საკითხების განხილვისას, სოციალური, სამართლებრივი, ეკონომიკური, ეკოლოგიური და საერთაშორისო გარემოებების, ინტერესთა სფეროების და მოვლენების ამოცნობა;
- გაცნობიერება, თუ როგორ მიეწოდება საზოგადოებას პოლიტიკა მედიის მიერ.

მეთოდების გამოყენების კომპეტენცია

სხვადასხვა პოლიტიკურ პროცესში მონაწილეობისათვის საკმარისი არ არის პოლიტიკური მოვლენების შინაარსის, სტრუქტურისა და პროცესების მხოლოდ საფუძვლების ცოდნა, არამედ ასევე საჭიროა, ფლობდე ზოგად კომპეტენციებს, რომელთა შეძენაც შესაძლებელია სხვადასხვა სფეროში (როგორიცაა, კომუნიკაცია, თანამშრომლობა, ინფორმაციის მიღება და გაცემა, სტატისტიკა). დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების ფარგლებში საჭიროა მოსწავლეებში ხელი შევუწყოთ ისეთი კონკრეტული უნარების განვითარებას, როგორიცაა მოსაზრების დაცვა ან მის წინააღმდეგ გამოსვლა, რომლებიც განსაკუთრებით მნიშვნელოვანია პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობისათვის. მიზანი ამ უნარების გააქტიურებაა, იმ მეთოდების საშუალებით, რომლებიც ფართოდ გამოიყენება პოლიტიკური დისკურსის პირობებში (განხილვები, დებატები).

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, მოსწავლეები ფლობდნენ შემდეგ უნარებს:

- მასმედიის ან ახალი საინფორმაციო ტექნოლოგიების მიერ მოწოდებული ინფორმაციის დამოუკიდებლად მოძიების, შერჩევის, დამუშავებისა და გადმოცემის უნარი, კრიტიკული და კონცენტრირებული მიდგომის გამოყენებით (სტატისტიკის, რუკების, დიაგრამების, სქემების, კარიკატურების შეგროვება, დახარისხება, შეფასება);
- მედიის შეფასება კრიტიკულად და საკუთარი მედიაპროდუქციის შექმნა;
- ემპირიული მეთოდების ზოგადი გამოყენება (მაგალითად, გამოკითხვისა და ინტერვიუს წარმართვის ტექნიკა).

პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებისა და მოქმედების კომპეტენცია

მიზანი, პოლიტიკურ კონტექსტში და საზოგადოების წინაშე, საკუთარი მოსაზრებების თავდაჯერებულად და ადეკვატურად წარდგენის კომპეტენციისა და თავდაჯერებული და ადეკვატური მოქმედების კომპეტენციის შეძენაა.

ამ მიზნის მისაღწევად საჭიროა, მოსწავლეები ფლობდნენ შემდეგ უნარებს:

— საკუთარი მოსაზრების თავდაჯერებულად და ადეკვატურად გახმოვანების უნარი და დიალოგის სხვადასხვა ფორმის შესწავლა;
— საზოგადოებრივ ცხოვრებაში მონაწილეობა და პოლიტიკური მოქმედების უნარი (ზეპირი მეტყველების უნარები, როგორიცაა საკუთარი შეხედულების ახსნა-განმარტება, მსჯელობა, დებატებში მონაწილეობა, დისკუსიაში წამყვანი როლის ამ მომრიგებლის როლის შესრულება; წერილობითი პრეზენტაციისა და ვიზუალიზაციის ტექნიკის ფლობა: პოსტერების, კედლის გაზეთების, შეხვედრათა ოქმების, ჟურნალ-გაზეთების რედაქტორებისათვის განკუთვნილი წერილების და ა.შ. შედგენა);
— საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერება, პოლიტიკური ზეგავლენის მოხდენის, გუნდის შექმნისა და გუნდური მუშაობის კუთხით;
— საკუთარი უფლებების დაცვა, მაგრამ, ამავდროულად, კომპრომისზე წასვლის უნარი;
— დემოკრატიის წინააღმდეგ მიმართული აზროვნებისა და ტენდენციების ამოცნობა და მათზე ადეკვატურად რეაგირების უნარი;
— მრავალკულტურულ კონტექსტში ბუნებრივი ქცევის უნარი.

მიზნების დასახვა და მასალების შერჩევა

სამუშაო ფურცელი 2: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის საჭირო მასალათა ორი კატეგორია

სწავლება და სწავლა მასალის გარეშე შეუძლებელია, ვინაიდან მასალა წარმოადგენს შესწავლის საგნის, თემის, ინფორმაციისა და მონაცემების მოწოდების საშუალებას. მოსწავლეები თავიანთ კომპეტენციებს მოქმედების საშუალებით ივითარებენ, რაც ნიშნავს რაიმე ობიექტზე ზემოქმედებას. სწავლების პროცესში ამგვარ მასალად, უპირველეს ყოვლისა, მოიაზრება სახელმძღვანელო ან მოსწავლეებისათვის დასარიგებელი სამუშაო ფურცლები, რაც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების პროცესში მართლაც მნიშვნელოვანია.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის საჭირო მასალათა ორი კატეგორია

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სპეციფიკურ პროფილს უკავშირდება მასალისა და მედიის ფართო ცნება. სკოლის სახელმძღვანელოები და მოსწავლეებისათვის დასარიგებელი სამუშაო ფურცლები სწორედ ბეჭდვითი მედიის მაგალითებია. ინტერაქტიული კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესში, მასწავლებლები და მოსწავლეები ქმნიან სხვადასხვა კატეგორიის მასალას. ეს მასალა ავთენტურია, ვინაიდან წარმოადგენს ადგილზე, განსაზღვრულ სიტუაციაში შექმნილ პირველწყაროს, რომელიც განკუთვნილია მოცემულ მომენტში, მოცემულ ადგილზე მყოფი ადამიანებისათვის. აქედან გამომდინარე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში, მასწავლებლები და მოსწავლეები მხოლოდ მასალის მომხმარებლები კი არ არიან, არამედ მასალის შემქმნელებიც. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების წინამდებარე გამოცემაში შესული წიგნები, II-დან VI-ის ჩათვლით, ამ კატეგორიის მასალის უამრავ მაგალითს შეიცავს, რომელიც ძალიან ხშირად მოსწავლეების მიერ კონკრეტული დავალების შესრულების შედეგად ან კონკრეტული პროექტის ფარგლებში შექმნილ მასალას წარმოადგენს; წიგნებში მოცემულ თავებსა და გაკვეთილების აღწერაში ახსნილია ამგვარი დავალების

შესრულების მნიშვნელობა მოსწავლეებისათვის, სწავლის პოტენციალის ამაღლების თვალსაზრისით.

სწავლის საჭიროებებისა და მასალების მატრიცა

ქვემოთ მოცემულ მატრიცაში, მასალათა ამ ორი კატეგორიის ტიპური მაგალითები - მედიის საშუალებით მოწოდებული და მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიერ შექმნილი - დაკავშირებულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში კომპეტენციების განვითარების სხვადასხვა ასპექტთან. არ არის რეკომენდებული ერთი ტიპის მასალაზე კონცენტრირება, არამედ საჭიროა ინტეგრირებული მიდგომა. თუმცა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების დაცვის საშუალებით განხორციელებული სწავლება, მასწავლებლის მხრიდან, მოსწავლეების მიერ შექმნილი მასალისადმი სერიოზულ დამოკიდებულებას გულისხმობს.

კომპეტენციის განვითარების ასპექტი	**მედიის საშუალებით მოწოდებული მასალა**	**სწავლის პროცესში შექმნილი მასალა**	
		მასწავლებლის მიერ შექმნილი მასალა	**მოსწავლეების მიერ შექმნილი მასალა**
მოსწავლეების განვითარების დონე	(მსგავსი საშუალებები და მასალა, რა თქმა უნდა, არსებობს - მაგალითად, საბავშვო წიგნები და ფილმები - მაგრამ მასწავლებელი არ ფლობს ინფორმაციას იმის თაობაზე, თუ მისი მოსწავლეები რამდენად იცნობენ მსგავს მედიას)		კონცეფციები, გამოცდილება და ოჯახში და თანატოლებთან სოციალიზაციის პროცესები, სკოლაში და სკოლის გარეთ შეძენილი ინფორმაცია
თემის განსაზღვრა, გაკვეთილის ან თემის განხილვის დღის წესრიგის შემუშავება			ბრეინშტორმინგი და დისკუსიებში მონაწილეობა
ინფორმაცია	აქტუალური ახალი ამბების რეპორტაჟები (ბეჭდვითი მედია, ტელევიზია, DVD, ინტერნეტი) სასკოლო სახელმძღვანელო	ლექცია, ძირითადი მასალის მიწოდება (როგორიცაა, ფლიპჩარტები, მარკერები, ფერადი ქაღალდები)	მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაო (როგორიცაა, მედიასაშუალებებში გაშუქებული გზავნილის დეკონსტრუქცია, შინაარსის გადმოცემა, საშინაო დავალება, პრეზენტაციები,
ანალიზი და მსჯელობა	პოლიტიკური და სამეცნიერო საკითხები და სადავო საკითხები (მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები, სახელმძღვანელო)	ძირითად კონცეფციებთან დაკავშირებული ინსტრუქციები. კრიტიკა, რომელიც მოითხოვს ინფორმაციის დეკონსტრუქციას	დისკუსიებსა და დებატებში მონაწილეობა, კომენტარები, კითხვები)
წვრთნა უნარებში	მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სამუშაო ფურცლები (ინსტრუქციები, რომლებიც ემსახურება უნარის გამომუშავებას)	დემონსტრირება და წვრთნა	რეაგირება
მონაწილეობა და მოქმედება		სხდომის თავმჯდომარეობა	გამოცდილება. კითხვები, კომენტარები, გაცნობიერება, ინტერესი
შეფასება	საგამოცდო ფურცლები. კითხვარები. პორტფოლიო.	დაკვირვება	თვითშეფასება. რეაგირება. სწავლის საჭიროებების გამოვლენა

მიზნების დასახვა და მასალების შერჩევა

სამუშაო ფურცელი 3: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის საჭირო მასალის შერჩევა და გამოყენება

მედიასაშუალებების მიერ გაშუქებული მასალის შერჩევა

მასალის ფართო ცნება გულისხმობს, რომ მასალას არჩევენ როგორც მასწავლებლები, ასევე, მოსწავლეები. მოსწავლეები მასალას არჩევენ კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესში. ამჯერად ყურადღება გამახვილებულია მასწავლებლის როლზე, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე საჭირო მასალის შერჩევაში.

მედიასთან დაკავშირებული მასალის შერჩევის კრიტერიუმები

- უტყუარობა: შესაძლებელია თუ არა ავტორის, წყაროსა და გამოცემის თარიღის გარკვევით იდენტიფიცირება? ტექსტი, მონაცემები და ა.შ. პირველწყაროდან არის აღებული? შეუძლიათ (საშუალო სკოლის) მოსწავლეებს, მიხვდნენ, რომ ტექსტში შეტანილია ცვლილებები, თუ მსგავსი ცვლილებების იგულისხმება ორიგინალ ტექსტში?
- შესაბამისობა: მასალა ესადაგება მოსწავლეების აღქმასა და კომპეტენციის განვითარების დონეს, და მათ გამოცდილებას მედიასაშუალებებით გაშუქებული გზავნილების დეკონსტრუქციის კუთხით? მასალა არ უნდა იყოს არც ძალიან რთული და არც ძალიან მარტივი; მასალის აღქმა მოსწავლეების მხრიდან ძალისხმევას უნდა გულისხმობდეს, რაც მოსწავლეების უნარების განვითარებას, ცოდნის გაღრმავებას, აღქმისა და განსჯის უნარების დახვეწას ემსახურება.
- მართებულობა: მასალა აკმაყოფილებს მოსწავლეების ინტერესს? ეხება მასალა ისეთ თემას ან საკითხს, რომელიც, მოსწავლეების თვალსაზრისით, მნიშვნელოვანია? შეუძლიათ მოსწავლეებს მასალის შინაარსი დაუკავშირონ თავიანთ გამოცდილებასა და ცოდნას?
- ინდოქტრინაციის დაუშვებლობის ან პერსპექტივათა პლურალიზმის პრინციპი: გამოხატავს მასალა განსხვავებულ პერსპექტივებს? ხომ არ ემსახურება იგი

მოსწავლეთა ინდოქტრინაციას - აზროვნების, განსჯის ან ინტერესთა ნებისმიერი კუთხით (იხილეთ წინამდებარე წიგნში შესული მასალა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელ მასწავლებელთა პროფესიული ეთიკის შესახებ)?

მოსწავლეების მიერ შექმნილი მასალა

მასწავლებელმა, გაკვეთილის დაწყებამდე ან გაკვეთილის დამთავრების შემდეგ, გულდასმით უნდა შეისწავლოს მოსწავლეების მიერ შესრულებული წერითი ან სახვითი სამუშაო და წინასწარ დაგეგმოს გასატარებელი ღონისძიებები.

მოსწავლეების მიერ ზეპირმეტყველებასთან დაკავშირებული დავალებების შესრულების დროს მასწავლებლის წინაშე გაცილებით რთული ამოცანა დგება, ვინაიდან მას უწევს სპონტანურად რეაგირება და ხშირად იმპროვიზებაც. იხილეთ წინამდებარე წიგნში შესული მასალა საერთო საკლასო დისკუსიის თავმჯდომარეობის შესახებ.

თავი 3

ვეცნობით პოლიტიკას

1. წინასიტყვაობა: რა უნდა ისწავლოს მოსწავლემ?

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მიზანს წარმოადგენს გარკვეული უნარების განვითარება მოსწავლეებში და მათი აღჭურვა შესაბამისი საშუალებებით, რათა მოსწავლეებმა მონაწილეობა მიიღონ იმ გადაწყვეტილებების მიღების პროცესებში, რომლებიც ეხება მათ ინტერესებსა და იმ საზოგადოების ინტერესებს, რომელსაც ისინი ეკუთვნიან.

კონკრეტულ ქმედებას ვასრულებ მხოლოდ მას შემდეგ, რაც მივიღებ გადაწყვეტილებას, ანუ, როდესაც მეცოდინება, რა მსურს. ამ საკითხისადმი უფრო ანალიტიკური მიდგომით, ეს ნიშნავს იმას, რომ პიროვნებას გაცნობიერებული უნდა ჰქონდეს საკუთარი ინტერესები და განსაზღვრული უნდა ჰქონდეს მათი პრიორიტეტულობა, ან კარგად უნდა იცნობდეს და შესწავლილი ჰქონდეს საკითხი, პრობლემა თუ კონფლიქტი და მხოლოდ ამის შემდეგ მიიღოს გადაწყვეტილება, მოქმედების რა კურსი აირჩიოს ან რა კურსს დაუჭიროს მხარი. საკითხის შესწავლა, თავის მხრივ, გულისხმობს საკითხის სწორ აღქმას, ხოლო სწორი აღქმისათვის საჭიროა სარწმუნო ინფორმაცია.

აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს უნდა ესმოდეთ მნიშვნელოვანი პოლიტიკური საკითხები, რაც, ერთი მხრივ, ემსახურება ამ მოვლენების მოსწავლეების მიერ გაცნობიერებას (პოლიტიკის „შესახებ“ სწავლა), ხოლო, მეორე მხრივ, მოსწავლეებში გარკვეული კომპეტენციების განვითარებას, რაც მათ საშუალებას აძლევს, დამოუკიდებლად იმოქმედონ საჭირო დროს: მოიპოვონ ინფორმაცია, აწარმოონ პოლიტიკური საკითხისა თუ პრობლემის ანალიზი, ჩამოიყალიბონ სწორი წარმოდგენა და საკუთარი მიდგომა ამ საკითხებისა და პრობლემების მიმართ. ეს ახალგაზრდა მოქალაქეს პროცესებში მონაწილეობისა და მოქმედების საშუალებას აძლევს (სწავლა დემოკრატიულ პროცესებში მონაწილეობის „მიზნით“).

2. პოლიტიკის გაცნობასთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი კითხვები

2.1 მასწავლებელთა ამოცანა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას

არა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, არამედ სწავლებისა და სწავლის ყველა სფეროში, ზედმიწევნით ზუსტად შერჩეული მაგალითები მოსწავლეებს ეხმარება შესწავლის კომპლექსური საგნის აღქმასა და გაგებაში. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების წინამდებარე გამოცემაში შესული მასწავლებელთა სახელმძღვანელოები (წიგნები II-დან V-ის ჩათვლით), რომლებიც განკუთვნილია სასკოლო განათლების დაწყებითი, საშუალო და მაღალი საფეხურებისათვის, ყველა თავში შეიცავს მოცემულ პრინციპს და, ასევე, გვთავაზობს სხვადასხვა შესაძლო მიდგომას. სახელმძღვანელოებში ასევე შესულია მითითება იმის თაობაზე, რომ ეს მაგალითები შესაძლებელია აღებულ იქნას სკოლის მმართველობის კონტექსტიდან ან ნებისმიერ დონეზე განხორციელებული პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესიდან, რომელთა შორისაც არჩევანი უნდა გაკეთდეს მოსწავლეების ასაკობრივი ჯგუფის ინტერესების გათვალისწინებით, ასევე მასალის ხელმისაწვდომობის ან მოსწავლეების მიერ მასალის შექმნის შესაძლებლობებისა და სწავლის სასურველი შედეგების გათვალისწინებით.

ეს მაგალითები, ძირითადად, ორი ტიპისაა - პოლიტიკური საკითხის ან პრობლემის ანალიზი, ან პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის ანალიზი. მასწავლებლის კომპეტენციაში შედის გადაწყვეტილების მიღება იმის თაობაზე, თუ რა ტიპის მასალა წარმოადგენს მისი მოსწავლეებისათვის შესაფერის მასალას და რა მასალის მოპოვება იქნება შესაძლებელი.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელი მასწავლებლის ამოცანას, პოლიტიკის თემაზე გაკვეთილის დაგეგმვისა და მოქმედებათა თანამიმდევრობაზე გადაწყვეტილების მიღებისას, წარმოადგენს შემდეგ ელემენტთა ერთმანეთთან დაკავშირება:



ნებისმიერი გაკვეთილის დაგეგმვა წარმოუდგენელია სწავლებისა და სწავლის ამ ელემენტების გათვალისწინებისა და მათი ერთმანეთთან დაკავშირების გარეშე. ამ ელემენტებიდან ერთ-ერთში ცვლილების შეტანა გავლენას იქონიებს დანარჩენ ელემენტებზე. მეორე მხრივ, შესწავლის საგანი შესაძლებელია განისაზღვროს გარკვეული მიზნის გათვალისწინებით და პირიქით - მიზანი შესაძლებელია განისაზღვროს შესწავლის საგნის გათვალისწინებით.

2.2 ძირითადი კითხვები

— რისი კეთების უნარს უნდა ფლობდნენ ჩემი მოსწავლეები მოცემული თავის შესწავლის შემდეგ? რა უნდა გაიგონ მათ და რისი ახსნა უნდა შეეძლოთ სხვებისათვის და რა კრიტერიუმებით უნდა შეეძლოთ ხელმძღვანელობა პოლიტიკურ საკითხზე მსჯელობისას.

— რა საშუალებით უნდა შევაფასო მათი კომპეტენციის განვითარების დონე?

— როგორ შეიძლება ჩემმა მოსწავლეებმა გამოიყენონ ყოველდღიურ ცხოვრებაში ან სკოლაში მიღებული გამოცდილება პოლიტიკის გაცნობისას?

— როგორ აღიქვამენ ჩემი მოსწავლეები პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღებას?

— რამდენად არიან ჩემი მოსწავლეები გარკვეულნი თავიანთ ინტერესებში?

— პოლიტიკაში მიმდინარე რომელი მოვლენები ან რომელი აქტუალური პოლიტიკური საკითხები ეხება ჩემს მოსწავლეებს?

— რომელი აქტუალური პოლიტიკური საკითხების აღქმას შეძლებენ ჩემი მოსწავლეები?

— ეს საკითხები უკავშირდება სკოლის მმართველობას თუ ადგილობრივ, რეგიონულ, ეროვნულ თუ საერთაშორისო პოლიტიკას?

— როგორ წავახალისო ჩემი მოსწავლეები, რომ მიიღონ მონაწილეობა განსახილველი საკითხის არჩევაში?
— რა საშუალებები ან მასალა უნდა შევარჩიო, რომ შესაძლებელი იყოს მასზე განსხვავებული მოსაზრებების გამოთქმა?
— რა დავალება უნდა მივცე ჩემს მოსწავლეებს დამოუკიდებელი სამუშაოს სახით?
— რა ინფორმაციის მოწოდება შეუძლიათ ჩემს მოსწავლეებს მოცემულ საკითხზე?
— რომელი ძირითადი კონცეფციების გამოყენებას შეძლებენ ჩემი მოსწავლეები მოცემული თემისა თუ საკითხის შესახებ მსჯელობისას?
— როგორია ჩემი მოლოდინი ჩემი მოსწავლეების მიერ მოცემულ საკითხზე გამოთქმულ მოსაზრებებთან დაკავშირებით?
— როგორია ჩემი საკუთარი მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით? რა კრიტერიუმებს ვანიჭებ უპირატესობას მოცემულ საკითხზე მსჯელობისას?
— როგორ უნდა უზრუნველვყო ის, რომ ჩემი საკუთარი მოსაზრება თავს არ მოვახვიო ჩემს მოსწავლეებს?
— რა ქმედებების გახორციელებას ველი ჩემი მოსწავლეებისაგან?

ვეცნობით პოლიტიკას

სამუშაო ფურცელი 1: როგორ შემოვიტანო პოლიტიკა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე?

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ, როგორ უნდა აღიქვან პოლიტიკა. მაგრამ რა არის პოლიტიკა? რა მახასიათებელი აქცევს თემას პოლიტიკურ საკითხად? ქვემოთ მოყვანილი მაგალითი დაგეხმარებათ მოსწავლეებისათვის პოლიტიკის არსის გაცნობასა და ახსნაში.

მაგალითი

პატარა ქალაქში არის მხოლოდ ერთი სკოლა, რომელშიც სწავლობენ არა მარტო ამ ქალაქის მაცხოვრებელი მოსწავლეები, არამედ მოსწავლეები, რომლებიც ქალაქიდან 20 კმ-ის დაშორებით ცხოვრობენ. სახლიდან სკოლაში და სკოლიდან სახლში სამგზავროდ ისინი სარგებლობენ ავტობუსით. მუნიციპალური მთავრობა ეხმარება დაბალშემოსავლიან ოჯახებს, განსაკუთრებით იმ ოჯახებს, სადაც ორი ან მეტი მოსწავლეა. ავტობუსით მგზავრობისას, ოჯახები სარგებლობენ 25%-დან 75%-მდე შეღავათით.

შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მკვეთრი კლება გადასახადებიდან შემოსულ შემოსავლებში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები განიხილავენ ხარჯების შემცირების საკითხს, რათა, შესაძლებლობების ფარგლებში, თავიდან აიცილონ კრედიტებით დაფინანსების აუცილებლობა. ზოგიერთი გავლენიანი პოლიტიკოსი და პოლიტიკური მიმომხილველი გამოვიდა წინადადებით, სასკოლო ტრანსპორტით სარგებლობაზე დაწესებული შეღავათების შემცირების ან მათი გაუქმების თაობაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ მთავრობას ეს შეღავათები ჯამში ძალიან ძვირი უჯდება, მაშინ, როცა უმეტესობა ოჯახებისათვის, რომლებიც ამ შეღავათით სარგებლობენ, იგი უმნიშვნელოა. მშობელთა უმეტესობა არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და ემხრობა ამ შეღავათის ძალაში დატოვებას.

ზემოთ მოცემული მაგალითი რეალობიდან არ არის აღებული, მაგრამ, სავარაუდოდ, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, სახელმწიფო ხარჯების შემცირების ერთობ ტიპურ მაგალითს წარმოადგენს. რა პოლიტიკურ ასპექტებს შეიცავს მოცემული მაგალითი?

პოლიტიკის სამგანზომილებიანი მოდელი

პოლიტიკის, როგორც ცნების, სხვადასხვა განმარტება არსებობს. ერთ-ერთი გავრცელებული განმარტება, რომელიც სწავლებისა და სწავლის პროცესისათვის ყველაზე შესაფერისია, იყენებს პოლიტიკის სამგანზომილებიან მოდელს: საკითხები, გადაწყვეტილებები და ინსტიტუციები.

პოლიტიკური საკითხის განზომილება: პოლიტიკაში ადამიანები ცდილობენ, დაიცვან თავიანთი ინტერესები ან მოსაზრებები პრობლემის ან დილემის იდენტიფიცირებისა და გადაჭრის თაობაზე. ზოგჯერ ადამიანები ჯგუფებად ერთიანდებიან, რათა გამოხატონ საერთო ინტერესები. დებატები და დაპირისპირება პოლიტიკაში ძალიან ხშირად ჩვეულებრივ მოვლენად აღიქმება; მათში აისახება პლურალისტური საზოგადოების განსხვავებული ინტერესები და მოსაზრებები, და იმ შემთხვევაში, თუ მშვიდობიანი გზებითა და საშუალებებით გვარდება, საზოგადოების წევრები არ უნდა უფრთხოდნენ მსგავს დებატებს.

პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების განზომილება: პოლიტიკაში არსებული პრობლემები აქტუალურია, ვინაიდან ეს პრობლემები ეხება მთლიან საზოგადოებას ან ხალხის დიდ ჯგუფებს. ეს პრობლემები მოქმედებასა და რეაგირებას საჭიროებს, აქედან გამომდინარე, მათზე მსჯელობის შედეგი უნდა იყოს გადაწყვეტილება, რომელსაც, თავის მხრივ, გარკვეული ქმედებები მოჰყვება.

პოლიტიკის ინსტიტუციური განზომილება ასახავს იმ ჩარჩოებს, რომლის ფარგლებშიც ხორციელდება პოლიტიკა. ვის და რა ძალაუფლება ენიჭება? როგორ ტარდება არჩევნები? როგორ შემუშავდება კანონები? რა ძალაუფლებას ფლობს საპარლამენტო ოპოზიცია? როგორ ახდენენ ზეგავლენას პოლიტიკურ პროცესებზე ინდივიდუალური პირები და საერთო ინტერესების მქონე ადამიანთა ჯგუფები? აქედან გამომდინარე, ეს განზომილება მოიცავს კონსტიტუციას, წესებსა და კანონებს, რომლებიც განსაზღვრავს პოლიტიკური საკითხის მშვიდობიანად მოგვარების გზებს, დემოკრატიული

გადაწყვეტილების მიღების პროცესების საშუალებით. პოლიტიკის უფრო ფართო ცნება მოიცავს ასევე კულტურულ განზომილებასაც, რომელიც გულისხმობს იმ ღირებულებებსა და დამოკიდებულებებს, რომლებიც განაპირობებს მოქალაქეთა პოლიტიკურ ქცევას.

ძირითადი კითხვები პოლიტიკის სამი პერსპექტივიდან

მოცემული სამი განზომილება, პოლიტიკის სამი პერსპექტივიდან განხილვის საშუალებას იძლევა, რასაც წესრიგში მოჰყავს ის კომპლექსურობა, რომელიც თან ახლავს პოლიტიკური განხილვის საგანს. ამ სამი პოლიტიკური პერსპექტივიდან თითოეული ბადებს საინტერესო კითხვებს. ქვემოთ მოყვანილი კითხვები წარმოადგენს მაგალითებს და შესაძლებელია მათი მოდიფიცირება და მორგება სწავლებისა და სწავლის საგანსა და გარემოებებზე.

პოლიტიკური საკითხების განზომილება	**პასუხები**		
რაში მდგომარეობს პრობლემა, რომელიც უნდა გადაიჭრას?	სახელმწიფო ვალის გაზრდის საშიშროება ეკონომიკური კრიზისის დროს.		
ვინ არიან ისინი, ვისაც ეხება მოცემული პრობლემა და რა მიზნები და რა ინტერესები ამოძრავებთ მათ?	ადგილობრივი პოლიტიკოსები: კრედიტების შემცირება, სახელმწიფო ხარჯების შემცირების საშუალებით. დაბალშემოსავლიანი ოჯახები: სახელმწიფო დახმარების პროგრამის გაგრძელება ოჯახებისათვის, რომლებიც ამას საჭიროებენ		
ადამიანის რომელ უფლებებს ემუქრება დარღვევის საფრთხე?	თანასწორობა და დისკრიმინაციის დაუშვებლობა. უფლება განათლებაზე. სოციალური უზრუნველყოფის უფლება.		
პრობლემის გადაჭრის რა საშუალებები იქნა შემოთავაზებული ან პრობლემის მოგვარების რა გზები განიხილება?	სასკოლო ტრანსპორტით სარგებლობაზე დაწესებული შეღავათების შემცირება ან მათი გაუქმება		
პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების განზომილება			
ვინ მონაწილეობს გადაწყვეტილების მიღების პროცესში?	პოლიტიკოსები	მედია. კომენტატორები	ოჯახები
ვის შორის არსებობს თანხმობა და ვის შორის - უთანხმოება?	ეთანხმებიან წინადადებას შეღავათების შემცირების თაობაზე		ეწინააღმდეგებიან შეღავათების შემცირებას
როგორია მხარეთა შესაძლებლობები - გავლენა იქონიონ საბოლოო გადაწყვეტილებაზე?	სარგებლობენ პირდაპირი კავშირით ადგილობრივ თვითმმართველობასთან		შეუძლიათ მოიპოვონ მხარდაჭერა მოქალაქეთა შორის ან მედიაში
ვის ხელშია მეტი ძალაუფლება და ვინ ფლობს ნაკლებ ძალაუფლებას?	შესაძლებელია იყოს განსხვავებული. მაგალითი არ შეიცავს ინფორმაციას მოცემულ კითხვაზე		

ვის აქვს ხმათა უმრავლესობის მოპოვების მეტი და ნაკლები შესაძლებლობა?	პოლიტიკოსებს მარტივად შეუძლიათ ხმების უმრავლესობის მოპოვება თვითმმართველობაში; თუმცა იმ შემთხვევაში, თუ მათ გადაწყვეტილებას საზოგადოების მხრიდან მოწონება არ ხვდა წილად, მომავალი არჩევნების დროს, შესაძლოა დაკარგონ მხარდაჭერა საზოგადოების მხრიდან და, შესაბამისად, სიფრთხილით მოეკიდებიან მოცემულ საკითხს
ინსტიტუციური განზომილება (ჩარჩოები)	
კონსტიტუციის ან სამართლებრივი გარემოს რომელი ძირითადი პრინციპები ესადაგება მოცემულ სიტუაციას ან გამოყენებულ იქნა მოცემულ სიტუაციაში?	კონტროლი და ბალანსი, კანონის უზენაესობა, სოციალური უზრუნველყოფა, პრესის თავისუფლება, გამოხატვის თავისუფლება (მშობლები)
ადამიანის უფლებათა რომელი საერთაშორისო და/ან რეგიონული სტანდარტები ესადაგება მოცემულ სიტუაციას?	ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წელი) ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950 წელი) ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989 წელი)
რომელი პოლიტიკური ინსტიტუტებია ჩართული გადაწყვეტილების მიღების პროცესში და როგორია მათი ძალაუფლება გადაწყვეტილებაზე ზემოქმედების თვალსაზრისით?	ადგილობრივი თვითმმართველობა, როგორც საკანონმდებლო ორგანო
რომელი კანონები და სამართლებრივი პრინციპები უნდა იქნეს გამოყენებული?	ზემოთ მოყვანილი მაგალითი არ შეიცავს ინფორმაციას ამის შესახებ; თუმცა მოცემული კითხვა წარმოადგენს სტანდარტულ კითხვას, რომელიც ყველა შემთხვევაში უნდა იყოს დასმული

რა მნიშვნელობა ენიჭება მოცემულ ანალიზს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში?

პოლიტიკის თემის სტრუქტურული და სისტემატური ანალიზი მასწავლებელს ხელს უწყობს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილის ჩასატარებლად მომზადების პროცესში, ხოლო მოსწავლეებს პოლიტიკის გაცნობაში ეხმარება.

მასწავლებელს ეძლევა საშუალება:

— ზემოთ მოყვანილი მაგალითის მსგავსი სიტუაციის მოყვანით, მოსწავლეთა ყურადღება შეაჩეროს პოლიტიკის მხოლოდ ერთ განზომილებაზე, რათა დაანახოს მოსწავლეებს, როგორ ფუნქციონირებს პოლიტიკური ინსტიტუციის სისტემა, როგორ იღებენ პოლიტიკურ გადაწყვეტილებებს, ან რას წარმოადგენს პოლიტიკური საკითხი და როგორ არის შესაძლებელი მისი გადაჭრა;

— სიტუაციური მაგალითი გამოიყენოს გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინსცენირებისათვის, სადაც მოსწავლეები სხვადასხვა როლს ინაწილებენ და მოლაპარაკების საშუალებით იღებენ გადაწყვეტილებას;
— შემდგომი გაკვეთილებისათვის მედიის მიერ გაშუქებული მოვლენებიდან მისი მოსწავლეებისათვის უფრო შესაფერისი მასალა მოიძიოს.

მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება:

— განივითარონ კომპეტენციები პოლიტიკური საკითხების, გადაწყვეტილებების მიღების პროცესების და პოლიტიკური ინსტიტუციების აღქმისა და მათ შესახებ არსებული ინფორმაციის შერჩევის თვალსაზრისით;
— ისწავლონ კითხვების დასმა, რომელიც მათ საკითხის ანალიზის პროცესში დაეხმარება;
— ისწავლონ, თუ როგორ უნდა გაართვან თავი კომპლექსურ საკითხს, მის ცალკეულ ასპექტებზე ფოკუსირებითა და სხვადასხვა პერსპექტივიდან მისი განხილვის საშუალებით.

ვეცნობით პოლიტიკას

სამუშაო ფურცელი 2: როგორ ჩავერთო მოსწავლეების მიერ პოლიტიკური საკითხების განხილვის პროცესში?

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითად ამოცანას წარმოადგენს მოსწავლეების აღჭურვა სათანადო საშუალებებით, რათა მათ შეძლონ, ჩაერთონ იმ საზოგადოებაში მიმდინარე პროცესებში, რომელსაც ეკუთვნიან და მონაწილეობა მიიღონ პოლიტიკურ პროცესებში. ამგვარი ქმედების განსახორციელებლად მოსწავლეები კარგად უნდა ერკვეოდნენ იმაში, თუ რისი მიღწევა სურთ მათ; პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის მიზნებსა და სტრატეგიებს განაპირობებს ანალიზი და მსჯელობა.

როგორ უნდა შეუწყოს ხელი დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელმა მასწავლებელმა მოსწავლეების მიერ პოლიტიკური საკითხის განხილვის პროცესს? მოსწავლეები, საკითხების განხილვისა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში, ემოციურად მოქმედებენ და ხშირად საკუთარ ინტუიციას ეყრდნობიან. როგორ უნდა ვაიძულოთ ისინი, უფრო პრაგმატულად და გონივრულად მიუდგნენ პოლიტიკურ საკითხებს?

რა კრიტერიუმებით ვსარგებლობთ პოლიტიკური საკითხის განხილვისას?

ამავე თავის წინა ნაწილში მოყვანილი მაგალითი შეგვიძლია გამოვიყენოთ იმის სადემონსტრაციოდ, თუ როგორ განისაზღვრება და შეჯერდება ერთმანეთთან კრიტერიუმები, პოლიტიკურ საკითხზე მსჯელობისას. წინამდებარე თავში მოცემულ ამ ორ ნაწილში მოყვანილი ერთი და იგივე მაგალითი გვიჩვენებს, თუ როგორ უნდა გავაანალიზოთ პოლიტიკური საკითხი სხვადასხვა პერსპექტივიდან. პოლიტიკურ საკითხზე მსჯელობისას ყურადღება გამახვილებულია პოლიტიკური საკითხის განზომილებაზე (იხილეთ წინა სამუშაო ფურცელი) და ხდება მისი სიღრმისეული შესწავლა.

მაგალითი

პატარა ქალაქში არის მხოლოდ ერთი სკოლა, რომელშიც სწავლობენ არა მარტო ამ ქალაქის მაცხოვრებელი მოსწავლეები, არამედ მოსწავლეები, რომლებიც ქალაქიდან 20 კმ-ის დაშორებით ცხოვრობენ. სახლიდან სკოლაში და სკოლიდან სახლში სამგზავროდ ისინი სარგებლობენ ავტობუსით. მუნიციპალური მთავრობა ეხმარება დაბალშემოსავლიან ოჯახებს, განსაკუთრებით იმ ოჯახებს, სადაც ორი ან მეტი მოსწავლეა. ავტობუსით მგზავრობისას, ოჯახები სარგებლობენ 25%-დან 75%-მდე შეღავათით.

შექმნილმა ეკონომიკურმა კრიზისმა გამოიწვია მკვეთრი კლება გადასახადებიდან შემოსულ შემოსავლებში. ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები განიხილავენ ხარჯების შემცირების საკითხს, რათა, შესაძლებლობების ფარგლებში, თავიდან აიცილონ კრედიტებით დაფინანსების აუცილებლობა. ზოგიერთი გავლენიანი პოლიტიკოსი და პოლიტიკური მიმომხილველი გამოვიდა წინადადებით, სასკოლო ტრანსპორტით სარგებლობაზე დაწესებული შეღავათების შემცირების ან მათი გაუქმების თაობაზე. ისინი ამტკიცებენ, რომ მთავრობას ეს შეღავათები ჯამში ძალიან ძვირი უჯდება, მაშინ, როცა უმეტესობა ოჯახებისათვის, რომლებიც ამ შეღავათით სარგებლობენ, იგი უმნიშვნელოა. მშობელთა უმეტესობა არ ეთანხმება ამ მოსაზრებას და ემხრობა ამ შეღავათის ძალაში დატოვებას.

ზემოთ მოცემული მაგალითი რეალობიდან არ არის აღებული, მაგრამ, სავარაუდოდ, ეკონომიკური კრიზისის პირობებში, სახელმწიფო ხარჯების შემცირების ერთობ ტიპურ მაგალითს წარმოადგენს. როგორ უნდა იქნეს განხილული მოცემული საკითხი?

ადგილობრივი მთავრობის წინაშე დგება ამოცანა, რომელიც ორი მიზნის მიღწევას ემსახურება, ორივეს მიღწევა თანაბრად რთულია.

1. დაბალშემოსავლიან ოჯახებს დახმარება სჭირდება; რაც გულისხმობს, რომ ბიუჯეტის გარკვეული ნაწილი გამოყოფილი უნდა იყოს ამ ოჯახების დასახმარებლად.

2. მთავრობამ უნდა მოაგვაროს პრობლემა, რომელიც უკავშირდება საგადასახადო შემოსავლების ვარდნას ეკონომიკური კრიზისის პირობებში; რა შემთხვევაშიც წამოიჭრება საკითხი იმასთან დაკავშირებით, თუ რა დონეზე უნდა შემცირდეს ხარჯები, მათ შორის, დაბალშემოსავლიან ოჯახების დასახმარებლად გამოყოფილი ბიუჯეტი.

ეს ორი მიზანი ერთმანეთთან შეუთავსებელია, ვინაიდან ერთის მიღწევა გამორიცხავს მეორე მიზნის მიღწევას. პირველი მიზანი გულისხმობს დანახარჯს, ხოლო მეორე - დანაზოგს. გამოსავალი, რომელიც კრედიტით დაფინანსებას გულისხმობს, არასასურველი შედეგის მომტანია. ეს გამოსავალი მხოლოდ მოკლევადიან შეღავათს ითვალისწინებს, რის შემდეგაც, საკრედიტო დავალიანებისა და შესაბამისი პროცენტის დაფარვა სახელმწიფო ფინანსებს მძიმე ტვირთად დააწვება. გარდა ამისა, ამგვარი ქმედება გაზრდის ინფლაციის დონეს.

პოლიტიკური გადაწყვეტილების განხილვის ორი ძირითადი კრიტერიუმი

დემოკრატიულ სახელმწიფოში გადაწყვეტილების მიღების პროცესში ჩართულნი არიან არა მარტო პოლიტიკური ლიდერები, არამედ მოქალაქეებიც. მხოლოდ ამ შემთხვევაში ეძლევათ მოქალაქეებს მთავრობის მიერ მიღებული გადაწყვეტილების მხარდაჭერის ან მის წინააღმდეგ გამოსვლის საშუალება.

პოლიტიკური საკითხის განხილვა შეიძლება შევადაროთ კონსტრუქტივისტული აზროვნების პროცესს, რომელიც შინაგან დაპირისპირებას გულისხმობს. სხვადასხვა დაინტერესებული მხარე განსხვავებულ ღირებულებებსა და პრინციპებს ემხრობა, რაც განსხვავებული გადაწყვეტილებების მიღებას გულისხმობს. ინდივიდუალური პირი ამ შემთხვევაში მოსამართლის როლში გამოდის, რომელიც ისმენს ყველა მხარის მიერ გამოთქმულ არგუმენტებს, აჯერებს მათ, ახარისხებს პრიორიტეტულობის მიხედვით და გამოაქვს განაჩენი, რომელიც განაპირობებს შემდგომ ქმედებას. მოცემული მაგალითის შესახებ მსჯელობის საუკეთესო მაგალითი მოცემულია ქვევით.

პირველი გამომსვლელი

ჩვენი საზოგადოება ადამიანის უფლებათა პრინციპების ერთგულია და ამ პრინციპების უმეტესობა ჩვენს კონსტიტუციაშია ჩადებული. ამ უფლებებში შედის უფლება

განათლებაზე[30] და *ცხოვრების ადეკვატური პირობების უფლება*[31]. ოჯახები სარგებლობენ სახელმწიფოს თანადგომით. ოჯახები მთლიან საზოგადოებას ემსახურებიან, იღებენ რა პასუხისმგებლობას ახალგაზრდა თაობის აღზრდაზე. შესაბამისად, ჩვენ გვაკისრია ვალდებულება, განსაკუთრებული მზრუნველობა გამოვიჩინოთ იმ ოჯახებისადმი, რომელთა შემოსავალიც დაბალია. აქედან გამომდინარე, მოვითხოვ, რომ სასკოლო ტრანსპორტზე შეღავათები ხელუხლებელი დარჩეს, განსაკუთრებით ამ გაჭირვების ჟამს.

მეორე გამომსვლელი

საზოგადოებაზე პასუხისმგებლობის აღება ნიშნავს იმას, რომ ჩვენ უნდა შევძლოთ იმ პრობლემებისა და საფრთხეების იდენტიფიცირება, რომელიც ჩვენს საზოგადოებას ემუქრება და უნდა დავრწმუნდეთ, რომ ეს პრობლემები მოგვარებულია. ახლო პერსპექტივაში ჩვენ ვერ შევძლებთ იმაზე მეტი ხარჯი გავწიოთ, რის საშუალებასაც ჩვენი შემოსავლები გვაძლევს. თუ გადასახადებიდან შემოსული შემოსავლები მცირდება, ჩვენ უნდა ვიზრუნოთ იმაზე, რომ ასევე შემცირდეს ჩვენ მიერ გაწეული ხარჯები. ჩვენ შეღავათს გავუწევთ ოჯახებს, თუ მათზე დაწესებულ შეღავათებს აღებული კრედიტით დავაფინანსებთ. მაგრამ, ყველა მათგანს და განსაკუთრებით მათ შვილებს, სამომავლოდ, მოუწევთ ამ კრედიტის დაფარვა, და დამატებითი ხარჯების გაღება პროცენტების დასაფარად. შექმნილი ფინანსური კრიზისიდან გონივრული გამოსავლის მიგნება და ეფექტური გადაწყვეტილების მიღება ყველას სასარგებლოდ იქნება მიმართული. აქედან გამომდინარე, მე მოვითხოვ ხარჯების იმ დონეზე შემცირებას, რომელიც თავიდან აგვარიდებს კრედიტის აღების აუცილებლობას და თხოვნით მივმართავ ოჯახებს, გვერდში ამოგვიდგნენ ამ საქმეში.

შესაძლებელია, მეტ გამომსვლელს მიეცეს უფლება, გამოთქვას საკუთარი მოსაზრება ამ საკითხთან დაკავშირებით. მაგალითად, მესამე გამომსვლელს შეუძლია, ისაუბროს გადაწყვეტილების სამომავლო, სასურველ და არასასურველ შედეგებზე, მაგალითად, მდგრადი განვითარების თვალსაზრისით. რა შედეგების მომტანი შეიძლება იყოს ეს გადაწყვეტილება ჩვენი პლანეტისათვის, როგორ აისახება იგი მომავალი თაობის

[30]ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენციის ოქმი (1952 წლის 20 მარტი), მუხლი 2.
[31]ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაცია (1948 წლის 10 დეკემბერი), მუხლი 25.

ინტერესებსა და ცხოვრების პირობებზე, ეკონომიკურ ზრდაზე ან სოციალური კიბის ქვედა საფეხურზე მყოფ სოციალურ ჯგუფებზე?

პოლიტიკური საკითხის განხილვის ორი ძირითადი პერსპექტივა

პირველმა ორმა გამომსვლელმა გამოხატა პასუხისმგებლობის ორი განსხვავებული გაგება. პირველი გამომსვლელის მიერ გამოხატული პასუხისმგებლობის განმარტება ნორმატიულია და ეფუძნება ადამიანის უფლებათა ღირებულებების სისტემას. სიღარიბე ადამიანის ღირსებას ლახავს და, აქედან გამომდინარე, სახელმწიფომ არ უნდა შეამციროს შეღავათები, რომლითაც იგი დაბალშემოსავლიან ოჯახებს ეხმარება. მეორე გამომსვლელის მიერ გამოხატული პასუხისმგებლობის განმარტება არ ეფუძნება ღირებულებებს, ნაცვლად ამისა, მასში ყურადღება მიზანზეა გადატანილი. საზოგადოების წინაშე მდგარი მწვავე პრობლემის ეფექტური გადაწყვეტა მნიშვნელოვანია და მიუღებელია ნებისმიერი ტაბუ, რომელიც წინ ეღობება ამგვარი გადაწყვეტილების მიღებას.

მესამე გამომსვლელი საკუთარ სიტყვაში ორივე ასპექტს ეხება, განიხილავს რა გადაწყვეტილების გრძელვადიან შედეგებს.

მარტივად რომ ვთქვათ, საზოგადოების წევრებს ამოძრავებთ სურვილი, ხელისუფლების მხრიდან აღქმულ იქნან როგორც ადამიანები და ისარგებლონ საკუთარი მოსაზრების გამოთქმის უფლებით იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ იმართება საზოგადოება, რომლის წევრებსაც ისინი წარმოადგენენ (პირველი გამომსვლელი); ასევე, ამოძრავებთ სურვილი, მათი ქვეყნის მართვა სათანადოდ და ეფექტურად ხორციელდებოდეს (მეორე გამომსვლელი).

ამ საკითხის განხილვამ შესაძლებელია ჩიხში მოგვამწყვდიოს, იმ შემთხვევაში, თუ გამომსვლელები ცალმხრივ მსჯელობას განავითარებენ, ერთნი მხოლოდ ღირებულებებზე დაფუძნებულს, მეორენი - მხოლოდ მიზანზე ორიენტირებულს. ორივე მოსაზრებას საკუთარი გამართლება აქვს, მაგრამ სხვადასხვა მიმართულებით გაიშლება მსჯელობა, იმ შემთხვევაში, თუ არ მოხერხდება მათი შეჯერება.

პოლიტიკური საკითხების განხილვა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე

სკოლაში მოსწავლეები სარგებლობენ აზრისა და გამოხატვის თავისუფლებით.[32] აქედან გამომდინარე, მოსწავლეებს, რომლებმაც მოისმინეს დებატები, თავისუფლად შეუძლიათ, მიიღონ გადაწყვეტილება. მასწავლებელი არ უნდა ჩაერთოს განხილვის პროცესში გამომსვლელის სახით და არ უნდა გამოთქვას საკუთარი მოსაზრება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის ამ საკითხის „სწორი“ მიმართულებით გადაჭრის გზა;[33] დემოკრატიულ საზოგადოებაში არავინ ფლობს იმის განსაზღვრისათვის საჭირო აბსოლუტურ სტანდარტებს, თუ რომელი გადაწყვეტილება წარმოადგენს „მართებულ“ და „სწორ“ გადაწყვეტილებას. აქედან გამომდინარე, მასწავლებელმა უნდა შეიკავოს თავი საკუთარი მოსაზრების გამოთქმისაგან, რათა არ დაუშვას მოსწავლეების მიერ გადაწყვეტილების მიღების პროცესზე ზემოქმედება, არ აიძულოს ისინი, მიიღონ ესა თუ ის გადაწყვეტილება ან საერთოდ მიიღონ გადაწყვეტილება. არჩევანს მოსწავლეები აკეთებენ, და არა მასწავლებელი.

შესაბამისად, მოსწავლეები თავად ირჩევენ კრიტერიუმებს. მათ კარგად უნდა გააცნობიერონ პოლიტიკურ საკითხზე მსჯელობისას გამოთქმული მოსაზრებები. ეს საკმაოდ დიდი წინგადადგმული ნაბიჯია იმ მსჯელობასთან შედარებით, რომელიც ემოციებსა და ინტუიციას ემყარება (რა არის „კარგი“ და რა არის „ცუდი“). სწავლების შედარებით მაღალ საფეხურზე, მოსწავლეებს შეუძლიათ, დაასაბუთონ, თუ რა გახდა მათ მიერ ამა თუ იმ კრიტერიუმზე არჩევანის გაკეთების მიზეზი.

თუმცა მოსწავლეებმა უნდა გააცნობიერონ, რომ პოლიტიკაში საჭიროა გადაწყვეტილების მიღება და რომ, ფაქტობრივად, გადაწყვეტილების მიღებისაგან თავის შეკავებაც გარკვეული გადაწყვეტილების მიღების ტოლფასია. აქედან გამომდინარე, მოსწავლეებისათვის არ არის საკმარისი, პოლიტიკური საკითხის განხილვისას, მხოლოდ მოუსმინონ გამომსვლელებს და გამოთქვან საწინააღმდეგო მოსაზრებები, ასევე, საჭიროა, რომ მათ გარკვეული გადაწყვეტილება მიიღონ.

[32]ბავშვის უფლებათა კონვენცია (1989 წლის 20 ნოემბერი), მუხლები 13 და 14; ადამიანის უფლებათა ევროპული კონვენცია (1950 წლის 4 ნოემბერი) მუხლები 9 და 10.

[33]იხილეთ, წინამდებარე სახელმძღვანელოში მოცემული სამუშაო ფურცელი, რომელიც ეხება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელ მასწავლებელთა პროფესიულ ეთიკას.

ძირითადად, როდესაც მოსწავლეები ურთიერთგამომრიცხავ მიზნებს აწყდებიან, ისე, როგორც ეს მაგალითში მოყვანილ პოლიტიკურ საკითხზე მსჯელობისას მოხდა, მათ შეიძლება:

— მიიღონ გადაწყვეტილება იმასთან დაკავშირებით, თუ რა არის პრიორიტეტული, დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების შენარჩუნება თუ ხარჯების მკვეთრი შემცირების პოლიტიკა;
— გამონახონ კომპრომისი: რომელიც მოცემულ შემთხვევაში გულისხმობს დაბალშემოსავლიანი ოჯახებისათვის დაწესებული შეღავათების ოდნავ შემცირებასა და ნაწილობრივ ზომიერი კრედიტით დაფინანსებას; ამასთან, კარგად დაფიქრდნენ იმაზე, თუ როგორ განაწილდეს შემცირებული ბიუჯეტი ისე, რომ მათ, ვისაც შეღავათი ყველაზე მეტად სჭირდებათ, კვლავ მიეცეთ მისით სარგებლობის საშუალება; რაც ტექნიკური დეტალების მნიშვნელობას წარმოაჩენს, ადამიანის უფლებათა დაცვის თვალსაზრისით.

სხვადასხვა მეთოდი, მაგრამ არა ყველა, ეხმარება მოსწავლეებს პოლიტიკური საკითხის განხილვაში. ეს მეთოდები მოიცავს:

— საკითხის საერთო საკლასო განხილვას - კრიტიკული აზროვნება, დებატები და განხილვები;
— წერით სამუშაოს, რომელზეც მასწავლებელი საკუთარ კომენტარს აკეთებს;
— ამოცანაზე დაფუძნებულ სწავლებას, რომელიც შემდგომ გულისხმობს დეტალური მოხსენებების გაკეთებისა და განხილვის ეტაპს.

მასწავლებლის მიერ შერჩეული თემა უნდა იძლეოდეს მკვეთრად საპირისპირო მოსაზრებების გაჩენის საშუალებას და უნდა შეესაბამებოდეს მოსწავლეების განათლების დონეს, რაც იმას ნიშნავს, რომ არ უნდა იყოს ზედმეტად რთული და გასაგები უნდა იყოს მოსწავლეებისათვის. მიმდინარე მოვლენები და აქტუალური საკითხები მოსწავლეებს მეტად აინტერესებთ, მაგრამ, ამავდროულად, მსგავსი საკითხები გარკვეულ სირთულეებს გულისხმობს, ვინაიდან როგორც მასწავლებელი, ასევე მოსწავლეებიც, პიონერთა როლში გამოდიან.

თავი 4

სწავლის პროცესის წარმართვა და სწავლების ფორმების შერჩევა

1. წინასიტყვაობა

მოსწავლეებში სწავლის პროცესების ინიცირება და ხელშეწყობა მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ამოცანას წარმოადგენს. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს საკმარისად ნათლად არა აქვს გაცნობიერებული, თუ სწავლის რა პროცესებია ჩართული მის (მასწავლებლის და/ან მასწავლებლისა და მოსწავლეების) მიერ დასახული სწავლის მიზნების მიღწევაში, შეუძლებელი იქნება სწავლების საშუალებების, სწავლების გარემოს, სწავლის აქტივობების, ამოცანებისა და მუშაობის მეთოდების სათანადოდ დაგეგმვა. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პირობებში, მოცემული საშუალებები, შესაძლებელია, სრულიად განსხვავებული იყოს და მას, ვინც საკმაო დროს დაუთმობს და ძალისხმევას არ დაზოგავს იმის ძიებაში, თუ ინდივიდუალური მოსწავლისათვის რა წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას და გზას შესწავლის პროცესის წარმატებით გახორციელებაში, ამ სფეროში შეუძლია ექსპერტის ფუნქცია შეასრულოს.

2. სწავლის პროცესის წარმართვასა და სწავლების ფორმების შერჩევასთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი კითხვები

2.1 ამოცანა

მოსწავლეებში სწავლის პროცესების ინიცირება და ხელშეწყობა მასწავლებლის პროფესიასთან დაკავშირებულ ერთ-ერთ ყველაზე საინტერესო ამოცანას წარმოადგენს, მაგრამ, ამავდროულად, ერთ-ერთ ყველაზე საპასუხისმგებლო ამოცანასაც!

თქვენი მოსაზრებები და იდეები სწავლის პროცესების შესახებ, სწავლის პროცესის დაგეგმვის ხერხემალს ქმნის.იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელს საკმარისად ნათლად არა აქვს გაცნობიერებული, თუ სწავლის რა პროცესებია ჩართული მის (მასწავლებლის და/ან მასწავლებლისა და მოსწავლეების) მიერ დასახული სწავლის მიზნების

მიღწევაში, შეუძლებელი იქნება სწავლების საშუალებების, სწავლების გარემოს, სწავლის აქტივობების, ამოცანებისა და მუშაობის მეთოდების სათანადოდ დაგეგმვა.

იმის განსაზღვრა და გაანალიზება, თუ ინდივიდუალური მოსწავლისათვის რა წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას და გზას სწავლის პროცესის წარმატებით გახორციელებაში, საკმაო დროს მოითხოვს და ხშირად რთულ ამოცანასაც წარმოადგენს. მაგრამ ის, ვინც საკმარის დროსა და ძალისხმევას უთმობს ამ საკითხზე ფიქრს, ამასთან, განიხილავს მას საკუთარ მოსწავლეებთან და საბოლოოდ ახდენს საკუთარი გამოცდილების შეფასებასა და შეჯერებას, ამ სფეროში ექსპერტის ფუნქციას იძენს. სწავლის პროცესები კომპლექსურია და მათ წარმატებით გახორციელებასა და სრულყოფას ძალიან ბევრი ფაქტორი განაპირობებს.

2.2 ძირითადი კითხვები

- სწავლის რომელი პროცესები დაეხმარება მოსწავლეებს სწავლის მიზნების მიღწევაში?
- როგორ შემიძლია დავეხმარო მოსწავლეებს, რომ მათ სრულად შეითვისონ (აითვისონ), გაიგონ (დაამუშაონ) და დაიმახსოვრონ (შეინახონ) ახალი ინფორმაცია?
- სწავლების მოცემული ფორმა ეხმარება მოსწავლეებს ახალი ამოცანისათვის თავის გართმევის პროცესში გამოიყენონ ის ცოდნა და უნარები, რომლებიც მათ გაკვეთილის განმავლობაში შეიძინეს?
- ჩემ მიერ დაგეგმილი სწავლის გარემო და თანამიმდევრობა, პირველ რიგში, ემსახურება ინფორმაციის ათვისებას, დამუშავებასა და შენახვას, თუ პრაქტიკულ გამოყენებას?
- სწავლის პროცესების თანამიმდევრობის დაგეგმვისას, გათვალისწინებულია თუ არა მნიშვნელოვანი ასპექტები (სწავლის იდეალური პირობები)?
- მოსწავლეებისათვის სწავლის პროცესის ძირითად მიზანს წარმოადგენს მნიშვნელობის ჩამოყალიბება, უნარების შეძენა თუ დამოკიდებულებების ჩამოყალიბება და ჩემ მიერ შერჩეული სწავლებისა და სწავლის ფორმები ემსახურება დასახული მიზნების მიღწევას?

  →მოქმედების საშუალებით (აქტიურობით, რაიმეს შექმნითა და ა. შ)?

→აზროვნების საშუალებით (გონებრივი ექსპერიმენტების საშუალებით, ახალი აღქმის ჩამოყალიბებით)?

→დაკვირვების საშუალებით?

→ვერბალური სწავლების საშუალებით (ლექციები, მაგალითები და ა.შ.)?

→ინსტრუქციების მიცემის, თანადგომისა და თანამშრომლობის საშუალებით?

→დისკუსიებისა და დებატების საშუალებით?

→წერილობითი დოკუმენტის შედგენის საშუალებით (მოხსენება, მოსწავლის დღიური და ა.შ.)?

→მედიის საშუალებით?

→კონკრეტული, რეალური ცხოვრებიდან და გამოცდილებიდან აღებული მოვლენების საშუალებით?

→ექსპერიმენტის, გამოცდისა და შეცდომებზე სწავლის საშუალებით?

სწავლის პროცესის წარმართვა და სწავლების ფორმების შერჩევა

სამუშაო ფურცელი 1: სწავლის პროცესის სამი ეტაპი

სწავლის ნებისმიერ პროცესში შეგვიძლია განვასხვაოთ სამი, ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული ეტაპი, რომელიც ერთმანეთს ავსებს.



ინფორმაციის ათვისება



შეკითხვები მოსწავლეების მიერ ინფორმაციის ათვისებასთან დაკავშირებით

ცოდნა, რომელსაც უკვე ფლობენ მოსწავლეები

როგორ შეიძლება მოსწავლეებმა გააქტიურონ ის ცოდნა, რომელსაც უკვე ფლობენ?

კითხვების დასმა

შეუძლიათ მოსწავლეებს თავი გაართვან ამოცანას, კითხვების დასმის საშუალებით?

შეგრძნებები და აღქმა

შეუძლიათ მოსწავლეებს გამოიყენონ საკუთარი შეგრძნებებისა და აღქმის ორგანოები მათთვის მიწოდებული ახალი ინფორმაციის ათვისებაში?

მოსწავლეები სწავლობენ მხედველობის ორგანოს გამოყენებით, დაკვირვებით, აღქმით, სმენის ორგანოს გამოყენებით, მოსმენით, შეგრძნებით და ემოციებით, შეხებით, გასინჯვით, ყნოსვის ორგანოს გამოყენებით და ა.შ.?

ილუსტრირება (თემის შევსება თვალსაჩინოებებით)

გამოყენებულია ილუსტრაციები, მოდელები ან რეპროდუქციები?

ინფორმაციის დამუშავება და შენახვა



კითხვები ინფორმაციის დამუშავებისა და შენახვის შესახებ

სტრუქტურა

შინაარსი აწყობილია თუ არა ისე, რომ სწავლის წინა ეტაპები ხელს უწყობს შემდგომ ეტაპებს?

დაკავშირება

შეუძლიათ თუ არა მოსწავლეებს, ახალი ინფორმაცია დაუკავშირონ იმ ცოდნას, რომელსაც უკვე ფლობენ?

მოსწრების დონე

ამოცანა შესაფერისია ცალ-ცალკე ინდივიდუალური მოსწავლისათვის - როგორც ვაჟებისათვის, ასევე, გოგონებისათვის - არის თუ არა საპასუხისმგებლო და დაკავშირებულია თუ არა იგი გარკვეული სირთულის დაძლევასთან, მაგრამ, ამავე დროს, არის მოსწავლეებისათვის გასაგები?

არსში ჩაწვდომა და გაგება

მოსწავლეებისათვის მიცემული დავალება და სწავლის გარემო ხელს უწყობს იმ ცოდნის გაღრმავებას, რომელიც მათ შეიძინეს?

ჩანაწერები

აწარმოებენ მოსწავლეები საკუთარი შედეგების შესახებ ჩანაწერებს (მოხსენება,

პოსტერი, შენიშვნები, ნახატები, დიაგრამები, ესკიზები და ა.შ.)?

პრაქტიკა

ეძლევათ თუ არა მოსწავლეებს შესაძლებლობა და საშუალება, ახლად შეძენილი ცოდნა და უნარები პრაქტიკულად გამოიყენონ სხვადასხვა კონტექსტში?

ინტენსივობა

ეძლევათ თუ არა მოსწავლეებს საკმარისი დრო და შესაძლებლობა, რათა სრულყოფილად აითვისონ და დაამუშაონ ახალი ინფორმაცია და ამგვარად შეიძინონ გამოცდილება?

საკმარის დროს ვუთმობთ თუ არა შესწავლის საგანს, რათა მოსწავლეებმა მოახერხონ მისი სიღრმისეული შესწავლა?

ინფორმაციის გამოყენება

გამოყენება

გამოყენება, მოქნილი მიდგომა, გამოცდა, ახალ ამოცანებთან მისადაგება, თავდაჯერებულობა, ხელმისაწვდომობა, მოქმედება

სწავლა ყოველთვის უნდა მოიცავდეს შეძენილი ცოდნისა და უნარების გამოყენების შესაძლებლობებს - რათა ადგილი არ ჰქონდეს მსგავს შეფასებებს, როგორიცაა, „ვისწავლეთ, მაგრამ უკვე დაგვავიწყდა“ ან „ვიცით, მაგრამ არ გვესმის“, „გუშინ ვისწავლეთ, დღეს აღარ გვახსოვს“, ან „ვისწავლეთ, მაგრამ არ გამოგვიყენებია“.

კითხვები ინფორმაციის გამოყენების შესახებ

გამოყენებადობა

აცნობიერებენ თუ არა მოსწავლეები მათ მიერ შესწავლილი მასალის მნიშვნელობას?

პროდუქტიულობის გამოცდილება (მოტივაცია)

ჰქონდათ მოსწავლეებს საშუალება, საკუთარი გამოცდილებით დაედგინათ კავშირი მათ მიერ გაწეულ ძალისხმევასა და მიღწეულ პროგრესს შორის, სწავლის თვალსაზრისით? აცნობიერებენ თუ არა მოსწავლეები, რომ ისინი თავად არიან პასუხისმგებელნი საკუთარი ცოდნის გაღრმავებაზე და უნარების განვითარებაზე, რაც იმას ნიშნავს, რომ, სწავლის მხრივ, მათი მიღწევები მათსავე ძალისხმევაზეა დამოკიდებული?

კონტროლი

მიმდინარეობს შედეგებისა და დასკვნების განხილვა და მათზე მსჯელობა?

სწავლის შემდეგ საფეხურზე გაგრძელება

სწავლის საფეხური, რომელიც მოსწავლეებმა დაასრულეს, აღვივებს თუ არა მათში ინტერესს და აძლევს თუ არა მათ სტიმულს, გააგრძელონ სწავლა შემდეგ საფეხურზე? არიან თუ არა მოსწავლეები ჩართულნი სწავლის პროცესში ემოციურად?

გამოყენება

ეძლევათ თუ არა მოსწავლეებს, როგორც ვაჟებს, ასევე, გოგონებს, შესაძლებლობის ფართო სპექტრი, რათა გამოიყენონ ის ცოდნა, რომელიც მათ შეიძინეს? იციან თუ არა მოსწავლეებმა, როგორ გამოიყენონ ის უნარები, რომლებიც სწავლის პროცესში შეიძინეს და არსებობს თუ არა ზღვარი, მათ ხელთ არსებული ცოდნისა და შეძენილი უნარების გამოყენების თვალსაზრისით?

სწავლის პროცესის წარმართვა და სწავლების ფორმების შერჩევა

სამუშაო ფურცელი 2: რატომ არ არის საკმარისი მხოლოდ სწავლება, ანუ „სწავლება ≠ სწავლა“ და „სწავლა ≠ რეალურ ცხოვრებაში გამოყენება“

მასწავლებლები, რომლებსაც ტრადიციული პედაგოგიური განათლება აქვთ მიღებული, იმაზე მეტ დატვირთვას ანიჭებენ ზეპირი ინსტრუქციების მიცემას, ვიდრე ეს რეალურად სჭირდებათ მათ მოსწავლეებს - „სწავლება ნიშნავს სწავლას“. ეს მიდგომა განსაკუთრებით დომინირებს ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საშუალო დონეზე, სადაც მასწავლებლები, ხშირად, ინფორმაციით დატვირთული სასწავლო პროგრამებისათვის თავის გართმევაზე არიან ორიენტირებულნი. ამგვარად, ისინი ირჩევენ მეთოდს, რომელსაც უფრო სწრაფ და ეფექტურ მეთოდად მიიჩნევენ - მასწავლებელი კითხულობს ლექციას, მოსწავლეები უსმენენ და ამ დროს ისტორიის მასწავლებელმა შესაძლოა იფიქროს: „მე-20 საუკუნის შესწავლა დავასრულეთ.“

მაგრამ სწავლობენ კი მოსწავლეები ლექციის მოსმენით? და ყველა მათგანმა ისწავლა ის, რაც მასწავლებელს სურდა მათთვის ესწავლებინა?

„სწავლება ≠ სწავლა“

კონსტრუქტივისტული მიდგომით, პასუხი ამ კითხვაზე უარყოფითია. „სწავლება ≠ სწავლა“. სწავლა ინდივიდუალური პროცესია. მოსწავლეები თავად ქმნიან საკუთარი ცოდნის სისტემას. ცოდნას, რომელსაც უკვე ფლობენ და ცნებებს, რომელიც მათთვის გასაგებია, უკავშირებენ ახალ ინფორმაციას, იყენებენ კონცეფციებს, ქმნიან იდეებს, განიხილავენ საკუთარი გამოცდილებიდან გამომდინარე და ა.შ. ის, რასაც ისინი ეძებენ შესწავლილ მასალაში, არის მნიშვნელობა და ლოგიკა; განსაზღვრავენ, რა არის საჭირო და დროული და რისი დამახსოვრება ღირს და რისი - არა და, შესაბამისად, შესაძლებელია დაივიწყონ.

მოსწავლეები, რა თქმა უნდა, უშვებენ შეცდომებს.

მასწავლებელი, რომელიც 30 მოსწავლისაგან შემდგარი აუდიტორიის წინაშე ლექციას კითხულობს, უნდა აცნობიერებდეს, რომ მოსწავლეთა გონებაში მის მიერ გადაცემული ინფორმაციის 30 განსხვავებული ვერსია იბადება და ყალიბდება მნიშვნელობათა

სისტემად - შემეცნებით სტრუქტურებად, როგორც მას გამოჩენილმა ფსიქოლოგმა და პროფესორმა ჯერომ ბრუნერმა უწოდა.

მაგრამ სწავლა არ გულისხმობს მხოლოდ მნიშვნელობის კონსტრუქციის შექმნას, არამედ, ასევე, ცდომილების დეკონსტრუქციას. მოსწავლეებს, მაგალითად, შესაძლოა ჰქონდეთ ასეთი წარმოდგენა, რომ ღამე დგება იმიტომ, რომ მზე ჩადის, ვინაიდან ეს არის ის, რასაც ისინი ხედავენ. რა თქმა უნდა, მასწავლებელი უნდა შეეცადოს მოსწავლეებში ამგვარი აზროვნების ფორმის შეცვლას. მოსწავლის თვალთახედვით, ამგვარი დეკონსტრუქცია რთული პროცესია და, ხანდახან, არც თუ სასიამოვნო ძალისხმევას გულისხმობს. აქედან გამომდინარე, მასწავლებლის მიერ წაკითხული ლექცია შესაძლებელია შეიცავდეს ახალ ინფორმაციას ერთი მოსწავლისათვის მაშინ, როცა მეორე მოსწავლე აანალიზებს, რომ მცდარ წარმოდგენას ფლობს და გამოსწორება სჭირდება.

აქედან გამომდინარე, კონსტრუქტივისტული მიდგომა გულისხმობს, რომ ჩვენთვის მისაღები უნდა იყოს ლოგიკისა და აზროვნების ცდომილებები და ინფორმაციის არასწორი აღქმა, და ეს არ უნდა მივიჩნიოთ გამონაკლისად - არა მხოლოდ ჩვენი მოსწავლეების გონებაში, არამედ ჩვენს საკუთარ გონებაშიც - ეს ჩვეულებრივი მოვლენაა.

ჩვენი კოგნიტური სტრუქტურები უფრო რთულია და, შესაბამისად, არ დაიყვანება მხოლოდ ძველი ცოდნისა და წარმოდგენების ახალი ცოდნითა და წარმოდგენებით ჩანაცვლების დონეზე, ახალი ცოდნისა, რომელსაც მასწავლებელი გადასცემს მოსწავლეებს ვერბალური გზით. ეს გაცილებით უფრო ხანგრძლივი პროცესია, რომლის დროსაც ურთიერთგამომრიცხავი და საპირისპირო იდეები და ცნებები ერთმანეთს ავსებენ - ხოლო დეკონსტრუქციის წარმოება მხოლოდ მოსწავლეებს შეუძლიათ, და არა მასწავლებელს.

„სწავლა ≠ რეალურ ცხოვრებაში გამოყენება“

მასწავლებლები, რომლებიც ცდილობენ მოსწავლეების შეცდომების გასწორებას, აღმოაჩენენ, რომ ვერბალური საშუალებით ახსნა მათთვის, თუ რა არის „სწორი“, ხშირად საკმარისი არ არის. ისინი შემდეგ პრობლემებს აწყდებიან:

— მოსწავლეები ხშირად მასწავლებელს არ „უსმენენ“: როგორ გავუმკლავდე პრობლემას, როდესაც, მას შემდეგ, რაც მოსწავლეებს ვასწავლი სწორ ფაქტებს, კონცეფციებს და ა.შ. ისინი არ ცვლიან თავიანთ მცდარ წარმოდგენებს?
— „მოსწავლეები სწავლობენ, როგორც თუთიყუშები“: როგორ გავუმკლავდე პრობლემას, როდესაც, სკოლაში მიღებული ცოდნის მიუხედავად, მოსწავლეები კვლავ ავლენენ გულუბრყვილო აზროვნებას - მათ შორის, უშვებენ შეცდომებს ლოგიკურ აზროვნებაში, მოსაზრებებს აყალიბებენ მცდარი ინფორმაციისა და ყოველდღიურ ცხოვრებაში მიღებული გამოცდილებების საფუძველზე - და არ ცდილობენ სკოლაში მიღებული ცოდნის გაერთიანებას იმ წარმოდგენებთან, რომლებსაც ისინი ფლობენ? ისინი სკოლაში მიღებულ ინფორმაციას მხოლოდ იმისათვის იმახსოვრებენ „თუთიყუშებივით“, რომ გამოცდა ჩააბარონ და შემდეგ ივიწყებენ.

ეს პრობლემა ყველა მასწავლებლისთვისაა ცნობილი. მათ დასაძლევად მხოლოდ კონსტრუქტივისტული სწავლებაც არ არის საკმარისი. მოსწავლეებმა პრაქტიკულად უნდა გამოიყენონ ის, რასაც სწავლობენ. მასწავლებლისათვის ეს ნიშნავს, მაგალითად:

— არც ერთი ლექცია არ ჩავატაროთ მოსწავლეებისათვის შესაბამისი დავალების მიცემის გარეშე;
— მოვუსმინოთ მოსწავლეების მოსაზრებებს, მაგალითად, მათ პრეზენტაციებს, რათა შევაფასოთ მათი სწავლის პროცესი და მიღწევები;
— მოსწავლეებს დავაკისროთ პასუხისმგებლობა საკუთარი ცოდნისა და უნარების განვითარებაზე, მაგალითად, ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის პირობების შექმნით;
— მოვუსმინოთ მოსწავლეების კომენტარებს და შეჯამებებს: მაგალითად, ის, რაც ჩემთვის განსაკუთრებულად მნიშვნელოვანი იყო, არის.... მე უკეთესად ვსწავლობ, როცა....

მასწავლებლის მოვალეობაა, რომ მოსწავლეებისათვის შექმნას სწავლის შესაბამისი შესაძლებლობები და პირობები და შეაფასოს და მოსწავლეებთან ერთად განიხილოს, რა უწყობს ხელს სწავლის პროცესს და რა - არა. კონსტრუქტივისტულ სწავლას, მათ შორის, დეკონსტრუქციას, და მოსწავლეებისათვის შემდგომი ამოცანების დასახვას დრო

სჭირდება. ამისათვის, მასწავლებელმა, შესაძლებელია მოსწავლეებთან ერთად, უნდა გააკეთოს სწორი არჩევანი იმის შესახებ, თუ რა თემაზე ღირს მეტი დროის გამოყოფა. „ვაკეთოთ ცოტა, მაგრამ ხარისხიანად“.

სწავლის პროცესის წარმართვა და სწავლების ფორმების შერჩევა

სამუშაო ფურცელი 3: სწავლებისა და სწავლის ადეკვატური ფორმების შერჩევა

სწავლების კონკრეტული ფორმის შერჩევისას, მასწავლებელი იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, თუ როგორ უნდა იყოს ორგანიზებული სწავლებისა და სწავლის გარემო და რა თანამიმდევრობით უნდა გახორციელდეს ეს პროცესი. აქვე წამოიჭრება კითხვა იმასთან დაკავშირებით, თუ სწავლების, სწავლისა და სოციალური ურთიერთობის რა განსხვავებული ფორმები უნდა იქნეს ჩართული და ერთმანეთთან შერწყმული, როგორ უნდა განისაზღვროს სწავლის ეტაპებისათვის გამოყოფილი დრო და რა მასალა უნდა იყოს შერჩეული და გამოყენებული მოსწავლეებისათვის მისაწოდებლად. ქვემოთ მოყვანილი კითხვები განკუთვნილია მასწავლებლებისათვის ამგვარი შერჩევისა და ძიების პროცესში დასახმარებლად:

- სწავლების რა ფორმები შეუწყობს ხელს სწავლის დაგეგმილ პროცესს?
- სოციალურ ურთიერთობათა რა ფორმებს ვირჩევ?
- რა სტრუქტურასა და რიტმს ვირჩევ მოცემული კურსისათვის?
- რამდენად შეუძლიათ მოსწავლეებს, მონაწილეობა მიიღონ გაკვეთილის დაგეგმვასა და სწავლების ფორმის შერჩევაში?
- გარეშე ფაქტორებისა და გარემოებების გათვალისწინებით, სწავლების რა ფორმებია ხელმისაწვდომი და ტექნიკურად შესაძლებელი?
- სწავლების რომელი მეთოდები და სტილია ჩემთვის ხელსაყრელი, ვინაიდან მე ეს უკეთესად გამომდის?
- კიდევ რისი გაკეთება შემიძლია ჩემს მოსწავლეებთან ერთად, სწავლისათვის უფრო ხელსაყრელი გარემოს შესაქმნელად?
- სწავლების ჩემ მიერ შერჩეული მეთოდი თანაბრად აკმაყოფილებს როგორც გოგონების, ასევე, ვაჟების მოთხოვნილებებს?
- ჩემ მიერ დაგეგმილი გაკვეთილი იძლევა კლასში თანამშრომლობისათვის ხელსაყრელი გარემოს შექმნის საშუალებას?
- საკლასო ოთახში არის გამოყოფილი თავისუფალი ადგილები ან კუთხეები, სადაც მოსწავლეები და მოსწავლეთა ჯგუფები შეძლებენ, განმარტოვდნენ?

— საკლასო ოთახი ყოველთვის საუკეთესო გარემოს წარმოადგენს სწავლისათვის? ხომ არ არის საჭირო საკლასო ოთახის შეცვლა ან მისი სხვაგვარად მოწყობა? სკოლაში არის ოთახები, რომელთა გამოყენებაც შესაძლებელი იქნება განსაკუთრებულ შემთხვევებში? რამდენად სასარგებლო იქნება ექსკურსიები და ადგილზე ჩატარებული კვლევები?

— რა დოზით ვაძლევ თავისუფლებას ჩემს მოსწავლეებს; როგორ ვაფასებ მე მათ უნარებს?

— ყველა მოსწავლემ ერთი, წინასწარ განსაზღვრული გზით უნდა ისწავლოს? ჩემი მიდგომა ითვალისწინებს ინდივიდუალურ მოსწავლეებს და არის ის საკმაოდ მოქნილი იმისათვის, რომ სწავლის განსხვავებული საჭიროებები, ტემპი და უნარები დააკმაყოფილოს?

— შესაძლებელია მოსწავლეებს შევთავაზო რამდენიმე ალტერნატივა, რათა მათ თავად შეარჩიონ პროცედურები, რომლებიც მათთვის უფრო საინტერესოა?

— როგორი იქნება მათი საშინაო დავალება?

— სოციალურ ურთიერთობათა რა ფორმებია მისაღები, სწავლის გარემოს, მიზნების, შინაარსისა და სწავლის პროცესების გათვალისწინებით (ინდივიდუალური სამუშაო, წყვილებში მუშაობა, მცირე ან დიდ ჯგუფებში მუშაობა)?

სწავლის პროცესის წარმართვა და სწავლების ფორმების შერჩევა

სამუშაო ფურცელი 4: სწავლებისა და სწავლის ხუთი ძირითადი ფორმა

სწავლებისა და სწავლის ხუთი ფორმა წარმოადგენს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობის საუკეთესო ფორმის ხუთ გარემოს.

ამ მიდგომათაგან თითოეული მოითხოვს მასწავლებელსა და მოსწავლეებს შორის ურთიერთობისა და თანამშრომლობის სხვადასხვა ფორმას.

აღნიშნული მოდგომები ჩამოყალიბებულია სქემის სახით და იწყება კლასიკური, მასწავლებელზე ორიენტირებული სამუშაოთი (სწავლება პრეზენტაციის საშუალებით), რის შემდეგაც წარმოდგენილია სულ უფრო და უფრო მოსწავლეზე ორიენტირებული ფორმები.

ჩვენ არ გთავაზობთ მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლების ფორმის სრულიად ჩანაცვლებას მოსწავლეზე ორიენტირებული ფორმებით. ნაცვლად ამისა, ჩვენი მტკიცებით, ამ ფორმათა ერთმანეთთან შერწყმა საკმაოდ პროდუქტიულია დასაწყის ეტაპზე, რის შემდეგაც, საბოლოოდ, მოსწავლეზე უფრო მეტად ორიენტირებული სწავლებისა და სწავლის ფორმებზე უნდა გადახვიდეთ.

ერთი შეხედვით, იქმნება შთაბეჭდილება, რომ მოსწავლეზე ორიენტირებული სამუშაო მასწავლებლის მხრიდან ნაკლებ ძალისხმევას გულისხმობს. თუმცა, რეალურად, ეს ასე არ არის. მასწავლებლის როლი იცვლება, რაც დეტალურად იქნება ახსნილი შემდგომში, მასწავლებელი კლასში აქტიური მოღვაწეობიდან უნდა გადაერთოს ისეთ სამუშაოზე, როგორიცაა გაკვეთილის წინასწარი მომზადება და გულდასმით დაგეგმვა, მოსწავლეების დახმარება და ზედამხედველობა, რაც მის როლს კი არ აკნინებს, არამედ, პირიქით, ზრდის.

მოსწავლეები, რომლებმაც საჭიროა, ისწავლონ ის, თუ როგორ უნდა ისწავლონ, სათანადო დახმარებას საჭიროებენ მასწავლებლების მხრიდან, ყველა საგანში. ამ მასშტაბის პროექტი ჩავარდნისათვის იქნება განწირული, თუ მას მხოლოდ ადგილობრივი, ერთ იზოლირებულ კუნძულზე განხორციელებული პროექტის სახე ექნება, მაშინ როცა ყველა დანარჩენ ადგილას მხოლოდ ერთფეროვანი, პრეზენტაციის

საშუალებით განხორციელებული სწავლების პრაქტიკა გაგრძელდება, სადაც მოსწავლეებს ასათვისებელი მასალის მხოლოდ გაზუთხვა და გაზეპირება ევალებათ.

სწავლებისა და სწავლის ძირითადი ფორმებია:

- სწავლება პრეზენტაციის საშუალებით;
- ზედამხედველობის ქვეშ, კვლევის საშუალებით განხორციელებული სწავლა (საკლასო განხილვა);
- დამოუკიდებელი და ინტერესით განპირობებული სწავლა;
- ინდივიდუალური სწავლება;
- სწავლა პროექტის ფარგლებში.

სწავლებისა და სწავლის ფორმა	**მოქმედება**	**ტიპური მახასიათებლები**
სწავლება პრეზენტაციის საშუალებით	თხრობა, ლექცია, კითხვა კლასში, მოხსენება, განმარტება, ჩვენება, მონიტორზე გამოფენა, მაგალითით სწავლება, დემონსტრირება	- მე (მასწავლებელს) შემიძლია საგანი პირდაპირ ვასწავლო, კლასში არსებული სიტუაციის მიხედვით, ამით მომენტალურად ჩანს მოსწავლეთა რეაქციები. - ყველა მოსწავლემ უნდა შეძლოს მიზნის მიღწევა, ერთსა და იმავე დროში, ერთსა და იმავე გარემოში, ერთი და იმავე მეთოდითა და საშუალებებით სწავლების პირობებში. - შესწავლის საგანი წინასწარ არის განსაზღვრული და შემდგომ გადაეცემა მოსწავლეებს.
ზედამხედველობის ქვეშ, კვლევის საშუალებით გახორციელებული სწავლა (საკლასო განხილვა)	დიალოგი, კითხვები, წახალისება, სტიმული, მიმართულების მიცემა, დახმარება	- ახსნა-განმარტებათა გაცვლა-გამოცვლა, მასწავლებლის მხრიდან მოსწავლეების წახალისება და მოსწავლეთა წვლილი სწავლის პროცესში.
დამოუკიდებელი და ინტერესით განპირობებული სწავლა	მასწავლებელი: რჩევა, შუამავლობა, დახმარება მოსწავლეები: შერჩევა, დაგეგმვა, კითხვების დასმა, აღმოჩენა, კვლევა, ესკიზების კეთება, დიზაინის შექმნა, ანალიზი, აზროვნება, შემოწმება, კონტროლი	- მოსწავლეებს ეძლევათ გადაწყვეტილების მიღების პროცესში მონაწილეობის შესაძლებლობა. - პრიორიტეტი ენიჭება მოსწავლეების ინტერესებს, საჭიროებებსა და ინიციატივებს. - სწავლის გარემო ხელს უწყობს და ახალისებს მოსწავლეთა აქტივობებს (სივრცის მოქნილი განლაგება, სასწავლო მასალის მრავალფეროვნება, ექსპერიმენტებისათვის გამოყოფილი კუთხე, ნახატები და ა. შ.) - სწავლის მოქნილი გარემო, რომელიც იცვლება საჭიროებებისა და სურვილისამებრ. - თემებისა და მასალების მრავალფეროვნება, რომლიდანაც მოსწავლეები არჩევენ მათთვის საინტერესო თემასა და მასალას. - მოიცავს არა მარტო საკლასო ოთახში წარმოებულ სწავლის პროცესებს. - აქტივობების თავისუფალი არჩევანი. - ინდივიდუალური სამუშაო, ან წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა. - სწავლებისა და სწავლის ამგვარი ფორმა მოსწავლეებს უვითარებს

		გადაწყვეტილების დამოუკიდებლად მიღების უნარს, საკუთარ თავზე პასუხისმგებლობის აღების უნარს, კვლევის, მყისიერი გადაწყვეტილების მიღების უნარს და კონტექსტზე ორიენტირების უნარს.
ინდივიდუალური სწავლება	მასწავლებელი: დიაგნოსტირება, მიმართულების მიცემა, ინსტრუქციის მიცემა, დახმარება, რჩევა, ინფორმაციის მიწოდება, კონტროლი, ზედამხედველობა, მოტივაციის გაღვივება მოსწავლეები: შერჩევა, სამუშაო პროგრამის მოდიფიცირება და შექმნა, კითხვა, მიღწევები, გამეორება და შეფასება	- სწავლებისა და სწავლის გარემო მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე (რომელსაც განაპირობებს ის ცოდნა, უნარები (უნარები და ნიჭი), რომელიც მოსწავლეებს გააჩნიათ, მათი ინტერესები, სოციალური წარმომავლობა და ოჯახური პირობები და ა.შ.). - სწავლის პროცესში, ინდივიდუალური მოსწავლის საჭიროებების და უნარების გათვალისწინებით, ყველა ელემენტის, მათ შორის აღჭურვილობის, მიზნების, პროცედურების, მეთოდების, დროის, საშუალებების და დახმარების ფორმების (მრავალგანზომილებიანი სპეციფიკაცია) ოპტიმალური კორექტირება. - დიდაქტიკური ხასიათის მასალა, მედიასაშუალებები (კომპიუტერი, სასწავლო პროგრამები, ვიდეოკლიპები, დიაგრამები, მოდელები, სურათები, სახელმძღვანელოები და ა.შ.). - ინდივიდუალური სწავლა ხელს უწყობს სწავლის პროცესის ეფექტურობის ამაღლებას, დროისა და ძალისხმევის დაზოგვას, სისტემურ მიდგომას, მოსწავლეებში დამოუკიდებელი აზროვნებისა და პასუხისმგებლობის გრძნობის ჩამოყალიბებას.
სწავლა პროექტის ფარგლებში	მასწავლებელი: შუამავალი, დაკვირვება, რჩევის მიცემა, სტიმულის მიცემა, დახმარება, ორგანიზება, კოორდინირება მოსწავლეები: მიზნების დასახვა, თანამშრომლობა, დაგეგმვა, განხილვა, შეთანხმება ერთმანეთში, მონაცემთა და ინფორმაციის შეგროვება, კითხვების დასმა, გამოყენება, სწავლა, ექსპერიმენტები, გამოცდა, მოდიფიცირება, შექმნა, შემოქმედებითობა, კონტროლი, შეფასება	- თემის, მიდგომისა და დავალების შერჩევისას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მოსწავლეთა საერთო ინტერესებს, მათ საერთო საზრუნავსა და მიზნებს. - ათვლის წერტილად მიიჩნევა (კომპლექსური) ნამდვილი პრობლემა, რომელიც რეალური ცხოვრებიდან არის აღებული, როგორც ამას მოსწავლეები, როგორც ვაჟები, ასევე, გოგონები აღიქვამენ. - უპირატესობა ენიჭება შედეგებს და დისციპლინათშორის მიდგომას. - მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, მოიყვანონ მაგალითები საკუთარი გამოცდილებიდან. სწავლა უკავშირდება რეალურ ცხოვრებაში მის გამოყენებას. - ხანგრძლივი გამოცდილება, რომელიც ეტაპებად და ფაზებად არის დაყოფილი (ინიციატივა - ინტერესთა და საჭიროებების შეფასება - მიზნების განსაზღვრა - ზღვრების დაწესება, რაც ნიშნავს იმ მიზნების გამორიცხვას, რომელთა მიღწევაც შეუძლებელია - პროექტის შედგენა და დაგეგმვა - საბოლოო დღის წესრიგი; ამოცანის შესრულება; მიმოხილვა და პროექტის დასრულების შემდგომ განსახორციელებელი აქტივობების დასახვა, კონტროლი და დახვეწა, შეფასება). - დავალების ორგანიზება როლების გადანაწილებით: ინდივიდუალური სამუშაო, წყვილებში, მცირე ზომის და დიდ ჯგუფებში მუშაობა; თანამშრომლობა. - მოსწავლეები სამუშაოს ახორციელებენ სკოლის გარეთაც, კონსულტაციებს გადიან მშობლებთან და/ან პროფესიონალებთან და ექსპერტებთან. - პროექტზე მუშაობა ხელს უწყობს დამოუკიდებელი აზროვნების უნარის განვითარებას და აღმოჩენების გაკეთების შედეგად სწავლას, ასევე, პირადი და პრაქტიკული გამოცდილებით მიღებულ ცოდნასა და სხვა პიროვნებებთან სოციალური კავშირების დამყარებას. - სწავლება და სწავლა მოსწავლეებს მოქმედებისაკენ უბიძგებს.

თავი 5

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

1. წინასიტყვაობა

რაში მდგომარეობს სწავლებისა და სწავლის არსი, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით? როგორ და რატომ უნდა ფასდებოდნენ მოსწავლეები? სამართლიანია თუ არა შეფასება? უწყობს ხელს შეფასება სწავლასა და სწავლის პროცესს? დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ასეთი დეტალური კითხვების დასმა განსაკუთრებით მნიშვნელოვანია. რომელ კომპონენტებს სჭირდება შეფასება? რა ტიპის ცოდნაა ყველაზე მნიშვნელოვანი და როგორ უნდა შეფასდეს? საჭიროა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციის მუხლების ზეპირად ცოდნა თუ ქვეყნის სამართლებრივი სისტემის სტრუქტურის ცოდნა? ჩვენ არ გვაქვს პასუხი ამ კითხვებზე, ვინაიდან ჩვენ სწორედ ამ საკითხებზე ვმუშაობთ, საერთაშორისო მასშტაბით, და ჯერჯერობით არავის აქვს გარკვეული პასუხი მათზე. ვინაიდან ყველა ტიპის სწავლას სჭირდება შეფასება, მასში მიღწეული წარმატებების მიხედვით, ჩვენ გვსურს, ეს ასპექტი ყურადღებით განვიხილოთ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებასთან დაკავშირებით. ერთ-ერთი გზა ამ პრობლემის გადაჭრისა, მდგომარეობს შეფასების ფორმის შერჩევაში. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლები და მოსწავლეები შეფასებას აწარმოებენ სწავლის პროცესში და არა სწავლის პროცესის დასრულების შემდგომ, შეფასება სწავლის პროცესის ხელშემწყობ ფაქტორად და წარმატების გარანტად გვევლინება. მოცემულ საკითხზე მსჯელობისას, ჩვენ გვინდა, ჩვენი წვლილი შევიტანოთ სწავლის ფართო ცნების გაგებაში იმით, რომ შემოგთავაზოთ სხვადასხვა მიდგომა შეფასების გარეშე წარმოებული სწავლისადმი. კითხვის არსია არა ის, საჭიროა თუ არა ვაწარმოოთ შეფასება, არამედ ის, თუ შეფასების რა ფორმას გამოვიყენებთ, სწავლის რა ეტაპზე და, უპირველეს ყოვლისა, რას ემსახურება ეს შეფასება. აქედან გამომდინარე, ჩვენ ვსვამთ კითხვას, ისევე, როგორც ამას სწავლის მეთოდების შერჩევისას ჰქონდა ადგილი: მნიშვნელოვანია არა ის, თუ რა მეთოდს შევარჩევთ, არამედ ის, თუ რომელ მეთოდს და სად გამოვიყენებთ. დემოკრატიული

მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება, როგორც არა ერთხელ აღვნიშნეთ, არ წარმოადგენს საგანს. იგი უფრო ფართო გაგებას მოიცავს. ეს არის ცნებები, რომლებიც ერთობლივად განაპირობებენ სწავლებისა და სწავლის ატმოსფეროს. როდესაც მოსწავლეების მიღწევებისა და მოსწრების შეფასებას ვაწარმოებთ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, ჩვენ ვაფასებთ არა მარტო შესწავლის საგნის სფეროში მოსწავლეების მიერ შეძენილ ცოდნას, კომპეტენციებსა და უნარებს, არამედ მოსწავლეების შეფასება ასევე მოიცავს ისეთ დინამიკურ მახასიათებლებს, როგორებიცაა დამოკიდებულებები, ხედვა, კულტურათშორისი ურთიერთობები, მოქნილობა, კომუნიკაცია, სხვა პიროვნებებთან ურთიერთობის უნარი, საკუთარი მოსაზრების დასაბუთების უნარი და ა.შ. აქედან გამომდინარე, შეფასება წარმოებს სხვადასხვა განზომილებაში. პრინციპში, ეს მიდგომა ვრცელდება ყველა დისციპლინის სწავლებაზე. თუმცა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში არის გარკვეული ელემენტები, რომლის შეფასებასაც ჩვენ ვერ შევძლებთ ან არ გვაქვს სურვილი, რომ შევაფასოთ, ესენია პიროვნული ღირებულებები და დამოკიდებულებები, იმ შემთხვევაშიც კი, როცა სწორედ ღირებულებები და დამოკიდებულებები წარმოადგენს ნაწილს იმ კომპეტენციებისა, რომლის სწავლებაც არის ჩვენი მიზანი.

2. მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასებასთან დაკავშირებული ამოცანა და ძირითადი კითხვები

2.1 ამოცანა

გაკვეთილების დაგეგმვისა და მოსწავლეებისათვის შერჩეული თემების სწავლების პროცესში, სხვა დანარჩენთან ერთად, კიდევ ერთი ასპექტი, რომელიც უნდა გაითვალისწინოთ, არის ის, თუ როგორ უნდა ვაწარმოოთ მოსწავლეების მიღწევათა კონტროლი, როგორ უნდა მივხვდეთ, აქვს თუ არა მოსწავლეს პროგრესი და როგორ უნდა შევაფასოთ მოსწავლეთა შედეგები სწავლის თვალსაზრისით, ისევე, როგორც თქვენი საკუთარი მოღვაწეობა მასწავლებლის რანგში. ამ მიზნით, გაკვეთილის დაწყებამდე, საჭიროა გულდასმით დაგეგმოთ სწავლების შედეგებისა და ხარისხის ჩამოყალიბების, შეფასებისა და გაუმჯობესების გზები და, ასევე, ის, თუ როგორ უნდა ჩაიწეროთ, გააანალიზოთ, გააუმჯობესოთ და განსაჯოთ მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაო და სწავლის აქტივობები. ამგვარად, თქვენ შეძლებთ განსაზღვროთ, თუ რა კრიტერიუმები და ინსტრუმენტები დაგჭირდებათ იმის შესაფასებლად, თუ რა დონეზე შეძლო მთლიანმა კლასმა თუ ინდივიდუალურმა მოსწავლემ დასახული მიზნების მიღწევა და, საჭიროების შემთხვევაში, ხელთ გექნებათ ის კრიტერიუმებიც, რომლებსაც ეფუძნება მოსწავლეების შეფასების სისტემა.

2.2 ძირითადი კითხვები

მოსწავლეები სწავლის პროცესში:

- როგორ ხდება მოსწავლის წარმატების იდენტიფიცირება და შეფასება?
- როგორ გამოიყენება მოსწავლის თვითშეფასება და სხვების შეფასება?
- როგორ უნდა დავრწმუნდე, რომ მოსწავლემ მიაღწია დასახულ მიზანს?
- სწავლის პროცესში მოსწავლეები მუდმივად წარმატებით ართმევდნენ თავს დასახულ ამოცანებს?
- მოსწავლეები თავად არიან დარწმუნებული თავიანთ წარმატებაში?
- ჩემ მიერ განხორციელებული სწავლება თანაბარ შესაძლებლობებს ქმნიდა გოგონებისა და ვაჟების წარმატებისათვის?

— მოსწავლეები გაცნობიერებულად აკვირდებიან, აკონტროლებენ და ცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი აქტივობები სწავლისა და მუშაობის პროცესში?
— შეუძლიათ მოსწავლეებს თავად აკონტროლონ და შეაფასონ საკუთარი სწავლის პროცესი და შედეგები?
— შეუძლიათ მოსწავლეებს შეაფასონ თანატოლების მიღწევები?
— თვითშეფასებისას, მოსწავლეები ხელმძღვანელობენ თავიანთი მიზნებით, სტანდარტებით, კრიტერიუმებით ან საჭიროებებით?
— შემიძლია განვსაზღვრო ინდივიდუალური მოსწავლის წარმატების დონე?
— როგორ ვახდენ ინდივიდუალური მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული პრობლემის იდენტიფიცირებას?
— როგორ ვაკვირდები სოციალურ ურთიერთობებს კლასში?
— როგორ ვაწარმოებ ინდივიდუალურ მოსწავლესა და მთლიან კლასზე ჩემი დაკვირვების შედეგების ჩანიშვნას?

მასწავლებლები სწავლის პროცესში:

— როგორ ხდება სწავლის პროცესის წარმატების იდენტიფიცირება და შეფასება?
— როგორ გამოიყენება მოსწავლის თვითშეფასება და სხვების შეფასება?
— როგორ, როდის და ვისთან განვიხილავ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას მიღებულ გამოცდილებას?
— მონაწილეობის რა შესაძლებლობებს ვაძლევ ჩემს მოსწავლეებს?
— როგორ ვაკავშირებ ჩემი მოსწავლეების წარმატებასა და მარცხს სწავლების ჩემ მიერ წარმოებულ პროცესთან?
— როგორ განვსაზღვრავ, რამდენად წარმატებით ვართმევ თავს სწავლებას და როგორ ვსწავლობ მე, როგორც მასწავლებელი?

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 1: შეფასების სხვადასხვა განზომილება

მოსწავლეთა შეფასების სხვადასხვა განზომილება მოიცავს სამ დონეს. ქვევით მოცემული კუბის ფორმის მოდელის საშუალებით, შესაძლებელია ახსნილ იქნას სამ განზომილებას შორის ურთიერთდამოკიდებულება.

განზომილება 1 - პერსპექტივები: მოსწავლეებს შეუძლიათ, თავად შეაფასონ საკუთარი მოსწრება (აწარმოონ თვითშეფასება), ან შეიძლება შეფასდნენ სხვათა მიერ (სხვების მიერ წარმოებული შეფასება).

განზომილება 2 - ფორმები: შეფასებას შეიძლება გააჩნდეს სამი განსხვავებული ფორმა - სწავლის პროცესების შეფასება, სწავლის სფეროში წარმატების, მოსწრების შეფასება და პერსპექტივის შეფასება. ამ ფორმათაგან თითოეულს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები.

განზომილება 3 - სტანდარტები: შეფასებისას, შესაძლებელია მასწავლებელი ორიენტირებული იყოს ინდივიდუალურ სტანდარტზე (მოსწავლეზე), ობიექტურ სტანდარტზე (სწავლის მიზანზე) ან სოციალურ სტანდარტზე (კლასში მოსწავლის პოზიციაზე). შეფასებისას გამოყენებული სტანდარტი დიდი გავლენას ახდენს მოსწავლის შემდგომ მიღწევებზე.

განზომილება 1 - პერსპექტივები



განზომილება 3 - სტანდარტები

განზომილება 2 - ფორმები

ვიდრე სხვადასხვა განზომილებას განვიხილავდეთ, საჭიროა, საკუთარ თავს დავუსვათ კითხვა იმის თაობაზე, თუ რა კომპეტენციებს ვაფასებთ. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ამ კითხვაზე პასუხი უკვე გვაქვს და ეს არის სწორედ ის კომპეტენციები, რომლებიც ჩვენ უკვე განვიხილეთ: ანალიზის კომპეტენცია, პოლიტიკური აზროვნების კომპეტენცია და მოქმედების კომპეტენცია.

ამასთან დაკავშირებით, შესაძლებელია წამოიჭრას შემდეგი კითხვები, რომლებიც ეხება შეფასების გარკვეული და ობიექტური კრიტერიუმების დასახვას:

— წარმოადგენს კი ის, რასაც ჩვენ მოსწავლეთა წარმატების შეფასებისას ვამოწმებთ, მნიშვნელოვან ფაქტორს (დამახსოვრებული ინფორმაცია, ფაქტები, რომლებიც მხოლოდ მაგალითის ფუნქციას ასრულებს და, რაც მთავარია, მშრალი ფაქტების ცოდნა „აზროვნებისა და მოქმედების ინსტრუმენტი“ და უნარი)?

— ობიექტური კრიტერიუმებით არის განსაზღვრული ის ქულები, რომლებსაც ჩვენ ვანიჭებთ მოსწავლეთა ნამუშევრებს მათი შეფასებისას?

— მოსწავლეების მიერ ტესტის შესრულების დროს გამოყენებული სტანდარტები შეესაბამება სილაბუსით გათვალისწინებულ სტანდარტებს?

— წინასწარ არის განსაზღვრული ყველა ის მოთხოვნა, რომელიც დაკმაყოფილებული უნდა იყოს, რომ მოსწავლის ნამუშევარი გარკვეული ქულით შევაფასოთ (მიღწევათა სხვადასხვა დონე)?

— გამოცდაზე მოსწავლეებისათვის მიცემული ტესტი აძლევს საშუალებას მოსწავლეებს, თავად გააცნობიერონ, სწავლის მიზნის რა ნაწილში მიაღწიეს მათ წარმატებას?

— სხვადასხვა საწყისი დონის მქონე მოსწავლეებს სხვადასხვა ტესტი ეძლევა?

— ეძლევათ მოსწავლეებს იმის საშუალება, რომ ინდივიდუალურად შეასრულონ ტესტით გათვალისწინებული დავალება იქ, სადაც ამის შესაძლებლობა არსებობს (მაგალითად, შეუძლიათ მათ სწორი პასუხი შეარჩიონ იმ დროში, რომელიც მათთვის არის ხელსაყრელი)?

თვითშეფასება და სხვების შეფასება პიროვნებას ეხმარება საკუთარი სტატუსის შეცნობასა და მოქმედებათა შემდგომი კურსის განსაზღვრაში. ორივე ტიპის შეფასება, ასევე, ახალი მიზნების დასახვის საფუძველსაც წარმოადგენს.

სხვების მიერ შეფასებას ყველა ადამიანია მიჩვეული. სწორედ სხვების მხრიდან წარმოებული შეფასების შედეგად ეცნობა პიროვნება იმ რეაქციას, რომელსაც იგი იწვევს მოსწავლეებში, მასწავლებლებში ან მშობლებში.

თვითშეფასება ავლენს პიროვნების უნარს, შეაფასოს საკუთარი თავი და გამოიტანოს გარკვეული დასკვნები საკუთარი პიროვნების შესახებ. თვითშეფასება მნიშვნელოვან ინსტრუმენტს წარმოადგენს მოსწავლის ავტონომიის დაცვის თვალსაზრისით და, ასევე, მხოლოდ მასწავლებლის რეაგირებაზე დამოკიდებულებიდან თავის დაღწევის საქმეში. მოსწავლეებს, რომლებიც ფლობენ რეალური თვითშეფასების უნარს, უვითარდებათ ნათელი წარმოდგენა საკუთარი პიროვნებების შესახებ და მათ ნაკლებად ემუქრებათ დაუცველობის შეგრძნების საფრთხე. ისინი ნაკლებ იქნებიან დამოკიდებულნი სხვათა მხრიდან რეაგირებაზე და უფრო ადეკვატურად აღიქვამენ მასწავლებელთა რეაქციებს.

არ არის აუცილებელი, თვითშეფასება და სხვების მიერ განხორციელებული შეფასება იყოს აბსოლუტურად იდენტური, მაგრამ საჭიროა მათი მოსმენა და განხილვა საერთო კრებაზე. მოსწავლე ავტომატურად ვერ აღიქვამს საკუთარ თავს ისე, როგორც მას მასწავლებელი აღიქვამს. საჭიროა განსხვავებული მოსაზრებების მოსმენა და მათზე მსჯელობა. ამ გზით შესაძლებელია იმ ხარვეზების გამოვლენა, რომელიც პიროვნებას ახასიათებს, მაგრამ ამას თავად ვერ აცნობიერებს; იმ შეზღუდვების აღმოფხვრა, რომელსაც პიროვნება თავის თავს გაუცნობიერებლად უწესებს და, ასევე, გამჯდარი სტერეოტიპების კორექტირება. მოსწავლეებმა ეტაპობრივად უნდა ისწავლონ, თუ როგორ შეაფასონ თავიანთი კომპეტენციები და უნარები და, ასევე, როგორ უნდა შეაფასონ სხვა მოსწავლეები, როგორ უნდა შეხვდნენ მათი პიროვნების შეფასებას სხვების მხრიდან და როგორ განიხილონ ამგვარი შეფასება. სწორედ ამ ეტაპობრივი

მიდგომით არის შესაძლებელი თვითშეფასებასა და სხვების მიერ გახორციელებულ შეფასებებს შორის სხვაობის შემცირება.



სწავლის პროცესების შეფასება (მიმდინარე შეფასება)

მოცემული პერსპექტივა ემსახურება მოსწავლის სწავლის პროცესის ან მოსწავლისა და მასწავლებლის აქტივობის გაუმჯობესებას, კონტროლსა და შემოწმებას, გარკვეული მიზნის მისაღწევად.

სწავლაში მიღწეული წარმატებების შეფასება (საბოლოო შეფასება)

დროის გარკვეულ მონაკვეთში დასკვნითი შეფასება აჯამებს მოსწავლის მიერ შეძენილ ცოდნასა და უნარებს. მისი უმთავრესი მიზანია, მაგალითად, მოსწავლის ან მშობლისათვის მოსწავლის მიერ სამუშაოსათვის თავის გართმევის დონის შესახებ ინფორმაციის მიწოდება.

პერსპექტივის შეფასება

შეფასების ეს ფორმა ყურადღებას ამახვილებს მოსწავლის მომავალ განვითარებაზე. მოსწავლის სკოლაში ყოფნის სხვადასხვა ეტაპზე, მოსწავლის განათლების პროცესში მონაწილე პირები (სხვა მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები, გარკვეულ შემთხვევებში სკოლის ფსიქოლოგი და სკოლის ხელმძღვანელობა) იძლევიან რეკომენდაციას იმის თაობაზე, თუ სად უნდა გააგრძელოს მოსწავლემ მოღვაწეობა.

სწავლის პროცესების შეფასება

სწავლის პროცესების შეფასების (ანუ მიმდინარე შეფასების)ძირითად მიზანს წარმოადგენს ინდივიდუალური მოსწავლის ხელშეწყობა. ამგვარად შესაძლებელი ხდება სწავლების ეფექტურობის გაუმჯობესება. სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების არსებობის შემთხვევაში, სიმპტომებთან ბრძოლის ნაცვლად, წარმოებს სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მიზეზების კვლევა და მათთან გამკლავება (სწავლასთან დაკავშირებული სირთულეების მიზეზები შეიძლება იყოს როგორც კოგნიტური, ასევე ემოციური). მთავარია არა შეცდომების გასწორება, არამედ მათი ანალიზი. ამ გზით შესაძლებელი ხდება მოსწავლის მოსაზრებისა და აზროვნების

ფორმის გაგება და გამართლებაც კი, მიზანზე ორიენტირებული მიდგომით. სირთულეები უნდა განიხილებოდეს მოსწავლეებთან ერთად და მათთან გამკლავება აუცილებელია სპეციალური ღონისძიებების საშუალებით. შეცდომის მიზეზის ანალიზისას, მოსწავლის დამოკიდებულება არ უნდა იყოს ზედაპირული. მოსწავლის მიერ დაშვებული შეცდომის ანალიზისას მოსწავლეები გამოდიან იმ ჩაკეტილი წრიდან, რომელშიც საკუთარი სიძნელეები აქცევს მათ და იმუშავებენ პრობლემებთან გასამკლავებლად საჭირო, საკუთარ, ინდივიდუალურ სტრატეგიებს.

ამ თვალსაზრისით წარმატებული სწავლა გულისხმობს მუდმივი სწავლის პროცესს, მასწავლებლისა და მოსწავლის ერთობლივ მუშაობას შეცდომებზე და არა მხოლოდ საუკეთესო მეთოდების ძიებას.

სწავლის პროცესების შეფასების საშუალებები:

- დაკვირვება;
- მცირე მოცულობის ყოველდღიური ტესტები;
- ტესტები ხანგრძლივი მუშაობის პროცესის შემდეგ.

ტესტები, რომლის საშუალებითაც სწავლის პროცესები შეფასდება, სწავლებისა და სწავლის პროცესის ინდიკატორის ფუნქციას ასრულებენ. მათი საშუალებით, მოსწავლეებს, ისევე როგორც მასწავლებლებს, ეძლევათ მიღწევების დონის კონტროლის საშუალება. ჩავარდნებისა და არამყარი ცოდნის კომპენსაცია შესაძლებელია დამატებითი სამუშაოს შესრულებით.

ტესტირების საშუალებები:

- მოსწავლეებზე დაკვირვება დავალების შესრულების პროცესში;
- მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოს გულდასმით შემოწმება და ანალიზი;
- ინდივიდუალური საუბრები მოსწავლეების მიერ შესრულებული სამუშაოს შესახებ;
- კითხვები იმის თაობაზე, თუ რა გზებითა და საშუალებებით მოახერხა მოსწავლემ გარკვეული სირთულეების დაძლევა;
- მოკლე ტესტები.

მოსწავლეების მიერ დავალების შესრულების პროცესზე დაკვირვების, შესრულებული დავალების ანალიზისა და დაშვებული შეცდომების მიზეზებზე საუბრების შედეგად, მოსწავლეები შეიმუშავებენ ინდივიდუალურ მიზნებს, რაც მათ ეხმარება ან აძლევს მიმართულებას მასწავლებელი.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა დაცვის შესახებ სწავლებაში ამ ტიპის შეფასების ლოგიკურ შედეგს წარმოადგენს:

— შინაარსზე ორიენტირებული სწავლიდან მიზანზე ორიენტირებულ სწავლაზე გადასვლა;
— ინდივიდუალიზებული სწავლება, ნაცვლად ისეთი სწავლებისა, სადაც ყველა მოსწავლეს ერთი და იგივე სამუშაოს შესრულება უწევს.

სწავლაში მიღწეული წარმატებების შეფასება

სწავლაში მიღწეული წარმატებების შეფასება (საბოლოო შეფასება) მოსწავლის მიღწევების მოკლე შეფასებას წარმოადგენს. მისი საშუალებით შესაძლებელი ხდება მოსწავლის მიერ შეძენილი ცოდნისა და კომპეტენციების შეჯამება. იგი, ასევე, მოსწავლეებისათვის, მათი მშობლებისათვის და მასწავლებლებისათვის წარმოადგენს მოკლე ინფორმაციას მოსწავლის მიღწევების შესახებ, მის მიერ სწავლის პროცესში შესრულებული სამუშაოს თვალსაზრისით. კარგი საფუძველია მიზანზე ორიენტირებული სწავლის ხელშეწყობისათვის.

ამ ტიპის შეფასება გამოიყენება დაკვირვებისა და ტესტების საშუალებით განხორციელებული სწავლებისა და სწავლის ხანგრძლივი პერიოდის შემდეგ. მისი მიზანია სხვადასხვა დაინტერესებული მხარის ინფორმირება იმის თაობაზე, თუ რა დონეზე შეძლეს მოსწავლეებმა სხვადასხვა მიზნის მიღწევა. სწავლაში მიღწეული წარმატებების შეფასების მაგალითებს წარმოადგენს ყველა ის ტესტი, რომელიც მოსწავლისაგან მოითხოვს, გარკვეულ საგანსა თუ ასპექტში, გარკვეული დროის განმავლობაში დაგროვილი ცოდნისა და კომპეტენციების დემონსტრირებას (მაგალითად, კითხვარები დემოკრატიაზე, ტესტები მათემატიკაში, ტესტები ლექსიკურ მარაგზე, ტესტები სოციალურ მეცნიერებებში). სწავლაში მიღწეული წარმატებების შეფასება ფართოდ არის გავრცელებული სკოლებში და გამოიყენება ყველა საგნის

სწავლებაში. მიუხედავად იმისა, რომ მსგავსი შეფასება აუცილებელია მოსწავლეებისათვის ქულების მინიჭებისა და მოსწავლეების მიღწევებზე მასწავლებლის ინფორმირების თვალსაზრისით, მასთან ბევრი პრობლემაა დაკავშირებული.

მოსწავლეების შესაფასებლად გამოიყენება ქულები. ქულებთან დაკავშირებით, არსებობს რიგი მოუგვარებელი პრობლემებისა:

- სხვადასხვა მასწავლებელი ერთი და იმავე მოსწავლის ნამუშევარს სხვადასხვაგვარად აფასებს. შეფასება არ არის ობიექტური. ამასთან, მნიშვნელობა არა აქვს, რა საგანში შეძენილი ცოდნა ფასდება. მათემატიკის ტესტი ისევე სხვადასხვაგვარად შეიძლება იქნეს შეფასებული სხვადასხვა მასწავლებლის მიერ, როგორც თხზულება. აქედან გამომდინარე, შეფასებაზე დიდ გავლენას ახდენს ის მასწავლებელი, რომელიც აფასებს ნამუშევარს. ამგვარად, მოსწავლე და მისი სკოლაში მოღვაწეობა დამოკიდებულია იმაზე, თუ რომელ კლასში და რომელ მასწავლებელთან მოხვდება იგი. ამიტომ შესაძლებელია განვაცხადოთ, რომ მოსწავლეების შეფასებისას ობიექტურობის კრიტერიუმის დაცვა არ ხერხდება.
- სრულყოფილი განმარტება არ არსებობს იმასთან დაკავშირებით, თუ რას გამოხატავს ქულა (უნარებს, კომპეტენციებს, ცოდნას, დამოკიდებულებებს?). როდესაც მასწავლებელი მოსწავლის მიღწევების შეფასებისას ქულას იყენებს, ამ ქულაში გაერთიანებულია სხვადასხვა ასპექტი, როგორიცაა, მიღწევები განვლილი სემესტრის განმავლობაში, სამუშაოს წარმატებით განხორციელების უნარი, სწავლაში პროგრესი ან გაუარესება კლასის საშუალო დონესთან შედარებით და მოტივაციისა და დისციპლინის ასპექტები. მოსწავლისათვის ძალიან ძნელია იმის მიხვედრა, თუ რეალურად რა შეფასდა იმ ქულით, რომელიც მის ნამუშევარს მიენიჭა. ხშირად, მოსწავლეებისათვის უცნობია მათი მასწავლებლების მიერ გამოყენებული შეფასების სტრატეგიები. ის, რასაც ქულა მოიცავს, შესაძლებელია, იყოს მრავალგანზომილებიანი, ხოლო ინტერპრეტაციის თვალსაწიერი ძალიან ფართო. იმის გათვალისწინებით, რომ ჩვენს რეალობაში ქულებს სხვადასხვა ფუნქცია აქვს მინიჭებული, როგორიცაა მათი გამოყენება

კვალიფიკაციის მინიჭებისას, შერჩევასა და განაწილებისას, მოცემული ქულების ინტერპრეტირება კიდევ უფრო რთულდება. შესაძლებელია განვაცხადოთ, რომ მოსწავლეების შეფასებისას, გამოყენებადობის კრიტერიუმის დაცვა არ ხდება. სწავლაში მიღწეული წარმატების შეფასებისას გამოყენებული ქულები, მიუხედავად მათი მრავალფუნქციურობისა, არ გამოდგება შემდგომ სწავლასა და კარიერაში პიროვნების წარმატების ინდიკატორად.

— სწავლაში მიღწეული წარმატების შეფასებისას ქულების გამოყენების გავრცელებულ პრაქტიკას ერთი მნიშვნელოვანი არასასურველი ეფექტი ახლავს: კლასში მოსწავლეებისათვის ქულების მინიჭება, ნორმალური განაწილების პრინციპით, აკადემიურად ჩამორჩენილი მოსწავლისათვის წარუმატებლობის კიდევ ერთი გამოცდილებაა. ვინაიდან, ნორმალური განაწილების პრინციპით გათვალისწინებული საუკეთესო ქულები ყოველთვის ერთსა და იმავე მოსწავლეებს ხვდებათ, შკალის ბოლოში ყოველთვის ერთი და იგივე მოსწავლეები ექცევიან. იმ შემთხვევაშიც კი, თუ მათი აკადემიური მოსწრება უმჯობესდება, კლასში მათ მაინც იგივე პოზიცია უჭირავთ. აქედან გამომდინარე, კლასში მოსწავლეების კლასიფიკაცია მათ მიერ შესრულებული სამუშაოს მიხედვით, მხოლოდ დემოტივაციისა და ინტერესის კლების საფუძველს ქმნის, ვინაიდან სურათი ყოველთვის უცვლელი რჩება, განსაკუთრებით, სუსტი მოსწავლეებისათვის.

— ქულები შეუთავსებელია ზოგიერთ სიტუაციასა და ზოგიერთ საგანთან: ქულის დაწერა მარტივად არის შესაძლებელი ისეთ საგანში, როგორიცაა, მაგალითად, მათემატიკა - სწორი პასუხი მიიღო მოსწავლემ თუ არასწორი, მაგრამ მოსწავლისათვის ქულის მინიჭება რთულდება ისეთ საგნებში, როგორიცაა, მაგალითად, ხელოვნება ან სხვა საგნები, რომლებიც შემოქმედებით სფეროს განეკუთვნება, იგივე შეიძლება ითქვას ენებზეც. ამის მიზეზია შეფასების კრიტერიუმების არარსებობა, ან გაურკვეველი კრიტერიუმები და აგრეთვე ის ფაქტი, რომ სხვადასხვა საგანი სხვადასხვა კომპეტენციისა და უნარის განვითარებას უწყობს ხელს. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, ამ პრობლემის გადაჭრის სხვადასხვა ფორმების ძიებამ შესაძლებელია წარმოშვას კრეატიული და ინოვაციური იდეები, მაშინ

როცა, სხვა საგნების შემთხვევაში, პრობლემის გადაჭრის მხოლოდ ერთი ვარიანტი შეიძლება იქნას განხილული, როგორც მართებული. ამრიგად, არსებობს საფრთხე, რომ ქულები და სწრაფვა იმისკენ, რომ, ზოგადად, სწავლაში მიღწეული წარმატებების შეფასება ქულების საშუალებით განხორციელდეს, ყველა საგნის ერთმანეთთან გათანაბრებისა და დაკანონების საფრთხის წინაშე გვაყენებს. ყოველივე ეს ჩვენ წინაშე მდგარი ამოცანის გადაჭრის კრეატიული გზების ძიებას აფერხებს.

— ქულების დაანგარიშებისას გამოყენებული არითმეტიკა მათემატიკურად გაუმართლებელია: საუკეთესო შემთხვევაში, ქულა შესაძლებელია კლასის ფონზე, მოსწავლის მოსწრების მხოლოდ დაახლოებითი მაჩვენებელი იყოს. ამ თვალსაზრისით, ყველაზე ზუსტი მათემატიკური მეთოდის გამოყენებითაც კი, შეუძლებელია არსებული სიტუაციის გამოსწორება. საშუალო ქულის გამოთვლა, სხვადასხვა ქულის შეკრებითა და შემდეგ მათი ჯამის მოცემული ქულების რაოდენობაზე გაყოფით, მხოლოდ ზედაპირული დაცვის მექანიზმი შეიძლება იყოს. ეს, ასევე, დამოკიდებულია იმაზე, თუ როდის მოხდა ქულის მინიჭება. იმ მოსწავლის შეფასება, რომელმაც სემესტრი დაბალი შეფასებით დაიწყო და შედეგები გააუმჯობესა სემესტრის განმავლობაში, უნდა განსხვავდებოდეს იმ მოსწავლის შეფასებისაგან, რომლის მოსწრების მაჩვენებელიც გაუარესდა სემესტრის განმავლობაში. მიუხედევად იმისა, რომ ამ ორი მოსწავლის საშუალო ქულები შეიძლება ერთნაირი იყოს, მათი შედეგები, მიღწევებისა და სწავლაში მიღწეული წარმატებების თვალსაზრისით, განსხვავებულია.

ზემოთ აღწერილი პრობლემის გათვალისწინებით, სწავლაში მიღწეული წარმატებების შეფასება არ უნდა იყოს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში მოსწავლის მიღწევების შესახებ ინფორმაციის შეგროვების ერთადერთი გზა. კომპეტენციები და უნარები, რომელთაც მოსწავლე სწავლების პროცესში იძენს, ასევე უნდა ფასდებოდეს მიმდინარე შეფასების მეთოდის გამოყენებით.

პერსპექტივის შეფასება

პერსპექტივის შეფასება წარმოადგენს მოსწავლის მომავალი კარიერის წინასწარი შეფასებისა და განსაზღვრის საშუალებას. პერსპექტივის შეფასება ახდენს სწავლის პროცესის შეფასებისა და სწავლაში მიღწეული წარმატებების შეფასების ძირითადი ასპექტების გაერთიანებას, რის საფუძველზეც ფორმულირდება მოსწავლის მომავალი კარიერა. პერსპექტივის შეფასების პროცესში ჩნდება კითხვები: როგორ შეიძლება შევუწყოთ ხელი მოსწავლის ინდივიდუალურ განვითარებასა და სწავლის პოზიტიურ პროცესებს? პერსპექტივის შეფასება ძალიან მნიშვნელოვან როლს თამაშობს მოსწავლის სკოლაში ყოფნის სხვადასხვა ეტაპზე:

- სკოლაში ჩარიცხვა;
- წლის გამეორება;
- კლასის/სკოლის შეცვლა;
- სხვა ტიპის სკოლაში გადასვლა (მაგალითად, სპეციალური განათლება);
- მაღალ საფეხურზე გადასვლა.

უკვე ათწლეულებია, იმართება დისკუსიები ამ საკითხზე, პერსპექტივის შეფასება შეფასების ფორმად უნდა იქნას მიჩნეული თუ შეფასების ფუნქციად.

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 4: შეფასების სტანდარტები

მოსწავლეების მიღწევების შეფასებისა და ქულების მინიჭების სამი განსხვავებული ძირითადი სტანდარტი არსებობს:

1. ინდივიდუალური კრიტერიუმი: მოსწავლის მიღწევის შედარება მის წარსულ მიღწევებთან.
2. ობიექტურობის კრიტერიუმი: მოსწავლის მიღწევის შედარება სწავლის მიზნებთან.
3. სოციალური კრიტერიუმი: მოსწავლის მიღწევის შედარება კლასში სხვა მოსწავლეების მიღწევებთან ან იმ ასაკობრივი ჯგუფის წევრების მიღწევებთან, რომელსაც იგი განეკუთვნება.

კრიტერიუმი	**ინდივიდუალური კრიტერიუმი**	**ობიექტურობის კრიტერიუმი**	**სოციალური კრიტერიუმი**
შედარების კრიტერიუმი	პროგრესი სწავლაში	სწავლის მიზანი	ნორმალური განაწილების მრუდი, საშუალო არითმეტიკული გადახრა
ინფორმაცია	რა ცოდნა და უნარები შეიძინა მოსწავლემ დროის განსაზღვრულ მონაკვეთში?	რა დონემდე შეძლო მოსწავლემ სწავლის მიზნის მიღწევა?	საშუალო მაჩვენებლიდან რა გადახრა ფიქსირდება ინდივიდუალური პროგრესის თვალსაზრისით?
შეფასების ტიპი	ტესტები, ვერბალური შეფასება, შუალედური ანგარიში სწავლაში მიღწევის შესახებ, დაკვირვების სტრუქტურული ფორმა	მიზანზე ორიენტირებული ტესტი, შუალედური ანგარიში სწავლაში მიღწევის შესახებ, დაკვირვების სტრუქტურული ფორმა	კლასის საშუალო შედეგებზე აგებული ტესტი
პედაგოგიური მნიშვნელობა	ძალიან მაღალი	ძალიან მაღალი	ძირითადად გამოიყენება შერჩევის წარმოებისას; არ არის ორიენტირებული მოსწავლის ხელშეწყობაზე

სამუშაო ფურცელი 5: მოსწავლეების შეფასება - შეფასების გავლენა თვითაღქმაზე

სასკოლო შეფასება გავლენას ახდენს ისეთ ხილულ ასპექტებზე, როგორიცაა მოსწავლეების კვალიფიკაცია და პოზიცია საზოგადოებაში და, აქედან გამომდინარე, მათ მომავალ კარიერასა და ისეთ პიროვნულ ასპექტებზე, როგორიცაა შეხედულება საკუთარ თავზე, თვითშეფასება და ზოგადი წარმოდგენა საკუთარ კომპეტენციებსა და შესაძლებლობებზე. სკოლა მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მოსწავლის თავდაჯერებაზე. მისი პირდაპირი გავლენა დამოკიდებულია მოსწავლეთა შეფასების იმ გზებსა და საშუალებებზე, რომელსაც ირჩევს და ახორციელებს სკოლა.

სოციალური კრიტერიუმი

ვინაიდან სკოლაში სწავლება სოციალურ კონტექსტში მიმდინარეობს, საზომად სოციალური კრიტერიუმის გამოყენება მნიშვნელოვან ინფორმაციას იძლევა კომპეტენციების შესახებ, სხვა მოსწავლეებთან შედარების საშუალებით. ამავე დროს, კომპეტენციების შეფასება სოციალური შედარების პერსპექტივიდან ძლიერ ზეგავლენას ახდენს მოსწავლის მიერ საკუთარ თავზე შეხედულების ჩამოყალიბებასა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერებაზე.

ინდივიდუალური კრიტერიუმი

შეფასებისას ინდივიდუალური კრიტერიუმის გამოყენება გულისხმობს პიროვნების პირადი მიღწევების შეფასებას. რა სხვაობა შეინიშნება გასულ თვესა და მიმდინარე თვეში, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში, მოსწავლის მიღწევების თვალსაზრისით? ამ შემთხვევაში გამოიყენება დროებითი შედარების მეთოდი. მოზარდები უპირატესობას ანიჭებენ შეფასების ამ ინსტრუმენტს. გარკვეული დროის პერიოდში მიღწეული პროგრესის შეფასება იძლევა იმის საშუალებას, რომ მოსწავლეს მივაწოდოთ ინფორმაცია საკუთარი მოღვაწეობის შესახებ, თუ რამდენად გაუმჯობესდა ან გაუარესდა იგი. ამგვარი შეფასებისას, კონკრეტული მოსწავლის მიღწევები არ შედარდება სხვა მოსწავლეების მიღწევებთან. ყურადღება

გამახვილებულია ინდივიდუალურ მიღწევებსა და პროგრესზე. შეფასების ამგვარი ფორმა მისაღებია ფორმალური სწავლის პროცესისაგან განსხვავებულ გარემოში წარმოებულ სწავლის პროცესშიც, რომელიც სკოლის ფარგლებს მიღმა ხორციელდება და სადაც მოსწავლე საკუთარ კომპეტენციებს ავტონომიურად აფასებს.

ობიექტურობის კრიტერიუმი

აკადემიური მიღწევები უნდა შედარდეს სწავლის მიზნებთან. სწავლაში მიღწეული ინდივიდუალური პროგრესი რეალურად მიღწევად მიზნებთან უნდა განიხილებოდეს. შეფასების ეს გზა წარმოადგენს მიზანზე დაფუძნებულ ნორმას და შეიცავს ინფორმაციას იმის შესახებ, თუ რამდენად ახლოს ვართ იმ მიზანთან, რომელიც განსაზღვრულია როგორც საუკეთესო შედეგი. ამ შემთხვევაში, კონკრეტული მოსწავლის მიღწევები არ უნდა შევადაროთ სხვა მოსწავლეების შედეგებს. კრიტერიუმებზე აგებული ტესტები ნათლად განსაზღვრულ მიზნებზეა ორიენტირებული. მათი საშუალებით ფასდება მოსწავლის მიღწევები, მასწავლებლის მიერ განსაზღვრულ, გარკვეულ მახასიათებლებთან შედარებით. ამგვარი შეფასება გულისხმობს მასწავლებლის მიერ იმ მიზნების დასახვას, რომელსაც უნდა მიაღწიონ მოსწავლეებმა და, რა თქმა უნდა, მოიცავს მოსწავლეებისათვის ამ მიზნების გაცნობას. ამ სფეროში ჩატარებული სხვადასხვა კვლევის თანახმად, მოსწავლეების მიღწევათა ერთმანეთთან შედარების სოციალური პროცესის ჩართვა მიზანშეწონილია მხოლოდ მაშინ, როდესაც შეფასებაში არ გამოიყენება ობიექტურობის კრიტერიუმი.

რა დასკვნები უნდა გამოვიტანოთ მოცემული მსჯელობიდან? იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის მიზანი მოსწავლის მიერ საკუთარ თავზე შეხედულების ჩამოყალიბებასა და საკუთარი შესაძლებლობების გაცნობიერებაზეა ორიენტირებული, შეფასება უნდა წარიმართოს ობიექტურობის კრიტერიუმის დაცვით. მასწავლებლის მიერ ჩამოყალიბებული მიზნები უნდა იყოს ნათელი და გარკვეული და მასწავლებელი ვალდებულია, ეს მიზნები გააცნოს საკუთარ მოსწავლეებს.

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 6: საკონტროლო კითხვარი „როგორ ვაფასებ ჩემს მოსწავლეებს“

მოსწავლეების შეფასებისას, მასწავლებელმა უნდა გაითვალისწინოს ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში შესული ძირითადი პრინციპები:

- შეფასება უნდა წარმოადგენდეს ხელშეწყობის საშუალებას: უნდა ემსახურებოდეს ინდივიდუალური მოსწავლის ხელშეწყობას საკუთარი პოზიციის განსაზღვრაში, უნდა აწვდიდეს მას მინიშნებას შემდგომ მუშაობასთან დაკავშირებით, უნდა ემსახურებოდეს მოსწავლის მიერ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში დარწმუნების დონის ამაღლებასა და საკუთარ თავზე წარმოდგენის გამტკიცებას.
- შეფასება მოსწავლეთა დახმარებას უნდა უზრუნველყოფდეს და ხელს უნდა უწყობდეს მოსწავლეთა თვითშეფასებას.
- შეფასება უნდა იყოს გამჭვირვალე: მოსწავლეებისათვის ცნობილი უნდა იყოს შეფასების ბაზა, შეფასების კრიტერიუმები და შეფასებისას გამოყენებული ნორმები.
- შეფასება უნდა იყოს შინაარსისა და მიზნების ადეკვატური. ცოდნის შეფასება, კომპეტენციებისა და უნარების შეფასებისაგან განსხვავებულად უნდა წარმოებდეს.
- მასწავლებლები უნდა ითვალისწინებდნენ ქულების მინიჭების საშუალებით განხორციელებული შერჩევის ფუნქციას. შემაჯამებელ შეფასებას, მომავალში, საჭიროა ჩაენაცვლოს მოსწავლეთა საუბრებში მონაწილეობისა და მათ მიერ მომზადებული მოხსენებების შეფასება, რაც უნდა დამკვიდრდეს, როგორც შეფასების მეთოდი და ინსტრუმენტი. მხოლოდ ამ გზით არის შესაძლებელი, გამჭვირვალობის თვალსაზრისით, სასკოლო სისტემაში სიტუაციის გაუმჯობესება.

— ტესტები უნდა დგებოდეს ისე, რომ მათი საშუალებით შესაძლებელი იყოს სწავლის წინასწარ განსაზღვრულ მიზნებთან მიახლოების განსაზღვრა. (ტესტები ასევე იძლევა სწავლის მიზნების განხორციელებისას გამოყენებული სწავლების ხარისხის შეფასების საშუალებას. აქედან გამომდინარე, ტესტების შედეგები მეტყველებს არა მარტო მოსწავლეთა მიღწევებზე, არამედ მასწავლებლის მიერ გახორციელებული სწავლების ხარისხზე.)

კითხვები თვითშეფასებისათვის

მოსწავლეთა სწავლის პროცესი:

— როგორ უნდა დავრწმუნდე, რომ მოსწავლეებმა მიაღწიეს მიზანს?
— სწავლის პროცესში მოსწავლეებს მუდმივად ჰქონდათ პროგრესი?
— როგორია მოსწავლეების მიერ საკუთარი მიღწევების აღქმა, დარწმუნებული არიან ისინი, რომ მათ პროგრესი აქვთ ამ მიმართულებით?
— სწავლების მეთოდი, რომელსაც მე ვიყენებ, თანაბარ შესაძლებლობებს აძლევს გოგონებსა და ვაჟებს?
— მოსწავლეები შეგნებულად ეკიდებიან სწავლისა და მუშაობისას მათ მიერ განხორციელებულ ქმედებებს, აკვირდებიან, აკონტროლებენ და ცდილობენ გააუმჯობესონ თავიანთი შედეგები?
— სწავლის პროცესში მოსწავლეები იღებდნენ მითითებებს, რომლებიც მათ დახმარებას ითვალისწინებდა?
— შეუძლიათ მოსწავლეებს თავად აკონტროლონ და შეაფასონ სწავლის პროცესში მიერ შესრულებული ქმედებები და ამ ქმედებების შედეგები?
— თვითშეფასების პროცესში მოსწავლეები ითვალისწინებენ თავიანთ მიზნებს, სტანდარტებს, კრიტერიუმებს ან საჭიროებებს?
— შემიძლია აღვიქვა და შევაფასო ინდივიდუალური მოსწავლის მიღწევები?
— როგორ ვახდენ ინდივიდუალური მოსწავლის სწავლასთან დაკავშირებული პრობლემების იდენტიფიცირებას?
— როგორ ვაკვირდები სოციალურ ურთიერთობებს გაკვეთილის განმავლობაში?
— როგორ ვაწარმოებ ჩანიშვნებსა და ჩანაწერებს ინდივიდუალურ მოსწავლესა და მთლიან კლასზე ჩემი დაკვირვებებისა და შეფასებების შესახებ?

ზოგიერთი კითხვა მასწავლებლის სწავლის პროცესთან დაკავშირებით:

— როგორ, როდის და ვისთან განვიხილავ სწავლებასთან დაკავშირებულ ჩემთვის საინტერესო საკითხებს?
— როგორ ვუწყობ ჩემს მოსწავლეებს ხელს და როგორ განვაწყობ მათ სწავლის პროცესში ჩართულობისათვის?
— როგორ ვუკავშირებ ჩემი მოსწავლეების წარმატებასა და წარუმატებლობას ჩემ მიერ წარმართულ სწავლების პროცესს?
— როგორ ვაფასებ ჩემს საკუთარ მიღწევას სწავლების თვალსაზრისით და რას და როგორ ვსწავლობ მე, როგორც მასწავლებელი?

მოსწავლეთა მიღწევების მიხედვით გარკვეული დასკვნების გაკეთება სკოლაში სწავლების ერთ-ერთ ძირითად პრინციპს წარმოადგენს.[34] მასწავლებელთა წვრთნა გულისხმობს სწავლების ხარისხის შესახებ დასკვნების გამოტანას. ზუსტად იმავე პრინციპით, რა პრინციპითაც ხორციელდება მოსწავლეთა სწავლის პროცესისა და მათ მიერ კომპეტენციების, უნარებისა და ცოდნის შეძენის შეფასება, საჭიროა მასწავლებლებმა შეაფასონ საკუთარი სწავლების დონე და ხარისხი, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პროცესში.

სწავლების მხრივ არსებული სიტუაციის გაცნობიერების მყარი საფუძველის გარეშე, წარმოუდგენელია ნებისმიერი რეკომენდაციის მიცემა თუ ღონისძიების გატარება მასწავლებლების უნარების, მათ მიერ გამოყენებული მეთოდებისა თუ ზოგადად მასწავლებელთა მოღვაწეობის გაუმჯობესებისა და განვითარების თვალსაზრისით. მაგრამ რამდენად შეუძლიათ მასწავლებლებს მათ მიერ გახორციელებული სწავლების პროცესის შეფასება? ფაქტობრივად, მასწავლებელთა უმრავლესობა სათანადოდ ვერ აფასებს საკუთარი მოსწავლეების მოსალოდნელ მიღწევებს. გარდა ამისა, ხშირად ისინი ვერ ახერხებენ სწავლების სხვა მეთოდებსა და სტილზე გადართვას, იმ შემთხვევაშიც კი, თუ ამის აუცილებლობა წამოიჭრება. უფრო საინტერესოა ის, რომ როდესაც ხდება შეფასებისას სხვადასხვა პერსპექტივის გათვალისწინება: მასწავლებლების მხრიდან, მათივე მიერ წარმოებული სწავლების პროცესის შეფასება დიდად განსხვავდება სკოლაში წარმოებული შეფასების პროცესში მონაწილე ყველა სხვა ჯგუფის (მოსწავლეები, მშობლები, სკოლის ადმინისტრაცია და ა.შ.) მიერ გახორციელებული შეფასებისაგან.[35] მასწავლებლებს სჭირდებათ ხელშეწყობა იმაში, რომ საკუთარ ძალებსა და შესაძლებლობებში მეტად დარწმუნდნენ? თუ მათ ახალი კომპეტენციების შეძენა სჭირდებათ იმისათვის, რომ გადახედონ საკუთარ

[34] ა. ჰოლმკე (2003 წელი), "Unterrichtsevaluation: Verfahren und Instrumente", Schulmanagement, 1, 8-11.
[35] მ. კლაუსენი და კ.უ. შნებელი (2002 წელი), "Konstrukte der Unterrichtsqualitдt im Expertenurteil", Unterrichtswissenschaft, 30 (3), 246-60.

გამოცდილებას და მათივე პედაგოგიური მოღვაწეობა კრიტიკულად, მაგრამ ამავდროულად რეალისტურად შეაფასონ?

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 8: მასწავლებელთა თვითშეფასება

ყოველდღიურ სასკოლო პრაქტიკაში მასწავლებელთა მიერ სწავლების პროცესის თვითშეფასება, შეფასების ყველაზე პრაგმატული და მარტივი მეთოდია. ჩვეულებრივ, შეფასების ეს ფორმა ავტომატურად მიმდინარეობს მასწავლებლებს შორის კომუნიკაციისას, მაგრამ მას არა აქვს სისტემური ხასიათი. უმეტესწილად, მასწავლებლები მათ მიერ წარმართულ სწავლებას აჯამებენ მაშინ, როდესაც ამის აუცილებლობას გრძნობენ, ან როდესაც ამას ინტუიცია ჰკარნახობს და თითქმის ყოველთვის ეს ხდება მაშინ, როცა ისინი არ არიან კმაყოფილი შედეგებით. თვითშეფასების პროცესის ხელშეწყობის მიზნით, შეგიძლიათ ისარგებლოთ კითხვარით, რომელის ნიმუშიც ქვევით არის მოყვანილი:

- — როგორ შევძელი სწავლის პროცესის წახალისება?
- — როგორ შევძელი მოსწავლეების ინტერესის გამახვილება განსახილველი თემის შინაარსზე?
- — შეძლეს მოსწავლეებმა, მისულიყვნენ ძირითად პრობლემამდე ან ამოცანამდე?
- — შესასწავლ მასალაში გამოკვეთილი იყო თუ არა ძირითადი საკითხი?
- — რამდენი კითხვა დავსვი?
- — რა ტიპის კითხვები დავსვი?
- — რა ტიპის კითხვები დასვეს მოსწავლეებმა?
- — იყო კითხვები დაკავშირებული ძირითად პრობლემასთან ან ამოცანასთან?
- — რა გარემოებებმა განაპირობა მოსწავლეებში ამა თუ იმ კითხვის დასმის სურვილის აღძვრა?
- — ყურადღებით ვუსმენდი ჩემს მოსწავლეებს?
- — იცავდნენ თუ არა მოსწავლეები წინასწარ შეთანხმებულ კომუნიკაციის წესებს?
- — როგორ ვრეაგირებდი მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე?
- — ვიმეორებდი მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს სიტყვა-სიტყვით?
- — გამოვიყენე სტერეოტიპები მოსაზრებების გასამყარებლად?
- — შევნიშნე მოსწავლეებს შორის ურთიერთობის წახალისება და ხელშეწყობა?

- — დაახლოებით რა პროცენტს შეადგენდა ჩემი ჩართულობა სწავლის პროცესში?
- — დაახლოებით რა პროცენტს შეადგენდა ჩემი მოსწავლეების ჩართულობა სწავლის პროცესში?
- — შევნიშნე მოსწავლეები, რომელთა ჩართულობაც სწავლის პროცესში ძალიან მაღალი პროცენტით ფასდება?
- — როგორი იყო ეგრეთ წოდებული „რთული“ მოსწავლეების ჩართულობა სწავლის პროცესში?
- — ჩემი ყურადღება განსაკუთრებულად იყო მიმართული ზოგიერთი მოსწავლისადმი?
- — როგორ წარმოიშვა კონფლიქტური სიტუაცია?
- — როგორ წარიმართა კონფლიქტები?
- — როგორ მოგვარდა კონფლიქტები?
- — მოსწავლეებისათვის გასაგები იყო მათ წინაშე დასახული ამოცანები?
- — როგორ მოხერხდა ამოცანების ჩართვა სწავლის პროცესში?
- — როგორ ვეხმარებოდი ჩემს მოსწავლეებს?
- — როგორ მოხდა შედეგების დემონსტრირება?
- — როგორ აწარმოებდნენ მოსწავლეები შეძენილი ცოდნის, მათ მიერვე გაკეთებული აღმოჩენების შესახებ ჩანაწერებს?
- — სხვა კითხვები?

მსგავსი კითხვარის გამოყენება შედეგი აქვს მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ეს ხდება სწავლებისა და მისი ეფექტების შესახებ მყარი, მეცნიერულად დადასტურებული და ემპირიული კვლევით გამყარებული ცოდნის საფუძველზე. ყველა სხვა დანარჩენ შემთხვევაში, მოცემულ კითხვებზე პასუხის გაცემის შედეგი მხოლოდ იძულებით შეიძლება განხორციელებულ მოქმედება იყოს და მეტი არაფერი. გარდა ამისა, მსგავსი კითხვარების უმეტესობა მოიცავს სხვადასხვა ასპექტს, მაგრამ მათში არ არის სრულად შესული ყველა ის ასპექტი, რომელმაც შესაძლებელია თავი იჩინოს გაკვეთილის მსვლელობისას. აქედან გამომდინარე, კითხვარების გამოყენებისას, დიდი მნიშვნელობა

აქვს იმას, რომ არ დავეყრდნოთ მხოლოდ მათ და გავითვალისწინოთ, რომ გაუთვალისწინებელი გარემოებებიც შეიძლება გამოიკვეთოს.[36]

[36]გ.ე. ბეკერი (1998 წელი), Unterricht auswerten und beurteilen, Beltz, Weinheim.

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 9: ჟურნალებთან, სააღრიცხვო ჟურნალებთან, პორტფოლიოებთან მუშაობა[37]

მასწავლებელთა თვითშეფასების საუკეთესო მეთოდს წარმოადგენს სწავლების შეჯამება ჟურნალების, სააღრიცხვო ჟურნალებისა და პორტფოლიოების გამოყენებით, რაც საუკეთესო საფუძველია დიდაქტიკისა და პედაგოგიურ საკითხებზე საუბრების დასაწყებად.

ჟურნალი

ჩვეულებრივ, ჟურნალი შედგენილია იმგვარად, რომ დიალოგის წარმოების საშუალებას იძლევა (იმავე საგნის სხვა მასწავლებელთან, სხვა სკოლის მასწავლებელთან და ა.შ.). მასწავლებელი ჟურნალს აწარმოებს დღიურის სტილში, სადაც შეაქვს ინფორმაცია საკუთარი გამოცდილების შესახებ, პირადი ინტერპრეტაციები და დამოკიდებულებები კონკრეტული გაკვეთილის, ქცევის ან ურთიერთობის ფორმის შესახებ, რომელიც მან გამოავლინა. ჟურნალში გათვალისწინებულია ადგილი ისეთი ტიპის ინფორმაციის შესატანად, როგორიცაა, როგორც პირადი, ასევე, სხვების მიერ გაკეთებული შენიშვნები და ინტერპრეტაციები; და სწავლებისა და სწავლის პროცესების შესახებ ისეთი კითხვები და მოსაზრებები, რომლებიც ემთხვევა სხვა მასწავლებლების მოსაზრებებს, საუკეთესო საფუძველს ქმნის საკითხებზე მსჯელობის წამოწყებისათვის. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილების შეჯამების პროცესში რეკომენდებულია მსჯელობა და მოსაზრებების გაცვლა-გამოცლა იმ მასწავლებელთან, რომელიც ასევე კარგად ერკვევა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპებში.

[37]წინამდებარე სამუშაო ფურცელში რეკომენდებული მეთოდები შესაძლებელია გამოყენებულ იქნას მოსწავლეების მიერაც, და წარმოადგენს სხვადასხვა ევროპული ქვეყნის სწავლებისა და სწავლის კულტურაში გამოყენებულ საერთო ინსტრუმენტს.

სააღრიცხვო ჟურნალი

სააღრიცხვო ჟურნალში პროცესები აღიწერება ყოველგვარი კომენტარებისა და პირადი შენიშვნების გარეშე. მასწავლებელს შეუძლია, მოგვიანებით გაეცნოს სააღრიცხვო ჟურნალში შეტანილ ფაქტებს და გააკეთოს შესაბამისი დასკვნები. ამ თვალსაზრისით, სააღრიცხვო ჟურნალი შეიძლება შევადაროთ დღიურს ან ჟურნალს, სადაც არ არის წარმოდგენილი პირადი ინტერპრეტაციისა და დიალოგის ელემენტები. სააღრიცხვო ჟურნალის გამოყენების არსი ისაა, რომ მასწავლებელი მოკლე პერიოდის შემდეგ გაეცნოს იქ შეტანილ ინფორმაციას. ვინაიდან სააღრიცხვო ჟურნალში შედის შენიშვნები და კომენტარები, გარკვეული პერიოდის შემდეგ რთული ხდება გაკვეთილის ელემენტების მეხსიერებაში აღდგენა.

პორტფოლიო

მასწავლებლის პორტფოლიო წარმოადგენს მასალათა ნაკრებს, რომელსაც ადგენს მასწავლებელი. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით, პორტფოლიოს დანიშნულებაა მასწავლებლის წარმატებებისა და იმ სფეროების გამოვლენა, რომელიც დახვეწასა და გამოსწორებას საჭიროებს. პორტფოლიო წარმოადგენს ინსტრუმენტს, რომელიც ავლენს მასწავლებლის კომპეტენციებს კონკრეტულ სფეროებში. თანამდროვე მასწავლებელთა მომზადებისა და წვრთნის პროგრამებში გამოყენებული პორტფოლიოები მასწავლებელთა კვალიფიკაციის ზოგად ინსტრუმენტად არის წარმოდგენილი. მეორე მხრივ, პორტფოლიო წარმოადგენს მასწავლებლის მოღვაწეობის შემაჯამებელ ინსტრუმენტს. მისი საშუალებით შესაძლებელია ჩატარებული გაკვეთილების ეფექტურობის, გამოყენებული მეთოდების, მასწავლებლის მოსწავლეებთან ურთიერთობის და ა.შ. როგორც შეფასება, ასევე, კრიტიკა. ინფორმაცია, რომელიც შეიძლება მოცემული იყოს პორტფოლიოში, მოიცავს:

- მასწავლებლის მოკლე ბიოგრაფიას;
- კლასის აღწერას;
- გაკვეთილისათვის შერჩეული მასალას (მათ შორის სამუშაო ფურცლები, მასალა მოსწავლეებისათვის);
- მასწავლებლის მიერ შეფასებული მოსწავლეების ნამუშევრებს;

— ტესტების შედეგებს (იმ შემთხვევაში, თუ გამოიყენება ტესტები);
— მასწავლებლის პირად მოსაზრებას დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე;
— მასწავლებლებისა და კოლეგების მოსაზრებებს, რომლებიც დაესწრნენ ამ მასწავლებლის მიერ ჩატარებულ, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებს;
— პროექტის ამსახავ დოკუმენტაციას, იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებლის ინიციატივით განხორციელდა რაიმე პროექტი, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ფარგლებში.

რა თქმა უნდა, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილების ერთობლივი დაგეგმვა კოლეგა-მასწავლებელთან ერთად სასარგებლოა როგორც ინფორმაციის გაცვლისა და კოორდინაციის, ასევე, კლასის განვითარების თვალსაზრისით, მათ შორის, ამ პროცესების ეფექტურობის შეფასების თვალსაზრისით.[38] ერთობლივი, თანამშრომლობითი გაკვეთილების დაგეგმვა შეიძლება შემოიფარგლებოდეს მხოლოდ გაკვეთილის მომზადებით (რისი პრაქტიკაც მრავალ ქვეყანას გააჩნია), ან შესაძლებელია მიზნად ისახავდეს ერთობლივ სწავლებას (გუნდური სწავლება). ევროპული ქვეყნების მასწავლებელთა მომზადების ინსტიტუტებში უპირატესობას ანიჭებენ გაკვეთილის დაგეგმვასა და სწავლებაში თანამშრომლობის შესახებ ინიციატივას. ამგვარი სწავლების კულტურის ჩამოყალიბებას საკმაო დრო სჭირდება.

ამოუცნობ ფენომენად რჩება ის ფაქტი, რომ ბევრი მასწავლებელი არც თუ ენთუზიაზმით ეკიდება თავის კოლეგასთან ერთად მუშაობის ინიციატივას.[39] შესაძლებელია ამის მიზეზი აპრობირებული მეთოდის არარსებობა იყოს. ან ის, რომ მასწავლებლებს მეტი დროის გატარება მოუწევთ სკოლაში. ან ის, რომ მასწავლებლები გარკვეული შიშით ხვდებიან და გაურბიან კოლეგების მიერ შეფასებას.

გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვისა და ერთობლივი სწავლების ერთ-ერთ ფორმას წარმოადგენს ჯგუფური დასწრება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე, რაც ასევე დროის დაზოგვის საშუალებაც არის. შეგიძლიათ ისარგებლოთ ქვემოთ მოყვანილი რეკომენდაციებით:[40]

[38] ა. ჰელმკე (2003 წელი), "Unterrichtsevaluation: Verfahren und Instrumente", Schulmanagement, 1, 8-11.
[39] ა. ჰელმკე (2003 წელი), "Unterrichtsevaluation: Verfahren und Instrumente", Schulmanagement, 1, 8-11.
[40] ჰ. კლიპერტი (2000 წელი), Padagogische Schulentwicklung. Planungs- und Arbeitshilfen zur Forderung einer neuen Lernkultur,Beltz, Weinheim.

ჯგუფის მოცულობა:	სამი მასწავლებელი ერთმანეთის გაკვეთილებს ესწრება სემესტრში ორჯერ (სემესტრში თითოეული მასწავლებლის ორ გაკვეთილს ესწრება ორ-ორი მასწავლებელი; თითოეულ მასწავლებელს სემესტრის განმავლობაში უწევს დაესწროს სხვა მასწავლებლების მიერ ჩატარებულ ოთხ გაკვეთილს.
ორგანიზება:	სამი მასწავლებელი ერთად ადგენს გაკვეთილებზე დასწრების გეგმას, არსებული განრიგის მიხედვით, სკოლის ადმინისტრაციისაგან მითითებების გარეშე.
სასკოლო საგანი:	მასწავლებლები ესწრებიან და აკვირდებიან ერთმანეთის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში. მნიშვნელობა არ აქვს იმას, თუ რა ძირითადი საგანი მიჰყავს სკოლაში მასწავლებელს.
ჯგუფის შედგენა:	ერთ ჯგუფად გაერთიანება შესაძლებელია პირადი კეთილგანწყობის საფუძველზე, რაც ურთიერთნდობის გარანტი შეიძლება იყოს.
მეთოდისტის ამოცანა:	მეთოდისტის ფუნქციაა, თვალყური ადევნოს გაკვეთილებზე დასწრების სიხშირეს. მეთოდისტი არ მონაწილეობს მასწავლებლების მიერ გაკვეთილების შესახებ წამოჭრილი საკითხების განხილვაში.
თემატიკა:	კითხვები, რომლებიც შესაძლებელია გაჩნდეს ერთმანეთის გაკვეთილებზე დასწრებისას, შესაძლებელია უკავშირდებოდეს მასწავლებლების განსხვავებულ ინტერესებსა და დამოკიდებულებებს: ა) მასწავლებელს სურს, მოისმინოს კოლეგების კომენტარი გარკვეულ საკითხებზე, ბ) სურს ახალი მეთოდისა ან აქტივობის შემოტანა, რომლის შეფასებაც არის საჭირო, ან გ) შეფასდეს პედაგოგიკური პრინციპები (მაგალითად, სკოლის პროგრამაში ფორმულირებული).

არსებობს მთელი რიგი მიზეზებისა, რატომაც დაინერგოს ერთობლივი მუშაობისა და გაკვეთილებზე ჯგუფური დასწრების პრაქტიკა, ისევე როგორც გაკვეთილის ერთობლივი დაგეგმვისა და ერთობლივი სწავლების ელემენტი. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების, სხვა მასწავლებლის მიერ ჩატარებულ გაკვეთილებზე დაკვირვებით, მასწავლებელი იძენს გარკვეულ გამოცდილებას და იყენებს მას საკუთარი გაკვეთილების ჩატარებისას. ეს პრაქტიკა მხოლოდ სხვისი შეფასების ინსტრუმენტს კი არ წარმოადგენს, არამედ სწავლების საკუთარი სტილისა და მეთოდების გაუმჯობესების ინსტრუმენტადაც გვევლინება.

ამ ელემენტების შემოტანის აუცილებლობა შემდეგი მიზეზებით არის განპირობებული:[41]

- — იმის სწავლა, თუ როგორ ასწავლო, უფრო ეფექტურია რეალურ სიტუაციაში, ვიდრე არარეალურ კლასში სწავლების პროცესზე ერთობლივი მსჯელობის დროს.
- — არსებობს უამრავი დეტალი, რომელთა მარტივი ახსნაც შეუძლებელია გაკვეთილის შესახებ მსჯელობის დროს, როგორიცაა, ყოველდღიური საქმიანობა, სხეულის ენა, მიმიკა, ქცევა კომუნიკაციის დროს და ა.შ.
- — ხედვის შეცვლა და გაკვეთილზე შორიდან დაკვირვება საკუთარი სწავლების პრაქტიკის გადახედვის საშუალებას იძლევა.
- — გაკვეთილზე მხოლოდ დაკვირვებისას, მასწავლებელს არ უწევს რაიმეს კეთება, რის შედეგადაც მას ეძლევა დეტალების აღქმისა და მათზე დაფიქრების საშუალება.
- — სხვა მასწავლებლის მიერ ჩატარებული ყოველი გაკვეთილიდან შესაძლებელია მთელი რიგი მოსაზრებებისა და იდეების აღება, საკუთარ პრაქტიკაში გამოსაყენებლად. პიროვნული თავისებურებებისა და სწავლების სტილის მრავალფეროვნება საინტერესო მასტიმულირებელ წყაროს წარმოადგენს მასწავლებლისათვის, რომლის მიღებაც არ ხდება გაკვეთილის ჩატარებისა და გაკვეთილისათვის მზადების დროს.

[41] ტ. ლუდერსი (2001 წელი), Qualitat im Mathematikunterricht der Sekundarstufe I und II, კორნელსენი, ბერლინი.

— სწავლის პროცესში კლასზე და გაკვეთილის დაგეგმვისა და მისი მომზადების ყველა ელემენტზე დაკვირვება გულისხმობს მსჯელობას სწავლების დიდაქტიკისა და მეთოდიკის საკითხებზე, რაც სკოლის განვითარების ნაწილს წარმოადგენს და რომელიც მასწავლებლის დონეზე იღებს სათავეს.

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 11: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შეფასება სკოლებში

დემოკრატია არ წარმოადგენს ავტომატურ მექანიზმს. დემოკრატია, ერთი მხრივ, ისტორიული მონაპოვარია, ძველი დროის დემოკრატიული ქვეყნების მეშვეობით და, მეორე მხრივ, ხანგრძლივი პროცესის შედეგი, რომელიც დიდად არის დამოკიდებული ქვეყანაში არსებულ სიტუაციაზე. დემოკრატიული მიდგომები და დამოკიდებულებები ბუნებრივად არ გვეძლევა, არამედ იქმნება ცალკეული პიროვნების მიერ, სოციალურ კონტექსტში, ოჯახსა თუ სკოლაში მიღებული გამოცდილებების საშუალებით. შეუძლებელია დემოკრატიის სწავლა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე. დემოკრატია თავს უნდა იჩენდეს სკოლის სხვადასხვა, ფორმალურ თუ არაფორმალურ სტრუქტურებში. აქედან გამომდინარე, სკოლას გადამწყვეტი მნიშვნელობა ენიჭება მყარი დემოკრატიული საზოგადოების ჩამოყალიბებაში. უფრო მეტიც, „დემოკრატიული სტრუქტურის მქონე და დემოკრატიული პრინციპებით ფუნქციონირებადი სკოლა არა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას უწყობს ხელს და ამზადებს მოსწავლეებს, რათა მათ სათანადო ადგილი დაიკაონ საზოგადოებაში და ჩამოყალიბდნენ აქტიურ მოქალაქეებად, არამედ ამ პრინციპების ერთგული სკოლა წარმოადგენს უფრო ეფექტურ ინსტიტუციას, სადაც მაღალია ენთუზიაზმი და ასპარეზი ეძლევა შემოქმედებით მოღვაწეობას.[42]

სკოლების შეფასება შესაძლებელია გარკვეული კრიტერიუმებით, რომელთა საშუალებითაც შესაძლებელია როგორც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხარისხის შემოწმება, ასევე სკოლაში ადამიანის უფლებათა და დემოკრატიის ღირებულებების დაცვის ხარისხის კონტროლი. ეს კი მიიღწევა თვითშეფასების პრაქტიკის გამოყენებით.

[42]ევროპის საბჭო (2007 წელი), სკოლების დემოკრატიული მმართველობა, სტრასბურგი, გვ. 6.

სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხარისხის შეფასებისათვის საჭიროა მაჩვენებლები, რომლებიც სხვადასხვა სფეროს შემოწმებას ემსახურება. ძირითად სამ სფეროს წარმოადგენს:[43]

- სასწავლო პროგრამა, სწავლება და სწავლა;
- სკოლის გარემო და ეთოსი;
- მართვა და განვითარება.

გარდა ამისა, მოცემული მაჩვენებლების მიხედვით დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება წარმოადგენს როგორც სკოლის პოლიტიკისა და სკოლის ორგანიზების, ასევე, პედაგოგიური პროცესების წამყვან პრინციპს.

წინამდებარე სახელმძღვანელოში შესულია ინსტრუმენტთა ჩამონათვალი, რომელიც არა მარტო გარე დამკვირვებლების მიერ შეფასებას, არამედ სკოლის თვითშეფასებას ემსახურება, სკოლაში მიმდინარე პროცესებში ჩართული ყველა პირის მონაწილეობით. თვითშეფასება, ამ თვალსაზრისით, აღიქმება არა როგორც პროცესის დასასრული, არამედ, როგორც თვითგანვითარებისა და პროგრესისაკენ მიმავალი გზის დასაწყისი.

დემოკრატიული მმართველობის თვალსაზრისით სკოლის შეფასების შესახებ დეტალური ინფორმაციისათვის იხილეთ წინამდებარე თავში მოცემული სამუშაო ფურცლები 12-დან 18-ის ჩათვლით.

[43]ევროპის საბჭო (2005 წელი), სკოლების დემოკრატიული მმართველობა, სტრასბურგი.

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 12: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხარისხის მაჩვენებლები სკოლებში

ევროპის საბჭოს ინსტრუმენტი, „სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლების ხარისხის უზრუნველყოფა“, მოიცავს ზემოთ ხსენებულ მაჩვენებლებს, რომლებიც იყოფა ქვეთემებად და მინიშნებებად, რომლებიც ასახავს სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სასურველ ხარისხს. მოცემული კრიტერიუმები გამოიყენება სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის განხილვისა და შეფასების მიზნით. მათი საშუალებით შესაძლებელია სკოლაში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის შედარება დასახულ და სასურველ მიზნებთან.

ქვემოთ მოცემული ცხრილი, რომელიც ზემოთ ხსენებული ინსტრუმენტის ნაწილს წარმოადგენს, შესაძლებელია გამოყენებულ იქნას სკოლაში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით არსებული სიტუაციის ხარისხის მაჩვენებლების მიხედვით შეფასებისას.[44]

სფერო	ხარისხის მაჩვენებელი	ქვეთემები
სასწავლო პროგრამა. სწავლება და სწავლა	მაჩვენებელი 1 სკოლის მიზნები, სტრატეგიები და პროგრამები შესაბამის ნიადაგს ქმნის დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების განსახორციელებლად?	• სკოლის პოლიტიკური კურსი • სკოლის განვითარების დაგეგმვა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით • დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება და სასკოლო პროგრამა • დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კოორდინირება
	მაჩვენებელი 2	• დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის

[44]2005 წელს, როდესაც შემუშავდა მოცემული ინსტრუმენტი, ცხრილში მოცემული მაჩვენებლები წარმოადგენდა მაჩვენებლებს, რომლებიც ესადაგებოდა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას. ვინაიდან დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას დაემატა ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება, ჩვენ შესაბამისი დამატებები შევიტანეთ ცხრილში, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოშია მოცემული.

	დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ჩაბმული მოსწავლეები და მასწავლებლები იყენებენ ამ სწავლების პრინციპებს ყოველდღიურ პრაქტიკაში, როგორც სკოლაში, ასევე საკლასო ოთახში?	უფლებათა შესახებ სწავლების შედეგები • სწავლებისა და სწავლის მეთოდები და პროცესები • დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მონიტორინგი
	მაჩვენებელი 3 სკოლაში მოქმედი შეფასების სისტემა და პრაქტიკა შეესაბამება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებას?	• გამჭვირვალეობა • სამართლიანობა • გაუმჯობესება
სკოლის გარემო და ეთოსი	მაჩვენებელი 4 სკოლის ეთოსი ადეკვატურად ასახავს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპებს?	• დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპებისა და ღირებულებების გამოყენება ყოველდღიურ ცხოვრებაში • ურთიერთობები და მმართველობის ფორმა • მონაწილეობისა და თვითგამოხატვის შესაძლებლობები • კონფლიქტის გადაჭრის, ძალადობის, დაშინებისა და დისკრიმინაციის გამოვლინებასთან გამკლავების პროცედურები, მათ შორის, დისციპლინის პოლიტიკა
მმართველობა და განვითარება	მაჩვენებელი 5 გააჩნია სკოლას ეფექტური ხელმძღვანელობა, რომელიც ეფუძნება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპებს?	• ხელმძღვანელობის სტილი • გადაწყვეტილების მიღება • საერთო პასუხისმგებლობა, თანამშრომლობა და გუნდური მუშაობა • გულისხმიერება
	მაჩვენებელი 6 გააჩნია სკოლას განვითარების მკაფიოდ ჩამოყალიბებული გეგმა, რომელიც ასახავს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრინციპებს?	• მონაწილეობა და ჩართულობა • პროფესიული და ორგანიზაციული განვითარება • მართვა და რესურსები • თვითშეფასება, მონიტორინგი და ანგარიშვალდებულება

(ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი, გვ. 58)

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 13: დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი პრინციპები

„დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება დინამიური, ყოვლისმომცველი და წინსვლაზე ორიენტირებული კონცეფციაა. მისი საშუალებით მკვიდრდება იდეა, რომ სკოლა წარმოადგენს საზოგადოებას, სადაც სწავლა და სწავლება დემოკრატიულ საზოგადოებაში ცხოვრებისათვის მომზადებას ემსახურება, რაც სცდება ნებისმიერი კერძო სასკოლო საგნის, სკოლის კედლებში განხორციელებული სწავლებისა თუ მასწავლებელსა და მოსწავლეს შორის ტრადიციული ურთიერთობების ფარგლებს“ (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი, გვ. 58).

ღირებულებები, დამოკიდებულებები და ქცევა

როგორც წინამდებარე სახელმძღვანელოს პირველ ნაწილში იყო აღნიშნული, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება, უპირველეს ყოვლისა, ითვალისწინებს ღირებულებების, დამოკიდებულებებისა და ქცევის შეცვლას. როგორც ნებისმიერი შეფასებისას, იქნება ეს მოსწავლეების, მასწავლებლებისა თუ სკოლის შეფასება, შეფასების კრიტერიუმები, როგორიცაა ღირებულებები და დამოკიდებულებები, სიფრთხილით მოპყრობას მოითხოვს, ვინაიდან მათთან არის დაკავშირებული სუბიექტური ინტერპრეტაციის საფრთხე. გარდა ამისა, ღირებულებები და დამოკიდებულებები არა მარტო აშკარად ვლინდება პირდაპირი ქცევის სახით, არამედ საფუძვლად უდევს სკოლაში მიმდინარე პროცესებს, მის შიგნით და გარეთ მიმდინარე კომუნიკაციების ფორმებსა და მისი ორგანიზების ფორმას.

მონაცემების შეგროვება

სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შეფასება სხვადასხვა გზით არის შესაძლებელი. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მაჩვენებლები მხოლოდ

ზოგად ჩარჩოებს ქმნის, რომლის ფარგლებშიც შესაძლებელია დამადასტურებელი ფაქტების შეგროვების სხვადასხვა გზის განსაზღვრა ან ინფორმაციის მოპოვების სხვადასხვა მეთოდის შემუშავება.

ამ მიზნის მისაღწევად, შეგიძლიათ ისარგებლოთ ქვემოთ მოცემული კითხვებით (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი, გვ. 81).

— **რა:** რა ტიპის ინფორმაცია და მასალა უნდა მოვიძიოთ?

→ სკოლის ორგანიზების ფორმა

→ ღირებულებები, რომლებიც დომინირებს საკლასო გარემოში

→ ძირითად კონცეფციათა გაგების ხარისხი

→ ხელმძღვანელობის ურთიერთობა სკოლის პერსონალთან და ა.შ.

— **სად:** დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების რომელ ელემენტს შეესაბამება მოცემული მაჩვენებელი ან ქვეთემა და სად უნდა ვეძიოთ დამადასტურებელი ფაქტები?

→ საკლასო გარემოში მიმდინარე სწავლების პროცესი

→ დილის შეხვედრა

→ ჯგუფური სამუშაო დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე

→ სკოლის ზეიმი

→ სკოლის ფარგლებში გახორციელებული პროექტისათვის განკუთვნილი კვირა და ა.შ.

— **მასალა:** რომელი დოკუმენტებიდან შეიძლება მივიღოთ საჭირო ინფორმაცია?

→ სკოლის პოლიტიკის ამსახველი დოკუმენტი

→ სასკოლო პროგრამა

→ სკოლის წესდება

→ მოსწავლეთა ქარტია

→ მასწავლებელთა ეთიკის კოდექსი და ა. შ.

— **ვინ:** რომელ დაინტერესებულ პირს ან პირთა ჯგუფს შეუძლია მოგვაწოდოს საჭირო ინფორმაცია?

→ მოსწავლეები

→ მასწავლებლები

→ მშობლები

→ ადგილობრივი ადმინისტრაცია

→ არასამთავრობო ორგანიზაციები და ა.შ.

— **როგორ:** როგორ უნდა განხორციელდეს მონაცემთა შეგროვება, რა მეთოდი უნდა იქნეს გამოყენებული მონაცემთა შეგროვებისათვის?

→ კითხვარები

→ საკვლევი ჯგუფი

→ განხილვები

→ ინდივიდუალური ინტერვიუები

→ დაკვირვება და ა.შ.

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 14: სკოლების თვითშეფასებასთან დაკავშირებული ინსტრუქციები

როდესაც სკოლა იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ აწარმოოს თვითშეფასება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით, აუცილებელია იმის გათვალისწინება, რომ პროცესი ხანგრძლივი იქნება და შესაძლებელია სასკოლო წელიც მოიცვას. ასევე, გასათვალისწინებელია, რომ აღნიშნულ პერიოდში შეიძლება სკოლა მრავალი გამოწვევის წინაშე დადგეს, რაც სხვადასხვა ღონისძიებისა და ქმედების გახორციელებას მოითხოვს.

ქვემოთ მოცემული ჩამონათვალის სახით, რომელიც აღებულია დოკუმენტიდან „სკოლის დემოკრატიული მმართველობის ხარისხის უზრუნველყოფა“ (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი, გვ. 73), გაწვდით ინსტრუქციებს სკოლების თვითშეფასებასთან დაკავშირებით:[45]

- ყველა მონაწილის ინფორმირებულობის დონის ამაღლება და დარწმუნება იმაში, რომ სკოლის ფარგლებში განხორციელებული თვითშეფასების პროცესი, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით, აუცილებლობით არის განპირობებული და პიროვნული, პროფესიული და სკოლის პროგრესის საშუალებას წარმოადგენს;
- ყველა მონაწილის ინფორმირება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შეფასების ჩარჩოებისა და მიზნების თაობაზე.
- როგორც პროცესებში მონაწილე მხარეებთან, ასევე სპეციალისტებთან კონსულტაციების საშუალებით, თვითშეფასების ყველაზე ადეკვატური მიდგომის შერჩევა;
- ქმედითი და საიმედო შეფასების ინსტრუმენტის შემუშავება (როგორიცაა კითხვარები, ინტერვიუებისათვის განკუთვნილი კითხვები), განათლების

[45]2005 წელს, როდესაც შემუშავდა მოცემული ინსტრუმენტი, ცხრილში მოცემული მაჩვენებლები წარმოადგენდა მაჩვენებლებს, რომლებიც ესადაგებოდა მხოლოდ დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას. ვინაიდან დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებას დაემატა ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება, ჩვენ შესაბამისი დამატებები შევიტანეთ ცხრილში, რომელიც წინამდებარე სახელმძღვანელოშია მოცემული.

კვლევითი ინსტიტუტებიდან ან მასწავლებელთა განვითარების ცენტრებიდან მოწვეული სპეციალისტების დახმარებით;

— სკოლის პერსონალისა და პროცესებში მონაწილე სხვა მხარეების მომზადება შეფასების პროცესისათვის, რაც გულისხმობს მათთვის ინსტრუქციებისა და მითითებების მიწოდებას შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებასთან დაკავშირებით;

— სამართლიანი, პატიოსანი, ნდობით განმსჭვალული, ინკლუზიური და ანგარიშვალდებულებითა და პასუხისმგებლობით აღსავსე გარემო, ადეკვატური შედეგების უზრუნველსაყოფად.

— ისეთი გარემოებების აღმოჩენა და აღმოფხვრა, რომელიც ხელს უშლის შეფასების პროცესს.

— თვითშეფასების, როგორც სწავლის პროცესის გამოწვევის აღქმა და მიღება.

— შეფასებისათვის საჭირო ცოდნის შეძენა და უნარების განვითარება.

— პროცესში მონაწილე ყველა მხარის მობილიზება სკოლის გაუმჯობესების საქმეში მონაწილეობის მისაღებად.

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 15: სხვადასხვა დაინტერესებულ მხარეთა ჩართვა სკოლებში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შეფასების პროცესში

როდესაც სკოლა იღებს გადაწყვეტილებას იმის თაობაზე, რომ აწარმოოს თვითშეფასება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით, საჭიროა პროცესების დაგეგმვა და კარგი ორგანიზება. საუკეთესო შემთხვევაში, ერთი პირი უნდა ხელმძღვანელობდეს და აწარმოებდეს მთლიანი პროცესის მართვას. უმეტეს შემთხვევაში, ამ ვალდებულებას თავის თავზე იღებს სკოლის დირექტორი ან პირი, რომელიც სპეციალურად ამ ვალდებულების შესასრულებლად არის დანიშნული. პასუხისმგებელი პირი უნდა აცნობიერებდეს, რომ აღნიშნული პროცესის მართვა მოითხოვს კოორდინირების მაღალ დონესა და საშუალებების მობილიზებას და არა განკარგულებების გაცემას. როგორც ეს აღნიშნული იყო სკოლების თვითშეფასებასთან დაკავშირებულ ინსტრუქციებში (სამუშაო ფურცელი 14), თვითშეფასების პროცესის შეფერხება დაუშვებელია მასწავლებლებისა და მოსწავლეების მიმართ ძალაუფლებისა და კონტროლის ბერკეტების გამოყენებით.

აქედან გამომდინარე, საჭიროა მიდგომა, რომელიც გულისხმობს ჩართულობასა და თანამშრომლობას (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი, გვ. 74).

ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში შესულია რეკომენდაციები პროცესებში სხვადასხვა მხარის ჩართვასთან დაკავშირებით.

შემფასებელი გუნდის შექმნა

შემფასებელი გუნდი უნდა მოიცავდეს შვიდიდან ცხრა ადამიანს. გუნდში წარმოდგენილი უნდა იყოს სკოლის დირექტორი, ერთი ან ორი მასწავლებელი, ერთი ან ორი მოსწავლე, სკოლის მრჩეველი (ზოგიერთ შემთხვევაში, სკოლის მრჩეველს წარმოადგენს მეთოდისტი ან სკოლის ფსიქოლოგი), ერთი მშობელი, ერთი ადგილობრივი საზოგადოების წარმომადგენელი (ან რომელიმე არასამთავრობო

ორგანიზაციის წარმომადგენელი) და ერთი წარმომადგენელი განათლების კვლევითი ინსტიტუტიდან ან მასწავლებელთა განვითარების ცენტრიდან.

შემფასებელი გუნდის მოვალეობაში შედის (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი, გვ. 75 f):

- შეფასების ინსტრუმენტების მომზადება;
- სკოლის პერსონალის მომზადება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შეფასების წარმოების ტექნიკისა და შეფასების ინსტრუმენტების გამოყენებისათვის;
- შეფასების პროცესის სრული პერიოდის განმავლობაში, შემფასებლებისათვის ინფორმაციის მიწოდება და რჩევა-რეკომენდაციების მიცემა;
- შედეგების ანალიზი და ინტერპრეტირება, დაინტერესებულ ჯგუფებთან და მოწვეულ ექსპერტებთან თანამშრომლობითა და კონსულტაციებით;
- პროცესში მონაწილე მხარეებისათვის სხვადასხვა ფორმის ანგარიშების მომზადება;
- ანგარიშების გაცნობის შემდეგ, პროცესში მონაწილე მხარეების მიერ მოწოდებული კომენტარებისა და შემოთავაზებების გაცნობა და ანალიზი.

მნიშვნელოვანი შენიშვნა: ჩვეულებრივ, საჭიროა პროცესში მონაწილე სხვადასხვა მხარის მოსაზრებების მოძიება, მოსმენა და მათი შედარება (მაგალითად, პარალელური კითხვარების მომზადებისა და სხვადასხვა მხარის მიერ მათი შევსებით). გადამწყვეტი მნიშვნელობა, ამ კონტექსტში, მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებს ენიჭება, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კომპეტენციების შეძენის თვალსაზრისით, როგორიცაა საკუთარი მოსაზრების ჩამოყალიბება, კრიტიკული აზროვნება, პასუხისმგებლობა გაუმჯობესებასა და ცვლილებებთან დაკავშირებით (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი, გვ. 77). ის, რაც უნდა გაითვალისწინოს შემფასებელმა გუნდმა, არის სწავლებისა და სკოლის შესახებ მოსწავლეების მიერ გამოთქმული „პოლიტიკურად მართებული“ მოსაზრებების ფენომენი. შეფასებაში გამოყენებული მეთოდების ნათლად განმარტებით, შესაძლებელია ამ ფენომენის გაუვნებელყოფა

(წყვილების მიერ წარმოებული ინტერვიუები, კითხვარები მკაფიოდ ჩამოყალიბებული კითხვებით, ვინაობის მითითების საჭიროების მოხსნა, კონფიდენციალურობა და ა.შ.).

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 16: სკოლების მმართველობა და მართვა[46]

სკოლის შეფასება ასევე შესაძლებელია იმაზე დაკვირვებით, თუ როგორ აისახება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება სკოლის მართვის პროცესებზე, რასაც გულისხმობს ტერმინი „სკოლის დემოკრატიული მმართველობა“. ამ მიმართულებით საჭიროა განვიხილოთ ორი ტიპის პროცესი, რომელთა ერთმანეთისაგან გარჩევაც აუცილებლობას წარმოადგენს:

მმართველობა	მენეჯმენტი
სკოლისა და საგანმანათლებლო სისტემების ღიაობა „ჩვენ ვმართავთ პროცესებსა და პირებს, რომელთა ქმედებების სრულყოფილად პროგნოზირება შეუძლებელია.“	მმართველობის ტექნიკური და ინსტრუმენტული განზომილება „ჩვენ ვმართავთ პროცესებსა და პირებს, რომელთა ქმედებების პროგნოზირება მარტივად არის შესაძლებელი.“
ჩვენ ვაწარმოებთ მოლაპარაკებებს, ვცდილობთ დავარწმუნოთ, მივდივართ გარიგებებზე, ვიყენებთ ზეწოლას და ა.შ. ვინაიდან ჩვენ არ გვაქვს სრული კონტროლი მათზე, ვისაც ვმართავთ.	ჩვენ ვიძლევით ინსტრუქციებსა და განკარგულებებს, ვინაიდან მივიჩნევთ, რომ გვაქვს ამგვარი ქმედების გახორციელების კანონის ძალით მინიჭებული ძალაუფლება.

მენეჯმენტი, აქედან გამომდინარე, ასახავს სკოლასა და საგანმანათლებლო სისტემაში არსებულ ორგანიზაციულ ასპექტებსა და როგორც ტექნიკურ, ასევე ინსტრუმენტალურ

[46]დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების თვალსაზრისით სკოლების შეფასების მაჩვენებლები მოწოდებულია წინამდებარე თავის სამუშაო ფურცელში 11.

განზომილებებს. სკოლებში უფრო და უფრო ღია პროცესების შემოტანასთან ერთად, რომლებიც განსხვავებული საჭიროებებითა და ინტერესებით ხასიათდება, გამოიყენება ტერმინი „მმართველობა“ (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2007 წელი, გვ. 9).

სკოლის დემოკრატიული მმართველობის დადებითი შედეგები შემდეგნაირად შეიძლება ჩამოყალიბდეს (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2007 წელი, გვ. 9).

- დისციპლინის გაუმჯობესება;
- კონფლიქტების შემცირება;
- სკოლის კონკურენტუნარიანობა;
- მყარი დემოკრატიული საზოგადოების მომავლის უზრუნველყოფა.

მოსწავლეების, მასწავლებლებისა და სკოლების შეფასება

სამუშაო ფურცელი 17: აქცენტი სკოლების დემოკრატიულ მმართველობაზე

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების პრაქტიკის თვალსაზრისით, ასევე, თეორიასა და პრაქტიკას შორის და პოლიტიკურ კურსსა და დემოკრატიის დანერგვას შორის კავშირის თვალსაზრისით, სკოლაში არსებული მდგომარეობის შეფასებაში დაგეხმარებათ ქვემოთ მოცემული მატრიცა(ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი).

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებასთან დაკავშირებით, ყველა სკოლაში მოქმედებს სამი ძირითადი პრინციპი. ეს პრინციპებია:

- უფლებები და პასუხისმგებლობა;
- პროცესებში აქტიური მონაწილეობა;
- მრავალფეროვნების ჯეროვნად დაფასება.

ასევე, ყველა სკოლაში, არის ის ძირითადი სფეროები, სადაც ვლინდება ზემოთ ჩამოთვლილი პრინციპები. ეს სფეროებია:

- მმართველობა, ხელმძღვანელობა და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება;
- ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება;
- თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ჩართულობა: კონკურენტუნარიანობა;
- მოსწავლეების დისციპლინა.

როგორც მოცემული მატრიციდან ჩანს, ყველა ძირითად სფეროში, ძირითად პრინციპთა გამოხატულების სხვადასხვა დონე შეინიშნება.

	უფლებები და პასუხისმგებლობა	აქტიური მონაწილეობა	მრავალფეროვნების დაფასება
მმართველობა, ხელმძღვანელობა, მენეჯმენტი და საზოგადოების წინაშე ანგარიშვალდებულება			
ღირებულებებზე ორიენტირებული განათლება			
თანამშრომლობა, კომუნიკაცია და ჩართულობა			
მოსწავლეთა დისციპლინა			

მოცემულ მატრიცაზე სრულყოფილი ინფორმაციისათვის და მისით სარგებლობასთან დაკავშირებული ინსტრუქციების მისაღებად იხილეთ ინსტრუმენტი „სკოლების დემოკრატიული მმართველობა“ და ეწვიეთ ვებგვერდს www.coe.int/edc.

სამუშაო ფურცელი 18: როგორ უნდა ვაწარმოოთ ანალიზი და როგორ განვმარტოთ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების შეფასების შედეგები

არსებობს შეფასების შედეგთა ანალიზის, კატეგორიებად დახარისხებისა და ინტერპრეტირების მრავალი გზა. სამუშაო ფურცელ 12-ში შემოთავაზებულ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხარისხის მაჩვენებელთა გამოყენებისას, ერთ-ერთ ყველაზე ეფექტურსა და მარტივ გზას წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების დადებითი და უარყოფითი მახასიათებლების იდენტიფიცირება. ამ მიზნით, ევროპის საბჭო გთავაზობთ ოთხი დონისაგან შემდგარი შკალის გამოყენებას და თითოეული მაჩვენებლის ადგილის განსაზღვრას ამ შკალის მიხედვით (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი, გვ. 88).

- დონე 1 - ძალიან დაბალი მაჩვენებელი თითქმის ყველა სფეროში;
- დონე 2 - მეტი დაბალი მაჩვენებელი, ვიდრე მაღალი;
- დონე 3 - მეტი მაღალი მაჩვენებელი, ვიდრე დაბალი;
- დონე 4 - მაღალი მაჩვენებელი თითქმის ყველა სფეროში;

მსგავსი ანალიზის საფუძველზე მიღებული შედეგების წარმოდგენის ერთ-ერთი შესაძლო გზაა დიაგრამის გამოყენება, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ზოგად სურათს წარმოგვიდგენს და, ამავე დროს, სხვადასხვა მაჩვენებელსაც მოიცავს. ქვევით მოცემულია ამგვარი დიაგრამის ნიმუში:



დასკვნების გაკეთებისას, საჭიროა ოთხი ძირითადი სფეროს გათვალისწინება (ევროპის საბჭო, სკოლების დემოკრატიული მმართველობა, 2005 წელი, გვ. 91). ეს სფეროებია:

— სკოლის ზოგადი მიღწევები დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების თვალსაზრისით;
— სკოლაში არსებული მდგომარეობა ხარისხის თითოეული მაჩვენებლის მიხედვით;
— ყველაზე წარმატებული და ყველაზე წარუმატებელი ასპექტები, სკოლაში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების თვალსაზრისით;
— ყველაზე კრიტიკული ასპექტები, რომლებიც საფრთხეს უქმნის სკოლაში დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა სწავლების მომავალს.

ნაწილი 3

დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა სწავლებისა და სწავლის ინსტრუმენტები

თავი 1

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მასწავლებლებისათვის

თავი 2

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას, ისე, როგორც ყველა სხვა საგნის სწავლებისას, მასწავლებელი ვალდებულია, გაანალიზოს მიზნები და ნათლად განსაზღვროს ის მიზეზები, რომლებიც საფუძვლად უდევს მის მიერ გაკეთებულ არჩევანსა და დადგენილ პრიორიტეტებს. მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რა უნდა შეიძინონ მისმა მოსწავლეებმა დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებიდან. თუ მოსწავლეებმა უნდა ისწავლონ ის, თუ როგორ მიიღონ მონაწილეობა იმ დემოკრატიული საზოგადოების შიგნით მიმდინარე პროცესებში, რომელსაც ეკუთვნიან, მათ სჭირდებათ ისეთი კომპეტენციების განვითარება, როგორიცაა პოლიტიკური ანალიზი და მსჯელობა, როდესაც მათ უწევთ თავი გაართვან პოლიტიკურ პრობლემებსა და საკითხებს, და ისეთი კომპეტენციების განვითარება, როგორიცაა პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესებში მონაწილეობა და მასთან დაკავშირებული მეთოდური უნარების მთელი სპექტრი. ამის მიღწევა შესაძლებელია მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები სწავლობენ დამოუკიდებლად და ისე, როგორც ეს მათთვის არის მისაღები. ამის მისაღწევად მათ ხელშეწყობა სჭირდებათ. იგივე შეიძლება ითქვას მასწავლებლის პროფესიაზეც. ყველა სპეციალისტი მისთვის შესაფერის ინსტრუმენტს იყენებს. წინამდებარე სახელმძღვანელოში გთავაზობთ მასწავლებლებისათვის და მოსწავლეებისათვის განკუთვნილ ზოგიერთ ინსტრუმენტს, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ხელშეწყობის მიზნით იქნა შემუშავებული. ინსტრუმენტები მათ მომხმარებელთა დამოუკიდებლობას გულისხმობს. დამოუკიდებლობა, თავისთავად, ყველა ადამიანის მიზანს წარმოადგენს.

თავი 1

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მასწავლებლებისათვის

1. წინასიტყვაობა

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლება განათლების განსაკუთრებულ ფორმას წარმოადგენს, რომლის მიზანიც არის ახალგაზრდების მომზადება საზოგადოებრივ პროცესებში მონაწილე აქტიურ მოქალაქეებად და, აქედან გამომდინარე, სწავლის განსხვავებულ ფორმებს მოითხოვს. მასწავლებლები კარგად უნდა იცნობდნენ სწავლის ამ ფორმას და სრულყოფილად ფლობდნენ სწავლების მეთოდებს, განსხვავებულ გარემოში მათი ჯეროვნად გამოყენებისათვის. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლის ფორმებია:

- ინდუქციური - მოსწავლეებს სთავაზობს კონკრეტულ პრობლემებს, რომლებიც მათ უნდა გადაჭრან ან მიიღონ გადაწყვეტილება მათი მოგვარების შესახებ, ეხმარება მათ ამ პრობლემების განზოგადებაში - სხვა სიტუაციებისადმი მისადაგებაში - ნაცვლად აბსტრაქტული კონცეფციების მიწოდებისა;
- აქტიური - წაახალისებს მოსწავლეებს, ისწავლონ დამოუკიდებელი მოქმედების საშუალებით, ნაცვლად იმისა რომ მიუთითოს, თუ რა და როგორ უნდა გააკეთონ;
- რელევანტური - მასალას იღებს რეალური ცხოვრებიდან, სკოლის ან კოლეჯის, საზოგადოების ან მსოფლიოს ცხოვრებაში არსებული სიტუაციებიდან;
- თანამშრომლობაზე დაფუძნებული - მოიცავს ჯგუფურ სამუშაოს და თანამშრომლობაზე დაფუძნებულ სწავლის პროცესებს;
- ინტერაქტიული - სწავლება განხილვებისა და დებატების საშუალებით;
- კრიტიკული - სტიმულს აძლევს მოსწავლეებს, იაზროვნონ დამოუკიდებლად, აძლევს მათ საკუთარი მოსაზრებებისა და ხედვის გამოთქმის შესაძლებლობას და ეხმარება არგუმენტირებული მსჯელობის უნარის განვითარებაში;
- მონაწილეობითი - საშუალებას აძლევს მოსწავლეებს, საკუთარი წვლილი შეიტანონ სწავლის პროცესში, მაგალითად იმით, რომ შემოიტანონ მათთვის სასურველი და საინტერესო განსახილველი თემა, ან ჩაატარონ კვლევა მათთვის

საინტერესო სფეროში, ასევე, საკუთარი სწავლის პროცესისა და შედეგების და მათი თანაკლასელების სწავლის პროცესებისა და შედეგების შეფასებით.

მოცემული გეგმების შესასრულებლად, მასწავლებლებს სჭირდებათ ინსტრუმენტები, რომელთა საშუალებითაც ისინი შეძლებენ დაეხმარონ თავიანთ მოსწავლეებს. ზოგიერთი ამ ინსტრუმენტთაგან ძალიან მნიშვნელოვანია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის. სწორედ ამ მიზნით, ეს ინსტრუმენტები პრაქტიკული თვალსაზრისით არის განხილული წინამდებარე თავში.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მასწავლებლებისათვის

ინსტრუმენტი 1: ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა

სწავლის პროცესის ხელშეწყობა ამოცანების დასახვის საშუალებით

ინტერაქტიული სწავლება და სწავლა გადამწყვეტ როლს თამაშობს წინამდებარე სახელმძღვანელოში შემოთავაზებული აქტივობების უმეტესობაში. ინტერაქტიული სწავლების მიზანს წარმოადგენს შემეცნება (ანუ ფიქრი და გაგება), სწავლა და მოქმედება. გაკვეთილის დაგეგმვის, დავალების შემოწმების, შედეგების შეფასებისა და პროცესის შეჯამების ყველა ეტაპი სწავლის საკმაოდ დიდ პოტენციალს მოიცავს.

ძირითადი მიდგომა, რომელიც აზროვნებისა და მოქმედების ინტეგრაციას მოიცავს, აისახება სწავლის მთლიან პროცესზე. ეს არ გულისხმობს იმას, რომ შესწავლის საგნისადმი აქტიური დამოკიდებულება შემოიფარგლება „რეალური“ სწავლის მოსამზადებელი ეტაპით, რომელიც შეიძლება ინტერპრეტირებული იყოს როგორც პროცესი, რომელიც მხოლოდ შემსწავლელთა აზროვნებას ეყრდნობა. პირიქით, აზროვნებისა და მოქმედების ინტეგრაცია ყველა მოსწავლეს უნერგავს ნათელ წარმოდგენას იმის შესახებ, თუ რატომ სწავლობენ ისინი მოქმედების საშუალებით: მათ წინაშე დგას შესასრულებელი ამოცანა და ამ ამოცანის შესრულება მათგან მთელი რიგი უნარების გამოყენებას მოითხოვს. ამ ტიპის სწავლებისას, მოსწავლე ყოველ ახალ სიტუაციაში იძულებულია, განსაზღვროს მისი საჭიროებები სწავლასთან დაკავშირებით. ამგვარად, მოსწავლეები საჭიროებენ მითითებებსა და ინსტრუქციებს მასწავლებლისაგან, რაც იმას ნიშნავს, რომ მოსწავლეები, თავის მხრივ, ამოცანას აყენებენ მასწავლებლის წინაშე და არა პირიქით. ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა გვაძლევს კონსტრუქტივისტული სწავლისა და ინსტრუქციების საშუალებით სწავლის იდეალურ კომბინაციას.

ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის დროს, მოსწავლის წინაშე დგება პრობლემა, რომელიც უნდა გადაჭრას. სწავლა არ წარმოადგენს თვითმიზანს, არამედ არის საშუალება სასარგებლო და გამოსადეგი ნაბიჯების გადასადგმელად. მოსწავლეები სწავლობენ პრობლემის გადაჭრის გზების ძიების პროცესში, აყენებენ ამოცანას საკუთარი თავისა და მასწავლებლის წინაშე, რაც მათ პრობლემის გადაჭრისაკენ

მიმავალ გზას უხსნის. სკოლა რეალური ცხოვრებაა - დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლების ეს ლაიტმოტივი გასდევს ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის პროცესს. ბევრი რეალური ცხოვრებისეული სიტუაცია პრობლემის გადაჭრას გულისხმობს. ამოცანაზე დაფუძნებული სწავლა ხელს უწყობს მოსწავლეების მომზადებას ცხოვრებისათვის იმით, რომ რეალურ, ცხოვრებისეულ სიტუაციებზე დაყრდნობით განხორციელებულ სწავლას სთავაზობს მოსწავლეებს.

ამოცანაზე დაფუძნებული სწავლება ემყარება მოდელს, რომლის დახასიათებაც შესაძლებელია ზოგადი შტრიხებით. იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი სწავლებას ამ მოდელის მიხედვით აწარმოებს, სწავლა მოქმედების საშუალებით, ანუ აქტიური სწავლა თავისთავად ხორციელდება.

ამოცანაზე დაფუძნებული სწავლის ელემენტები:

მოსწავლეების წინაშე დგება ამოცანა, რომელიც უნდა ამოხსნას (ამოცანა შემოაქვს მასწავლებელს ან მოცემულია სახელმძღვანელოში).

მოსწავლეები შეიმუშავებენ მოქმედების გეგმას.

მოსწავლეები ასრულებენ დაგეგმილ ქმედებებს.

მოსწავლეები აჯამებენ სწავლის პროცესს და წარმოადგენენ შედეგებს.

აუცილებელია, მოსწავლეებს ხშირად ჰქონდეთ შეხება ამოცანაზე დაფუძნებულ სწავლის პრინციპებთან, სხვადასხვა კონტექსტში. ამოცანა, რომლის ამოხსნაც სხვა პრობლემებთან არის დაკავშირებული, რომლებიც, თავის მხრივ, გადაჭრას საჭიროებენ, წარმოადგენს საუკეთესო საშუალებას პროდუქტიული და ხალისით მიმდინარე სწავლის გარემოს შესაქმნელად.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მასწავლებლებისათვის

ინსტრუმენტი 2: თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა

ამ ფორმის სწავლება არ გულისხმობს მოსწავლეებისათვის გუნდური მუშაობის გარემოს შექმნას მხოლოდ იმ იმედით, რომ დავალება როგორღაც იყოს შესრულებული. თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა გულისხმობს სწავლის პროცესს, რომელიც განეკუთვნება სოციალური განათლების სფეროს, ვინაიდან მასში არ არის გამოკვეთილი შემეცნებითი მიღწევები. თუმცა ტერმინი „თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა“ კონცენტრირებულია მოსწავლეთა მიღწევებზე.

თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლების წარმატებით განხორციელების წინაპირობას წარმოადგენს ჯგუფის წევრებს შორის ფუნქციების გარკვევით გადანაწილება. ამგვარად, ჯგუფის წევრებს შორის თანაბრობის პრინციპით გადანაწილდება ფორმალური მოვალეობებიც და პასუხისმგებლობაც ამ მოვალეობების შესრულებაზე, რაც წარმატებული სწავლის საწინდარია. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ამგვარი ფორმით სწავლებისას ყველა ტიპის ამოცანა არ გამოგვადგება და, აქედან გამომდინარე, არ ხდება თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლისა და მასწავლებელზე ორიენტირებული სწავლის ფორმების პოლარიზება. სწავლების ამ მოდელის თანახმად, მასწავლებელი გარკვეულ და მნიშვნელოვან როლს ასრულებს სწავლის პროცესში. თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლის წარმატება, როგორც ეს გამოცდილებამ აჩვენა, დამოკიდებულია ძირითად ელემენტებზე. რეკომენდებულია ქვემოთ მოყვანილი პროცედურების გამოყენება, რომლებიც გამოცდილ იქნა პრაქტიკაში, ბევრი მასწავლებლის მიერ:

თანამშრომლობაზე დაფუძნებული სწავლა: ჯგუფის ორგანიზება 1. ჯგუფის წევრთა გვარები ჩამოწერილი უნდა იყოს ანბანის მიხედვით. 2. ჯგუფის თითოეული წევრი თავის თავზე იღებს ქვემოთ მოყვანილი ფუნქციებიდან ერთ-ერთის შესრულებას.
მოდერატორი: პასუხს აგებს მასზედ, რომ ჯგუფის წევრებს კარგად ესმოდეთ თავიანთი მოვალეობები და ასევე იგი ასრულებს ჯგუფის სპიკერის ფუნქციას.

მომხსენებელი:	პასუხისმგებელია ორგანიზაციული სამუშაოს შესრულებაზე, პრეზენტაციის ან საბოლოო პროდუქტის მომზადებისას.
მასალებზე პასუხისმგებელი პირი:	უზრუნველყოფს ყველა საჭირო მასალის ხელმისაწვდომობას და ჯგუფის მიერ სამუშაოს დასრულების შემდეგ პასუხს აგებს ყველაფრის მოწესრიგებაზე.
ორგანიზატორი:	უზრუნველყოფს ჯგუფის მიერ დროის ყაირათიანად გამოყენებას და აკონტროლებს იმას, რომ ჯგუფმა სამუშაო გეგმის მიხედვით შეასრულოს; აგრეთვე, თვალყურს ადევნებს ჯგუფის მიერ მოქმედებათა გონივრული თანამიმდევრობით დაგეგმვას, სამუშაო პროცესის დასაწყისსა და გეგმაში შეაქვს ცვლილებები, საჭიროების შემთხვევაში.
მედიატორი:	პასუხისმგებელია ჯგუფის შიგნით წამოჭრილი ნებისმიერი პრობლემის მოგვარებაზე.

3. წესები:

ა) ჯგუფის ზოგიერთ წევრს განსაკუთრებული მოვალეობა ეკისრება, მაგრამ დავალების წარმატებით შესრულებაზე და შედეგებზე ჯგუფის ყველა წევრი თანაბრად აგებს პასუხს.

ბ) იმ შემთხვევაში, თუ საჭირო გახდა მასწავლებლისათვის ან მოსწავლეთა ლიდერისათვის კითხვის დასმა, ჯგუფმა ერთობლივად უნდა მიიღოს გადაწყვეტილება იმის თაობაზე, თუ რა კითხვა უნდა დაისვას. მასწავლებელი და მოსწავლეთა ლიდერი არ პასუხობს ჯგუფის ინდივიდუალური წევრის მიერ დასმულ კითხვებს.

გ) პრეზენტაციაზე პასუხისმგებელია ყოველი ჯგუფი. ჯგუფის ყოველი წევრი ვალდებულია, უპასუხოს დასმულ შეკითხვებს.

მასწავლებლები, რომლებიც ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა ჯგუფური მუშაობის მეთოდს, ამბობენ, რომ ხშირად საჭიროა ჯგუფური მუშაობის დროს აღებული ფუნქციები მოსწავლეებმა უფრო ინტენსიურად შეასრულონ, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას, სწავლის პროცესის დაჩქარებასა და ჯგუფის მიერ შესრულებული სამუშაოს გაუმჯობესებას.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მასწავლებლებისათვის

ინსტრუმენტი 3: საერთო საკლასო სხდომის თავმჯდომარეობა (დისკუსია და კრიტიკული აზროვნება) დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებზე

წინასიტყვაობა

მოსწავლეები საკუთარ მოსაზრებებსა და იდეებს ერთმანეთს უზიარებენ მასწავლებლის ხელმძღვანელობის ქვეშ. გარემო მარტივად არის მოწყობილი, საჭიროა მხოლოდ დაფა ან ფლიპჩარტი, მაგრამ მასწავლებლის ფუნქცია ფრიად საპასუხისმგებლოა. პლატონის „დიალოგი სოკრატესთან“ ამგვარი სწავლების დიდ ტრადიციაზე მეტყველებს, სოკრატე ყურადღებას ამახვილებდა პრობლემურ საკითხებზე და მისი პარტნიორის მცდარი და დოგმატური შეხედულებების დეკონსტრუქციას ახდენდა. ის, რასაც ჩვენ დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელ მასწავლებლებს ვთავაზობთ, არის ხელშემწყობის ფუნქცია, რომელიც უფრო მწვრთნელის ფუნქციას წააგავს. კომპეტენციათა განვითარების ასპექტი - მოსწავლეებმა შეძლონ სწორი მიმართულებით აზროვნება და თავიანთი მოსაზრებების სწორად გამოთქმა - ისეთსავე მნიშვნელოვან მიზანს წარმოადგენს, როგორც შინაარსის სწორი აღქმა და გაგება.

მოსწავლეები ჩართული არიან აზროვნებისა და ინტერაქტიულ-კონსტრუქტივისტული სწავლის პროცესში. მასწავლებელი ხელის შემწყობის ფუნქციას ასრულებს. ზოგადად, აზროვნების პროცესი წარმოადგენს ძალისხმევას, რომელიც მიმართულია კონკრეტულის აბსტრაქტულთან დაკავშირებისაკენ. საერთო საკლასო სხდომები მოსწავლეების აზროვნების უნარის განვითარებას უწყობს ხელს. აზროვნება დროს მოითხოვს. ყველაზე ფრთხილი და წინდახედული მოსწავლეები აზროვნებას დიდ დროს ანდომებენ.

მხოლოდ სკოლას შეუძლია შესთავაზოს მოსწავლეებს, სწავლების ფორმატში, ხელმძღვანელობის ქვეშ წარმოებული პლენარული სხდომა. მასწავლებლის მიერ მოსწავლეებისათვის წაკითხული ლექციის მსგავსად, საერთო საკლასო პლენარული სხდომაც მორგებული უნდა იყოს მოსწავლეების საჭიროებებზე, უფრო მეტადაც კი,

ვიდრე სახელმძღვანელოები ან ვიდეოგაკვეთილები. კრიტიკოსები მართებულად აღნიშნავენ, რომ ეს ფორმატი ხშირად ირღვევა: საერთო საკლასო სხდომებს ძალიან ხშირად მიმართავენ და მათი ხანგრძლივობაც არაადეკვატურია; მასწავლებლები მოსწავლეებს უსვამენ ისეთ კითხვებს, რომლებიც მოსწავლეებისათვის არ არის საინტერესო და რომლებზე პასუხიც მათ არ აქვთ; მასწავლებლები „ახალბედა სოკრატეების“ როლს ასრულებენ, მოსწავლეებს ასწავლიან, როგორც მათზე დაბალ საფეხურზე მდგომთ და სთხოვენ მათ იმ პასუხს, რომლის მოსმენაც თავად სურთ.

მაგრამ თუ ამ მეთოდს გამოიყენებენ გარკვეული წესების დაცვითა და მცირედი პრაქტიკის შემდეგ, საერთო საკლასო სხდომები ერთ-ერთ მძლავრ, მოქნილ და უდავოდ სასარგებლო სწავლის ფორმატს წარმოადგენს, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში. ქვემოთ მოცემულ ჩამონათვალში გამოკვეთილია სწავლის შესაძლებლობები და ისინი განკუთვნილია მასწავლებელთა დასახმარებლად, რომელიც აწვდის მათ ინფორმაციას იმის შესახებ, თუ მსგავსი სხდომების ორგანიზებისას რა უნდა გააკეთონ მათ და რისგან უნდა შეიკავონ თავი. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების სახელმძღვანელოთა სერიაში შესულ წიგნებში II, III, IV და V, მოცემულია მსგავსი საერთო საკლასო სხდომების ბევრი მაგალითი, როგორც მაღალკლასელებისათვის, ასევე დამწყები საფეხურის მოსწავლეებისათვის. სწორედ ამ მიზეზის გამო, მოცემული ინსტრუმენტის დახასიათებაში არ არის შესული მაგალითი.

მოსწავლეთა როლი

მოსწავლეები:

- სხდომის გამართვამდე მეტ-ნაკლებად იცნობენ თემას, ფლობენ მის გარშემო გარკვეულ ცოდნასა და ინფორმაციას და აინტერესებთ განსახილველი თემა;
- იციან იმის შესახებ, რომ მათ მიერ გამოთქმული მოსაზრებები მოსმენილი იქნება და არასწორი მოსაზრებისა და წინადადებების გამო მათ ქულები არ დააკლდებათ;
- დიდი დრო ეძლევათ გამოსვლებისათვის;

— მათი სწავლის საჭიროებები განსხვავებულია (მაგალითად, მათ შორის არიან ნელა მოსაუბრე მოსწავლეები და მოსწავლეები, რომლებიც სწრაფად საუბრობენ).

მასწავლებლის როლი

მასწავლებელი:

— ესაუბრება მოსწავლეებს და შეუძლია და მზად არის იმპროვიზებისათვის, რათა რეაგირება მოახდინოს მოსწავლეების მიერ გამოთქმულ მოსაზრებებზე;
— სრულად ესმის განსახილველი თემა და ნათელი წარმოდგენა აქვს იმაზე, თუ რა შედეგით დასრულდება სხდომა;
— აკონტროლებს საერთო საკლასო სხდომას, მაგრამ ცდილობს, არ აიღოს წამყვანის ფუნქცია, თავის გამოსვლას მხოლოდ მცირე დროს უთმობს;
— საკმარის დროს აძლევს მოსწავლეებს მოსაფიქრებლად;
— ისმენს ყოველგვარი ჩანიშვნების გაკეთების გარეშე;
— ისმენს აქტიურად, ცდილობს დაიჭიროს ის მომენტები, სადაც მოსწავლეები საინტერესო და ხელჩასაჭიდ იდეებს გამოთქვამენ;
— ამხნევებს მოსწავლეებს, რათა მონაწილეობა მიიღონ სხდომის მსვლელობაში და მიმართავს იმ მოსწავლეებს, რომლებიც ძირითადად ჩუმად ყოფნას ამჯობინებენ;
— აკონტროლებს დროს, ორგანიზებას უწევს ჯგუფს და აწესრიგებს პროცესებს;
— აწესრიგებს მსჯელობის ფორმატს, დაფის (ამ შემთხვევაში, ფლიპჩარტის ნაცვლად უმჯობესია გამოყენებულ იქნეს დაფა) გამოყენებით, სთავაზობს მოსწავლეებს თვალსაჩინოებებს, მაგალითად, სურათებს, სიმბოლოებს, მაგალითებს, აწვდის მათ ინფორმაციას, კონცეფციებს და ჩარჩოებს;
— განსაზღვრავს მოსწავლეების სწავლის საჭიროებებს და მოქმედებს მათ შესაბამისად. აწვდის ინფორმაციას და ინსტრუქციებს მოსწავლეებს ისეთ საკითხებზე, რაც მათ არ იციან და უზრუნველყოფს ისეთი გარემოს შექმნას, სადაც მცდარ მოსაზრებებსა და აზროვნების არასწორ მიმართულებებს კრიტიკით უპასუხებენ და მოახდენენ მის დეკონსტრუქციას, მოსწავლეები ან თავად მასწავლებელი.

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის შესაბამისი თემები და კონტექსტი

შესაბამისი თემები:

- მოსწავლეების მიერ შემოტანილი თემები (კითხვები, კომენტარები, პრეზენტაციები, საშინაო დავალება, გამოცდილება და გრძნობები);
- მასწავლებლის მიერ შემოტანილი თემები (კითხვები, მინიშნებები, სურათები, ლექციები);
- შემოტანილი ახალი კონცეფცია;
- წასაკითხი მასალის ირგვლივ მსჯელობა და კვლევითი სამუშაოს ჩატარების შემდეგ გამართული მსჯელობა;
- ამოცანაზე დაფუძნებული სწავლისა ან პრობლემაზე დაფუძნებული სწავლის ეტაპის შემდეგ გამართული მსჯელობა (შეჯამება, განხილვა);
- მოსწავლეების მიერ შემოთავაზებულ თემაზე რეაგირება;
- შემდგომი კვლევის საგნის განხილვა.

სწავლის შესაძლებლობები

მოსწავლეები:

- ქმნიან კონტექსტს, მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინსტრუქციის მიხედვით, გაკვეთილზე შემოტანილი ახალი კონცეფციისათვის (კონსტრუქტივისტული სწავლა);
- საკუთარ თავზე გამოცდიან, როგორ მიმდინარეობს აზროვნების პროცესი - სვამენ კითხვებს, ყურადღებით ფიქრობენ პასუხებზე, კონკრეტულს აკავშირებენ აბსტრაქტულთან და პირიქით (კომპეტენციების განვითარება, ანალიტიკური აზროვნებისა და კრიტიკული მსჯელობის უნარის დემონსტრირების საშუალებით);
- მოსწავლეები ერთმანეთს უზიარებენ მსჯელობისას გამოყენებულ კრიტერიუმებს და აანალიზებენ იმ მიზეზებს, რამაც განაპირობა მათი მხრიდან არჩევანის შეჩერება ამ კრიტერიუმებზე (მსჯელობის კომპეტენცია ან ინტერაქტიულ-კონსტრუქტივისტული სწავლა);

— საკლასო გარემოს აღიქვამენ, როგორც შემსწავლელთა მიკროსაზოგადოებას, რომელში მონაწილეობისათვისაც მათ სტიმული ეძლევათ (სწავლა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებათა დაცვის საშუალებით);
— მათ მიმართავენ, როგორც ექსპერტებს (თვითშეფასების ამაღლება);
— მას შემდეგ, რაც გამოთქვამენ საკუთარ მოსაზრებას პოლიტიკური საკითხის გარშემო გაჟღერებული სადავო შეხედულების შესახებ (პოლიტიკური გადაწყვეტილების მიღების პროცესის სიმულაცია), სიტყვას გადასცემენ სხვა მოსწავლეებს.

მომზადება

თემის შერჩევის კრიტერიუმები:

— მოსწავლეები უნდა ფლობდნენ ინფორმაციას განსახილველი თემის შესახებ (მოსწავლეთა გამოცდილებასთან კავშირი).
— მოსწავლეები უნდა აცნობიერებდნენ, რატომ ღირს შერჩეულ საკითხზე მსჯელობა (რელევანტურობა, პირადი ინტერესი).
— პაექრობა: თემა უნდა იყოს პრობლემური და უნდა იძლეოდეს იმის საშუალებას, რომ მოსწავლეებს განსხვავებული მოსაზრებები გაუჩნდეთ მასთან დაკავშირებით; მასწავლებელს უნდა ჰქონდეს თავისი გარკვეული პოზიცია განსახილველ საკითხთან დაკავშირებით, მაგრამ საკუთარი მოსაზრება არ უნდა წარმოაჩინოს, როგორც ერთადერთი „სწორი გამოსავალი“.
— მასწავლებელს გონებაში შექმნილი აქვს მატრიცა, რომელიც მას საშუალებას აძლევს, წინასწარ განსაზღვროს, თუ რა მოსაზრებები შეიძლება გაუჩნდეთ მის მოსწავლეებს და უნდა მოაქციოს მათი მოსაზრებები კონცეპტუალურ ჩარჩოებში (მაგალითად, დადებითი და უარყოფითი შედეგები, სამართლიანობისა და ეფექტურობის კრიტერიუმები, კონკრეტული და აბსტრაქტული, ინტერესები და კომპრომისი).
— იმ შემთხვევისათვის, თუ მოსწავლეები არ იწყებენ დისკუსიას, მასწავლებელს მზად უნდა ჰქონდეს ხერხი, თუ როგორ ჩაითრიოს საუბარში მოსწავლეები (მაგალითად, კითხვა ან მინიშნება).

— მასწავლებელი ადგენს სხდომის გეგმას - მაგალითად, დიაგრამა ახალი კონცეფციისათვის, თეზისი ან ძირითადი ტერმინების ჩამონათვალი - რომლითაც მოსწავლეებს შეუძლიათ ისარგებლონ და ააგონ მასზე საკუთარი მსჯელობა, რაც შეიძლება მოსწავლეებს საშინაო დავალების სახით მივცეთ.

რა უნდა გავაკეთოთ

— მინიშნების მიცემისას ან კითხვის დასმისას, მოსწავლეებს მიეცით დრო მოსაფიქრებლად - დააცადეთ მათ რამდენიმე წამი და შემდეგ სიტყვა გადაეცით რამდენიმე მოსწავლეს ერთმანეთის მიყოლებით.

— ვარიანტები (მოსწავლეებს მეტი დრო სჭირდებათ, მაგრამ ეს საგრძნობლად აუმჯობესებს მოსწავლეებისა და მასწავლებლის მიერ სხდომაში მონაწილეობის ხარისხს): მინიშნების მიცემისას ან კითხვის დასმისას:

→ მიეცით მოსწავლეებს იმის საშუალება, რომ მათ წერილობით ჩაინიშნონ მოსაზრებები და მხოლოდ შემდეგ გამოვიდნენ სიტყვით; მოსწავლეები კითხულობენ თავიანთ ჩანაწერებს ან მასწავლებელი აგროვებს მოსწავლეების ჩანაწერებს და გაფენს იატაკზე ან ამაგრებს პოსტერზე;

→ საშუალება მიეცით მოსწავლეებს, წყვილებში განიხილონ თავიანთი მოსაზრებები და შემდეგ კლასის წინაშე წარდგნენ შედეგებით.

— ძირითადი კანონი: „მასწავლებელი აწვდის მოსწავლეებს ინფორმაციას ან სვამს კითხვას - საკუთარ მოსაზრებას გამოთქვამს ბევრი მოსწავლე“. დროის განაწილების თვალსაზრისით, ამან შესაძლებელია საერთო საკლასო სხდომისათვის განკუთვნილი მთლიანი დრო მოითხოვოს, რის შემდეგაც, დასკვნით სახით, მასწავლებელი კლასის წინაშე უნდა წარდგეს მოკლე შემაჯამებელი სიტყვით.

— უნდა დარწმუნდეთ, რომ თქვენი მოსწავლეები სხედან საკლასო ოთახის გარშემო ან წრეზე, რაც მათ საშუალებას აძლევს, ერთმანეთს პირისპირ უყურონ და ერთმანეთს მიმართონ.

— უნდა დარწმუნდეთ, რომ მოსწავლეებს ესმით ერთმანეთის. გაამხნევეთ და წაახალისეთ ისინი, რათა ახსნან თავიანთი მოსაზრებები და მათ მიერ

გამოყენებული ყველა ის ტერმინი, რომელიც გაუგებარია სხვა მოსწავლეებისათვის.

რა არ უნდა გავაკეთოთ

მოერიდეთ:

— ისეთი კითხვების დასმას, რომელზე პასუხიც შეიძლება იყოს მხოლოდ „კი“ ან „არა“. ამის შემდეგ აუცილებლად დაგჭირდებათ ახალი კითხვის დაუყოვნებლივ დასმა. დასვით ისეთი კითხვები, რომლებიც მსჯელობას მოითხოვს ან მიაწოდეთ მინიშნებები. ამის შემდეგ დასმული კითხვები უფრო კონკრეტული და სპეციფიკური იქნება;
— ერთ ან ორ მოსწავლესთან კითხვა-პასუხის რეჟიმში საუბარს. ამის ნაცვლად, შეეცადეთ მათ მიერ დასმულ კითხვებს სხვა მოსწავლეებმა უპასუხონ;
— გვერდზე გადგომას და მოსწავლის მიერ გამოთქმული მოსაზრების უგულებელყოფას, თუ თქვენ მასზე რეაგირებისათვის მოუმზადებელი ხართ. ასეთი მოსაზრებები შესაძლებელია ყველაზე საინტერესო აღმოჩნდეს! ამ შემთხვევაშიც, შეეცადეთ მსჯელობაში ჩართოთ კლასი;
— კომენტარის გაკეთებას ყოველი მოსწავლის მიერ გამოთქმულ იმ მოსაზრებებზე, რომელსაც თქვენ ეთანხმებით ან არ ეთანხმებით. ნაცვლად ამისა, მოსწავლეებს მიუთითეთ, იმსჯელონ სხვების მიერ გამოთქმული მოსაზრებების ძლიერსა და სუსტ მხარეებზე;
— თქვენი ფუნქციის მხოლოდ იმითი შემოფარგვლას, რომ მოსწავლეებს ხელის აწევის შემთხვევაში მისცეთ სიტყვა. ძალიან ხშირად, მოსწავლეები საკითხის სხვადასხვა ასპექტსა და ქვეთემებზე იწყებენ მსჯელობას, რამაც შესაძლოა დაბნეულობა და ქაოსი გამოიწვიოს. ამიტომ, საჭიროა მასწავლებელმა აიღოს ინიციატივა და შეახსენოს მოსწავლეებს, რა საკითხზე უნდა გაამახვილონ მათ ყურადღება ან რა მიმართულებით უნდა წაიყვანონ მსჯელობა. მოსწავლეების ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, რომ დრო და ფორმატი შეზღუდულია და არ იძლევა იმის საშუალებას, რომ განხილულ იქნას ყველაფერი, იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეები ეჭვის ქვეშ დააყენებენ თქვენი არჩევანის მართებულობას, განსახილველ საკითხთან დაკავშირებით.

მასწავლებელი იმპროვიზატორი - მოსწავლეები დისკუსიის მოთავენი

აქამდე ჩვენ განვიხილეთ საერთო საკლასო სხდომები, რომელსაც მასწავლებელი წინასწარ გეგმავს, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილებისათვის.

მოსწავლეებმა შესაძლოა მოითხოვონ ამა თუ იმ საკითხის სპონტანური განხილვა, თუმცა ხშირად ეს ხდება მათი დაკვირვების შედეგად ან კომენტარის გამო, რომელიც აზრთა სხვადასხვაობას იწვევს. თუ დრო და გაკვეთილი ამის საშუალებას იძლევა, მასწავლებელმა უნდა მისცეს მოსწავლეებს საშუალება, განახორციელონ საკუთარი ჩანაფიქრი. ამაში იკვეთება მათი სწავლის საჭიროებები - ისინი, ან რამდენიმე მათგანი მაინც, დაინტერესებულნი არიან მოცემული საკითხით.

მაგალითები:

- „ბოლოს და ბოლოს ის, ვისი ნდობაც შეიძლება გქონდეს, მარტო შენი ოჯახი და ოჯახის წევრებია“.
- „ვფიქრობ, ზოგიერთი დამნაშავისათვის სასიკვდილო განაჩენი აუცილებელია“.
- „რა ელის პოლიტიკოსს, რომელიც არ ასრულებს წინასაარჩევნო დაპირებას?“
- მოსწავლეს სურს, განიხილოს აქტუალური საკითხი, რომელიც მან ახალ ამბებში მოისმინა.

მსგავს სიტუაციებში მოსწავლეები მასწავლებლის წინაშე აყენებენ ამოცანას. მასწავლებელი იძულებულია, თავმჯდომარეობა გაუწიოს სხდომას, რომლისთვისაც იგი მზად არ არის, რასაც თავს მხოლოდ იმპროვიზების გამოყენებით გაართმევს. მასწავლებელი არ უნდა გაურბოდეს მსგავს სიტუაციებს. როგორც წესი, მასწავლებელს ყოველთვის აქვს წარმოდგენა და საკუთარი მოსაზრება მოსწავლეების მიერ წამოჭრილ მსგავს საკითხებზე, ხოლო ურთიერთობის მოდელი იგივეა, რაც წინასწარ დაგეგმილი საერთო საკლასო სხდომის დროს. იგივე სიტუაცია მეორდება, როდესაც მოსწავლეები მასწავლებელს სთხოვენ რაიმეს განმარტებას („რას ნიშნავს დემოკრატია?“).

ქვემოთ მოცემულია რამდენიმე რჩევა იმასთან დაკავშირებით, თუ როგორ უნდა მოიქცეს მასწავლებელი სპონტანურად გამართულ სხდომაზე:

— სთხოვეთ მოსწავლეს, რომელმაც წამოიწყო დისკუსია, აუხსნას კლასს საკითხის არსი. ამ შემთხვევაში ყველა მოსწავლეს ეძლევა შესაძლებლობა, მონაწილეობა მიიღოს საკითხის განხილვაში და თქვენც გეძლევათ დრო მოსაფიქრებლად.
— აუხსენით კლასს, რა დროს დაუთმობთ საკითხის განხილვას. მოიფიქრეთ, როგორ განავრცობთ თემას და როგორ გააგრძელებთ გაკვეთილს.
— მოსწავლეების მოსმენისას, ყურადღება გაამახვილეთ იმაზე, თუ რა ცოდნას ფლობენ თქვენი მოსწავლეები საკითხის შესახებ, რა გაიგეს მათ და რა ვერ გაიგეს.
— საკუთარ თავზე აიღეთ ინიციატივა, შეაჯამოთ მოსწავლეების მიერ გამართული დისკუსია. შესაძლებელია, თქვენი დასკვნითი გამოსვლა არ იყოს იმ ხარისხის, როგორიც წინასწარ მომზადების შემთხვევაში იქნებოდა, მაგრამ ეს უმჯობესია, ვიდრე მოსწავლეების მსჯელობის დასრულება ისე, რომ მათ არ აუხსნათ, თუ რას ემსახურებოდა მსჯელობისათვის დათმობილი დრო და რა დასკვნები შეიძლება გაკეთდეს განხილულ საკითხთან დაკავშირებით.
— შემაჯამებელი სიტყვა შეგიძლიათ მოსწავლეებსაც გადააბაროთ, მაგრამ მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ თქვენ განხილულ საკითხთან დაკავშირებით გარკვეული აზრი გაქვთ ჩამოყალიბებული.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მასწავლებლებისათვის

ინსტრუმენტი 4: ინტერვიუ ექსპერტთან - ინფორმაციის შეგროვების გზები და ხერხები

დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისას, მრავლად არის სიტუაციები, როდესაც მოსწავლეებს სჭირდებათ ინფორმაციის მოპოვება იმ ადამიანებისათვის ინტერვიუს ჩამორთმევის საშუალებით, რომლებიც სკოლის გარეთ იმყოფებიან.

ეს ინტერვიუები შესაძლებელია გაიმართოს საკლასო გარემოში, ან შესაძლებელია, კლასი და მოსწავლეთა ჯგუფი ეწვიოს მათ სკოლის გარეთ.

პირი, რომლისგანაც მოსწავლეები ინტერვიუს იღებენ, შესაძლებელია წარმოადგენდეს ექსპერტს, სრული ამ სიტყვის მნიშვნელობით, როგორიცაა მაგალითად, ქვეყნის ან ადგილობრივი პარლამენტის წევრი, ადმინისტრაციული საბჭოს წარმომადგენელი ან მეცნიერი. მაგრამ ასევე შესაძლებელია, რესპონდენტი იყოს ადამიანი, რომელსაც გააჩნია სოციალური ურთიერთობების ან პროფესიული გამოცდილება, როგორიცაა, მაგალითად, ცვლებში მომუშავე პირი, მარტოხელა დედა, ემიგრანტი ან უმუშევარი ადამიანი.

თქვენს ყურადღებას აქ არ შევაჩერებთ იმაზე, თუ ვინ უნდა დაუკავშირდეს ექსპერტებს. უმეტეს შემთხვევაში, ამ ამოცანას მასწავლებელი ასრულებს, მაგრამ შესაძლებელია, ეს მოსწავლეებსაც დაევალოთ, განსაკუთრებით მაღალ კლასებში. ნაცვლად ამისა, ჩვენ განვიხილავთ იმ პროცედურებს, რომლებიც მოსწავლეების ინტერვიუსათვის მომზადებას ემსახურება.

დაუშვებელია ისეთი სცენარის დადგმა, სადაც მასწავლებელი ან რამდენიმე მოსწავლე ინტერვიუს ართმევს ექსპერტს, ხოლო დანარჩენი მოსწავლეები მაყურებლის როლში გამოდიან და წარმოდგენა არა აქვთ, რას ემსახურება ექსპერტისადმი დასმული ესა თუ ის კითხვა. ინტერვიუს აღება გარკვეულ კომპეტენციებს მოითხოვს, რომლებიც ასევე გამოსადეგია სხვა ტიპის პროექტებშიც, როგორიცაა გასვლითი მეცადინეობები ან მუშაობა სამეცნიერო საკითხებზე და მედიასთან.

ექსპერტთან ინტერვიუსათვის მოსწავლეების მომზადების სტანდარტული პროცედურები მოიცავს შემდეგ ეტაპებს:

1. მოსწავლეები აღმოაჩენენ მნიშვნელოვან საკითხს, რომელიც დეტალურ შესწავლას მოითხოვს.
2. მასწავლებელი სთავაზობს მათ ინტერვიუს ექსპერტთან. იგი უკავშირდება ექსპერტს და უთანხმდება ინტერვიუსათვის განკუთვნილ თარიღსა და დროზე, იწვევს მას სკოლაში, ან უნიშნავს შეხვედრას სკოლის გარეთ.
3. მასწავლებელი უხსნის მოსწავლეებს, თუ რა არის მათი ამოცანა: ინტერვიუსათვის გამოყოფილ დროში (45-დან 90 წუთამდე), მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დასვან კითხვები. ვინაიდან ექსპერტის მხრიდან ამ კითხვებზე პასუხის გაცემას გარკვეული დრო მიაქვს, ხოლო ექსპერტის პასუხმა შესაძლებელია წარმოშვას დეტალური კითხვების დასმის აუცილებლობა, საჭიროა, მოსწავლეებმა მიიღონ გადაწყვეტილება იმაზე, თუ რა ძირითად საკითხებზე სურთ მათ ყურადღების გამახვილება. მოსწავლეები ქმნიან ჯგუფებს, რომელთაგანაც თითოეული ჯგუფი პასუხისმგებელი იქნება, დასვას ერთი ძირითადი კითხვა. თითოეულ ჯგუფს მიეცემა 10-15 წუთი იმისათვის, რომ ამომწურავი პასუხი მიიღოს ექსპერტისაგან მისთვის საინტერესო თემაზე. აუცილებელია, მოსწავლეებს კარგად ესმოდეთ დროის ამ ჩარჩოების დატვირთვა, რაც მასწავლებელმა გულდასმით და ამომწურავად უნდა აუხსნას მათ, პასუხი გასცეს მოსწავლეების ნებისმიერ, ამ ფორმატთან დაკავშირებით წამოჭრილ კითხვას.
4. საერთო საკლასო პლენარული რაუნდის დროს, მოსწავლეები ერთვებიან ბრეინშტორმინგის პროცესში. ისინი ბარათებზე ან ქაღალდის ფურცლებზე ინიშნავენ ყველა კითხვას, რომელიც მათ სურთ, რომ დაუსვან ექსპერტს, ამასთან ყოველი ახალი კითხვა ცალკე ბარათზე დააქვთ. იმისათვის, რომ ამ პროცედურამ ძალიან დიდი დრო არ წაიღოს, მასწავლებელს შეუძლია შეზღუდოს ბარათებისა და, შესაბამისად, კითხვების რაოდენობა, მაგალითად, თითოეულ მოსწავლეს მისცეს მხოლოდ ორი ან სამი ბარათი, რომელზეც მათ შეუძლიათ ჩამოაყალიბონ თითო-თითო კითხვა. ხუთი-რვა წუთის შემდეგ მასწავლებელი აგროვებს ბარათებზე დატანილ კითხვებს და გამოფენს დაფაზე ან ფლიპჩარტზე, რის

შემდეგაც მოსწავლეები სათითაოდ გამოდიან და კლასს აცნობენ თავიანთ მოსაზრებებს.

5. კითხვები, რომლებიც ერთ საკითხს ეხება, უნდა შეგროვდეს ცალკე ერთი ძირითადი კითხვის ქვეშ. ამის შემდეგ მოსწავლეები იღებენ გადაწყვეტილებას იმის შესახებ, თუ რომელი ძირითადი კითხვები სურთ რომ აირჩიონ ინტერვიუს დროს ექსპერტისათვის დასასმელად და რა თანამიმდევრობით. 60 წუთიანი ინტერვიუს განმავლობაში მაქსიმუმ ოთხი ძირითადი კითხვა უნდა დასვან. როგორც წესი, პირველი კითხვა უნდა ეხებოდეს რესპონდენტს, რათა მოსწავლეებს შეექმნათ წარმოდგენა, ვისთან უწევთ საუბარი. ინტერვიუსათვის გამოყოფილი დროის ბოლო 10 წუთი უნდა დავუთმოთ ღია საუბრებს ან დამატებით კითხვებს, რომლებიც ინდივიდუალურ მოსწავლეს შეიძლება გაუჩნდეს ამ ინტერვიუს დროს.
6. მოსწავლეები უნდა გადანაწილდნენ ჯგუფებად. თითოეული ჯგუფი ირჩევს ერთ ძირითად კითხვას და დაფიდან ან ფლიპჩარტიდან იღებს მოსწავლეების მიერ შევსებულ ბარათებს, საიდანაც ისინი არჩევენ კითხვებს, რომლებიც მათ სურთ, რომ დაუსვან ექსპერტს.
7. იმ შემთხვევაში, თუ მოსწავლეებს არა აქვთ ინტერვიუს აღების გამოცდილება, მასწავლებელმა მათ მოკლე ინსტრუქცია უნდა მიაწოდოს ინტერვიუს ძირითად ტექნიკურ მხარესთან დაკავშირებით. ყოველი თემის პირველი, ძირითადი კითხვა უნდა იყოს ზოგადი ხასიათის, რაც რესპონდენტს საშუალებას მისცემს, მოსწავლეებს ინფორმაცია და ძირითადი, საკვანძო სიტყვები მიაწოდოს. ამის შემდეგ მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება, დაუსვან რესპონდენტს შემდეგი, უფრო დეტალური კითხვები იმავე თემის გარშემო. საჭიროა მოსწავლეებისათვის ინსტრუქციის მიწოდება იმის თაობაზე, რომ მოერიდონ ისეთი კითხვების დასმას, რომლებზეც პასუხი მხოლოდ „კი“ ან „არა“ შეიძლება იყოს. ან ამგვარ კითხვას დაუყოვნებლივ უნდა მოჰყვეს შემდეგი შეკითხვა, რომელზეც შესაძლებელია მსჯელობა. საჭიროა მოსწავლეებს ასევე მივაწოდოთ ინსტრუქცია იმის თაობაზე, რომ ინტერვიუ არ არის საკითხის განხილვა („არ მეთანხმებით, რომ....?“).

8. მოსწავლეების ჯგუფმა, არჩეულ საკითხზე უნდა მოამზადოს ოთხი ან ხუთი კითხვა და განსაზღვროს მათი თანამიმდევრობა. საკუთარ თავში რწმენის განსამტკიცებლად, შესაძლებელია რეპეტიციის მოწყობა, სადაც მოსწავლეები როლებს ინაწილებენ და მასწავლებელი კი ექსპერტის როლში გამოდის.
9. საჭიროა, ჯგუფის წევრებმა გადაინაწილონ როლები ინტერვიუს დროს. რომელი მოსწავლე რომელ შეკითხვას დასვამს? ვინ ჩაინიშნავს ექპერტის მიერ გაცემულ პასუხებს? ვინ შეცვლის ჯგუფის წევრს, რომელიც ობიექტური მიზეზების გამო შესაძლებელია ვერ დაესწროს ინტერვიუს? ინტერვიუს დროს, მოსწავლეები რესპონდენტის პირისპირ უნდა იდგნენ და უნდა ინარჩუნებდნენ მხედველობით კონტაქტს მასთან, ამისათვის მათ სჭირდებათ ერთი ან ორი დამხმარე, რომელიც რესპონდენტის პასუხების მიხედვით ჩანაწერებს გააკეთებს (იხილეთ, ქვემოთ მოცემული გეგმის ნიმუში). რეკომენდებული არ არის ჩამწერი მოწყობილობის გამოყენება, ვინაიდან ჩანაწერის გაშიფვრა დიდ დროს მოითხოვს. ამის ნაცვლად, მოსწავლეებმა ყურადღება უნდა გაამახვილონ და ჩაიწერონ რესპონდენტის პასუხებში გაჟღერებული ძირითადი საკვანძო საკითხები ისე, რომ ინტერვიუს შემდეგ, თავიანთი ჩანაწერების გამოყენებით შეძლონ, მეხსიერებაში აღიდგინონ ის, რაზეც რესპონდენტმა ისაუბრა.
10. ინტერვიუს შემდეგ თითოეული ჯგუფი გამოდის კლასის წინაშე მოხსენებით, რაც შესაძლებელია გაკეთდეს ზეპირი ან წერილობითი მოხსენებების სახით. იმის მიხედვით, თუ რის საშუალებას იძლევა სასკოლო გარემო, ჯგუფების მიერ მომზადებული წერილობითი მოხსენებების ასლები შესაძლებელია მოსწავლეებს დაურიგდეთ, ან გამოქვეყნდეს კედლის გაზეთში, ან შედგეს ელექტრონული დოკუმენტის სახით. ამის შემდეგ დგება დრო, კლასი დაუბრუნდეს იმ ძირითად საკითხს, რამაც ინტერვიუს აუცილებლობა განაპირობა. მივიღეთ ინფორმაცია იმაზე, რაზეც გვსურდა? რა ვისწავლეთ? რა ახალი კითხვები გაჩნდა?
11. ასევე, მოსწავლეებმა უნდა განიხილონ ინტერვიუს აღების პროცესი და ის უნარები, რომლებიც მათ ამ ინტერვიუს ჩატარების პროცესში შეიძინეს, ასევე, პრობლემები, რომლებმაც თავი იჩინა ინტერვიუს განმავლობაში. ეს მასწავლებლისათვის მნიშვნელოვან მასალას წარმოადგენს შემდგომი აქტივობების დაგეგმვისას.

ფორმა, ინტერვიუში მონაწილე ჯგუფის გეგმის შესადგენად:

რესპონდენტი_____

თარიღი:_____ ადგილი:_____

თითოეული ჯგუფისათვის გამოყოფილი დრო:_____ წთ.

ჯგუფი #_____ თემა:_____

ჯგუფის წევრები:

#	ძირითადი კითხვა	კითხვის ავტორი	ჩანაწერზე პასუხისმგებელია
1.			
2.			
3.			
4.			
5.			
6.			

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მასწავლებლებისათვის
ინსტრუმენტი 5: კომპეტენციაზე დაფუძნებული სწავლების მიზნების განსაზღვრა[47]

1. სასკოლო პროგრამის სტანდარტი (მხოლოდ ერთი):		
2. უპასუხეთ შემდეგ კითხვას: რისი კეთება შეუძლია მოსწავლეს მას შემდეგ, რაც იგი შეიძენს იმ კომპეტენციას, რომელიც გაკვეთილის გეგმით არის გათვალისწინებული?		
აღწერა:		
3. აღწერეთ, მინიმუმ რისი კეთება უნდა შეძლოს მოსწავლემ და დაახასიათეთ მაქსიმუმ რისი მიღწევაა შესაძლებელი.		
მას შემდეგ, რაც მოსწავლეებმა გაიარეს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კურსი ... რომელიც შედგებოდა x გაკვეთილისაგან ...		
... ველი, რომ ჩემი მოსწავლეები მინიმუმ შეძლებენ...	... მსურს, რომ ჩემმა მოსწავლეებმა შეძლონ...	... ფაქტობრივად, იმედი მაქვს, რომ ჩემი მოსწავლეები შეძლებენ...
„მინიმალური სტანდარტი“ (მისაღები)	„საშუალო სტანდარტი“ (დამაკმაყოფილებელი)	„უმაღლესი სტანდარტი“ (კარგი)
4. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების გაკვეთილების დაგეგმვის პირველი ეტაპი		
მიზანი	მასწავლებლის მიერ მიწოდებული ინფორმაცია	მოსწავლეთა აქტივობა, დავალებები

[47]იხილეთ წინამდებარე სახელმძღვანელოს თავი, რომელიც ეძღვნება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების კომპეტენციებს. აღნიშნული ინსტრუმენტი ეფუძნება გ. ზაენერის ნაშრომს Bildungsstandards in der Praxis. Kompetenzorientiert unterrichten (2nd edn), Seelze-Velber, (2008 წელი), გვ. 56.

თავი 2

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

1. წინასიტყვაობა

მასწავლებელი, რომელიც დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებზეა პასუხისმგებელი, შესაძლებელია წარმატებით ართმევდეს თავს გაკვეთილის დაგეგმვისა და გაკვეთილისათვის მზადების ამოცანას. მიუხედავად იმისა, თუ რამდენად კარგად არის მომზადებული გაკვეთილი, გაკვეთილი შეიძლება ჩავარდეს, თუ მასწავლებელს ავიწყდება, გაითვალისწინოს ის, თუ რა უნარებს ფლობენ მისი მოსწავლეები გარკვეული ტექნიკური თვალსაზრისით. მსგავსი სიტუაცია შეიძლება შეექმნას საუკეთესო და დიდი გამოცდილების მქონე მასწავლებელსაც. გაკვეთილი წარმატებულია მხოლოდ მაშინ, თუ მოსწავლეები ფლობენ გარკვეულ მეთოდებს და იციან, როგორ გამოიყენონ ისინი.

ევროპის მასშტაბით, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში ჩართული მასწავლებლების მონაწილეობით წარმოებული სხვადასხვა პროგრამის ფარგლებში მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მივიღეთ გადაწყვეტილება, მასწავლებლებისათვის განკუთვნილ ამ სახელმძღვანელოში მოგვეწოდებინა ინსტრუმენტთა ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის. მათში მოცემული ინსტრუქციები, სამუშაო ფურცლები, ინსტრუმენტები და კითხვარები ერთგვარ მონაცემთა ბაზის ფუნქციას ასრულებს, რომელიც მოსწავლეებისთვის არის განკუთვნილი, იმ შემთხვევებისათვის, თუ ისინი არ ფლობენ გარკვეულ მეთოდს ან ტექნიკას.

მასწავლებლის მოვალეობაში შედის, აუხსნას მოსწავლეებს, როდის, როგორ და რომელი ინსტრუმენტი უნდა გამოიყენონ. ასევე, მასწავლებლის გადასაწყვეტია ის, თუ რა დროს და რომელი ინსტრუმენტი მიაწოდოს მოსწავლეებს, ინსტრუმენტი საკლასო ოთახში უნდა გამოფინოს, ყველასათვის თვალსაჩინო ადგილას, თუ მისი მისადაგება შესაძლებელია საშინაო დავალებისათვის და უნდა დაურიგდეს მოსწავლეებს.

მოცემული ინსტრუმენტები მოსწავლეებს დაეხმარება, თავი გაართვან მათ წინაშე მდგარ სხვადასხვა ამოცანას, როგორიცაა:

— როგორ მოიძიონ და მოიპოვონ ინფორმაცია;

— როგორ დაახარისხონ ინფორმაცია;

— როგორ მიუდგნენ შემოქმედებით სამუშაოს;

— როგორ წარადგინონ საკუთარი ნამუშევარი;

— როგორ ითანამშრომლონ სხვა მოსწავლეებთან.

ყოველი ინსტრუმენტი მოცემულია ცალკე ფურცელზე. მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა, ინდივიდუალურად გაეცნონ თითოეულ მათგანს, ან იმ შემთხვევაში, თუ მასწავლებელი იღებს ამგვარ გადაწყვეტილებას, ერთობლივად, წყვილებში, ან მცირე ზომის ჯგუფებში მოხდეს მათი განხილვა.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 1: სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, სწავლის განრიგის დასაგეგმად

— ჩემს თავს დავუსახავ შემდეგ მიზანს - შემდეგი თავის გავლისას/ შემდეგი ნაწილის გავლისას/ დღეისათვის და ა.შ.: ...
— დღეს თავს გავართმევ შემდეგ ამოცანას: ...
— მე განსაკუთრებით მაინტერესებს: ...
— მე განსაკუთრებით მიჭირს: ...
— მე შემდეგი გეგმა შევიმუშავე: ... (რას გავაკეთებ უპირველეს ყოვლისა? რას გავაკეთებ ამის შემდეგ? სად ვიმეცადინებ? როდის მოვიწყობ შესვენებას? როდის დავასრულებ შესასრულებელ სამუშაოს?)
— ჩემს გეგმას განვიხილავ: ... (ვისთან ერთად?)
— კმაყოფილი ვიქნები იმით, რაც ვისწავლე, თუ შევძლებ: ...(რის გაკეთებას?)
— მოვიმარაგებ შემდეგ სასწავლო მასალას: ...
— იმისათვის, რომ დავრწმუნდე, რომ მეცადინეობაში ხელს არავინ შემიშლის, განვახორციელებ შემდეგ ღონისძიებებს: ...
— სწავლაში ჩემი შედეგების გასაუმჯობესებლად, დასახმარებლად მივმართავ შემდეგ მოსწავლეებს: ...
— როდესაც დავიღლები, ენერგიის აღსადგენად: ... (რას მოვიმოქმედებ?)
— თუ მეცადინეობა მომბეზრდა: ... (რას მოვიმოქმედებ?)

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 2: სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, მიღებული ცოდნის შესაფასებლად

— რა აქტივობით შევუდექი სწავლას?

— რა გავაკეთე შემდეგ?

— როდის შევისვენე?

— რა დრო მოვანდომე დამოუკიდებლად მეცადინეობას?

— რა დრო მოვანდომე სხვა მოსწავლესთან ერთად მეცადინეობას?

— როდის ვსწავლობდი ჯგუფთან ერთად?

— ჯგუფური მუშაობისას კარგად ვსწავლობ?

— სწავლის პროცესის დროს ვიცავ ჩემ მიერ შედგენილ განრიგს?

— შემიძლია სამუშაოზე კონცენტრირება ყურადღების გაფანტვის გარეშე? ხელი შემიშალა რაიმემ სამუშაოს შესრულების დროს? მჭირდება თუ არა კონცენტრირების უნარის განვითარება?

— დარწმუნებული ვარ, რომ კარგად ვსწავლობ?

— მუშაობის პროცესში მეცადინეობა ხომ არ მომბეზრდა?

— სიამოვნებით ვსწავლობ?

— მსიამოვნებს სწავლის პროცესი?

— სწავლის პროცესში დარწმუნებული ვარ ჩემ წარმატებაში? (თავდაჯერებული სწავლა)

— როგორ ვიჩენ ინტერესს შესწავლის საგნისადმი და სიამოვნებით ვეკიდები შესწავლის პროცესს?

— სწავლის რა სტრატეგიებსა და ტექნიკას ვიყენებ?

— კარგად ვსწავლობ? რისი კეთება გამომდის უკეთესად და რისი არა?

— რა წარმოადგენდა ჩემთვის სირთულეს? როგორ შევძელი ამ სირთულეების დაძლევა?

— მუშაობის ჩემი ტემპი უნდა გავზარდო თუ შევანელო?

— არის რაიმე, რის შეცვლასაც ვისურვებდი?

— როგორ გავაუმჯობესო ჩემი ცხოვრების წესი?

— რისი მიღწევაც მე მინდა მომდევნო დავალების შესრულებისას, არის: ...

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 3: სამუშაო ფურცელი მოსწავლეებისათვის, მიღწევების შესაფასებლად

— რა ვისწავლე?
— ნამდვილად მაქვს მიღწევები სწავლაში?
— კარგად მესმის ის, რაც ვისწავლე?
— შემიძლია ახლად შეძენილი ცოდნა და უნარები სხვადასხვა სიტუაციაში გამოვიყენო?
— სად და როდის შემიძლია გამოვიყენო ჩემ მიერ შეძენილი ცოდნა?
— მაკმაყოფილებს ჩემი მიღწევები?
— მსურს უკეთესად მესმოდეს ან უკეთესად ვფლობდე რაიმეს კეთების უნარს?
— მიღწეულია ის მიზნები, რომლებიც საკუთარ თავს დავუსახე სწავლასთან დაკავშირებით?
— კიდევ რა უნდა ვისწავლო?
— მსურს საკუთარ თავს დამატებითი მიზნები დავუსახო სწავლის შემდგომ ეტაპზე?

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 4: კვლევის წარმოება ბიბლიოთეკებში

ბიბლიოთეკებში თქვენ შეგიძლიათ უამრავი ინფორმაცია მოიძიოთ, რომელიც თქვენი კვლევისათვის გამოგადგებათ. იმისათვის, რომ შეძლოთ ამ ინფორმაციით სარგებლობა, საჭიროა ფლობდეთ უნარს, ამოარჩიოთ საჭირო და ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია. ქვევით მოცემული კითხვარი დაგეხმარებათ ამ ამოცანის შესრულებაში.

1. **რაში მდგომარეობს ჩემი მიზანი?**
   - — რას ვქმნი? როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჩემი ნაშრომის საბოლოო ვარიანტი? არის ეს პრეზენტაცია, მოხსენება თუ პოსტერი?
   - — იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს მიზანს, თქვენ დაგჭირდებათ სხვადასხვა ტიპის ინფორმაცია. პოსტერის დასამზადებლად გჭირდებათ სურათები, რომლებიც უნდა ამოჭრათ და დააკრათ თქვენს პოსტერზე; მოხსენების მოსამზადებლად გჭირდებათ ინფორმაცია იმ თემაზე, რომელზეც მუშაობთ.
2. **რა ინფორმაცია მჭირდება?**
   - — ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც იცით იმ თემის შესახებ, რომელზეც მოხსენებას ამზადებთ (ამაში დაგეხმარებათ გეგმის შედგენა).
   - — ჩამოწერეთ ყველაფერი, რაც გინდათ, რომ იცოდეთ იმ თემის შესახებ, რომელზეც მოხსენებას ამზადებთ (ამაში დაგეხმარებათ შედგენილი გეგმის პუნქტების გამოყოფა). ზუსტად განსაზღვრეთ, თემის რა ასპექტებზე გსურთ ინფორმაციის მიღება. იმის მიხედვით, თუ რა წარმოადგენს თქვენ მიერ შესრულებული სამუშაოს საბოლოო პროდუქტს, შესაძლებელია ინფორმაციის მოპოვება დაგჭირდეთ ძალიან ბევრ ასპექტზე, ან მხოლოდ რამდენიმე ასპექტზე.
3. **როგორ მოვიპოვო ინფორმაცია (მასალები) და როგორ დავახარისხო იგი?**
   - — მასალები შეგიძლიათ ეძიოთ წიგნებში, ჟურნალ-გაზეთებში, ფილმებში და ა.შ., რომელთა მოპოვებაც შესაძლებელია ბიბლიოთეკაში, და დაფიქრდეთ, შეიძლება თუ არა მათში იყოს პასუხი იმ კითხვებზე, რომლებიც თქვენ

გაინტერესებთ. ამ შემთხვევაში შესაძლებელია დაგეხმაროთ სარჩევი ან ანბანური საძიებელი.

— ცალკე ფურცელზე ჩაინიშნეთ წიგნის სათაური და გვერდის ნომერი, სადაც თქვენთვის გამოსადეგ ინფორმაციას გადააწყდით. წიგნში შეგიძლიათ ჩადოთ სანიშნი.
— რიგ შემთხვევაში, თქვენთვის საინტერესო გვერდის ფოტოასლის გადაღებაც არის შესაძლებელი, თუმცა არ უნდა დაგავიწყდეთ გადაღებულ ფურცელზე წიგნის სახელწოდების მითითება.
— დაათვალიერეთ ჟურნალ-გაზეთებში მოცემული სურათები, გადაიღეთ ასლები ან მონიშნეთ გვერდები სანიშნით.
— იმ შემთხვევაში, თუ ფილმით სარგებლობთ, უყურეთ ფილმს და გააჩერეთ ფირი, სადაც თქვენთვის საინტერესო ინფორმაცია იქნება მოცემული.
— შეაგროვეთ მასალა და მოათავსეთ ფოლდერში.
— თქვენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი ინფორმაცია მონიშნეთ.
— ცალკე ფურცელზე, თქვენი სიტყვებით გადმოეცით თემასთან დაკავშირებული, ყველაზე საინტერესო ინფორმაციის შინაარსი.

4. როგორ გავაცნო სხვებს ჩემ მიერ მოპოვებული ინფორმაცია?

შეგიძლიათ, მაგალითად:

— შექმნათ პოსტერი;
— მოაწყოთ გამოფენა;
— გამოხვიდეთ სიტყვით;
— შექმნათ სლაიდები;
— დაწეროთ საგაზეთო სტატია;
— შექმნათ ვიდეოკლიპი და მოაწყოთ მისი ჩვენება.

5. როგორ ვაფასებ ჩემ მიერ წარმოებულ კვლევას?

— შევიტყვე რაიმე ახალი საკვლევ თემასთან დაკავშირებით?
— საკმარისი რაოდენობით მოვიპოვე საჭირო ინფორმაცია?
— კვლევის რა ეტაპები მიმდინარეობდა შეუფერხებლად? რა სირთულეებს წავაწყდი?
— რას შევცვლი შემდეგი სამუშაოს შესრულებისას?

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 5: კვლევის წარმოება ინტერნეტის გამოყენებით

ინტერნეტის საშუალებით შეგიძლიათ მოიპოვოთ ინფორმაცია ნებისმიერ თემაზე, რისი წარმოდგენაც კი შეგიძლიათ. მთავარია, დაფიქრდეთ იმაზე, თუ როგორ შეძლებთ ყველაზე მნიშვნელოვანი და სარწმუნო ინფორმაციის მოპოვებას საკვლევ თემაზე?

ინფორმაციის მოძიება

ფურცელზე ჩამოწერე ძირითადი საკვანძო სიტყვები, რომლებიც საკვლევ თემას უკავშირდება. დაფიქრდი, ზუსტად რა გინდა შეიტყო მოცემული თემის შესახებ?

მაგალითად:

- დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლება;
- ევროპის საბჭო;
- უმცირესობები;
- დემოკრატია.

შეაერთე საკვანძო სიტყვები, რათა მიიღო ფრაზა, მაგალითად, „შუასაუკუნეებისდროინდელი ქალაქის ბაზრები“, გამოიყენე ბრჭყალები.

- სიტყვათა რა კომბინაცია დაგეხმარება თემისათვის საჭირო ინფორმაციის მოძებნაში? ეს კრიტერიუმები ჩამოწერე ფურცელზე.

ინფორმაციის ნახვა

ვინაიდან ინტერნეტი ყველასათვის არის ხელმისაწვდომი და ყველას შეუძლია, განათავსოს ინფორმაცია, აუცილებელია შეამოწმოთ, რამდენად სარწმუნოა ინფორმაცია, რომელიც თქვენ მოიპოვეთ, ვიდრე მას გამოიყენებთ.

სცადეთ, შემდეგნაირად დააყენოთ პრობლემა:

- იგივე ინფორმაცია შეგიძლიათ მოიპოვოთ ინტერნეტის სხვა გვერდებზე?
- ვის მიერ არის გამოქვეყნებული ინფორმაცია?

— რა ინტერესი შეიძლება ჰქონოდა პირს ან ორგანიზაციას, რომელმაც გამოაქვეყნა ინფორმაცია, რომ იგი ყველასათვის ხელმისაწვდომი გამხდარიყო?
— სანდოა ის პირი ან ორგანიზაცია, რომელიც აქვეყნებს მოცემულ ინფორმაციას?

ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია გადაამოწმეთ სხვა წყაროების საშუალებით მოპოვებულ ინფორმაციასთან შედარების გზით:

— ამ ინფორმაციის დამადასტურებელი ფაქტები შეგიძლიათ მოიძიოთ წიგნებში, ინტერვიუების საშუალებით ან საკუთარი გამოცდილებით?
— ინტერნეტის საშუალებით მოპოვებული ინფორმაცია ახალია? გასაგები ენით არის გადმოცემული, უფრო გასაგებია ვიდრე ის მსგავსი ინფორმაცია, რომელიც წიგნში შეიძლება იყოს გადმოცემული, ინტერვიუს საშუალებით ან პირადი გამოცდილებით შეიძლება იყოს მოპოვებული?
— რომელი ინფორმაცია ესადაგება შენს მიზანს ყველაზე მეტად?

ინფორმაციის შენახვა

მას შემდეგ, რაც მიაგნებ სანდო და შენთვის გამოსადეგ ინტერნეტსაიტს, რომელსაც გინდა შემდგომშიც ეწვიო ან გამოიყენო შენი სამუშაოს შესასრულებლად, შეადგინე შენი საკუთარი ინტერნეტსაიტების სია:

— გახსენი ახალი დოკუმენტი.
— მონიშნე საიტის მისამართი (URL).
— დააკოპირე საიტის მისამართი (URL), თითის დაჭერით კონტროლის ღილაკზე (CTRL) და „C“-ზე ერთდროულად.
— გადმოიტანე საიტის მისამართი (URL) დოკუმენტში, თითის დაჭერით კონტროლის ღილაკზე (CTRL) და „V“-ზე ერთდროულად.
— შეინახე შენ მიერ შექმნილი დოკუმენტი სახელწოდებით „საიტების სია_თემა“, მაგალითად, „საიტების სია_დემოკრატია“.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 6: ინტერვიუებისა და გამოკითხვების წარმართვა

ინფორმაციის მოპოვება შესაძლებელია ადამიანებთან კომუნიკაციის საშუალებით, მაგალითად, როდესაც ადამიანებს უსვამთ კითხვებს იმ მიზნით, რომ მათი პასუხებიდან შეიტყოთ, რაც მათ იციან მოცემულ თემაზე, ან თუ სთხოვთ, საკუთარი მოსაზრება გამოთქვან კონკრეტულ საკითხზე.

შეგიძლიათ დაუსვათ კითხვები:

— სპეციალისტებს - იმ შემთხვევაში, თუ გსურთ რაიმე კონკრეტული და სპეციფიკური შეიტყოთ მოცემულ საკითხზე;

ან

— ადამიანებს, რომელთაც არა აქვთ შეხება მოცემულ სფეროსთან, მაგრამ თქვენ გაინტერესებთ მათი მოსაზრება მოცემულ საკითხთან დაკავშირებით.

ინტერვიუებისა და გამოკითხვის საწარმოებლად უმჯობესია იმუშაოთ პატარ-პატარა ჯგუფებში. ამ შემთხვევაში ჯგუფის წევრები ერთმანეთს ეხმარებიან როგორც კითხვების შედგენაში, ასევე, მათ კითხვებზე მიღებული პასუხების დამუშავებაში.

საჭიროა გაითვალისწინოთ შემდეგი:

— ყველა კითხვაზე პასუხი მოკლედ ჩაინიშნეთ.
— აღნიშნეთ კითხვები, რომლებზეც არ გაქვთ პასუხი.
— კლასში განიხილეთ ის კითხვები, რომლებზეც თქვენ არ გაქვთ პასუხი.

მოქმედებათა თანამიმდევრობა

1. **მიზანი**
   — რას ეხება ჩვენი თემა? რა გვსურს შევიტყოთ ამ თემის გარშემო?
   — როგორ უნდა გამოიყურებოდეს ჩვენი ნამუშევრის საბოლოო ვერსია?
2. **მზადება**

— ვინ უნდა იყოს რესპონდენტი? რამდენი რესპონდენტი გვჭირდება? მნიშვნელობა აქვს ასაკსა და სქესს?
— როგორ შევარჩიოთ რესპონდენტები ინტერვიუსათვის?
— როგორ უნდა ვაწარმოოთ ინტერვიუ ან გამოკითხვა?
— ვის უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია ან ვისგან უნდა ავიღოთ ნებართვა?
— როგორ უნდა ჩავიწეროთ პასუხები (ჩამწერი აპარატურით, ხელით ჩანიშვნებით, კითხვარების შევსებით)?

3. **კითხვები**

— რა კითხვები უნდა დავსვათ?
— რამდენი კითხვა უნდა დავსვათ? რა დრო გვაქვს მოცემული კითხვების დასასმელად და მათზე პასუხების მისაღებად?
— კითხვები ჩამოწერეთ და მიეცით მათ კითხვარის ფორმა.

4. **ინტერვიუს ან გამოკითხვის წარმოება**

— როგორ დავიწყოთ ინტერვიუ?
— ჯგუფის წევრებს შორის როგორ არის გადანაწილებული ფუნქციები (ვინ სვამს კითხვებს, ვინ ინიშნავს პასუხებს, ვინ აგებს ჩამწერი აპარატურის მართვაზე პასუხს)?
— როგორ უნდა დავასრულოთ ინტერვიუ?

5. **შეფასება**

— იმ შემთხვევაში, თუ ინტერვიუს დროს თქვენი რესპონდენტი სპეციალისტი იყო, დაფიქრდით, რა იყო ყველაზე მნიშვნელოვანი, რაც მისი პასუხებიდან შეიტყვეთ და გამოყავით მსგავსი პასუხები.
— იმ შემთხვევაში, თუ თქვენ რამდენიმე რესპონდენტი გყავდათ, რომლებსაც ერთი და იგივე კითხვები დაუსვით და გსურთ გაიგოთ, რამდენმა მათგანმა გასცა თქვენს კითხვებზე ანალოგიური პასუხები, მათი პასუხები შესაბამისად უნდა დაახარისხოთ.

6. **პრეზენტაცია**

გადაწყვიტეთ, რა ფორმით გააცნობთ კლასს თქვენ მიერ მოპოვებულ ინფორმაციას:

— სიტყვით გამოხვალთ კლასის წინაშე; თუ

— დაწერთ საგაზეთო სტატიას; თუ

— დაამზადებთ პოსტერს; თუ

— თქვენს შედეგებს სხვა ფორმით გააცნობთ კლასს.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 7: სურათებისა და გამოსახულებების ინტერპრეტირება

ტექსტის მსგავსად, სურათიც მრავალ ინფორმაციას შეიცავს. შემდეგი რჩევები დაგეხმარებათ სურათის ინტერპრეტაციასა და მის აღქმა-გაგებაში.

ზოგადი ინფორმაცია სურათის შესახებ

- — რომელი ფერებია გამოკვეთილი სურათზე?
- — რა ფორმები, ფიგურები და ხაზებია გამოკვეთილი და წინა პლანზე წამოწეული?
- — რა არის მასზე გამოსახული უფრო დიდი მასშტაბით, ან უფრო მცირე მასშტაბით, ნორმალურ ზომასთან შედარებით?
- — სურათზე გამოსახული საგანი ან პიროვნება სინამდვილეში რა ზომის არის?
- — ზოგადად, დროის რა მონაკვეთია აღბეჭდილი სურათზე (წარსული, აწმყო) და წელიწადის რა დრო ან დღის რა მონაკვეთია მასზე აღბეჭდილი?
- — ვის ხედვას გამოხატავს სურათზე აღბეჭდილი მოვლენა (ბაყაყის თვალით დანახული, ფრინველის თვალით დანახული თუ ადამიანის თვალით დანახული)?
- — რა არის შენთვის ნაცნობი ამ სურათზე?
- — რა ტიპის სურათია შენ წინაშე (სურათი, პოსტერი, ნახატი, ხეზე ამოტვიფრული, გრაფიკა, კოლაჟი, პორტრეტი, პეიზაჟი, კარიკატურა და ა.შ.)?
- — რა არის გაზვიადებული ან ხაზგასმული სურათზე (ნათელი/ბნელი, პროპორციები, წინა პლანი/უკანა პლანი, ფერები, მოძრაობა/უძრაობა, ჟესტები, სახის გამომეტყველება)?

სურათის აღქმა

- — რა განსაკუთრებულობა ახასიათებს სურათს?
- — რა მოგწონს მასში?
- — როგორ დაახასიათებ სურათს?
- — რას გრძნობ, როდესაც ამ სურათს უყურებ?

— სურათის რომელი მონაკვეთია ყველაზე ლამაზი?
— რა სიტყვები მოგდის გონებაში, როდესაც სურათს უყურებ?

სურათის განხილვა

— აღწერეთ სურათი თქვენი სიტყვებით.
— გაუზიარეთ ერთმანეთს საკუთარი მოსაზრებები იმასთან დაკავშირებით, თუ რა ქმნის სურათში აზრს, რა არის მასში განსაკუთრებული ან მნიშვნელოვანი.
— დაუსვით ერთმანეთს კითხვები სურათთან დაკავშირებით.
— მიეცით ერთმანეთს მცირე დავალებები, როგორიცაა, მოძებნე, იპოვე, მაჩვენე, ამიხსენი ...
— იმსჯელეთ ისეთ საკითხებზე, როგორიცაა: რატომ იქნა შერჩეული ეს სურათები? რომელი სურათი ესადაგება და იძლევა დამატებით ინფორმაციას იმ ტექსტზე, რომელზეც არის დართული სურათები? რომელი სურათი ეწინააღმდეგება ტექსტში გამოთქმულ მოსაზრებას?

მუშაობა სურათზე

— შეარჩიეთ სურათი და დადგით ის სცენა, რომელიც გამოსახულია სურათზე.
— წარადგინეთ პიროვნება, რომელიც გამოსახულია სურათზე.
— გაცვალეთ სურათები და გააკეთეთ მათზე კომენტარი.
— თქვენ ხელთ არსებული სურათი შეადარეთ ისტორიულ სურათებს.
— ახსენით, ტექსტის რა ნაწილი დარჩებოდა თქვენთვის გაუგებარი, ტექსტს რომ არ ჰქონოდა დართული მოცემული სურათი?
— ტექსტს დაურთეთ შესაბამისი სურათი.
— შეადარეთ სურათები და შეაფასეთ ისინი. მოგწონთ? თუ არ მოგწონთ, რა არის ამის მიზეზი?
— სურათის აღწერა წერილობითი ფორმით დაიტანეთ ფურცელზე.
— იმსჯელეთ იმაზე, თუ რა მოვლენები ვითარდებოდა მანამ, სანამ გადაიღებდნენ ამ ფოტოს ან ამ სურათს დახატავდნენ.
— დაფიქრდით, რა შეიძლება მოხდეს, სურათი რომ გაცოცხლდეს.
— დაურთეთ სურათს სასაუბრო ფანჯრები, შიგნით ჩაწერილი ტექსტით.
— აღწერეთ სუნი ან ხმა, რომლის ასოციაციასაც იწვევს თქვენში სურათი.

— მოიძიეთ სურათები იმავე თემაზე.

სურათის ინტერპრეტირება

— როგორ დაასათაურებდით სურათს?

— სად იქნა გადაღებული ფოტო, ან სად იქნა დახატული სურათი?

— რა სურს ფოტოგრაფს ან მხატვარს გადმოგვცეს ამ სურათით?

— რას ემსახურებოდა ამ ფოტოს გადაღება ან სურათის დახატვა?

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 8: გეგმის მომზადება

გეგმა გეხმარებათ აზრების მოწესრიგებაში. სწორედ ამას გამოხატავს თავად სიტყვაც. გეგმის გამოყენება შესაძლებელია ბევრ სხვადასხვა სიტუაციაში, როდესაც საჭიროა იაზროვნოთ გარკვეულ თემაზე: შეაგროვოთ იდეები, მოემზადოთ პრეზენტაციისათვის, მოამზადოთ პროექტი და ა.შ.

დააკვირდით ქვემოთ აღწერილი გეგმის სქემას:

— რა ძირითად კატეგორიებს შეიცავს, რომელია ქვეკატეგორიები?
— დაამატებდით რაიმეს? თუ დაამატებდით, რას?

გეგმის შედგენის ინსტრუქციები

— ფურცლის შუაში დაწერეთ თემის სახელწოდება და შემოავლეთ წრე. გამოიყენეთ ფართო ფორმატის ფურცელი.
— დაიტანეთ ფურცელზე წრიდან გამომავალი მსხვილი ხაზები (სხივები). თითოეული ხაზის გასწვრივ დაწერეთ იმ ქვეთემის სათაური, რომელიც შეესაბამება ფურცლის შუა წრეში მოცემულ თემას.
— წრიდან გამომავალი მსხვილი ხაზებიდან შეგიძლიათ გაავლოთ წვრილი ხაზები, რომლებიც წარმოადგენს ქვეკატეგორიებსა ან კითხვებს, რომლებიც უკავშირდება მსხვილ ხაზებზე დაწერილ ქვეთემებს.
— შეეცადეთ, მოიფიქროთ რაც შეიძლება ბევრი ტერმინი და მოათავსოთ ეს ტერმინები შესაბამის კატეგორიებში. შეგიძლიათ გამოიყენოთ სხვადასხვა ზომის ასოები, სიმბოლოები ან ფერები.

შეადარეთ თქვენ მიერ შედგენილი გეგმა თქვენი თანაკლასელების მიერ შედგენილ გეგმებს

— რას ამჩნევთ?

— რა მსგავსებაა თქვენსა და თქვენი თანაკლასელების მიერ შედგენილ გეგმებს შორის?
— რა სხვაობაა თქვენსა და თქვენი თანაკლასელების მიერ შედგენილ გეგმებს შორის?
— რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი ტერმინები?
— ქვეკატეგორიებად დაყოფა სძენს რაიმე მნიშვნელობას შედგენილ გეგმას?
— რაიმე მნიშვნელოვანი ხომ არ აკლია გეგმას?
— შემდეგ ჯერზე რას გააკეთებთ სხვაგვარად?

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 9: პოსტერის შექმნა

პოსტერის საშუალებით, თქვენ აკეთებთ საკუთარი ნამუშევრის შედეგების შეჯამებას და წარუდგენთ მას თანაკლასელებს. მნიშვნელოვანია, პოსტერი ისე იყოს ორგანიზებული, რომ იქცევდეს ხალხის ყურადღებას. მის მნახველს უნდა გაუჩნდეს სურვილი, მეტი შეიტყოს მოცემული თემის შესახებ.

მცირერიცხოვან ჯგუფებში განიხილეთ, თუ რა უნდა ახასიათებდეს პოსტერს, რომ იგი მიმზიდველი და საინტერესო იყოს მხილველებისათვის და მოიფიქრეთ, რა ელემენტებს ჩართავთ თქვენს პოსტერში.

თუ თქვენ უკვე გაქვთ დამზადებული პოსტერი, ქვემოთ მოყვანილი რჩევების მიხედვით შეაფასეთ იგი.

რჩევები

სათაური: უნდა იყოს მოკლე და საინტერესო: მისი დანახვა შესაძლებელი უნდა იყოს შორი მანძილიდან.

ტექსტი: უნდა იყოს მსხვილი ასოებით შედგენილი და გარჩევადი. თუ ნაბეჭდ ტექსტს იყენებთ, მოერიდეთ ბევრი განსხვავებული შრიფტის გამოყენებას. ტექსტი უნდა შედგებოდეს მოკლე წინადადებებისაგან და მისი წაკითხვა შესაძლებელი უნდა იყოს ზომიერად შორი მანძილიდან.

სურათები, ფოტოები, გრაფიკა: უნდა ესადაგებოდეს თემას და გამოხატავდეს თქვენს სათქმელს, ასევე, საინტერესოს უნდა ხდიდეს პოსტერს. ნუ გადატვირთავთ პოსტერს, არჩევანი გააკეთეთ რამდენიმე შთამბეჭდავ სურათზე, ფოტოზე ან გრაფიკაზე.

სქემა: სად უნდა ჩავსვათ სათაური, ქვესათაურები, სიმბოლოები, ფანჯრები, ფოტოები ან სურათები? სანამ პოსტერის საბოლოო ვარიანტის მომზადებას შეუდგებოდეთ, განსაზღვრეთ ამ ელემენტების ადგილი.

გაითვალისწინეთ: პოსტერისათვის შერჩეული ფორმატი უნდა იყოს შევსებული თქვენ მიერ შერჩეული ელემენტებით, მაგრამ არ უნდა იყოს ზედმეტად გადატვირთული.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 10: გამოფენის მოწყობა

გამოფენა მოსწავლეების ჯგუფს ეხმარება, საკუთარი ნამუშევარი წარუდგინონ დანარჩენ მოსწავლეებს (კლასს ან მოწვეულ სტუმრებს), რათა მათ შეექმნათ წარმოდგენა იმაზე, თუ რა სამუშაო შეასრულა ჯგუფმა. ქვევით მოცემული რჩევები დაგეხმარებათ გამოფენის დაგეგმვასა და გამართვაში.

რჩევები

1. **რისი ჩვენება გვსურს?**
   - — რა არის ის მთავარი გზავნილი, რისი თქმაც გვსურს ამ გამოფენის საშუალებით?
   - — რა სახელწოდება შევურჩიოთ გამოფენას?
2. **ვინაა აუდიტორია?**
   - — ჩვენი სკოლის მასწავლებლები და მოსწავლეები?
   - — მშობლები და დედმამიშვილები?
   - — კლიენტები ტურისტული სააგენტოდან?
3. **სად გაიმართება გამოფენა?**
   - — საკლასო ოთახში თუ სკოლის სხვა ტერიტორიაზე?
   - — საჯარო ადგილზე (მუნიციპალური შენობის დარბაზში, მაგალითად)?
   - — რა სივრცე ექნება დათმობილი გამოფენას და როგორი იქნება განათება?
   - — გვექნება ის ინფრასტრუქტურა, რომელიც გვსურს, რომ გვქონდეს?
4. **როგორ გავხადოთ გამოფენა შთამბეჭდავი და დაუვიწყარი?**
   - — მოდელები და საგამოფენო ექსპონატები ისე უნდა განვათავსოთ, რომ შესაძლებელი იყოს ხელით შეხება?
   - — უნდა გავითვალისწინოთ და გამოვყოთ სივრცე იმისათვის, რომ შესაძლებელი იყოს საგამოფენო ტერიტორიაზე თამაშის მოწყობა, ექსპონატების მოსინჯვა, მათზე დაკვირვება თუ ექსპერიმენტის ჩატარება?
   - — შევქმნათ მუსიკალური ფონი ან ჩვენ თავად დავუკრათ მუსიკა?
   - — შევთავაზოთ დამთვალიერებლებს მსუბუქი ლანჩი?

— დავნიშნოთ გიდები, რომლებიც დამთვალიერებლებს ექსპონატებს გააცნობენ?
— დავამზადოთ ფლაერები, რომლებიც დამთვალიერებლებს ექსპონატებს გააცნობს?
— მოვაწყოთ შეჯიბრება ან ვიქტორინა?

5. **გამოფენის გამართვამდე ვის უნდა მივაწოდოთ ინფორმაცია გამოფენის შესახებ?**
— სკოლის მასწავლებლები?
— სკოლის მომსახურე პერსონალი?
— სკოლის საბჭოს წევრები?
— დამრიგებელი?
— ექსპერტი, რომელიც დაგვეხმარება გამოფენის გამართვაში?
— სტუმრები?

6. **რა უნდა გავაკეთოთ?**
— შევადგინოთ გეგმა?
— შევადგინოთ მასალათა ჩამონათვალი?
— შევადგინოთ დროის განრიგი (ვინ რას აკეთებს და როდის)?
— ვაწარმოოთ ხარჯთაღრიცხვა (რა თანხა გვაქვს ხელთ და რამდენი დავხარჯეთ)?
— დავამზადოთ ფლაერები ან მოსაწვევი ბარათები?
— მივაწოდოთ ინფორმაცია ადგილობრივ გაზეთს?

7. **რა შეფასება ექნება გამოფენას?**
— რომელია ყველაზე მნიშვნელოვანი კრიტერიუმები?
— ვინ შეაფასებს გამოფენას (მასწავლებლები, თანაკლასელები, მოწვეული სტუმრები)?

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 11: პრეზენტაციების მომზადება და გაკეთება

სკოლაში თქვენ გაქვთ შესაძლებლობა, სიტყვით წარსდგეთ თანაკლასელთა, მშობლების, ან სხვა მოსწავლეების წინაშე. ყველა შემთხვევაში, საჭიროა კარგად მოამზადოთ სიტყვა, რომლითაც გეგმავთ გამოსვლას. ქვემოთ მოცემული რჩევები ამაში დაგეხმარებათ.

სიტყვის გამოსვლისათვის მზადება და მისი დაგეგმვა

1. **ვინ იქნება მსმენელის როლში?**
   - სად უნდა გაიმართოს სიტყვით გამოსვლა?
2. **ვინ წარსდგება სიტყვით აუდიტორიის წინაშე?**
   - მარტო უნდა წარსდგე სიტყვით თუ ჯგუფთან ერთად?
   - როგორ უნდა მოხდეს ჯგუფის ორგანიზება?
3. **რა არის სიტყვით გამოსვლის მიზანი?**
   - რას შეიტყობს ახალს წარმოთქმული სიტყვიდან დამსწრე საზოგადოება?
   - გულისხმობს თქვენი გამოსვლა, მსმენელთა მხრიდან გაჟღერებულ კითხვებზე პასუხს ან მათი მხრიდან კომენტარებს?
4. **რა დრო უნდა დაეთმოს სიტყვით გამოსვლას?**
   - უნდა გაითვალისწინოთ დრო აუდიტორიის მხრიდან დასმულ კითხვებზე პასუხების გასაცემად?
   - უნდა გაითვალისწინოთ დრო აუდიტორიის მხრიდან გაკეთებული კომენტარების მოსასმენად?
5. **რა რესურსებია ხელმისაწვდომი?**
   - დაფა?
   - პროექტორი?
   - კომპიუტერი და პროექტორი PowerPoint-ში მომზადებული პრეზენტაციისათვის?
   - პოსტერი (ფლიპჩარტი)?
   - სტერეოდანადგარი?

6. **როგორ უნდა შეძლო აუდიტორიის ყურადღების დაპყრობა?**
   - მიეცით აუდიტორიას საშუალება, დასვან კითხვები.
   - გამოსასვლელ სიტყვაში ჩართეთ კითხვები და თავსატეხები.
   - საშუალება მიეცით აუდიტორიას, ერთმანეთს გადასცენ და დაათვალიერონ თემასთან დაკავშირებული რაიმე საგანი.
7. **რისი თქმა გსურს?**
   - მოიფიქრეთ სამიდან ექვსამდე ქვესათაური, რომელიც უკავშირდება თქვენს სასაუბრო თემას და დაწერეთ ისინი ცალ-ცალკე ფურცელზე.
   - თითოეულ ფურცელზე ქვესათაურის ქვეშ ჩამოწერეთ ის ძირითადი, საკვანძო სიტყვები და ფრაზები, რომლებზეც ააგებთ თქვენს სიტყვას.

სიტყვით გამოსვლა

პრეზენტაცია შეიძლება გაიყოს რამდენიმე ნაწილად: შესავალი, ძირითადი ნაწილი და დასკვნითი ნაწილი. ქვემოთ მოცემული მოსაზრებები დაგეხმარებათ იმაში, რომ თქვენს სიტყვით გამოსვლას მოწონება ხვდეს წილად.

1. **შესავალი**
   - პრეზენტაცია დაიწყეთ შესაბამისი ციტატით, ან თემასთან დაკავშირებული სურათის ან საგნის ჩვენებით.
   - მოკლედ გააცანით აუდიტორიას თქვენი საუბრის თემა.
   - აუხსენით მათ თქვენი გამოსასვლელი სიტყვის სტრუქტურა.
2. **ძირითადი ნაწილი**
   - გააცანით აუდიტორიას თქვენი საუბრის თემა.
   - დაალაგეთ წინასწარ მომზადებული ფურცლები, ზედ დატანილი სასაუბრო თემის ქვესათაურებით და ინფორმაციით, რიგითობის მიხედვით.
   - სიტყვა წარმართეთ ამ ქვესათაურების მიხედვით.
   - ყოველ ჯერზე, როდესაც საუბარს იწყებთ ახალი ქვესათაურით, აცნობეთ ამის შესახებ აუდიტორიას სურათის გამოყენებით ან მოკლე განმარტებით.
   - თითოეული ქვესათაურით გათვალისწინებულ საკითხზე გადასვლისას გამოიყენეთ შესაბამისი სურათი, საგანი ან მუსიკალური ჩანართი.

— მოიფიქრეთ, როგორ უნდა აჩვენოთ სურათები - მაგალითად, ჩამოატაროთ იგი მსმენელებს შორის, სლაიდზე გამოსახოთ თუ პოსტერზე გააკრათ.

3. **დასკვნა**

— გააცანით აუდიტორიას, რა წარმოადგენდა თქვენთვის სიახლეს.

— გააცანით აუდიტორიას, რა ისწავლეთ.

— უჩვენეთ აუდიტორიას ბოლო სურათი.

— დაუსვით კითხვები თანაკლასელებს.

— დაუთმეთ დრო აუდიტორიას, რათა დასვან კითხვები.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 12: პრეზენტაციის მომზადება სლაიდების ან PowerPoint-ის გამოყენებით

PowerPoint-ის გამოყენებით, ან გამომსვლელის თავს ზემოთ მოთავსებულ პროექტორზე ნაჩვენები სლაიდების საშუალებით წარმოებული პრეზენტაციები ფართოდ გამოიყენება და ორივე მეთოდზე ერთი და იგივე წესები ვრცელდება.

სლაიდის მომზადებისას გაითვალისწინეთ, რომ საჭიროა:

- წარწერები იყოს მკაფიო და გარკვევით იკითხებოდეს;
- გამოყენებული იყოს ერთი სტილის შრიფტი;
- ასოების ზომა საკმაოდ დიდი იყოს;
- ხაზებს შორის საკმარისი დაშორება;
- ერთ სლაიდზე არ იყოს მოცულობითი ტექსტი;
- სლაიდები იყოს ხარვეზების გარეშე;
- სურათები, რუკები და გრაფიკები საკმაოდ ფართო ფორმატით იყოს წარმოდგენილი და კარგად ჩანდეს შორი მანძილიდან;
- გამოყენებული იყოს მხოლოდ რამდენიმე ფერი და სიმბოლო;
- პრეზენტაცია არ იყოს გადატვირთული სლაიდებით.

რომელი ავირჩიო, სლაიდები თუ PowerPoint?

ორივე მათგანს აქვს თავისი დადებითი და უარყოფითი მხარეები. ქვემოთ მოცემულია რამდენიმე მნიშვნელოვანი რჩევა, რომელიც დაგეხმარება სლაიდების გამოყენებით და PowerPoint-ის გამოყენებით გაკეთებულ პრეზენტაციებს შორის არჩევანის გაკეთებაში.

რომელი მათგანი უფრო ესადაგება თქვენს საჭიროებებს?

გაეცანით ქვემოთ მოყვანილ ინფორმაციას, რომელიც დაგეხმარებათ მეთოდის შერჩევაში.

სლაიდების გამოყენება რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ:

- პრეზენტაციისას გამოსაყენებელია ხუთამდე სლაიდი;
- სლაიდების ჩვენებებს შორის საჭიროა რაიმეს ჩვენება ან ახსნა;
- სლაიდზე რაიმეს დაწერა გსურთ პრეზენტაციის დროს;
- თითო სლაიდზე მხოლოდ ერთი გამოსახულება გინდათ უჩვენოთ;
- გინდათ რაიმე დაფაროთ და გამოაჩინოთ სლაიდზე დატანილ გამოსახულებაზე;
- პრეზენტაცია ჯგუფის წევრებს შორის არის გადანაწილებული და შესაბამისად გადანაწილებულია სლაიდებიც.

PowerPoint-ის გამოყენება რეკომენდებულია იმ შემთხვევაში, თუ:

- გსურთ, აუდიტორიას მიაწოდოთ დიდი რაოდენობით ინფორმაცია;
- დიდი რაოდენობით გამოსახულებები გაქვთ ჩართული პრეზენტაციაში;
- გსურთ, ერთი მეორეს მიყოლებით აჩვენოთ გამოსახულებები;
- გსურთ, ინტერნეტიდან ამოღებული მასალა აჩვენოთ აუდიტორიას პრეზენტაციის დროს;
- გინდათ, აჩვენოთ ვიდეოკლიპი, ციფრული გამოსახულება ან რაიმე მასალა, რომელიც კომპიუტერში გავთ შენახული;
- გსურთ, უჩვენოთ ვიდეო, კადრების გაჩერების თანხლებით, უკან დაბრუნების რეჟიმში ან სხვა მანიპულაციებით.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 13: საგაზეთო სტატიის მომზადება

გარკვეულ თემაზე თქვენი ნამუშევრის საზოგადოებისათვის გაცნობა შესაძლებელია რეპორტიორის როლის შესრულებით და საგაზეთო სტატიის შექმნით. დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაში საგაზეთო სტატიის შექმნა საკუთარი მოსაზრების გასაჯაროების ერთ-ერთ საშუალებად მიიჩნევა. თქვენმა სტატიამ შესაძლებელია სასიკეთოდ იმოქმედოს საზოგადოებაზე და გამოასწოროს ის, რისი გამოსწორებაც არის საჭირო.

საგაზეთო სტატია სხვადასხვა კომპონენტებისაგან შედგება:

- სათაური: უნდა იყოს ლაკონური და გასაგები;
- შესავალი: მკითხველისათვის თემის გაცნობა, სულ რამდენიმე ძალიან მოკლე წინადადებით;
- ავტორები: ვინ არის სტატიის ავტორი?
- სტატიის ტექსტი: თავად სტატია;
- ქვესათაურები: გამოყოფს „თავებს“, მკითხველისათვის უკეთ აღსაქმელად;
- სურათი: სურათი, რომელიც შეესაბამება სტატიის ტექსტს და რომელსაც დართული აქვს მცირე განმარტება.

რჩევები

- დღევანდელ გაზეთში გამოქვეყნებული სტატია განიხილეთ ზემოთ მოცემული სქემის მიხედვით. შეგიძლიათ ამოიცნოთ საგაზეთო სტატიის სხვადასხვა კომპონენტი?
- საგაზეთო სტატიის სხვადასხვა კომპონენტი სხვადასხვა ფერის მარკერით გააფერადეთ.
- ყურადღება მიაქციეთ შრიფტის სტილს (გამუქებული, ნორმალური, დახრილი).
- თქვენ მიერ მოპოვებული საგაზეთო სტატია შეადარეთ თქვენი თანაკლასელების მიერ შერჩეულ საგაზეთო სტატიებს.

— საკუთარი სტატიის შექმნისას გამოიყენეთ საგაზეთო სტატიისათვის დამახასიათებელი კომპონენტები.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 14: წარმოდგენის დადგმა

ინსცენირება საუკეთესო საშუალებაა ცხოვრებისეულ სიტუაციებზე დასაკვირვებლად. სცენის შექმნა შესაძლებელია სურათების, მუსიკალური ნაწარმოების ან საგნების გამოყენებით. სიტუაციის ინსცენირებისას, საჭიროა გარკვეული როლის თამაში. ეს ნიშნავს იმას, რომ უნდა განიცადო ის, რასაც სხვა განიცდის და იმოქმედო შესაბამისად. წარმოდგენის დასასრულს, ყველა დაფიქრდება იმაზე, რომელი სცენა იყო „რეალური“ და რომელი - წარმოსახვითი.

„თავისუფალი“ წარმოდგენა

- ჩამოწერეთ ძირითადი საკვანძო სიტყვები, რომლებიც კონკრეტულ სიტუაციასთან არის დაკავშირებული.
- გადაინაწილეთ როლები და განსაზღვრეთ, რა არის ის მნიშვნელოვანი, რაც თითოეული როლის შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს.
- მოიმარაგეთ ყველა საჭირო მასალა.
- გაიარეთ რეპეტიცია.
- მოამზადეთ სცენა.
- გამართეთ წარმოდგენა.

წარმოდგენის დასრულების შემდეგ განიხილეთ შემდეგი დეტალები:

- რა იხილეთ?
- ყველასათვის ყველაფერი გასაგები იყო?
- რა მოგეწონათ წარმოდგენაში ყველაზე მეტად?
- თქვენი აზრით, აკლდა რაიმე წარმოდგენას?
- რა იყო მცირედით გაზვიადებული?
- რა კითხვები გვაქვს წარმოდგენის შინაარსთან დაკავშირებით?

წარმოდგენის დადგმა ტექსტის მიხედვით

წაიკითხეთ მოთხრობა ერთობლივად და შექმენით სცენები:

— ვინ იყვნენ მონაწილე პერსონაჟები? სად ვითარდებოდა მოვლენები?
— როგორ გაართვეს პერსონაჟებმა თავი სიტუაციას? რას ამბობდნენ ისინი?
— როგორი რეაგირება ჰქონდათ სხვებს?
— როგორ დასრულდა მოთხრობა?
— შეთანხმდით, რამდენი სცენისაგან უნდა შედგებოდეს წარმოდგენა.
— გადაინაწილეთ როლები. რა კოსტიუმები იქნება საჭირო?
— გაიარეთ რეპეტიცია.
— წარმოდგენა შეაფასეთ თქვენს თანაკლასელებთან ერთად.

წარმოდგენის დადგმა სურათის მიხედვით

— მოიძიეთ სურათი, რომლის მიხედვითაც შესაძლებელია წარმოდგენის დადგმა.
— წარმოიდგინეთ საკუთარი თავი სურათზე.
— შეაგროვეთ მოსაზრებები: როგორ ცხოვრობენ სურათზე გამოსახული ადამიანები? რა ანიჭებთ მათ სიხარულს? რა ჰგვრით სევდას?
— შექმენით წარმოდგენა სურათის მიხედვით და ჩაინიშნეთ ძირითადი, საკვანძო სიტყვები თითოეული სცენისათვის.
— შეთანხმდით, რამდენი სცენისაგან უნდა შედგებოდეს წარმოდგენა.
— გადაინაწილეთ როლები და განსაზღვრეთ, რა არის ის მნიშვნელოვანი, რაც თითოეული როლის შემსრულებელმა უნდა გაითვალისწინოს.
— გაიარეთ რეპეტიცია.
— მოამზადეთ სცენა და მოიწვიეთ მაყურებელი.
— წარმოდგენა შეაფასეთ თქვენს თანაკლასელებთან ერთად.

ინსტრუმენტების ჩამონათვალი მოსწავლეებისათვის

ინსტრუმენტი 15: დებატების წარმოება

დებატები გვეხმარება დავრწმუნდეთ საკითხის ირგვლივ განსხვავებული მოსაზრებების არსებობაში და გავაანალიზოთ სადავო საკითხის დადებითი და უარყოფითი მხარეები. დებატების წარმოებისათვის საჭიროა არსებობდეს სადავო კითხვა, რომელზე პასუხიც შესაძლებელია იყოს „კი“ ან „არა“. დემოკრატიულ საზოგადოებაში, კონკრეტულ საკითხზე ყოველთვის არსებობს ერთზე მეტი მოსაზრება და შექმნილი სიტუაციიდან - ერთზე მეტი გამოსავალი.

ორი მოსაზრება - დებატები

დებატების წარმოება:

- კლასი გაყავით ორ ნაწილად. ერთი ჯგუფი წარმოადგენს საკითხის „მომხრეებს“, მეორე - „მოწინააღმდეგეებს“.
- თითოეულმა ჯგუფმა უნდა მოიძიოს არგუმენტები[48], რითაც ისინი შეეცდებიან, გაამყარონ საკუთარი პოზიცია. ასევე, მათ უნდა წარმოადგინონ არგუმენტები, რომელთა საშუალებითაც შეეცდებიან, მოწინააღმდეგე ჯგუფის მოსაზრებები გააბათილონ.
- ჩაინიშნეთ თქვენი არგუმენტები ძირითადი საკვანძო სიტყვების საშუალებით.
- თითოეული ჯგუფი ირჩევს ორ გამომსვლელს.
- დებატები შედგება სამი ნაწილისაგან: გახსნითი რაუნდი, ღია დებატები და დასკვნითი რაუნდი:
  - → გახსნითი რაუნდი: თითოეული გამომსვლელი მოკლედ გამოთქვამს საკუთარ მოსაზრებას. „მომხრეთა“ და „მოწინააღმდეგეთა“ მხარეები გამოდიან მონაცვლეობით;

[48]არგუმენტი: განაცხადი, რომელიც ემსახურება მტკიცების ან პოზიციის გამყარებას.

→ დებატები: გამომსვლელები წარმოადგენენ საკუთარ არგუმენტებს და ცდილობენ, დაუპირისპირდნენ და გააბათილონ მოწინააღმდეგე მხარის მიერ გამოთქმული არგუმენტები;

→ დასკვნითი რაუნდი: დასკვნითი რაუნდის პროცედურები ემთხვევა გახსნითი რაუნდის პროცედურებს. ყველა გამომსვლელს ეძლევა შესაძლებლობა, შეაჯამოს საკუთარი მოსაზრება.

გამომსვლელთა რეგლამენტი

კლასი ირჩევს მოსწავლეს, რომელიც პასუხისმგებელია გამომსვლელთა რეგლამენტის კონტროლზე, დებატების დროს.

— გახსნითი რაუნდი არ უნდა გრძელდებოდეს რვა წუთზე მეტი (ყოველ გამომსვლელს ეძლევა ორ-ორი წუთი გამოსვლისათვის).
— დებატების რაუნდი არ უნდა გაგრძელდეს ექვს წუთზე მეტი.
— დასკვნითი რაუნდი უნდა გრძელდებოდეს მაქსიმუმ ოთხი წუთი (თითო წუთი თითო გამომსვლელისათვის).
— იმ შემთხვევაში, თუ რომელიმე გამომსვლელი გადააჭარბებს რეგლამენტით განსაზღვრულ დროს, იგი იღებს გაფრთხილებას ზარის სახით.

დამკვირვებლები

დანარჩენი მოსწავლეები აქტიურ მონაწილეობას არ ღებულობენ დებატებში, ისინი აკვირდებიან დებატებს. დებატების შემდეგ ისინი აკეთებენ კომენტარს იმასთან დაკავშირებით, თუ რა დასკვნები გამოიტანეს დებატებიდან. კომენტარების გაკეთებისას, მათ უნდა გაითვალისწინონ შემდეგი:

— რა არგუმენტები იქნა წამოყენებული?
— ვინ რის მიღწევას შეძლებს?
— ყველა გამომსვლელს მიეცა საუბრის საშუალება, თუ მათ აწყვეტინებდნენ სიტყვას?
— როგორ ცდილობდა თითოეული გამომსვლელი საკუთარი არგუმენტის დაცვას და აზრის გადმოცემას?
— რომელი არგუმენტი ჟღერდა დამაჯერებლად?

— რომელ არგუმენტს გამოარჩევენ ისინი, როგორც ძლიერ არგუმენტს?

— რომელი სიტყვები იქნა გაჟღერებული ყველაზე ხშირად?

— როგორი იყო გამომსვლელთა საუბარი (იყენებდნენ ისინი სხეულის ენას, ხმამაღლა საუბრობდნენ, არამონოტონურად)?

წინამდებარე სახელმძღვანელოს მიზანს წარმოადგენს დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებაზე პასუხისმგებელ მასწავლებელთა ხელშეწყობა. მასში განხილულია დემოკრატიული მოქალაქეობისათვის განათლებისა და ადამიანის უფლებათა შეასხებ განათლების ძირითადი, საკვანძო საკითხები, მათ შორის, დემოკრატიული მოქალაქეობის კომპეტენციები, დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანი უფლებათა შესახებ სწავლების მიზნები და ძირითადი პრინციპები და, ასევე, სკოლის ზოგადი მიდგომა დემოკრატიისა და ადამიანის უფლებების შესახებ სწავლებისადმი.

წინამდებარე სახელმძღვანელო შედგება სამი ნაწილისგან. I ნაწილში განხილულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ძირითადი პრინციპები, იმ კუთხით, რომელიც ეხმარება მასწავლებლებსა და პედაგოგებს საკუთარი მოვალეობის სრულყოფილად შესრულებაში; II ნაწილში მოცემულია რჩევები და პრაქტიკული რეკომენდაციები, მოსწავლეების კონსტრუქტივისტული და ინტერაქტიული სწავლის პროცესის დაგეგმვის, ხელშეწყობისა და შეფასებისათვის. III ნაწილში მოცემულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების ინსტრუმენტები, როგორც მასწავლებლებისათვის, ასევე, მოსწავლეებისათვის.

ამ გამოცემაში შემავალ სხვა წიგნებში მოცემულია დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლების მოდელები და მასალა ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის სხვადასხვა საფეხურისათვის, დაწყებული დაწყებითი საფეხურიდან, დამთავრებული მაღალი საფეხურით.

წინამდებარე სახელმძღვანელო წარმოადგენს ექვსი წიგნისაგან შემდგარი გამოცემის პირველ წიგნს:

წიგნი I: *განათლება დემოკრატიისათვის*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - ძირითადი საცნობარო მასალა მასწავლებლებისათვის

წიგნი II: *ვიზრდებით დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი III: *ცხოვრება დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის საბაზო საფეხურისათვის

წიგნი IV: *მონაწილეობა დემოკრატიულ საზოგადოებაში*
სწავლება დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ - საგაკვეთილო გეგმები ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის მაღალი საფეხურისათვის

წიგნი V: *ბავშვთა უფლებების კვლევა*
ცხრა მცირე პროექტი ზოგადსაგანმანათლებლო სკოლის დაწყებითი საფეხურისათვის

წიგნი VI: *დემოკრატიის სწავლება*
სასწავლო მოდელების კრებული დემოკრატიული მოქალაქეობისა და ადამიანის უფლებათა შესახებ სწავლებისათვის

COUNCIL OF EUROPE
CONSEIL DE L'EUROPE

www.coe.int

ევროპის საბჭოში გაწევრიანებულია 47 სახელმწიფო და იგი პრაქტიკულად მოიცავს ევროპის მთელ კონტინენტს. ევროპის საბჭოს მიზანია, შექმნას საერთო დემოკრატიული და სამართლებრივი პრინციპები, რომლებიც დაფუძნებული იქნება ადამიანის უფლებების ევროპულ კონვენციაზე და სხვა დოკუმენტებზე, რომლებიც ადამიანის დაცვას შეეხება. მეორე მსოფლიო ომის შემდეგ, 1949 წელს მისი დაარსების დღიდან, ევროპის საბჭო წარმოადგენს შერიგების სიმბოლოს.